N40 (591) 6/X-12/X-2011 ...ი 1 ლარი

ჩემი რჩეული

ოფია იოსელიანი

ექვსტომეული
ტომი IV

შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგ
ოფია იოსელიანი
ტომი V

პირადი ცხოვრება

რა გადაეცა
გენეტიკურად
ჯაბა იოსელიანის
შვილიშვილს

„იყო დაძაბულობა,
დაცვის საჭიროებაც...“

რატომ იმალებოდა
შორენა
ბეგაშვილი

„იძულებული გავხდი,
ბინა დამეცალა“

ექსტრიმის მოყვარული
ბაიკერების
LOVE STORY

„ჩვენ მოტოციკლების
სიყვარულიც
გვაერთიანებს“

14 წლის ქუჩის მუსიკოსი,
რომელმაც ცოლის
მოყვანაც მოასწრო და
მისი გაშვებაც

„ის ჩემზე უფროსი იყო“

რით გაანაწყენა თათია
სულუაშვილმა მშობლები

„იქიდან სულ თრევა-თრევით
წამომიყვანეს...“

25-დღიანი თანაცხოვრება
მკვლელობით დასრულდა



„სკაიპით“
დაწყებული უიღბლო
სიყვარულის ამბავი

ISSN 1987 - 5029

მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა კიდევ უფრო გაძვირდება(?!)

ოქტომბრის ნომერი

ეს გამოგჩეთ!

ჯანმთელობაზე ზრუნვის პროგრამა

შენი საოფთიაქო ბალთა

- საუკეთესო ფასი მედიკამენტებზე
- ექიმის უფასო კონსულტაცია
- სამედიცინო მიჩევლის 24 სთ. მომსახურება
- 20% ფასდაკლება ანალიზებზე

ჯიპისი GPC

„სილუეტი“ — „ხედვა საზღვრების გარეშე“

„კენარი“ ძველი ქართული სიტყვაა და „ლამაზს“ ნიშნავს. ეს სახელი ოპტიკური კომპანიისთვის შემთხვევით არ შეურჩევიათ,“ — მითხრა „კენარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა — ანა ღონღაძემ. ოპტიკური კომპანია „კენარი“ 2004 წელს დაარსდა და თავიდანვე მიზნად დაისახა, მომხმარებლისთვის განსაკუთრებული მომსახურება და ხარისხიანი პროდუქციის ფართო არჩევანი შეეთავაზებინა. რამდენიმე დღის წინ, „კენარმა“ ერთგული მომხმარებლებისთვის რუსთაველის 37-ში მდებარე მაღაზიაში „სილუეტის“ დახურული ტიპის საღამო მოაწყო და სათვალის გაახლებული კოლექციები წარმოადგინა.

ანა ღონღაძე, *„კენარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:*

— „სილუეტი“ ჩვენი საიმიჯო ბრენდია, რომლითაც ძალიან ვამაყობთ. ეს არის დიდი გამოცდილების მქონე ავსტრიული კომპანია, რომელიც 1964 წელს დაარსდა. თავიდან ოჯახური ბიზნესი იყო. სათვალის წარმოება ცოლ-ქმარმა დაიწყო. „სილუეტის“ დამაარსებელი არნოლდ შმიდტი 85 წლის არის და წარმოებას დღემდე აკონტროლებს. კომპანიამ მოახდინა რევოლუცია და შექმნა სათვალის დიზაინი ჩარჩოს გარეშე; ასევე პირველმა დააპატენტა სათვალის სამაგრების ტექნოლოგია ხრახნების გარეშე. სათვალეს უნიკალური ტიტანის მასალისგან ამზადებენ. სწორედ ამ უნიკალური ტექნოლოგიის და გამოყენებული მასალის გამო „სილუეტის“ სათვალე მხედველობის კორექციის სტანდარტულ საშუალებადაც არის მიჩნეული. ის „ნასას“ კოსმონავტების განუყრელი აქსესუარია კოსმოსურ ექსპედიციებში მოგზაურობის დროს. კომპანიის სლოგანია „ხედვა საზღვრების გარეშე“. მსოფლიოში ეს ბრენდი მსუბუქი წონითაც არის ცნობილი. „სილუეტის“ ყველაზე მსუბუქი სათვალე სულ რაღაც 1,8 გრამს იწონის.

უკვე 5 წელია „სილუეტთან“ ვთანამშრომლობთ. ეს საღამო კი ჩვენი ერთგული მომხმარებლისთვის გავმართეთ.

— მათთვის რა სიურპრიზი გაქვთ?

— დავამზადეთ ექსკლუზიური ფასდაკლების ბარათები, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ ჩვენს მაღაზიებში. ამ კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია ბიზნესკლასის სათვალედ ითვლება. Silhouette-ის მომხმარებლები არიან მსოფლიოში ცნობილი ადამიანები; პოლიტიკოსები, მსახიობები, ტელეწამყვანები და სხვა. ისინი „სილუეტში“ აფასებენ სწორედ მის სიმსუბუქეს, დახვეწილ, მინიმალისტურ დიზაინს და უნივერსალურობას. მინდა აღვნიშნო, რომ ევროპაში „სილუეტის“ ფასი უფრო მაღალია, ვიდრე ჩვენთან. შეიძლება ითქვას, რომ ბაზარზე იდეალური ფასი გვაქვს. ზოგადად ჩვენს ქსელში გვაქვს არჩევანი ყველანაირ ფასთა კატეგორიაში. ეს ეხება როგორც მზის, ასევე ოპტიკურ სათვალეს. ვცდილობთ, საუკეთესო ხარისხი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს. „კენარის“ სლოგანია „ფასის და ხარისხის საუკეთესო შემოთავაზება“.

ერთგულ მომხმარებელთა შორის არაერთი ცნობილი სახე იყო.

მაია ბარათაშვილი:

— სათვალის მომხმარებელი ვარ, „კენარში“ არაერთი სათვალე მაქვს შეძენილი. ხარისხით კმაყოფილი ვარ. მიხარია, რომ ქსელი გააფართოეს. ახალი კოლექცია უკვე გულდასმით დავათვალიერე. მერე მოვალ და აუცილებლად შევიძენ. აქ კარგი მომსახურება და დიდი არჩევანია.

ქეთი ფარესაშვილი:

— ოპტიკური სათვალე ჯერ არ მჭირდება. მზის სათვალით, რომელიც აქ რამდენიმე თვის წინ შევიძინე, კმაყოფილი ვარ. „კენარში“ ყოველთვის ძალიან კარგი კოლექცია და დიდი არჩევანია. „სილუეტი“ მომწონს, ძალიან დახვეწილი დიზაინით გამოირჩევა. მსუბუქია, გემოვნებიანი და ფასებიც ხელმისაწვდომია.

ერთგული მომხმარებლისთვის „კენარმა“ არაერთი პრიზი გაათამაშა. 1-ელი პრიზი „სილუეტის“ სათვალე იაშა ნიჟარაძემ მოიგო.

„კენარი“ თავის მომხმარებელს სრულ ოპტიკურ მომსახურებას სთავაზობს. დედაქალაქში მდებარე 5-ივე მაღაზიაში ფუნქციონირებს ექიმი-ოფთალმოლოგის თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი კაბინეტი, სადაც შეგიძლიათ, ჩაიტაროთ მხედველობის დიაგნოსტიკა და დაამზადებინოთ ნებისმიერი ნომრის და სირთულის სათვალე. მეგობრულად განწყობილი პროფესიონალი თანამშრომლები, პროდუქციის მრავალფეროვანი არჩევანი და უახლესი ტექნიკა უზრუნველყოფს იმას, რომ თქვენ შეძლებთ თქვენთვის უსაფრთხო სათვალის შერჩევას. აქვე გაცნობებთ, რომ „კენარში“ აქციაა, რომლის ფორმულირება ასეთია: ჩარჩოს+სათვალის ლინზა+ექიმის მომსახურება=ჩარჩოს ფასს. მომხმარებელი იხდის მხოლოდ ჩარჩოს ფასს; ექიმის მომსახურება და სათვალის ლინზები მის ღირებულებაში შედის. აქციას პარტნიორი ფრანგული კომპანიის Essilor-ის მხარდაჭერით ატარებენ . Essilor არის მსოფლიო ლიდერი სათვალის ლინზების წარმოებაში. აქცია დეკემბრის თვემდე გაგრძელდება.

№40 (591)
6 - 12 ოქტომბერი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

ქვეყანა

რატომ ვემზადებით პომპეზურად

„საფრანგეთს საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში საუკუნოვანი გამოცდილება აქვს. შესაბამისად, ამ ქვეყნის წარმომადგენელი არასდროს გააკეთებს ისეთ განცხადებას, რომ რომელიმე მხარე შეურაცხყოს. ჩემი აზრით, სარკოზის განცხადებები რუსეთის მიმართ იქნება პრინციპული და მწვავე“.

13

სახე

რატომ და ვის ემალება შორენა ბეგაშვილი

„ მთელი ზაფხული გადაღებები მქონდა, მაგრამ არა — საქართველოში; ერევანში ვიყავი. იქ სომეხ და ქართველ ვარსკვლავებს შორის კულინარიაში, სიმღერაში, ცეკვაში შეჯიბრება მოეწყო“.

18

■ მინიატიურები 5
„პრაიმ თაიმი“ — 37%, ლიონელ მესი — 28%!

■ ჭრელი მსოფლიო 6

■ პრობლემა 8

■ კვალი 10

■ ტრადიცია 11

■ პოლიტიკა 13

■ კრიმინალი 14
„სკაიპით“ დაწყებული უიღბლო სიყვარულის ამბავი

■ წიგნის თარო 16
ტარიელ ჭანტურიას „უკვდავების პროთეზი“...

■ პირადი ცხოვრება 18
რატომ და ვის ემალება შორენა ბეგაშვილი

■ ამპლუა 20
თათია სულუაშვილი თეთრი და შავი ზვიგენების გარემოცვაში

■ სცენის მიღმა 22
რატომ მიიჩნია პატრულმა ბაჩო ჩაჩიბაია საეჭვო პიროვნებად

■ ფსიქოპორტრეტი 24
ვინ აკონტროლებდა ნინო ნადირაძეს

■ დიზაინერი 26
დაქალების ეგოიზმის „მსხვერპლი“ პატარძლები და სასიძოების ახირებები

ცხოვრება

6 თვის ტურისტი პოლონეთიდან

„მოგეხსენებათ, ამ ასაკის ბავშვთან ერთად მგზავრობა პრობლემურია — ალისია ტიროდა ხოლმე, თუმცა სერიოზული პრობლემა არ შეგვქმნია“.

28

გზა ვნილები

უსიამოვნოდ გასახსენებელი ამბავი

„თურმე ის ქალი ახალგაზრდობაში მსუბუქი ყოფაქცევის ყოფილა და სექსმომსახურებაში მანეთს იღებდა. ამიტომ შეარქვეს მანეთა. თუმცა, ერთადერთი ვიყავი, ვინც ამ სახელით მიმართა და დღემდე მიკვირს, როგორ გადავურჩი ცოცხალი“.

64

■ **შემოქმედი** 29
გურამ ოდიშარია — სოხუმის ლიტერატურის პორტის დოკერი

■ **მსახიობი** 31
თამთა ცინცაძე — დიდი მაესტროს მოწაფე და იოსელიანების ექსრძალი

■ **წყვილი** 33
მძაფრი შეგრძნებების მაძიებელი შეყვარებული ბაიკერები

■ **ადგილი ცხოვრებაში** 34
14 წლის მუსიკოსი, რომელმაც ცოლის მოყვანაც მოასწრო და მისი გაშვებაც

■ **ნამდვილი ამბავი** 36

■ **თინეიჯერული პონტები** 37
რა უფრო მნიშვნელოვანია — კარიერა თუ პირადი ცხოვრება

■ **ოსტატი** 40
ვინ შეუკერა თეთრი ჩოხა დავით ბაგრატიონს

■ **საკითხავი ქალებისათვის** 42

■ **ერუდიტი** 44

■ **ანტიდეპრესანტი** 46

■ **ტაძარი** 46

■ **ბედი კაცისა** 48
დამოუკიდებელი მთავრობის პირველი სამხედრო მინისტრის ტრაგიკული ცხოვრების დეტალები

■ **ჯანმრთელობა** 51
10 ვარჯიში ბრტყელტერფიანებისთვის

■ **წვეთი პოეზია** 54

■ **რჩეული** 55
ჩვენი ოტია

■ **ქართული დეტექტივი** 56
რუსუდან ბერიძე. აბრეშუმის ვალეტი (გაგრძელება)

■ **რომანი** 60
სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)

■ **გზავნილები** 64
უსიამოვნოდ გასახსენებელი ამბავი

■ **ყველა ერთისათვის** 68

■ **მობილი-ზაცია** 70

■ **ეს სამყაროა** 76

■ **გასართობი** 78

■ **ასტროლოგია** 80

■ **სკანვორდი** 81

■ **ფოტოფაქტი** 82

სამყარო

რჩევები დიასახლისებს...

• ბოსტნეულის კერძებს ხშირად ნუ მოურევთ, ქვაბი მხოლოდ დროდადრო შეანჯღრიეთ, რათა ძირზე არ მიიწვას. ხარშვისას ქვაბს სახურავს ნუ ახდით — ჰაერში შემავალი ჟანგბადი ვიტამინებს შლის.

42

ბიბლუსი

ვალეტი

— რა არის, იცი? — ისევ პაუზა გააკეთა ღვინიაშვილმა და შემდეგ როგორც იქნა, ამოღერღა: — ალადაშვილი მოკლეს.
— მოკლეს?
— ჰო, სამშაბათ საღამოს საკუთარ ოფისში ჩაცხრილეს.

56

ტაიმ-აუტი

გაცოცხლებული კლდეები

„შმაგი ცხენის“ ქანდაკება სამხრეთ დაკოტაში (აშშ) მდებარეობს. მისი მშენებლობა 1948 წელს დაიწყეს და დღესაც მიმდინარეობს. სავარაუდოდ, ქანდაკების სიმაღლე 172, სიგანე — 195 მეტრი იქნება. ქანდაკების მშენებლობა ოგლალას ტომის ბელადის პატივსაცემად დაიწყო.

76

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

„პრაიმ თაიმი" – 37%, ლიონელ მესი – 28%!

შესავლის ნაცვლად გამარჯობა და... მშვიდობით! ზოგისთვის სასიხარულო, ზოგისთვის კი სამწუხარო ამბავი უნდა გაცნობოთ: წერას თავს ვანებებ!

რატომ? აი, წაიკითხეთ: „ბატონო „პროვოკატორო", ამის წინა სტატიაზე მოგწერეთ, რომ ძალიან, ძალიან მაგარი ხართ. მაგრამ დღევანდელი სტატიის დაწერის დროს ან მაგრად „დაბოლილი" იყავით, ან აღარ ვიცი, რა ვთქვა... თქვენგან ამდენ უაზრობას და ბოღმას ნამდვილად არ ველოდი!"

ა, ბატონო, ეს ერთ-ერთია იმ უამრავი კომენტარიდან და წერილიდან, რომელიც საიტზე და ჩემს ელფოსტაზე მოდის, მაგრამ ზუსტად გამოხატავს ბევრი მკითხველის პოზიციას: თუკი ხელისუფლება გავაკრიტიკე, ოპოზიციის მომხრეები მესიყვარულებიან, „ნატა" ფანები კი „შალიკოს ლეკვს" მეძახიან; თუკი პირიქით — მაშინ როლები იცვლება: „მიშისტები" „მოქალაქეობრივ პოზიციას" მიქებენ, ოპოზიცია — „მიშას ჩმორს" მიწოდებს...

დამანებეთ, რა, ძმაო, თავი!..

აღარ მინდა „ობიექტური" ჟურნალისტიკა! ავდგები და გადავალ რომელიმე ოპოზიციურ გაზეთში ან „მიშისტურ" ტელევიზიაში... მეცოდინება მაინც, რა მევალება: ვის უნდა ვაგინო და ვისთვის — საპონი და ვაზელინი მოვიმარაგო.

აბა, ეს არის საქმე?! ნიუსები უნდა ნახო; მერე გადაამოწმო; მერე აწონ-დაწონო; მერე იფიქრო — ვის ეწყინება და ვის — არა, ბოლოს მაინც ყველა „დაიკიდო"; მერე რედაქტორი გეტყვის, — იცოდე, ამაზე შენ ხარ პასუხისმგებელიო; მერე ხუთშაბათი გათენდება და ვიცი, რომ ვიღაც იდიოტის ზარი გამაღვიძებს, რომელიც ტკბილად მისურვებს „ჭირს, ოხრობას და არგადარჩენას"; თუკი დაფარული ნომრიდან რეკავენ, არ უნდა ავიღო, რადგან ვიცი, რომ ვიღაც ნაბიჭვარი რეკავს, რომ მაგინოს, მაგრამ იმანაც რა ქნას, „უბნის კოორდინატორმა" დაავალა და სანამ არჩევნები მოვა, ამაში უხდიან ფულს...

დავიღალე ამდენი უსამართლობით! აგერ, ამ დღეებში, რაღაც „ფსევდოვიკილიკსურმა საიტმა" ახალი „სენსაციები" გამოაქვეყნა — ძირითადად, უცხოპლანეტელების მოსალოდნელ სტუმრობაზე ამ ორ თვეში და კიდევ, მოსკოვში მოღვაწე ერთი ქართველი ბიზნესმენის ვითომდა ოფიციალურად გაცხადებულ პრეზიდენტობის სურვილზე. ის საიტი ღადაობდა, აქ კი ისეთი ამბავი ატყდა ზოგიერთ მსუყედ დაფინანსებულ ტელე და ინტერნეტმედიაში, თქვენი მოწონებული. თავისი „კომპეტენტური" კომენტარებით და ანალიზით: რა თქმა უნდაო, ეს უცხოპლანეტელები რომ უნდა მოსულიყვნენ, ჩვენ ადრევე ვიცოდითო!.. ჩვენი ინფორმაციითო(!), ესენი არ განეკუთვნებიან აგრესიული უცხოპლანეტელების რიგსო (ვაი, თქვენს პატრონს!.. ისე, ერთი კარგი „აგრესია" მადლია თქვენთვის...)! ეგ კრემლთან დაახლოებული მორიგი პრეზიდენტობის მსურველიო, გუშინ მოსკოვში შეხვდა პუტინსო (ის ამ დროს ახალ ზელანდიაში იყო, ჩვენი მორაგბეების მატჩზე)!.. ჰოდა, საქმე ის არის, რომ ამ სისულელეებისთვის ბოდიშსაც არავინ მოუხდის მკითხველს, მსმენელსა თუ მაყურებელს, მე კი სიმართლისთვის უნდა შემიძულონ?!

მოკლედ, წავედი, რა...

თანაც, ეს ჩვენი მედიასახლიც ველარ „ქაჩავს" ამ ბოლო დროს!

აი, ამ ერთი კვირის წინ გამოქვეყნდა მორიგი სოციალური კვლევის შედეგები და აეხადა ფარდა ყველაფერს: ჩვენ რომ გვეგონა, „კვირის პალიტრა" ყველაფერში ყველა გაზეთს „უჯოკრავსო", ეგრე არ ყოფილა და „მოგვსვეს", სადაც გვეკუთვნოდა! აბა?!.

თურმე ნუ იტყვით და, „კვირის პალიტრას" კი კითხულობს მკითხველთა 41.4% და „პრაიმ თაიმს" — 20%, მაგრამ ყველაზე გავლენიანი მაინც „პრაიმ თაიმია", „პალიტრას" კი მხოლოდ 19.1% მიიჩნევს ასეთად. ე.ი. იმ ხალხის ნახევარზე მეტი, ვინც „კვირის პალიტრას" კითხულობს, ამას იმიტომ აკეთებს, რომ ვეცოდებით — იციან, რომ „გავლენა" არ გვაქვს და მხარში დგომის „ამბავში" გვისაღებენ გაზეთს!.. ჰო, კიდევ, „ყველაზე თანამედროვე" გაზეთადაც „პრაიმ თაიმს" ასახელებს 37%, „პალიტრას" კი მხოლოდ 28%. აქაც ისეთივე „რკინის ლოგიკაა": იმ 41%-იდან 13%-მა იცის, რომ ძველმოდურ, ჩამორჩენილ, უინტერესო გაზეთს კითხულობს და იქვე გვერდით, დახლზე დევს „ყველაზე თანამედროვე" გაზეთი, მაგრამ, როგორც გითხარით, ვეცოდებით და...

P.S. ერთი „პატარა დეტალის" აღნიშვნა გამორჩათ ამ კვლევის გამომქვეყნებლებს (ჰმ, ახლა ის ქალი გამახსენდა, „ეშმაკი დეტალებშიაო" რომ ამბობდა და ჩემი არ იყოს, მთავრობამ რომ ცალკე გააგიჟა და ოპოზიციამაც რომ გადაიყვანა ჭკუიდან! თქვენი დედაც ვატირეო და წავიდა ისევ იქ, საიდანაც მოვიდა. მე სად ჯანდაბაში უნდა წავიდე, თორე)... ჰო, დეტალი-მეთქი: დამკვეთი, ბატონებო, კვლევის დამკვეთი, რომელსაც ასე საგულდაგულოდ მალავს შემსრულებელი! დიახ, ყველაზე გონიერებმა სწორად გამოიცანით: გაზეთი „პრაიმ თაიმი"!

P.P.S. რომ ავიჩემე, წავალ, წავალ-მეთქი, — არ გაინტერესებთ, სად მივდივარ?! სად და, ფეხბურთის თამაშს ვიწყებ!

მე თვითონაც არ ვიცოდი, მაგრამ ჩემს ახლობლებს ჩაუტარებიათ „სოციოლოგიური კვლევა" ასევე ჩემს ახლობლებს შორის და ასეთი შედეგები მიუღიათ: ყველაზე მაგარი ფეხბურთელი არის ლიონელ მესი, მაგრამ მე უფრო სიმპათიური ვარ; მესი მჯობნის მარცხენა და მარჯვენა ფეხით თამაშში, მაგრამ დომინოში შანსი არა აქვს ჩემთან; კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი მონაცემია გაანალიზებული და საბოლოო დასკვნით, მე უფრო „თანამედროვე" ვარ: „ანგარიში" დაახლოებით ისეთივეა, როგორც „პრაიმ თაიმსა" და „კვირის პალიტრას" შორის — 37:28.

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ქვეყანა

„ლიბია“ — ცხინვალში?

ჯამბულატ თედეევი ე.წ. სამხრეთ ოსეთში „ლიბიის მოწყობით“ იმუქრება. ამბობს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაყოფა „თავისიანებად და მტრებად“ სავსებით რეალურია. „ბოლო დღეებში დაწყებული უპრეცედენტო მასობრივი მღელვარება იმაზე მეტყველებს, რომ პოლიტიკურ კატასტროფამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. შესაძლოა, სამხრეთ ოსეთის ადგილზე მეორე ლიბია გაჩნდეს. ამ ვითარების შექმნაში ჩემი დადანაშაულება უპასუხისმგებლო და უპრეცედენტო ტყუილის მაგალითია, რადგან სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის ცნობილია, რომ ხალხი ამ მდგომარეობამდე ცხოვრების უსამართლო პირობებმა მიიყვანა“, — განაცხადა თედეევმა. უკვე რამდენიმე დღეა, ე.წ. სამხრეთ ოსეთში გრძელდება არეულობა, რომელიც დე ფაქტო ცესკოს გადაწყვეტილებას მოჰყვა: საარჩევნო კომისიამ თავისუფალ ჭიდაობაში რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჯამბულატ თედეევი ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატად არ დაარეგისტრირა, მიზეზად კი ის ფაქტი დაასახელა, რომ მას ბოლო 10 წლის განმავლობაში ე.წ. სამხრეთ ოსეთში არ უცხოვრია. თედეევის ცნობით, მისი 90 მომხრეა დაპატიმრებული. ე.წ. სამხრეთ ოსეთში საპრეზიდენტო არჩევნები 13 ნოემბრისთვის არის დანიშნული. ■

5 ნოემბერს „ფეისბუქი“ „მოკვდება“?

„ფეისბუქს“ 1 თვის სიცოცხლეღა დარჩა! — ამ ინფორმაციის შემცველი ექსკლუზიური ვიდეომასალა „იუ თუბზე“ სულ რამდენიმე საათით განთავსდა. უცნობი ჰაკერების მიერ გადაღებული ვიდეო მალევე აიღეს საიტიდან, თუმცა უცხოურ მედიაში მისმა შინაარსმა წერილობითი ფორმა მიიღო. გავრცელებული ინფორმაციით, ჰაკერების ჯგუფი „ფეისბუქზე“ მასობრივ თავდასხმას გეგმავს. საკუთარ განზრახვას ვირტუალური ბოროტმოქმედები იმით ხსნიან, რომ „ფეისბუქი“ ყოველდღიურად არღვევს მომხმარებელთა კონფიდენციალურობის წესს და მათ პირად ცხოვრებაში ერევა. „ფეისბუქის“ გაუქმებასთან დაკავშირებით გავრცელებულმა ამ ცნობამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თუმცა წინასწარ დასკვნებს არავინ აკეთებს და ყველა 5 ნოემბრის მოლოდინშია. ■

ბრიტანეთმა რუს მაღალჩინოსნებს სანქციები დაუწესა

დიდმა ბრიტანეთმა სერგეი მაგნიტსკის საქმესთან დაკავშირებულ რუს მოხელეებს სავიზო სანქციები დაუწესა. „შავ სიაში“ სულ 60 ჩინოვნიკია შეყვანილი. საინვესტიციო ფონდის Hermitage Capital Management იურისტის, სერგეი მაგნიტსკის დაღუპვასთან დაკავშირებულ ჩინოვნიკებს სავიზო სანქციები აშშ-მაც დაუწესა. მაგნიტსკი 2009 წლის 16 ნოემბერს საპატიმრო დაწესებულებაში გარდაიცვალა. გამოძიებამ დაადგინა, რომ პატიმრის დაღუპვის მიზეზი — სამედიცინო დახმარების დაგვიანება გახდა. ■

სააკაშვილსა და ალიევს „ვალში არ დავრჩებით“

ალექსანდრ ლუკაშენკომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ 5 სახელმწიფოს ბელორუსის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. პრეზიდენტმა განსაკუთრებული მადლიერება ქართველი და აზერბაიჯანელი კოლეგებისადმი გამოხატა. „ევროპაში ბელორუსის მხარდამჭერთა შორის ყველაზე აქტიურები სწორედ მიხეილ სააკაშვილი და ილჰამ ალიევი იყვნენ. ჩვენ მათ ვალში არ დავრჩებით. ამის შემდეგ ბევრი დაფიქრდებოდა და მიხვდებოდა, რომ ბელორუსთან ასე მოქცევა არ შეიძლება“, — განაცხადა ლუკაშენკომ. მისი თქმით, ბრიუსელში „ვინმე ჩინოვნიკის მიერ გამოთქმულ საყვედურებს“ ჟურნალისტები ხშირად მეტისმეტად დიდ ყურადღებას აქცევენ. შეგახსენებთ, რომ ვარშავაში გამართულ ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის ფარგლებში საქართველომ, აზერბაიჯანმა, მოლდოვამ, სომხეთმა და უკრაინამ მხარი არ დაუჭირეს რეზოლუციის პროექტს, რომელშიც ბელორუსში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით შექმნილი მდგომარეობა კრიტიკულად იყო შეფასებული. ■



ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲛᲐ ᲡᲣᲞᲔᲠᲛᲐᲠᲙᲔᲢᲡ 2 ᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲣᲩᲘᲕᲚᲐ

აშშ-ში, პენსილვანიის შტატში მცხოვრებმა პენსიონერმა, მერი ბაკმა სუპერმარკეტ „ვოლმარტს“ სასამართლოში იმის გამო უჩივლა, რომ სოსისის შეძენისას 2 ცენტის ხურდა არ დაუბრუნეს. ბაკმა სუპერმარკეტში 98-ცენტიანი სოსისი იყიდა, მაგრამ სალა-

როში 1-დოლარიანი ქვითარი ამოურტყეს. პენსიონერმა მოლარეს შეცდომაზე მიუთითა. მოლარემ ბაკს ბოდიში მოუხადა და 2 ცენტი დაუბრუნა. რამდენიმე დღეში ქალბატონი კვლავ ამ მარკეტს ეწვია და მოლარემ კვლავ იგივე შეცდომა გაიმეორა. ამჯერად ქალბატონი მოლარეს აღარ შეეკამათა და 1-დოლარიანი ქვითრით პირდაპირ სასამართლოს მიაშურა. სასამართლო განხილვაზე ქალბატონი ირწმუნებოდა, რომ მარკეტის თანამშრომლებს მყიდველები შეცდომაში სპეციალურად შეჰყავდათ, „ვოლმარტის“ წარმომადგენელმა კი განაცხადა, რომ რეალურად, სოსისის ფასი გაიზარდა, რადგან საქონლის შეფუთვა განაახლეს. მოლარის თავის მართლებამ შედეგი ვერ გამოიღო და „ვოლმარტი“ მყიდველის მოტყუებაში დამნაშავედ ცნეს. მერი ბაკმა კი კომპენსაციის სახით 100 დოლარი მიიღო. ■

ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲛ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲧᲚᲐᲞᲐ

22 წლის რომანტიკულმა ყმაწვილმა, ქსაო ლიმ საყვარელ გოგონას სიურპრიზი მოუწყო — საკუთარი ხელით ნამცხვარი გამოაცხო და შიგ, საჩუქრად გამზადებული ძვირფასი ყელსაბამი მოათავსა. „მეგონა, სიურპრიზი გამომივიდოდა, რომელიც მას ჩემს სიყვარულს დაანახვებდა, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ მოვასწარი, ისე გადასანსლა ნამცხვარი. სიურპრიზის შესახებ მხოლოდ საავადმყოფოსკენ მიმავალს მოვუყევი“, — თქვა ლიმ. ექიმებმა გოგონას კუჭიდან სამკაულის ამოღება ენდოსკოპიური ქირურგიული ჩარევით მოახერხეს და სპეციალური კაუჭის მეშვეობით ყელსაბამი საყლაპავი მილიდან ამოაძვრინეს. გოგონა თავს კარგად გრძნობს, მაგრამ საყვარელი მამაკაცის სიურპრიზის ხსენებაც არ უნდა. „არა მგონია, ეს სამკაული ოდესმე გაიკაროს, მიუხედავად იმისა, რომ 2 საათის განმავლობაში ვხეხავდი“, — აღნიშნა ვაუმა. ■

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲝᲠᲖᲔ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ?!

„ოკუპირებულ ტერიტორიაზე განთავსებულ ქართულ სკოლებს განათლების სამინისტრო ლიცენზიებს უუქმებს. ე.ი. გალსა და ახალგორში მცხოვრები ქართველი ბავშვები, რომლებიც თავიანთ მშობლიურ რაიონში მიიღებენ საშუალო განათლებას, ატესტატს ვერ მიიღებენ. შესაბამისად, ქართული კანონმდებლობის თანახმად, საშუალება აღარ ექნებათ, სწავლა განაგრძონ საქართველოს რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში“ — ეს ინფორმაცია გაზეთმა „ვერსიამ“ გაავრცელა. თუ რა მიზნით გადადგა ქართულმა მხარემ ეს ნაბიჯი, ჟურნალისტები ამის გარკვევას ვერ ახერხებენ, რადგან განათლების სამინისტროში ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ. გაზეთის ცნობით, ახალგორის რესურსცენტრის უფროსმა, ნუგზარ პაპუნაშვილმა თქვა: „ინფორმაციის გაცემის უფლება არ გვაქვს, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ახალგორის ქართული სკოლები საჯარო იურიდიული სუბიექტები აღარ იქნებიან, ანუ ლიცენზიები აღარ ექნებათ. მაგრამ საშინაო არაფერია — თუ უნდათ, მაინც იმუშაონ და მოსწავლეთა სურვილის შემთხვევაში, სამინისტრო მათ ატესტატებს დაურიგებს“. „თუ სკოლა აღარ იქნება საჯარო სუბიექტი, მაგრამ მაინც იფუნქციონირებს, ეს იქნება კანონგარეშე ქმედება. ამის შემდეგ, თუკი სამინისტრო მაინც გასცემს ასეთ სკოლადამთავრებულ ბავშვებზე ატესტატს, გამოდის, რომ სამინისტრო დაარღვევს კანონს, ანუ ჩაიდენს დანაშაულს. ამას კი სამინისტრო არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებს“, — აღნიშნავს გაზეთ „ვერსიის“ კორესპონდენტი. ■

კანიბალი ქალი შეწყალებას ითხოვს

ომაიმა არი ნელსონი, რომელმაც 20 წლის წინ 56 წლის მეუღლე ფილიპი მოკლა, მოხარშა და შეჭამა, შეწყალებას ითხოვს. კანიბალს სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი. ის კალიფორნიაში, „ჩაუჩიმას“ ციხეში იხდის სასჯელს. ომაიმა ამბობს, რომ მკვლელობამდე ერთი დღით ადრე ქმარმა ის გააუპატიურა და დასცინა. ქალმა ქორწილიდან ერთ კვირაში „მიირთვა ქმარი“. საქმის მასალების მიხედვით, ნელსონმა კაცის სხეულის ნაწილი მოხარშა, ნაწილი კი შეწვა. პოლიციამ ქალი მას შემდეგ დააკავა, რაც ქალაქ კოსტა-მესაში კანიბალის სახლთან, ნაგვის ყუთში და მისივე ავტომობილში ადამიანის დანაწევრებული სხეული აღმოაჩინა. ომაიმა ნელსონი ეგვიპტის მკვიდრია. ის აშშ-ში დანაშაულის ჩადენამდე 5 წლით ადრე ჩავიდა. სამშობლოში მას წარმატებული მოდელის კარიერა ჰქონდა. კოსტა-მესის პოლიციის უფროსი იმედოვნებს, რომ შტატის ხელისუფლება კანიბალს არ გაათავისუფლებს. ■

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ
გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

ლალი პაპასკირი

თბილისის მოსახლეობას კიდევ ერთი არასასიამოვნო სიახლე ელოდება — მთავრობის ინიციატივით მზადდება კანონპროექტი, რომლის დამტკიცების შემთხვევაში მეტროთი მგზავრობა 10-დან 20-თეთრამდე გაიზრდება. მეტროთი მგზავრობის საფასურის გაძვირების შესახებ ხმებს მერიაში ჯერჯერობით არ ადასტურებენ და მხოლოდ სერვისის გაუმჯობესების აუცილებლობაზე ლაპარაკობენ. შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ — გაზაფხულზე მერიაში, სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის გაძვირებასაც ასევე კატეგორიულად უარყოფდნენ...

ზურაბ აბაშიძე, *პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი:*

— მერია მუდმივად ცდილობს მუნიციპალური ტრანსპორტის გაძვირებას, თან ისე, რომ პასუხისმგებლობას ყოველთვის თავიდან იხსნის. ჯერ იყო და, შარშან, პირველად, მეტროთი მგზავრობა გაძვირდა, შემდეგ კი — სამარშრუტო ტაქსებითაც. როცა სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის გაძვირების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, უგულავას უწყებამ ეს კატეგორიულად უარყო, შემდეგ კი პასუხისმგებლობა მოიხსნა და განაცხადა, რომ ეს არის კერძო კომპანია და ბაზარზე სერვისის ღირებულებას თავად არეგულირებს. მეტრო არის მუნიციპალური ტრანსპორტი, მაგრამ „გამოსავლის“ მოძებნა და თავის დაძვრენა არც ამ შემთხვევაში გაუჭირდებათ. იტყვიან, რომ ეს ნაბიჯი სერვისის გაუმჯობესებისთვის ანუ — მოსახლეობის უსაფრთხოდ და კომფორტულად მგზავრობისთვის გადადგეს. წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყებად მათ, როგორც წესი, კოლოსალური თანხა სჭირდებათ და ამას მოსახლეობის ჯიბიდან ამოიღებენ.

გიორგი გუგავა, *ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:*

— ჩვენს ხელთ არსებული სანდო წყაროს ინფორმაციით, ქალაქის მერიაში მუშაობენ მუნიციპალური ტრანსპორტის გაძვირებაზე. ტრანსპორტის გაძვირების პირველი ეტაპი უკვე განხორციელდა და ეს იყო ე.წ. სამარშრუტო ტაქსების ტენდერი, რომელსაც შარანგიები კურირებენ, რომლებიც საკაშვილის საოჯახო „კასირები“ არიან. ეს ამბავი შემთხვევით არ გამხსენებია: სამარშრუტო ტაქსების გაძვირების შემ-

გაიზრდება თუ არა მეტროთი მგზავრობის საფასური?!

შემოგვჩივიან, რომ გადახდის ბარათებიდან თანხა ეჭრებათ და მიზეზი ვერსად დაადგინეს

დეგ ხალხი იძულებული გახდა, მეტროთი ემგზავრა, რამაც მერიასა და შარანგიების ბიზნესგეგმებში დისბალანსი გამოიწვია. როგორც წესი, ამას მოჰყვება მთელი რიგი თავის მართლებები და დაპირებები — რომ სოციალურად დაუცველთათვის მგზავრობის ტარიფი იგივე დარჩება, მეტროს სადგურები და ინფრასტრუქტურა საჭიროებს რემონტს და მერიაში ამისთვის საკმარისი თანხები არა აქვთ... ვინც მეტროთი ხშირად სარგებლობს, იცის, რომ ხშირ შემთხვევაში, მეორე მგზავრობისას სულაც არ იხდის ნაკლებ თანხას. ამის თაობაზე ჩვენი პარტიის ოფისში ხშირად რეკავენ და იმაზეც შემოგვჩივიან, რომ გადახდის ბარათებიდან თანხა ეჭრებათ და მიზეზი ვერსად დაადგინეს. გარდა ამისა, უამრავ მიკროავტობუსში (ძირითადად, ძველებში) ბარათით გადახდის სისტემა დამონტაჟებული არ არის და მოსახლეობას ყველა მარშრუტზე 80 თეთრის გადახდა უწევს.

— მეტროთი მგზავრობა სოციალურად დაუცველი პირებისთვისაც გაძვირდება?

— დიახ, რამდენიმე თეთრით მათთვისაც გაძვირდება მგზავრობა და გარდა ამისა, მეტროსთან ერთად, ყვითელი ავტობუსებით მგზავრობაც გაძვირდება. გვაქვს კიდევ ერთი ახალი, მაგრამ არასასიამოვნო ინფორმაცია — ახალ ყვითელ და ძველ სამარშრუტო ტაქსებში სალარო აპარატების დამონტაჟება იგეგმება, რათა იმ მძღოლების შემოსავალიც გააკონტროლონ, ვინც ფულს ხელზე იღებს. ანუ, როცა მგზავრი ფულს გადაიხდის, მძღოლმა მას ჩეკი უნდა გამოუწეროს, რათა დარღვევა არ მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ჯარიმა დაეკისრება. როცა მგზავრობის საფასური გაძვირეს, მძღოლებს გადასახადიც მოუმატეს, მაგრამ „დაამშვიდეს“, — მგზავრობის საფასურიც გავზარდეთო. ზოგმა თვითნებურად გაძვირა, მაგრამ არავის არაფერი უთქვამს — ანუ ცოტა ხნით წაახალისეს კიდეც და ამიტომაც იყო, აქციაზე 10-მდე მძღოლი რომ მოვიდა. ეს იციან ხელისუფლებაში და ამიტომაც აკეთებენ ყველაფერს ეტაპობრივად...

— ეი. შესაძლებელია, რომ სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა ისევ გაძვირდეს?

— შესაძლებელია. თუმცა მერიაში ახალი სისტემის შემოღებაზეც საუბრობენ ანუ — მგზავრს თანხის გადახდა სამარშრუტო ტაქსიში დამონტაჟებული აპარატის მიხედვით მოუწევს...

ნიკოლოზ კაჭკაჭური, *მძღოლთა ასოციაციის თავმჯდომარე:*

— საქმე ის არის, რომ სალარო აპარატების დამონტაჟება თავად მძღოლების ინტერესში შედის, რადგან საგადასახადოს თანამშრომელს ვერ დაუმტკიცებს — დღეში 200 კი არა, 50 ლარი რომ აქვს მოგება. „მეტრომანის“ სალარო აფიქსირებს, რამდენმა მგზავრმა გადაიხადა, მაგრამ სამარშრუტო ტაქსებში ვინ გააკონტროლებს, რამდენი ადამიანი მგზავრობს ნაღდი ფულით? თუ სალარო-აპარატების დადგმას დროულად ვერ მოახერხებენ, მაშინ ბილეთები უნდა დააბეჭდვინონ, რომელსაც მგზავრს ფულის გადახდის შემდეგ მისცემენ. თუ მძღოლი მგზავრს ბილეთს არ გადასცემს, მას, ისევე, როგორც მაღაზიის გამყიდველს, საჯარიმო სანქცია დაეკისრება. ის მძღოლები, ვინც მიხვდნენ, რომ ძალიან დიდ შარში არიან, სალარო აპარატის შეძენას საკუთარი სახსრებით ცდილობენ. ამჟამად ქალაქში 350 ყვითელი მიკროავტობუსია. ბევრი მძღოლი სამსახურის მიტოვებას აპირებს, მაგრამ წასვლამდე მას საიჯარო ხელშეკრულების შეჩერება, კომპანიასთან ანგარიშის გასწორება და მანქანის ცვეთის ხარჯების გადახდა მოუწევს (ერთ კილომეტრზე 7 თეთრია განსაზღვრული, რაც ყვითელი მანქანების შემოყვანის დღიდან 1.400 ლარამდე გამოდის). ოქტომბრიდან, ყოველდღიურად ასაღები საგზურის ღირებულებაც მატულობს.

თბილისის მერი გიგი უგულავა მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გაძვირებას არ გამორიცხავს. ამის შესახებ მან დედაქალაქის 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის დასრულების შემდეგ განაცხადა. კითხვაზე, — იგეგმება თუ არა მუნიციპალური ტრანსპორტის, კერძოდ, მეტროთი მგზავრობის საფასურის გაზრდა, მან უპასუხა: „ძირითადი პრინციპი, რასაც თბილისის 2012 წლის ბიუჯეტი ემყარება, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებაა. მეორე მნიშვნელოვანი მომენტია, რომ არანაირი ცვლილება, რაოდენ მტკივნეულიც უნდა იყოს ის, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას არ უნდა შეეხოს და მათთვის განკუთვნილი პროგრამები და შეღავათები ძალაში დარჩეს. მესამე პრინციპის თანახმად, ჩვენ ორიენტირებული ვართ არა ამა თუ იმ სერვისის შენარჩუნებაზე, არამედ მათ გაუმჯობესებაზე. რაც შეეხება ტრანსპორტს, აქ შეღავათებით არა მარტო სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, არამედ სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები, — საერთო ჯამში, 550-600 ათასი ადამიანი სარგებლობს და მათთვის ეს შეღავათები უცვლელი დარჩება“.

■

პატივი მიაგეს „სხეულის აფეთქების“ ოსტატს...

თბილისში ცნობილი ქორეოგრაფის — რომან (რუბენ) ჭოხონელიძის დაბადებიდან 90 წლისთავის აღსანიშნავად, მემორიალური დაფა გაიხსნა. ღონისძიებას ბატონი რომანის მოსწავლეები, ცნობილი ქორეოგრაფები და ქორეოგრაფთა კავშირის წევრები ესწრებოდნენ. საღამოს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში კონცერტი გაიმართა. მასში მონაწილე ანსამბლების ხელმძღვანელებს შორის ბატონი რომანის მოსწავლეებიც გახლდნენ.

ეთო ყორღანაშვილი

თენგიზ სუხაშვილი, *ანსამბლ „სიხარულის“ ხელმძღვანელი:*

— მრავალი წლის განმავლობაში, რუბენ ჭოხონელიძე სასახლის მთავარი ქორეოგრაფი იყო. მან ბევრი სახელოვანი მოცეკვავე აღზარდა. აღზრდისთვის როგორც საკუთარ ოჯახს ვემადლიერები, ასევე ვარ განწყობილი ბატონი რუბენის მიმართაც: როგორც ადამიანს, თუკი რაიმე კარგი მაქვს, ეს ჩემი პედაგოგის დამსახურებაა! მისი მემორიალური დაფის გახსნა იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ღვაწლმოსილი ადამიანების სახელები არ იკარგება!

ოგარ მხეიძე, *საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე:*

— ძალიან მნიშვნელოვანი საღამოა! ქართული ცეკვა მხოლოდ ცეკვა არ გახლავთ: ისაა ბეღელი და საჭურჭლე, ფარი და მახვილი, ერის თვითმყოფადობის დამცავი მექანიზმი! ამიტომ მას გაფრთხილება სჭირდება. ვინც ამ საქმეს ემსახურებიან, ღირსეული ადამიანები არიან! ცეკვა „სხეულის აფეთქება“, „სხეულის ენაა“. მისი მეშვეობით ადამიანს საკუთარი ემოციების, განწყობილების, სულიერი მდგომარეობის გამოხატვა შეუძლია. ამიტომ ხელოვნების ამ სახეობას სათუთად მოპყრობა სჭირდება. მოძმე ერებთან ქართველებს ბევრი საერთო გვაქვს. ქართულ ცეკვას „ავტონომია“ შევუქმენით, მაგრამ ეს ეროვნული საგანძური ახლა იძარცვება — მთელმა კავკასიამ ქართული ცეკვიდან ბევრი რაღაც გადაიღო.

ფრიდონ სულაბერიძე, *სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი:*

— ბატონ რუბენთან დიდი მეგობრობა მაკავშირებდა. მას ქართული სული ჰქონდა, ქართულ ცეკვაზე საოცრად შეყვარებული იყო! პიონერთა სასახლეში მისი ანსამბლი „ქუხდა“! რომან ჭოხონელიძის ბევრი მოწაფე სახელმწიფო ანსამბლების სოლისტი იყო. კარგია, რომ მემორიალური დაფა გაუხსნეს — საქართველოს მისი სახელი დარჩება!..

გელოდი ფოცხიშვილი, *ქართული ფოლკლორისა და ნაციონალური ბალეტის თეატრ „მეტეხის“ დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს ფილარმონიის მთავარი ქორეოგრაფი:*

— 1960 წლიდან ბატონ რუბენ ჭოხონელიძესთან, პიონერთა სასახლეში ვცეკვავდი. მას ახალგაზრდული, პატარა ანსამბლი ჰყავდა. შემდეგ იმ თაობის წარმომადგენლები „სუხიშვილებთან“, ჯანო ბაგრატიონთან, ფილარმონიაში ცეკვავდნენ. ბატონი რუბენი ინტელექტუალური ქორეოგრაფი, კულტურული კაცი, დიდი ხელოვანი იყო. მხოლოდ ცეკვა კი არ გვასწავლა, ნამდვილ ქართველებად ჩამოგვაყალიბა. შესანიშნავი ანსამბლები ჰყავდა. მას დიდი წვლილი მიუძღვის ოსეთის ანსამბლის — „ალანის“ ჩამოყალიბებაში. „ალანი“ დღესაც მისი ნახაზების მიხედვით ცეკვავს. რუბენ ჭოხონელიძე ჩვენს ხსოვნაში მარად დარჩება. ღმერთმა მიაგოს წმინდა სიტყვა და საქმე მის საფლავს...

რამაზ ჭოხონელიძე, *რომან ჭოხონელიძის შვილი:*

— დღეს მამა 90 წლის გახდებოდა. ის ძალიან კარგი კაცი იყო. როცა ვინმე მიყვარდა, მასთან ამ თემაზე საუბარიც შემეძლო — მამაჩემთან ურთიერთობა ძალიან იოლი იყო...

— ბატონი რომანის შთამომავლები მის საქმეს თუ გაჰყვებით?

— მამაჩემს 3 შვილი ჰყავდა, ახლა ორნი ვართ. ჩემი უფროსი ძმა მწერალი იყო, მე ეკონომისტი ვარ, მესამე ძმა კი — იურისტი.

— ასეთი მამის შვილს ცეკვა მოყვარულის დონეზე მაინც გეცოდინებათ.

— რა თქმა უნდა. სხვა რა გზა გვქონდა?! მამას სულ კონცერტები ჰქონდა. ტელევიზიითაც ხშირად აჩვენებდნენ. შინ გვეჩხუბებოდა, — გაჩუმდით, ტელევიზორისთვის მაყურებინეთო (*იცინის*)... ყველას დიდ მადლობას ვუხდი, ვინც მამაჩემი გაიხსენა — მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს, ქორეოგრაფთა კავშირს, ფოლკლორის ცენტრს...

ვალერიან კვლიშვილი, *საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აპარატის უფროსი:*

— 2 წლის წინ, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირმა გვთხოვა, გამოჩენილ ქორეოგრაფებთან დაკავშირებით ერთობლივი პროექტები განგვეხორციელებინა. თავდაპირველად, პროექტები მხოლოდ მემორიალური დაფის გახსნას ითვალისწინებდა. შემდეგ ამას უფრო მასშტაბური სახე მივეცით: დაფის გახსნასთან ერთად, ქორეოგრაფების, ქორეოლოგების შესახებ მასალები მოვიძიეთ. დღეს უკვე მესამე პროექტი განვახორციელეთ. მანამდე მიხეილ კობეშავიძის, ავთანდილ თათარაძის მემკვიდრეობა მოვიძიეთ და დაახლოებით 400-გვერდიანი წიგნი გამოვეცით. ■

ღონისძიებას ბატონი რომანის მოსწავლეები, ცნობილი ქორეოგრაფები და ქორეოგრაფთა კავშირის წევრები ესწრებოდნენ

მარანში დადებული ფიცი
და გრიმის ცხების მისტიკური ცერემონია

ყვარელში მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმში სტუდენტებმა ფიცი დადეს. შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელებმა გამოჩენილი რეჟისორის სახლის მარანში პედაგოგებისა და ცნობილი მსახიობების წინაშე დაიფიცეს, რომ ერთგულად ემსახურებიან ხელოვნებას, სამშობლოს და როგორც პროფესიონალები, დაიცავენ ქართული ეროვნული კულტურის ტრადიციებს. ფიცის დადების ცერემონიის დასრულების შემდეგ თეატრის ცნობილმა მოღვაწეებმა — გიზო ჟორდანიამ, სოსო ლაღიძემ, გიორგი მარგველაშვილმა, ნინელი ჭანკვეტაძემ და ნანუკა ხუსკივაძემ სტუდენტებს სახეზე გრიმი წაუსვეს. გახარებულმა, ამაღლებულ განწყობილებაზე მყოფმა გოგო-ბიჭებმა ეზოში ცეკვა-თამაში გააჩაღეს. უკვე სახელმოხვეჭილი, მოღიმარი მსახიობები ახალგაზრდების მხიარულებას თვალყურს ადევნებდნენ და იმ დღეს იხსენებდნენ, როდესაც ჯადოსნურ სამყაროში პირველად შეაბიჯეს.

სათუნა ბახტურიძე

ნინელი ჭანკვეტაძე:

— საქართველოში ფიცის დადების რიტუალი ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში შემოიღეს. პირველად სტუდენტებს სესილიამ და ვერიკომ სცხეს გრიმი, როგორც გარდასახვის სიმბოლო... მერე ქვეყანაში სიტუაცია აირია და რიტუალის ჩასატარებლადაც აღარავის ეცალა. ჩემი თაობა ბოლო იყო, ვინც ამ საოცარ რიტუალში მიიღო მონაწილეობა. არადა, საოცრად ლამაზი დღესასწაული გახლდათ. ყვარელში ავტობუსებით ჩამოგვიყვანეს, პირადად მე დიდმა რეჟისორმა, ბატონმა დოდო ალექსიძემ მაცხო გრიმი. ძალიან ვღელავდი. იმედებითა და ოცნებებით ვიყავი აღსავსე; ისეთი დიდი შემართება მქონდა, მეგონა, მთებს გადავაბრუნებდი... ამ ლამაზი ტრადიციის შესახებ სრულიად შემთხვევით, ლაშა პაპაშვილს კერძო საუბრისას ვუამბე. ბატონი ლაშა ამ ამბით მაშინვე დაინტერესდა და ტრადიცია იმ წელსვე აღდგა. ახლა უკვე მეოთხე წელია, რაც მარჯანიშვილის მარანში ისევ მოდიან ახალბედა სტუდენტები და ამაღლებული განწყობილებით, ღელვითა და შეუცნობლის მოლოდინით ფიცს დებენ...

ნანუკა ხუსკივაძე:

— ზოგჯერ ადამიანი ისეთ ემოციას იღებს, რომელსაც სიტყვით ვერ გადმოსცემს. ასეთი ემოცია მქონდა, როდესაც ჩემს პროფესიას ერთგულება შევფიცე. მე სასწავლო თეატრის სტუდენტი გახლდით. ჩვენ გრიმი ქალბატონმა ვერიკო ანჯაფარიძემ გვცხო. ასეთივე ამაღლებული და განსაკუთრებული ემოცია მქონდა, როდესაც პირველი როლი ვითამაშე — „ანა ფრანკის დღიურში“. იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც თავიანთი პროფესია უყვართ, ეს ძალზე დიდი და მნიშვნელოვანი დღეა.

დოდო ხურცილავა:

— იცით, ეს რიტუალი როგორი მისტიკურია?!. ღვინის ღმერთი დიონისე პირდაპირ თეატრთან ასოცირდება — ის ხომ ხელოვნებისა და თრობის ღმერთიცაა! ამ ბავშვებმა მარანში დადეს ფიცი. დიონისე შურისმაძიებელი ღმერთია და თუ ბოლომდე არ შესწირავენ თავს, ძალიან მწარედ გადაუხდის სამაგიეროს. მათ ჯერ არ იციან, როგორ გარისკეს. ამას მაშინ მიხვდებიან, თუ თეატრს ბოლომდე არ შესწირავენ თავს... კოტე მარჯანიშვილი პირველად 9 წლის ასაკში შემოვიდა ამ მარანში და დიონისეს ერთგულება შეჰფიცა. შეასრულა კიდეც თავისი პირობა. თეატრის გარდა აღარაფერი აინტერესებდა, მთლიანად ამ ხელოვნებას მიუძღვნა თავი.

— თქვენც ხომ აქ დადეთ ფიცი?

— კი, დავდე. მე თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩავაბარე და ძალიან დამწყდა გული, რომ ვერიკო ანჯაფარიძემ გრიმი არ მცხო. სამაგიეროდ, ჩვენთვის, თეატრმცოდნეებისთვის საპატიო კაცმა — დიმიტრი ჯანელიძემ გვაჩუქა თავისი

ინგლისური და რუსული ენების შემსწავლელი ცენტრი FutureWorld გთავაზობთ:

- ენების შესწავლა ჯგუფურად და ინდივიდუალურად!
- მოსამზადებელი კურსები PET, FCE, CAE, CPE, IEILTS, TOEFL.
- საბავშვო საერთაშორისო Helen O'Grady ინგლისური ენის დასამნრ.
- საზაფხულო საერთაშორისო ბანაკები ევროპაში.
- აბიტურიენტების მომზადება ეროვნული გამოცდებისათვის.
- სტუდია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის
- კურსდამთავრებულთათვის გაისემა შესაბამისი სერთიფიკატი.

FutureWorld

ჩვენი მისამართია: თბილისი, საბურთალო, მიცკევიჩის ქ. 17, ბ. 10
238-22-96, 599-53-61-96

www.futureworld.ge

ახალგამოცემული წიგნი. სულ ექვსნი ვიყავით და ყველას თავისი ხელით გადმოგვცა. იცით, რა ეწერა პირველ გვერდზე? — „ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს“. ამით იცით, რაზე მიგვანიშნა? — ჩვენ მისი კოლეგები ვიყავით და ჩვენც მასავით ბოლომდე უნდა მიგვეძღვნა თავი პროფესიისთვის.

ნიკა წულუკიძე:

— მეც თეატრმცოდნე ვარ, მაგრამ როდესაც ინსტიტუტში ჩავაბარე, ფიცის დადებისა და გრიმის ცხების ტრადიცია უკვე გაუქმებული იყო. დღევანდელი რიტუალი ისეთი ამაღელვებელი იყო, რომ ვიფიქრე, — მოდი, მეც ავვარდები სცენაზე და გრიმის საცხებლად შუბლს მივუშვერმეთქი!.. მსახიობის მოვალეობა სხვისთვის დღესასწაულის მოწყობაა. დღეს ამ ბავშვებმა უკვე მოაწყვეს პირველი პროფესიული დღესასწაული. ღმერთმა უმრავლოს მათ ასეთი ემოციური დღეები!..

პირველკურსელთათვის გრიმის ცხებისას

საკმაოდ დიდი არჩევანის საშუალება გვქონდა და საუკეთესოები ავარჩიეთ

გიორგი მარგველაშვილი:

— მიხარია, რომ თავის დროზე მეც მოვასწარი ფიცის დადება — ეს საოცარი განცდა იყო. ვუყურებ ახალბედა სტუდენტებს და ძალიან მშურს მათი... ამ ბავშვებს ჯერ ყველაფერი წინ აქვთ — კარგიც, ცუდიც, გულისტკივილიც, სიხარულიც...

— თქვენ როგორ მოგწონთ ახალბედა სტუდენტები?

— წელს ძალიან კარგი ბავშვები მივიღეთ. საკმაოდ დიდი არჩევანის საშუალება გვქონდა და საუკეთესოები ავარჩიეთ. ყველა მათგანს წარმატებას ვუსურვებ!

■

უკრაინაში 10-მეტრიანი ხაჭაპური გამოაცხვეს

უკრაინის ქალაქ ლუცკის ერთ-ერთი რესტორნის ქართველმა შეფ-მზარეულმა ვახტანგ ტყაბლაძემ გიგანტური ხაჭაპური გამოაცხო. ქართული ნაციონალური კერძი 9,72-მეტრიან შამფურზე იყო აგებული.

„დღემდე ყველაზე გრძლად 8-მეტრიანი ხაჭაპური ითვლებოდა, რომელიც ბათუმში გამოაცხვეს, მაგრამ მაშინ ის რეკორდების წიგნში არ შეუტანიათ, — განაცხადა ტყაბლაძემ. გიგანტური ხაჭაპურის დამზადებას 6 კგ ცომი, 5,5 კგ ყველი და 20 კვერცხი დასჭირდა. ცხობისას რეცეპტის ყველა წესი დაცული იყო. ხაჭაპური შოუს მონაწილეებმა დააგემოვნეს, ფოტო და ვიდეო კი კიევში გააგზავნეს — რეკორდების წიგნში ქართული ნაციონალური კერძის ოფიციალური რეგისტრაციისთვის. ■

„ვიკიპედია“ წიგნად გამოიცა

ნაბეჭდ Wikipedia-ში ონლაინ-ენციკლოპედიის მასალების მხოლოდ 0.01% შედის. მიუხედავად ამისა, წიგნი 5000-გვერდიანია. ინტერნეტენციკლოპედიის ნაბეჭდი ვერსია ინგლისურ ენაზეა გამოცემული და 952 ტომისგან შედგება. ამჟამად გამოცემა დაახლოებით 3 მლნ სტატიას მოიცავს და მას ონლაინ-ვერსიიდან მუდმივად ემატება ახალი, საინტერესო მასალები. მსოფლიოს უდიდესი ენციკლოპედია Wikipedia ოფიციალურად, 2001 წლიდან იღებს სათავეს. დღეისათვის მისი ბაზა 20 მილიონამდე სტატიას მოიცავს.



■

რატომ ვემზადებით პომპეზურად სარკოზის დასახვედრად

„საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის საქართველოში ვიზიტი ემოციური და სანახაობრივი იქნება“, — განაცხადა საფრანგეთის ელჩმა საქართველოში, ნიკოლა ფურნიემ. ფურნიეს თქმით, საფრანგეთის პირველ პირს ხალხთან შეხვედრა სურს, მისი მთავარი გზავნილი კი საქართველოსთვის სოლიდარობის გამოცხადება იქნება. ის მიხეილ სააკაშვილს შეხვდება და საუბარი როგორც ქვეყნებს შორის ურთიერთობებს, ასევე რეგიონული უსაფრთხოების საკითხებს შეეხება. რა იქნება სააკაშვილისა და სარკოზის შეხვედრისას მთავარი თემა და რა შედეგებს შეიძლება ელოდეს ჩვენი ქვეყანა საფრანგეთის პირველი პირის ამ ვიზიტისგან — ამის შესახებ ექსპერტს საერთაშორისო საკითხებში, კახა გოგოლაშვილს ვესაუბრე.

ნათუნა გახტურიძე

— ბატონო კახა, როგორც ცნობილია, სარკოზი მხოლოდ საქართველოში კი არა, სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებშიც აპირებს ჩასვლას. რა მიზანს ემსახურება საფრანგეთის პირველი პირის პოლიტიკური ტურნე და მაინც რით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ქართველები ამ შეხვედრისთვის განსაკუთრებული პომპეზურობით ვემზადებით?

— მართალია, სარკოზი მთელ სამხრეთ კავკასიაში გეგმავს პოლიტიკურ ტურნეს, მაგრამ მისი საქართველოში ვიზიტი მაინც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლებლობა გვეძლევა, მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი განვიხილოთ, მათ შორის — ყველაზე მნიშვნელოვანი თემა ანუ — 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6-პუნქტიანი შეთანხმების შესრულების პრობლემატიკა. რაც შეეხება დახვედრის ცერემონიისთვის პომპეზურ მზადებას, ეს საქმეს ნამდვილად, არ ავნებს. პირიქით, ნებისმიერ ლიდერს სიამოვნებს პატივის მიგება და ამაში დასაძრახისს ვერაფერს ვხედავ. მით უმეტეს, რომ ქართველები სხვებისგან სტუმართმოყვარეობით ყოველთვის გამოვირჩეოდით.

— როგორ ფიქრობთ — ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შეუსრულებლობის გამო, სარკოზი რუსეთის მისამართით კრიტიკულ განცხადებას გააკეთებს?

— საფრანგეთს საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში საუკუნოვანი გამოცდილება აქვს. შესაბამისად, ამ ქვეყნის წარმომადგენელი არასდროს გააკეთებს ისეთ განცხადებას, რომ რომელიმე მხარე შეურაცხყოს. ჩემი აზრით, სარკოზის განცხადებები რუსეთის მიმართ იქნება პრინციპული და მწვავე, მაგრამ არა შეურაცხმყოფელი და გამაღიზიანებელი.

— ზოგადად, ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს მეთაურის სამხრეთკავკასიურ ტურნეზე რას იტყვით?

— სამხრეთ კავკასიით არა მარტო საფრანგეთი, არამედ მთელი ევროპაა დაინტერესებული. ფრანგები დაინტერესებულნი არიან იმით, რომ ამ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ფონზე განვითარდეს დემოკრატია. საფრანგეთს აქვს პრეტენზია, რომ ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის რეგიონს განვითარებაში. ■



„სკაი პით“ დაწყებული უილბლო სიყვარულის ამბავი

25-დღიანი თანაცხოვრება მკვლელობით დასრულდა

თეა ხურცილავა

არასრულწლოვანი ელენე ჯავახია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვერდიქტის მოლოდინშია. კარგად იცის, რომ მისი ბედი კოლეგიის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. მას მეუღლის, კახა ვალიშვილის განზრახ მკვლელობაში ედება ბრალი. თბილისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე ქეთევან ჯაჭვაძე) აღნიშნული საქმე უკვე განიხილა, წარდგენილ ბრალდებაში ელენე დამნაშავედ ცნო და მაქსიმალური სასჯელი — 15-წლიანი პატიმრობა შეუფარდა; ვინაიდან ელენე არასრულწლოვანია, სასჯელი ერთი მესამედით შეუმცირდა და საბოლოოდ, მას 10 წლით აღუკვეთეს თავისუფლება.

გამოტანილ განაჩენს ბრალდებული და მისი ადვოკატები კატეგორიულად არ ეთანხმებიან. ახლა სააპელაციო სასამართლოსგან ითხოვენ მის გაუქმებას და ჯავახიას დარბაზიდან გათავისუფლებას.

მოვლენები ასე განვითარდა: 15 წლის ელენემ და 20 წლის კახამ ერთმანეთი „სკაიპით“ გაიცნეს. გაცნობიდან 10 დღეში დაქორწინება გადაწყვიტეს. 2010 წლის 4 სექტემბერს, თავის დაბადების დღეს, კახამ მეგობრის მანქანით შეყვარებულს ფოთში ჩაკითხა. გოგონა ცოლად გაჰყვა. წყვილმა ის ღამე ქობულეთში გაატარა, მეორე დღეს კი თბილისში, კახას სახლში ჩამოვიდა.

დაქორწინებიდან ერთ კვირაში, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ წყვილს ურთიერთობა დაეძაბა. კონფლიქტი ხშირად ჰქონდათ. საქმის მასალების მიხედვით, 29 სექტემბერს, დილის 11 საათზე ისევ წაკამათდნენ. კახამ ცოლს პრეტენზია წაუყენა. ქმარზე განაწყენებულმა ელენემ ჩანთაში თავისი ტანსაცმელი ჩაალაგა და მშობლებთან დაბრუნება გადაწყვიტა. კახამ მას ამის საშუალება არ მისცა. კამათი სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა, რა დროსაც ქმარზე განაწყენებულმა ელენემ მას სამზარეულო დანით მიაყენა ჭრილობა მარცხენა მხარეს გულმკერდის არეში; კახა ადგილზევე გარდაიცვალა.

სახელმწიფო ბრალმდებელი პროკოფ ჭანკოტაძე ელენე ჯავახიას სს კოდექსის 108-ე — განზრახ მკვლელობის მუხლით გასამართლებას ითხოვდა. ამ მოთხოვნას კატეგორიულად არ დაეთანხმა განსასჯელის ადვოკატი თამაზ ქოქოშვილი, რომლის მტკიცებით, ელენე ჯავახიამ კახა ვალიშვილს სხეულის დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მიაყენა.

ელენე ჯავახიამ განზრახ მკვლელობაში თავი დამნაშავედ არ ცნო და სასამართლოს ასეთი ჩვენება მისცა:

„რამდენიმე დღის ცოლ-ქმარი ვიყავით, რომ შემაგინა და სახეში გამარტყა. ჩემს ყვირილზე ოთახში მისი მშობლები შემოვიდნენ და გაგვაშველეს. ეს საქციელი მას ვაპატიე, რადგან მითხრა, არ გამეორდებაო. ასე არ მოხდა. შემდეგ დღეებშიც სხვადასხვა ყოფით საკითხზე ვკამათობდით... კახას შევეჩვიე, ის ჩემი ქმარი იყო. მის მიმართ სიმპათია მქონდა თუ არა, არ ვიცი. ყველაზე ეჭვიანობდა, ვინც მირეკავდა ან „სკაიპით“ მეკონტაქტებოდა. თუ ის პიროვნება ნათესავი აღმოჩნდებოდა, მხოლოდ მაშინ ჩუმდებოდა. ურთიერთობა გიორგი ხ-ს გამო დაგვეძაბა. მას კახას გაცნობამდე ვიცნობდი, ცოლიანი იყო. გიორგი მიმტკიცებდა, რომ ძალიან ვუყვარდი და მზად იყო, ცოლს გაშორებოდა. გათხოვების შემდეგ მე და გიორგი შევთანხმდით, რომ მეგობრებად დავრჩებოდით... როცა გავთხოვდი, ჩემი სიმბარათი გადავტეხე, რადგან სხვებიც მანუხებდნენ. კახას ოჯახმა ახალი სიმბარათი მომცა; ნომერი მხოლოდ ჩემმა მშობლებმა და ახლობლებმა იცოდნენ... მაგრამ მას შემდეგ, რაც კახა მეჩხუბა, ახალი ნომრიდან გიორგის დავურეკე; ვიცოდი, ის გამიგებდა. მესიჯებით ვეკონტაქტებოდი და ვურეკავდი, ძირითადად მაშინ, როცა სახლში მარტო ვიყავი. ამას კახას ვუმალავდი, რადგან არ უნდოდა, ვინმესთან კონტაქტი მქონოდა... მაინც გაიგო. ერთ დღეს ჩემი სახელით კახამ მამაჩემს მისწერა: „მამა, გიორგი მაწუხებს“. ამის მერე სხვა ტელეფონით დავურეკე გიორგის, — მამაჩემმა გაიგო ეს ამბავი, შენთან დასალაპარაკებლად მოვამეთქი. როცა კახა დაინტერესდა, ვის ველაპარაკებოდი, მოვიტყუე და სხვა სახელი ვუთხარი...“

29 სექტემბერს საუზმის შემდეგ კახამ ხაშურში წასვლა გადაწყვიტა. მას ლომბარდიდან ელენეს ოქროს ბეჭედი უნდა გამოეტანა: მისი ნივთი 5 სექტემბერს, დაქორწინების მეორე დღეს „დაალომბარდეს“, რადგან თბილისისკენ მომავალ წყვილს გზაში ბენზინი გაუთავდა და საწვავის ფული არ ჰქონდა...

ელენეს ჩვენებიდან:

„...ისევ ვიკამათეთ. გაბრაზებულმა დედა შემიგინა. ვუთხარი, აქედან წავალმეთქი. — წადი; თუკი ბავშვი გეყოლება, როგორც „ნაბიჭვარი“, ისე გაზარდეო. ტანსაცმელი ჩავალაგე და სახლიდან წასვლა გადავწყვიტე. მითხრა, — ეტყობა, ბიჭებთან მესიჯობა მოგენატრა და იმიტომ მიდიხარ, ასე რომ არ იყოს, ბოდიშს მომიხდიდი და დარჩებოდიო... მამიდაჩემს დავურეკე, ვუთხარი, მშობლებთან რომ ვბრუნდებოდი და ნათესავის ტელეფონი ვთხოვე, რადგან თბილისი კარგად არ ვიცი. მამიდამ ჩემს მშობლებსაც გააგებინა. მათაც დამირეკეს. ყველა მირჩევდა, რომ არ წავსულიყავი... ჩემს მშობლებს კახასთან დალაპარაკება უნდოდათ, მაგრამ ის არ დალაპარაკა... ამის მერე კახა უფრო აგრესიული გახდა, მაგინებდა დედის მისამართით და ოჯახის დანგრევაში მადანაშაულებდა. მითხრა, — სანამ წახვალ, კარგად უნდა გცემოო. ბინის კარი და ფანჯრები ჩაკეტა. თეთრი ნაჭერი ხელზე გადაიხვია, დაასველა და მითხრა, — ამ ნაჭრით გცემ, ნაცემი რომ არ დაგეტყოსო. მერე მუშტი მუცელში დამარტყა, მაგრამ ძლიერად არა, ალბათ შეეცოდე. კისერზე რომ დამარტყა, ძალიან მეტკინა, მერე სახეშიც რამდენჯერმე მომხვდა... ამის მერე სამზარეულოში დანა აიღო. ამ დროს დედამისმა დარეკა, მეც შემთხვევით ვისარგებლე და დანა წავართვი, მინდოდა, დივნის ქვეშ შემეცურებინა. კახამ რომ დაინახა, გაიცინა, — რა, სხვა დანა არ არსებობსო?.. — და სამზარეულოდან ახლა თეთრტარიანი დანა გამოიტანა. ისევ ჩემკენ წამოვიდა, — ილოცეო. ამ დროს დანიანი ხელი უკან მქონდა. კახას ნათქვამმა შემაშინა. დანა ისე მეჭირა, როგორც რაიმეს დაჭრის დროს ვხმარობდი, ხელი უკნიდან წამოვიღე და შეშინებულმა პირდაპირი მიმართულებით დავარტყი; კახა უკან-უკან წავიდა. ეს რა გააკეთეო?! — და წაიქცა. მისკენ გავიქეცი, სახეში ხელებს ვურტყამდი — გულწასული მეგონა. როცა გავაცნობიერე, რაც მოხდა, მისი ჯიბიდან გასაღები ამოვიღე. სიჩქარეში რგოლი გაწყდა, გასაღებები ოთახში მიმოიფანტა... მერე კარი გავაღე და მეზობლებს დავუძახე, — მიშველეთ-მეთქი!.. თავის მოკვლაც მინდოდა, მაგრამ მეზობლებმა ამის საშუალება არ მომცეს“.

განსასჯელის პოზიცია — რომ მან აუცილებელი მოგერიების დროს ჩაიდინა დანაშაული — საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა.

პროცესზე, მოკლულის მშობლები, და

და მეგობრები დაიკითხნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ელენე პარალელურად სხვას სწერდა მესიჯებს და ეს იყო კონფლიქტის მიზეზი.

კახა ვალიშვილის დედის ჩვენებიდან:

„4 სექტემბერს კახა 20 წლის გახდა. მშობლებთან შეუთანხმებლად, 15 წლის გოგო ცოლად შეირთო. ის თავისი სურვილით გამოჰყვა. მეორე საღამოს სუფრა გავშალეთ და ელენეს მშობლები მოვიწვიეთ. ყველა კმაყოფილი იყო... რამდენიმე დღეში გავიგეთ, რომ ელენე ვიღაცას მესიჯებს სწერდა და ამიტომ ნომერი გამოვუცვალეთ. იმის გამო, რომ ის ბიჭი ახალ ნომერზეც ურეკავდა, კახა შეეკამათა, — შენი ახალი ნომერი საიდან გაიგო?.. მკვლელობის დღეს სამსახურში წავედი. ტელეფონში კახას ზარი იყო შემოსული და დავურეკე. ელენემ მიპასუხა, — სახლიდან მივდივარო. მერე კახას დაველაპარაკე. მითხრა, — მე არაფერ შუაში ვარ, ელენეს ჰკითხე, წასვლა რატომ გადაწყვიტაო. სამსახურიდან სახლში წამოვედი. გზიდან კახას ისევ დავურეკე და ვკითხე, — გამაგებინე, რა ხდება-მეთქი. მითხრა, — დედა, სახლიდან მეც მივდივარო... ცოტა ხანში მეუღლემ დამირეკა, — მეზობლებმა დამირეკეს, კახა ცუდად არისო. სახლში რომ მივედით, პოლიცია და „სასწრაფო“ დაგვხვდა, ჩემი შვილი უკვე მკვდარი იყო. ჯერ ლაპარაკობდნენ, კახამ თავი მოიკლაო, შემდეგ — ვიღაცამ მოკლაო. ელენეს ტანსაცმელი იმდენად სუფთა იყო, მასზე ეჭვი არავის მიგვიტანია. ვიფიქრე, რომ შვილი სხვამ მომიკლა. ელენე ამბობდა, — დანას ვართმევდი და თვითონ წამოეგოო... მეზობლებს ხმაური არ გაუგონიათ. მითხრეს, — სახლში რომ შევედით, სისხლი უკვე შედედებული იყო, კახას სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდაო. ახლა სულ ტყუილს ამბობს ელენე, კახა მცემდაო; ასეთი ტყუილის თქმა და ჩირქის მოცხება როგორ შეიძლება?! სულ რამდენიმე დღე იყვნენ ერთად, ამ პერიოდში ან მათ ჰყავდათ სტუმრები, ან თავად მიდიოდნენ სტუმრად“.

ანალოგიური შინაარსის იყო მოკლულის მამის ჩვენებაც. მისი თქმით, კახა მუშაობდა და სამ დღეში ერთხელ, ცვლაში ყოფნა და მორიგეობა უწევდა:

„მორიგეობის დღეები რომ გამოვაკლოთ, ერთად დაახლოებით 16 დღე იცხოვრეს. როცა მისი მშობლები ჩვენთან მოვიდნენ, რამდენიმე ჭიქა ღვინის დალევის შემდეგ ელენეს მამამ თქვა, — თქვენ არ იცით, სახლში რა გველი შემოგვიდათო. ეს სიტყვები არ მოგვეწონა, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ აღელვებული მამის პოზიცია იყო. ვერ წარმომედგინა, ჩემს შვილს მეუღლე თუ მოკლავდა. არაფრის გულისთვის გულში დანა ჩაარტყა. სიცრუეა, თითქოს ჩემი შვილი სცემდა... მკვლელობის შემდეგ მეზობლების წინაშე გაითამაშა, ვითომ ფანჯრიდან გადახტომას აპირებდა. ვიცოდით, ელენე ვიღაც ცოლშვილიან ბიჭს რომ ემესიჯებო-



და. კახას სიკვდილის შემდეგ ტელეფონის ნომრის ამონაწერი ამოვიღეთ და გაირკვა, რომ სწორედ მაშინ იყო გაგზავნილი მეტი მესიჯი, როცა კახა „სმენაში“ იყო. ჩემს შვილს ელენე იმ დონეზე უყვარდა, რომ მისი გულისთვის თავს განირავდა“.

სასამართლოზე განსასჯელის მშობლებიც დაიკითხნენ. მათი თქმით, 29 სექტემბერს მამიდისგან გაიგეს, ელენეს ოჯახში პრობლემები რომ ჰქონდა, და ქალიშვილს მაშინვე დაურეკეს.

განსასჯელის მამის ჩვენებიდან:

„ელენემ გვითხრა, — ამ სახლიდან უნდა წავიდე, კახა შეურაცხყოფას მაყენებს, კარი ჩაკეტა, არ მიშვებს, წარმოდგენა არ გაქვთ, რა შეცდომა დავუშვიო. ვთხოვეთ, კახა დაგვლაპარაკებოდა, მაგრამ არ დაგველაპარაკა. მისი ყვირილის ხმა ტელეფონში გვესმოდა. ცოტა ხანში ელენესთან დარეკვა ისევ ვცადეთ, მაგრამ ვეღარ დავუკავშირდით. ამის შემდეგ თბილისში ნათესავს ვთხოვეთ, მისულიყო და გაერკვია, რა ხდებოდა. ელენეს გათხოვების შემდეგ იმ ოჯახს მხოლოდ ერთხელ ვესტუმრეთ. შემდეგ შვილთან ურთიერთობა ტელეფონით და წერილებით გვქონდა. ჩვენთან ყოველთვის ამბობდა, თბილი ხალხიაო, არასოდეს უთქვამს, რომ პრობლემა ჰქონდა, ან კახა ცუდად ექცეოდა. ასე საშინლად რომ ექცეოდა ქმარი, კახას სიკვდილის შემდეგ გავიგეთ. ფაქტია, რეალობას გვიმალავდა. კახას სიკვდილის წინაღამეს ელენეს დედამისი ესაუბრა. შვილს საქორწინო კაბაზე ელაპარაკებოდა, ქორწილზე ვფიქრობდით. ჩემი შვილი ძალიან კარგი ბავშვი იყო, უკონფლიქტო, არანაირი პრობლემა არასოდეს ჰქონია; სკოლაში კარგად სწავლობდა, სწავლის გაგრძელება სურდა“.

როგორც ჩანს, ელენე მშობლებს თავის პრობლემებზე არ ესაუბრებოდა, სამაგიეროდ, ამას მამიდას არ უმალავდა.

ელენეს მამიდის ჩვენებიდან:

„რამდენიმე დღის გათხოვილი იყო, რომ მითხრა, — მეგობარი ბიჭის და დეიდაშვილის მესიჯები მივიღე, კახამ იეჭვიანა და საცემრად გამოიწია; მე კივილი დავიწყე, ოთახში მისი მშობლები შემოვიდნენ და გაგვაშველესო. ამის მერე ხშირად ვურეკავდი და ვეკითხებოდი, იგივე ხომ არ მეორდება-მეთქი? — მაგრამ მერე თურმე მიმალავდა, მეუბნებოდა, მსგავსი არ გამეორებულაო. იმ დღესაც დამირეკა: — მამიდა, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, სახლიდან უნდა წამოვიდეო. თბილისი კარგად არ იცოდა და ამიტომ ნათესავის ტელეფონი მთხოვა, — ბინასთან დამხვდეს და აქედან წამიყვანოსო. ნომერი მივეცი და თან ჩემს ძმასაც ვუთხარი, — შენს შვილს პრობლემები აქვს-მეთქი. რამდენჯერმე დავურეკე ელენეს, — შენს ქმარს დამალაპარაკე-მეთქი, — მაგრამ მესმოდა, უარი უთხრა, — სახლიდან რომ წახვალ, მერე ყველას დაველაპარაკებიო. ამ სიტყვებზე გავნერვიულდი, ჩავთვალე, რომ ელენეს სახლიდან აგდებდნენ და ტელეფონით ვუთხარი, — მაგას გადაეცი, არასრულწლოვნის სახლიდან გაგდების გამო ციხეში მოუწევს ჩაჯდომა-მეთქი. ამის შემდეგ ისევ ვურეკავდი, მაგრამ ყურმილს არავინ იღებდა. რამდენიმე წუთში ნათესავმა დამირეკა, რომელსაც ელენე უნდა წამოეყვანა და მითხრა, — მოვაკითხე, სახლთან ვდგავარ, მაგრამ კორპუსი ხალხითაა გავსებული, „სასწრაფოს“ და პოლიციის მანქანები დგას, მგონი, დავიღუპეთო. ამის შემდეგ ისევ ჩემს ძმას დავურეკე, ელენეს რაღაც სჭირს-მეთქი. ვიფიქრეთ, რომ ელენე მოკლეს“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განზრახ მკვლელობის მუხლით ელენე ჯავახიას გასამართლებას ასაჩივრებენ

ადვოკატები თამაზ ქოქოშვილი და გაგი მოსიაშვილი.

თამაზ ქოქოშვილი, *ადვოკატი:*

„ეს განაჩენი უნდა გაუქმდეს. თავიდანვე პროკურორს მოვთხოვეთ, საქმისთვის სწორი კვალიფიკაცია მიეცა, მაგრამ ასე არ მოხდა. თავად გამოძიების მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ სისტემატურად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. კახა ხშირად აგინებდა, ვინაიდან ეჭვიანობდა ყველა პირზე, ვისაც ელენე ეკონტაქტებოდა. დანაშაულის წინადღეს კახა სახლში მეგობარ ბიჭთან ერთად მივიდა და ელენეს შეურაცხყოფა მიაყენა იმის გამო, რომ სახლი დალაგებული არ ჰქონდა. აღნიშნული, მოკლულის მეგობარმაც დაადასტურა... 29 სექტემბერს კი დილით შელაპარაკება საჭმლის მომზადების გამო მოუხდათ. კახამ ისევ აგინა დედა; სახლიდან წასვლის უფლება ელენეს არ მისცა და მოკვლით დაემუქრა, — ყელს ისე გამოგჭრი, რომ ვერც იგრძნობო... კახამ ხალიჩის საწშენდი ჯოხი აიღო და ისიც კი დაარტყა. ესეც დადასტურებულია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით. ბოლოს საკანცელარიო დანა აიღო, — ეს დანა უკუთესად ჭრის და უფრო ადვილად გამოგჭრი ყელსო; უთხრა, ელოცა, რადგან ეს ბოლო წამები იყო; დანა მუცელზე მიადო. ელენე ძალიან შეშინდა, მისი მოკვლის საშიშროება აშკარა იყო და დანა მოუქნია, რაც ვალიშვილს გულმკერდში მოხვდა... ელენეს სიმართლე დადასტურდა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითაც. ოთახიდან სამი დანა ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნითაც გარკვეულია, რომ ელენეს დაზიანებები ჰქონდა სხეულზე; ისიც, კარი გასაღებით რომ იყო ჩაკეტილი. ექსპერტიზით ისიც დადასტურდა, რომ ვალიშვილს ხელზე სველი პირსახოცი ჰქონდა დახვეული. უდავოა, ელენე ჯავახია თავს იცავდა მასზე ძლიერი მამაკაცისგან — არაფერი მოსჩვენებია, საფრთხე რეალური იყო. აუცილებელი მოგერიება შურისძიებაში რომ არ გადაზრდილა, ამას ისიც ადასტურებს, რომ მოკლულს მხოლოდ ერთი დაზიანება ჰქონდა. ჩვენ მოვითხოვთ, შეწყდეს სისხლის სამართლებრივი დევნა და არასრულწლოვანი ჯავახია გათავისუფლდეს სასამართლო დარბაზიდან“.

ბუნებრივია, პროკურატურა განაჩენის ძალაში დატოვებას ითხოვს. დაზარალებული მხარე წინა სასამართლო სხდომას არ დასწრებია. ალბათ მათი პოზიციაც უცვლელი იქნება — ისინი შვილის მკვლელის უმკაცრესად დასჯას ისევ მოითხოვენ. ■

ტარიელ ჭანტურიას „უკვდავების პროთეზი“:

„ახლა ჯი საფიქრალი მაქვს გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები“

მისთვის „ყველაზე დიდი ბედნიერება მკითხველთან შეხვედრაა, ყველაზე დიდი ჯილდო კი — მისი სიყვარული“. ტარიელ ჭანტურიას პოეტური კრებულების ნუსხას ახალი წიგნი — „საიტ.უმლო ბარათი-2“ შეემატა.

ნატა კოტიძე

პირველი ლექსი — „ნადირობა“ პოეტმა 1951 წელს გამოაქვეყნა; პირველი კრებული — „ლტოლვა“ კი — 1964-ში. ექსპერიმენტებით, ირონიით, პაროდიით, სლენგებითა თუ გროტესკით გაჯერებული ახალი კრებული პოეტის შემოქმედების გარკვეულწილად შემაჯამებელია, რადგან ძირითადად, ძველ ლექსებს უყრის თავს. გამოსაცემად კი მზადაა ბოლო სამი წლის მანძილზე შექმნილი ახალი ნაწარმოებები, რომელთა შესახებ ავტორი ძუნწად საუბრობს. რიგით მერამდენე კრებულია „საიტ.უმლო ბარათი-2“ — ავტორს თავადაც არ ახსოვს...

ტარიელ ჭანტურია:

— დაახლოებით 50 წლის წინ ერთი ძალზე საინტერესო წიგნის რედაქტორი გახლდით, სახელად — „ბრძნული აზრების სამყაროში“: მასში ცნობილი ფილოსოფოსებისა და საზოგადო მოღვაწეების აფორიზმები და ბრძნული გამონათქვამები შედიოდა. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ერთმა მოსაზრებამ მოახდინა: „სულელს შეუძლია, დასვას შეკითხვა, რომელსაც ათასი ბრძენი ვერ გასცემს პასუხს“. ამაზე ბევრი ვიცინე და ჩვენს დირექტორს, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ვუთხარი, ინტერვიუებზე აღარ წავალ-მეთქი.

— ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრეთ, არა?

— დიახ. ერთ მოგონებაში მოყოლილი მაქვს ეს ამბავი. 1951 წელს სუფსის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. მაშინ ოქროსმედალოსანს უფლება ჰქონდა, ატესტატი ნებისმიერ სასწავლებელში მიეტანა, თავად კი თუნდაც ზღვაზე დასასვენებლად წასულიყო. მე უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაბარება მსურდა, თუმცა მწერლობაც ძალიან მიყვარდა. ჩამოვედი თბილისში და ფიზიკის ფაკულტეტის დეკანატში მივედი, სადაც მხოლოდ მდივანი დამხვდა, რომელსაც ეძინა. მოპირდაპირე მხარეს კი უამრავი ხალხი შეკრებილიყო, შეძახილები ისმოდა, ერთი ამბავი ჰქონდათ. ვიფიქრე, რა ხდება-მეთქი? თურმე ახალგახსნილი ყოფილა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და ყველა მედალოსანს იქ სურდა ჩაბარება, მაგრამ მხოლოდ 12-ს იღებდნენ 25 კაციდან. ბავშვი კი ვიყავი, მაგრამ მივხვდი, კარგი რომ ყოფილიყო ფიზიკის ფაკულტეტი, ჟურნალისტიკისთვის არ დახოცავდნენ ერთმანეთს, ამიტომ დავხიე განცხადება და ამ უკანასკნელისკენ გადავინაცვლე. ჩემი მეგობარი — ვახტანგ ჯავახაძეც იქ იყო. კომისიამ ჯგუფი გამოყო, რომელიც განცხადებებისა და ავტობიოგრაფიების მიხედვით შეარჩევდა მედალოსნებს. აღმოჩნდა, რომ კარგად მქონდა დაწერილი და შესაბამისად, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მოვხვდი.

— მაშინ უკვე წერდით ლექსებს?

— ჩემს ჯგუფში ყველა წერდა: ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გივი გეგეჭკორი, ვახტანგ ჯავახაძე, რეზო ინანიშვილი და სხვები. მეც დავიწყე წერა, თუმცა მანამდეც მქონდა რამდენიმე ლექსი... ძალიან საინტერესო ჯგუფი იყო, მჩქეფარე ცხოვრებით ვცხოვრობდით. უნივერსიტეტში ლიტერატურული წრე არსებობდა, რომელიც გამოსცემდა ალმანახს „პირველი სხივი“. დიდი მეგობრობა გვაკავშირებდა, კვარტეტიც კი გვქონდა ჩამოყალიბებული — კარგად ვმღეროდით. შესანიშნავი ტენორი ჰქონდა ოთარ ჭილაძეს. რესტორანში რომ შევიკრიბებოდით და ვიმღერებდით, ღვინოს გვიგზავნიდნენ საჩუქრად. სამწუხაროდ, ჩვენი სიმღერებიდან ერთი ჩანაწერიც არ დარჩა.

— არაჩვეულებრივი სახელები ახსენეთ; რომელი იყო მათგან, თქვენი რჩეული მწერალი თუ პოეტი?

— მაპატიეთ, მაგრამ ვაშლს წარწერით — „მას, ვინც ყველაზე ნიჭიერია“, — ჩვენი ჯგუფის სუფრაზე ვერ გავაგორებ და „ახალ ტროას ომს“ ვერ წამოვიწყებ: მე ყველანი ერთნაირად მიყვარს. თუმცა იყვნენ ჩვენში მეტად და ნაკლებად ნიჭიერები, მაგრამ ამ კონკურენციას მუდამ ფარული სახე ჰქონდა და სააშკარაოზე გამოსატანი არ გამხდარა...

— რა არის საჭირო მწერლური ამბიციის დასაკმაყოფილებლად?

— მარინა ცვეტაევას ერთი ცნობილი ლექსის ასევე საყოველთაოდ ცნობილ სტრიქონს გავიხსენებ, სადაც მას მკითხველთან შეხვედრა ასე წარმოუდგენია: „გკოცნით 100 წლის მერე“... ასეთი ამბიცია აქვს ყველა ჭეშმარიტ მწერალს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ყოველთვის დაკმაყოფილდება. მთავარია, გქონდეს მიზანი. ზოგჯერ ცხოვრება ჭუჭყიან კომპრომისებზე წასვლას გავალდებულებს, მაგრამ მწერალი ამას არ უნდა დათანხმდეს, — ჩვენ ხომ ანგარიშს მკითხველს ვაბარებთ.

— ასეთი კომპრომისის აუცილებლობის წინაშე ხშირად აღმოჩენილხართ?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჩემი ცხოვრების წესისთვის არასდროს მიღალატია. კომუნისტური რეჟიმის დროს სავალდებულოც კი იყო კომპრომისზე წასვლა, მაგრამ 60-იან წლებში ეს რეჟიმი თანდათან დასუსტდა, თუმცა ზოგიერთი მწერალი თუ პოეტი მაინც ანგარებით მოქმედებდა. გონიერმა მკითხველმა, რომელიც თვალს ადევნებს ამ პროცესებს ათეული წლების მანძილზე, კარგად იცის, თუ ვინ ღალატობდა ნამდვილი მწერლის მორალს. ეს მარადიული პრობლემაა, რომელიც თან ახლავს ჩვენს ცხოვრებას. დღეს თუ რომელიმე მწერალი ხელისუფლების მლიქვნელია, მისი წინაპარი იმპერატორის და მეფის მლიქვნელი გახლდათ...

— თანამედროვე მწერლებზე არ აზრის ხართ?

— ძალიან ნიჭიერი ხალხია, თუმცა ბევრ მათგანს იოლი ცხოვრება სურს. ზოგს ჰგონია, თუ ინგლისში ჩავა და იქიდან „საპატიო სიგელს“ ჩამოიტანს, ეს პრემიად ან ჯილდოდ უნდა გამოაცხადოს. ამ თამაშებიდან არაფერი გამოვა, რადგან უმაღლესი ღირებულებები თავისთავად ღაღადებს: მოთხრობა ან არის კარგი, ან — არა.

— მაინც რა არის ყველაზე დიდი ჯილდო პოეტისთვის?

— ჭეშმარიტი მკითხველის სიყვარული და პატივისცემა.

— ეს მერამდენე კრებულია?.. შესავალში წერთ ავტობიოგრაფიას, რომელსაც უჩვეულო მინაწერი აქვს: „კანცელარიაში არ გამოდგება“...

— სიმართლე გითხრათ, არ დამითვლია, მერამდენეა ეს კრებული. სიბერის საბუთია ალბათ... რაც შეეხება ავტობიოგრაფიას, — გონიერი ადამიანი შერიგებულია იმასთან, რომ ის არის მოკვდავი. თუმცა არავის სიამოვნებს სიმართლე, განსაკუთრებით კი — ათეისტს, რომელსაც იმ სამყაროსი არ სჯერა. კომუნისტურმა შხამმა, სხვა „სიკეთეებთან“ ერთად, ჩვენში ურწმუნოებაც გააღვივა. უღმერთო ადამიანი ძალიან ცოდვაა, რადგან ის ფიქრობს, რომ მიწაზე მთავრდება ყველაფერი. ნუთუ შეიძლება, ის, რაც ასე რთულია აქ, ძალზე მარტივი იყოს იქ?!. საკუთარ სხეულში რომ „ჩავიხედოთ“, რამდენი მიმართულება აქვს ჩვენს სისხლძარღვებს?!. შეიძლება, ადამიანი მოკვდეს და ყველაფერი დამთავრდეს?.. ზოგს არც სულის სჯერა და არც სამოთხის, ისეა დამფრთხალი სიკვდილისგან. ახალგაზრდობაში მწერლობას ხუმრობით, „უკვდავების პროთეზი“ ვუწოდე...

— კომუნისტური რეჟიმის დროსაც გქონდათ რწმენა?

— ისეთ ოჯახში გავიზარდე, რწმენის გარეშე ძალიან გამიჭირდებოდა. ჩემი მშობელი სკოლაში არავის დაუბარებია, რადგან ორივე კატორღაში იყო... ამ თემაზე არ მსიამოვნებს ლაპარაკი... მაგრამ მე მაინც სულ მქონდა რწმენა, რომ რაც აქ ასე რთულია, არ შეიძლება იყოს მარტივი — იქ.

— გამოუქვეყნებელი ლექსები თუ გაქვთ?

— კი, და არა მხოლოდ ლექსები, სხვა ჟანრის ნაწარმოებებიც. ამ თემაზე არ მსურს საუბარი.

— თქვენი მშობლები რატომ დააპატიმრეს?

— მამაჩემი ძალიან ნიჭიერი და ტრაგიკული კაცი იყო, არ უყვარდა კომუნისტები. 1924 წლის აჯანყების დღეებში ერთი უბრალო ფრაზის გამო დააპატიმრეს. გადასახლებიდან ბებიაჩემმა იხსნა, რომელსაც 8 შვილი ჰყავდა. დაპატიმრების შემდეგ მამა ბათუმში გადაიყვანეს, ციხის უფროსი მისი ძუძუმტე აღმოჩნდა. ბებია მასთან მივიდა, მუხლებზე დაემხო და შვილის შეწყალება სთხოვა. ის კაცი პატიოსანი აღმოჩნდა და მამა გაათავისუფლა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ის დახვრიტეს. ცოტა ხანში კი მამა სხვა ბრალდებით დაიჭირეს.

— მშობლიურ კუთხესთან კავშირი თუ გაქვთ?

— სახლი მქონდა ლანჩხუთში, სოფელ სუფსაში და გავყიდე, რადგან ერთხელ ჩავედი და ასეთი სცენა დამხვდა: ჩემი კარის მეზობელი, რომელზეც გადაყოლილი ვიყავით, ჩვენს ღობეს არღვევდა და ცეცხლში შესაკეთებლად ეზიდებოდა. გული დამწყდა, რადგან ბავშვობა იქ გავატარე. 25-26 წლის ვიყავი, როცა იქიდან წამოვედი. სახლის გაყიდვა არ შეიძლება: როგორც კი ბალიშზე თავს დავდებდი, ის სახლი მესიზმრებოდა...

— ახალი კრებულით კმაყოფილი ხართ?

— ეს არის ძველი ლექსების კრებული. ახლა კი საფიქრალი მაქვს გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები ანუ — უკანასკნელი ორი-სამი წლის ნამუშევარი: ისინი გაცილებით საინტერესოა ჩემთვის, ამიტომ მთლიანად მათკენ ვარ მიმართული... როგორც

ტარიელ ჭანგურია კოლეგასთან — გივი ალხაზიშვილთან ერთად

უნდა შევამკოთ, ყველა პოეტი დრომ უნდა გამოცადოს. ჩვენ კი გულუხვად ვარიგებთ ტიტულებსა და „რეიტინგლისტებს“. წლების წინ ჟურნალი „ომეგა“ გამოდიოდა, რომლის თანამშრომლებმა ფარული კენჭისყრით განსაზღვრეს XX საუკუნის პოეტების ხუთეული. მათი გვარ-სახელები და პორტრეტები ჟურნალში გამოქვეყნდა. ესენი იყვნენ: გალაქტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, ლადო ასათიანი და თქვენი მონამორჩილი. იმ დღის მერე „ჩაწყობილი“ პასკვილები არ მომკლებია იმ ხალხისგან, რომლებმაც ვერ აიტანა ეს ამბავი. რა გამოვიდა? — პირველი ოთხი პოეტი მკვდარია, ცოცხალი მხოლოდ მე ვიყავი და „დავისაჯე“... მაღალ ღირებულებებს ვერანაირი რეიტინგი და პრემია ვერ ცვლის. რუსებს დიდი პოეზია აქვთ: პუშკინი, ლერმონტოვი, პასტერნაკი, ახმატოვა... მაგრამ ერთი უბრალო პოეტის ერთმა ასევე ძალიან უბრალო ლექსმა მთელი მსოფლიო მოიარა: „ეხ რაზ, იშო რაზ“-ს ვგულისხმობ. ეჯიბრე ახლა იმას! მას სალაროში უკვე აქვს ოქრო შეტანილი...

■

სახე

რატომ და ვის ემალება შორენა ბეგაშვილი

„დარწმუნებული ვარ, ამ სტატიის წაკითხვის შემდეგაც იჭორავებენ"

თბილისში ალბათ იმდენს არავისზე ჭორაობენ, რამდენსაც მასზე. თამამი სცენები, ეროტიკული ფოტოები, სკანდალური ამბები — ეს ყველაფერი მის სახელთანაა დაკავშირებული. ზოგს ძალიან მოსწონს და ამბობს, — რა ლამაზიაო, ზოგს — აღიზიანებს, ზოგს კი მისი შურს კიდეც. ბოლო დროს სახლში ჩაიკეტა, მხოლოდ საკუთარ საქმეს აკეთებს და ჟურნალისტებთან ურთიერთობაზეც უარს აცხადებს, მაგრამ მე გამიმართლა, რადგან მისი დათანხმება როგორღაც მოვახერხე და ერთ-ერთ კაფეში შევხვდი.

როგორც გაირკვა, მეუღლის ფინანსებზე ყოფილა დამოკიდებული. ჩემთვის მისნაირი ადამიანი ძალიან სასაცილოა, მასზე ლაპარაკიც აღარ მიღირს

თამუნა კვინიკაძე

— ბოლო დროს ინტერვიუებმა ძალიან გამაღიზიანა. ერთი და იმავე კითხვებზე პასუხის გაცემა მეც მომბეზრდა და ვფიქრობ, ეს მკითხველისთვისაც არ არის საინტერესო. არ მინდა, მოსაბეზრებელი გავხდე.

— ხშირად ისეთ კითხვებს გისვამენ, რომლებიც გაღიზიანებს. ინტერვიუებზე უარს ამ მიზეზითაც ამბობ?

— რა თქმა უნდა! ჟურნალისტები ხშირად მეკითხებიან: რა მანქანით დავდივარ, ვინ მაჩუქა და ა.შ. მაგრამ არასდროს ინტერესდებიან ჩემი, როგორც მსახიობის საქმიანობით, წარმატებებით — ამ მხრივ საქმე კარგად მაქვს...

— საქმეში აქტიურად ხარ ჩართული. ზაფხულში დასვენება მოასწარი?

— ჩემზე კარგად ჩემმა შვილმა დაისვენა. ის ბებიასთან (დედაჩემთან) და დეიდაშვილებთან ერთად ჯერ თურქეთში იყო, შემდეგ — ქობულეთში, მერე კი სოფელში, ნათესავთან გავუშვი. პირადად მე, მთელი ზაფხული გადაღებები მქონდა, მაგრამ არა — საქართველოში; ერევანში ვიყავი. იქ სომეხ და ქართველ ვარსკვლავებს შორის კულინარიაში, სიმღერაში, ცეკვაში შეჯიბრება მოეწყო.

— შენ რაში შეეჯიბრე?

— ვიცეკვე. ერთი ცეკვა რატი დურგლიშვილთან და მაკა ზამბახიძესთან ერთად, საქართველოშივე მოვამზადე, იქ კი დამატებით, კიდევ 2 ცეკვა დადგეს. ვფიქრობ, ამ საქმეს თავი შესანიშნავად გავართვი, მაგრამ როცა საქმე კულინარიაზე მიდგა, შევრცხვი — ამ შეჯიბრებაში მე და რატი ერთად მოვხვდით და რა უნდა გაგვეკეთებინა, არც ვიცოდით. ჟიურის წევრები ჩვენ მიერ გამომცხვარ ხაჭაპურზე დიდხანს იცინოდნენ, რომელიც, სიმართლე გითხრა, ძალით ჭამეს (*იცინის*). ცომი მე მოვზილე, რატიმ კი მასში ბევრი სოდა ჩაყარა. რატომ? — არ ვიცი. ეს შეჯიბრება მეგობრობით დამთავრდა.

— გავიგე, ახალ ფილმში გიღებენ. მართალია?

— ბოლივუდიდან შემოქმედებითი ჯგუფი იყო ჩამოსული და მთავარ როლზე შემარჩიეს. მიმაჩნია, რომ ეს ჩემთვის დიდი წარმატებაა.

— გადაღებას როდიდან იწყებენ?

— ოქტომბრიდან. გადაღებები საქართველოში იქნება. პარტნიორობას ინდოელი მსახიობი გამიწევს. ფილმი ინგლისურენოვანი იქნება.

— ინდოელ გოგოს უნდა დაგამსგავსონ?

— მგონი, ეს არც დამჭირდება...

— რას გულისხმობ?

— ერევანში რომ ჩავედი, მითხრეს: ჩვენიანს ჰგავხარო, ინდოელებმა მნახეს და, ინდოელს მიმამსგავსეს, თურქეთში ჩავედი და იქაც, — ჩვენიანს ჰგავხარო... კიდევ ერთ ქართულ ფილმზეა ლაპარაკი, მაგრამ არ ვიცი, რამდენად გამოვა. რეჟისორებს რაღაცების წინასწარ გამხელა არ უყვართ ხოლმე, ამიტომ ჯერ ვერაფერს გეტყვი.

— ამჯერად რა როლს გთავაზობენ?

— სავსებით ნორმალური როლია. მიმაჩნია, რომ გახდა აღარაა საჭირო. გახდამ და ეროტიკულმა როლებმა თავისი მისია უკვე შეასრულა, მეტჯერ საჭირო აღარ არის.

— მაშინ რა მისით იხდიდი?

— რეჟისორებმა ჩათვალეს, რომ ეროტიკული ჟანრის მსახიობი ვარ.

— რატომ?

— ალბათ იმიტომ, რომ კოჭებამდე კაბა არ მაცვია.

— ამან შენს პოპულარობას შეუწყო ხელი, არა?

— ნამდვილად! ჩემი პოპულარობა სწორედ აქედან დაიწყო...

— რომელ ჟანრში ითამაშებდი სიამოვნებით?

— ისტორიული ჟანრი ძალიან მომწონს. თურქეთში ერთ ისტორიულ ფილმში გადამიღეს, სადაც სეფექალს ვთამაშობდი. იმ სამოსში და როლში ჩემი თავი ძალიან მომეწონა. მსახიობი რაც უფრო მეტ ჟანრში მოსინჯავს საკუთარ თავს, მით უკეთესია. ახლახან მქონდა შემოთავაზება, ერთ-ერთ ზღაპარში კუზიანი დედაბრის შვილის როლი უნდა შემესრულებინა. საოცრად დამამახინჯეს: დიდი ცხვირი გამიკეთეს, ტუჩები დამიწვრილეს, დიდი ბეწვიანი ხალი მიმამაგრეს. მოკლედ, საშინელებას ვგავდი, მაგრამ ეს გადასხვაფერება ძალიან მომეწონა. გული დამწყდა, გადაღება რომ გადაიდო.

— შენ ხშირად გიწვევენ ფილმებში მაშინ, როცა ბევრი შენი კოლეგა, შეიძლება შენზე ბევრად ნიჭიერიც კი, როლებით ასე განებივრებული არ არის. ამ ყველაფერს თავად რა ახსნას უძებნი?

— ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება, ისიც იყოს, რომ ყველა რეჟისორს ფილმის კარგად გაყიდვა სურს. თან, არა მგონია, ცუდი მსახიობი ვიყო.

— ეი. მიგაჩნია, რომ შენი სახელი ფილმს კარგად ყიდის?

— რამდენიმე ფილმმა, რომელშიც ვთამაშობ, რეჟისორს მართლა სერიოზული წარმატება მოუტანა. მაგალითად, ასეთებია: „ოცნების ქალაქი“ და „ყველაფერი კარგად იქნება“, ხოლო ფილმი — „უშენოდ მგონი მოკვდები“, რომელშიც პარტნიორობას გიორგი ზანგური და ლევან ხურცია მიწევენ, მოსკოვში საუკეთესო ფილმების ფესტივალზე წარადგინეს. ამ ფილმს არა მხოლოდ მაყურებლის, არამედ კრიტიკოსებისა და ჟურნალისტების დიდი მოწონება ხვდა წილად. მე აქ კომპლიმენტს მიჩვეული არა ვარ, რუსეთში კი კრიტიკოსები მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ, — შენი თამაში მოგვეწონაო. ჰოდა, მათ გაოცებული ვუსმენდი. საქართველოში ხომ ჩვენებამ ისე ჩაიარა, ფილმი ნორმალურად არც კი განხილულა. აქ მხოლოდ შენს ნაკლსა და შეცდომებს ეძებენ.

— ანუ აქ ბოღმიანი ხალხი ცხოვრობს?

— შეიძლება ითქვას, რომ ასეა. საქართველოში, როგორც მსახიობს, კომპლიმენტი არ მიმიღია.

— თეატრში სამუშაოდ არავის მიუწვევიხარ?

— ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი თეატრიდან დამიკავშირდნენ, მაგრამ მაშინ ფილმში მიღებდნენ და საამისოდ დრო არ მქონდა. თან ვიცი, თეატრს თან გადაყოლა უნდა.

— ფილმზე მუშაობას თან გადაყოლა არ უნდა?

— უნდა, მაგრამ უფრო მცირე დროით. არ შემიძლია, თვეების მანძილზე რეპეტიციებზე ვიარო, მიუხედავად იმისა, რომ სცენა ძალიან მიყვარს. იქ სულ სხვა სამყაროა, დარბაზიდან დიდი ენერგია მოდის...

— გადაღებების დროს არაერთი პარტნიორი გყავდა. მათგან საუკეთესოს დასახელება შეგიძლია?

— კონკრეტულად ერთის დასახელება მიჭირს, რადგან ბევრი კარგი პარტნიორი მყოლია. საერთოდ, კარგი მსახიობი ის კი არ არის, ვინც მხოლოდ საკუთარ როლს თამაშობს კარგად, არამედ ის, ვინც ცდილობს, პარტნიორს შეუწყოს ხელი, მას მუშაობა გაუადვილოს.

— ახლა სხვა პარტნიორზეც უნდა გკითხო. რა ხდება დღეს შენს პირად ცხოვრებაში?

— მშვიდობაა (*იცინის*)!

— ეს ძალიან მოკლე პასუხია და არ მივიღებ.

— მნიშვნელოვანი და საინტერესო არაფერი ხდება; ან შეიძლება, სწორედ ის არის მნიშვნელოვანი, რომ არაფერი ხდება.

— დღესდღეობით შორენა ბეგაშვილი მარტოა?

— მარტო — რატომ? შვილი მყავს.

— ალბათ ხვდები, რომელ სიმარტოვეზეც გელაპარაკები...

— ჰო, ვხვდები (*იცინის*)... კარგი, კითხვაზე გიპასუხებ: შორენა მარტოა.

— ცოტა ხნის წინ რუსეთში მცხოვრებ ბიზნესმენთან — მამუკა ფიფიასთან გქონდა რომანი. ერთმანეთს დაშორდით?

— ამ თემაზე ლაპარაკი არ მინდა.

— რატომ? მტკივნეულია?

— არა, პირიქით...

— მაშინ ვილაპარაკოთ.

— არა, არ მინდა.

— მიზეზი რა არის?

— ეს ადამიანი საერთოდ არ მაინტერესებს.

— შეიძლება, დღეს ასე, მაგრამ ცოტა ხნის წინ ამბობდი, — შეყვარებული და ბედნიერი ვარო. რა მოხდა?

— რატომ ცდილობ, ამალაპარაკო?

— იმედგაცრუებული ჩანხარ.

გახდამ და ეროტიკულმა როლებმა თავისი მისია უკვე შეასრულა, მეტჯერ საჭირო აღარ არის

მოგატყუა?

— კი, და მერე იმით დამამშვიდეს, — ასე რომ არ მოქცეულიყო, მეუღლე ფულს აღარ მისცემდაო: როგორც გაირკვა, მეუღლის ფინანსებზე ყოფილა დამოკიდებული. ჩემთვის მისნაირი ადამიანი ძალიან სასაცილოა, მასზე ლაპარაკიც აღარ მიღირს.

— დაცვა მან აგიყვანა?

— კი და სიმართლე გითხრა, ეს დისკომფორტს მიქმნიდა. ჩემი მანქანით სიარული და საჭესთან ჯდომა მენატრებოდა.

— ამბობდნენ, რომ ის შენთვის საგურამოში აგარაკის ყიდვასაც აპირებდა, მაგრამ ვინაიდან ეს აგარაკი დავით ბაგრატიონის სახლის გვერდით იყო, ამ საჩუქარზე უარი თქვი...

— მერწმუნე, ეს სიცრუეა, მაგრამ ჩემზე იმდენ ჭორს ვიგებ, აღარაფერი მიკვირს.

— როგორ ფიქრობ, შენზე ამდენს რატომ ჭორაობენ?

— არ ვიცი. ნათქვამია: კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდებაო, მაგრამ ისეთი რაღაცები მესმის, გაოგნებული ვარ. ჰოდა, ამიტომაც დავიმალე: აღარც ინტერვიუებს ვიძლევი და აღარც ვჩანვარ.

— უმეტეს შემთხვევაში, ჭორაობას მაშინ იწყებენ, როცა კითხვებზე პასუხებს ვერ იღებენ.

— მერწმუნე, ხალხს ნებისმიერ კითხვაზე რომ გავცე პასუხი, მაინც იჭორავებენ, ამის გამოცდილება მაქვს. დარწმუნებული ვარ, ამ სტატიის წაკითხვის შემდეგაც იჭორავებენ.

— **შენი ოჯახის წევრები ჭორებზე როგორ რეაგირებენ?**

— ეს ყველაზე მტკივნეული დედაჩემისთვისაა, მაგრამ არაფერს მაგრძნობინებს. რაც შეეხება ევას, ის თითქმის ყოველთვის ჩემ გვერდითაა და მან ყველაზე კარგად იცის, რა არის სიმართლე და რა — არა.

— **ახალი ურთიერთობის დასაწყებად მზად ხარ?**

— ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებ, რადგან ხვალ რა მოხდება, არ ვიცი.

— **მეუღლე შენთან შერიგებას მართლა ცდილობს?**

— ჩვენ არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს. ბოლოს და ბოლოს, შვილი გვყავს, რომელსაც ერთად ვზრდით. საკმარისია, სადმე ერთად გამოვჩნდეთ, მაშინვე მირეკავენ და მეუბნებიან, — ერთად დაგინახეს. უკვე შერიგდითო?..

— **მე ისიც გავიგე, რომ თქვენი შერიგების წინააღმდეგი შენი ყოფილი დედამთილი ყოფილა.**

— დიდი ხანია, იმ ოჯახთან ურთიერთობა არ მქონია და წარმოდგენა არა მაქვს, იქ ვინ რას ამბობს...

— **დედამთილთან როგორი ურთიერთობა გქონდა?**

— ნორმალური. სხვათა შორის, ჩემი შვილი მათთან ხშირად მიდის, უფრო სწორად, კვირაში რამდენიმე დღეს მამასთან ატარებს.

— **ყოფილი მეუღლე შერიგებას არ გთხოვს?**

— ევამ კარგად იცის, რომ თუ ადამიანთან ურთიერთობას გავწყვეტ, მას გულიდან საბოლოოდ ამოვიგდებ!

— **ხელზე ნაიარევი გაქვს. ეს იმ ავარიის შედეგი ხომ არ არის, რომელშიც ცოტა ხნის წინ მოყევი?**

— არა, ეს ბავშვობიდან მაქვს: პატარა რომ ვიყავი, ადუღებული წყალი გადამესხა და დავიწვი. ავარიაში გაზაფხულზე მოვყევი და ამ ამბავსაც ბევრი ჭორი მოაყოლეს. თქვეს: შორენამ ეს ამბავი გამოიგონა, სინამდვილეში კი პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და სახლში ამიტომაცაა გამოკეტილიო.

— **მაშინ ისიც ითქვა, რომ იარეს დედასთან, რუსთავში იშუშებდი.**

— არა, თბილისში ვიყავი და ჯანაშიას ქუჩაზე ვცხოვრობდი.

— **ახლა სად ცხოვრობ?**

— მოსეშვილის ქუჩაზე გადავედი, რადგან პატრონს ბინა დასჭირდა და იძულებული გავხდი, დამეცალა. მოკლედ, რომ ამბობდნენ, — საყვარელმა ფეშენებელური სახლი უყიდაო, ესეც ტყუილია. მინდა, ჭორიკანები დავამშვიდო: დღემდე ქირით ვცხოვრობ და ბანკი სესხს თუ მომცემს, ბინის შეძენას მალე თავად შევძლებ. ■

თათია სულუაშვილი თეთრი

და შავი ზვიგენების გარემოცვაში

„არგი ცოლი ვარ...“



„კომედი შოუს“ მსახიობი თათია სულუაშვილი, იგივე — ცისმარი იმდენად მოუცლელია, რომ მეგობრებისთვისაც არ რჩება დრო, რის გამოც ხშირად საყვედურობენ. ბავშვის გაჩენის შემდეგ ცდილობს, თითოეული თავისუფალი წუთი შვილს დაუთმოს. უყვარს სიურპრიზები, მინდვრის ყვავილები და უბრალო, არაამბიციური ადამიანები.

ნინო ჯავახიშვილი

— არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ პოპულარობამ ამბიციური და ამპარტავანი გამხადა. ისევ ის თათია ვარ, ვინც ვიყავი, უბრალოდ, ახლა ხალხი მცნობს.

— **და როგორია ისევ ის თათია?**

— ძალიან ჩუმი და წყნარი. არ მიყვარს ამბიციური ადამიანები. მეექვსე კლასში ვიყავი, როცა გოგო პირველად ვცემე. ის ჩემი კლასელი გახლდათ და ჩაგრავდა ბავშვს, რომელსაც ცუდად ეცვა და პუტკუნა იყო.

— **ეი. შენი ფრაზა — „რა იყო, ბიჭოოო“ — შენს ხასიათს შეესაბამება?**

— ქალაბიჭა არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ბიჭებთან უფრო ვმეგობრობდი. ორი დაქალი მყავდა, რომლებსაც ყველა ჩემს საიდუმლოს ვუმხელდი, მაგრამ საერთო ენის გამონახვა საპირისპირო სქესთან უფრო მიადვილდებოდა. შენ წარმოიდგინე, მათთან ერთად ფეხბურთსაც კი ვთამაშობდი... მეგობრების წრეში შეიძლება, „შუტკა“ ისე „გამეხსნას“, ვერ გავჩერდე და ყველა სიცილით დავხოცო, მაგრამ ზოგჯერ, შეიძლება მთელი დღე ისე გავიდეს, ხმაც არ ამოვიღო. არ მიყვარს ხმაურიანი ადგილები, ვერ ვერთობი დისკოთეკაზე. მირჩევნია, მეგობრებთან ერთად, სახლში გავერთო.

— **დასასვენებლად სიონი ამიტომაც შეარჩიე?**

— ასე ბავშვის გამო გადავწყვიტეთ; როცა შვილი გყავს, უკვე იმას ფიქრობ, მისთვის რა ჯობს. ქეთა წლის და ოთხი თვისაა და მასთან ერთად დასასვენებლად პირველად ვიყავით... ქეთას ძალიან უყვარს რუსული სიმღერები, კომპიუტერთან ჯდომა და ჭამა. ახლა ბაგაში მივიყვანეთ. იქ ყოველდღე ტირილით ვტოვებ და მეც ტირილით მოვდივარ, რადგან მეცოდება. ბავშვის გაზრდაში მეუღლე მეხმარება და მგონი, ქეთას ჩემზე მეტად, მამა უყვარს, მთელი დღე „მამას“ გაიძახის. სხვათა შორის, პირველად „პაპა“ თქვა, მერე — „დედა“, შემდეგ — „მამა“. ჰოდა, ფულადი ჯილდოც კი დაიმსახურა.

— **ალბათ პაპისგან, ხომ?**

— რა თქმა უნდა და მერე ბებია ჩამოდიოდა ფსონებს: თუ „ბებიას“ იტყვის, უფრო მეტ თანხას მივცემო. ხან იქიდან ვჩქმიტე შვილს, ხან აქედან, — „ბებია“ თქვი-მეთქი. ბოლოს, როგორც იქნა, თქვა და დანაპირებიც მიიღო (*იცინის*). მოკლედ, გარკვეული თანხა მოვაგროვეთ და შინ დავბრუნდით.

— **რას ერჩი, ჭკვიანი ბავშვი გყოლია.**

— ყველაფერი ესმის, მაგრამ ჯერ ცოტას ლაპარაკობს.

— **მეუღლეზე რას გვეტყვი?**

— ჩემი მეუღლე — ვასიკო შადურიშვილი პროფესიით ეკონომისტია. ის მეგობრის დაბადების დღეზე გავიცანი. 12 წელი ვენაში ცხოვრობდა და აქ ცოტა ხნით იყო ჩამოსული. უკან დაბრუნებას აპირებდა, როცა ერთმანეთი აღმოვაჩინეთ და კაცს ვენაში წასვლა გადავაფიქრებინე. ასე დარჩა თბილისში, გლდანში...

— **ეს რა გიქნია...**

— (*მაწყვეტინებს*) აბა, დავლუპე კაცი!

რომ სცოდნოდა, რაც ელოდა, აქ ჩამოვიდოდა? ახლა ვენაში წასვლა რომ გადაწყვიტოს, მეც გავყვები. ალბათ სხვა ქვეყანაში ცხოვრება ძალიან გამიჭირდება, მაგრამ მეუღლისა და ბავშვის გარეშე ერთ კვირასაც ვერ გავძლებ. ისე კი, ყველაფერს მირჩევნია, ოჯახთან ერთად ჩემს ქვეყანაში, ტკბილად ვიცხოვრო.

— დედობა არაჩვეულებრივი რამ ყოფილაო, — მითხარი. ალბათ კიდევ ბევრ შვილს გააჩენ...

— ქეთა რომ მეყოლა, პირველად ვუთხარი: შენ გენაცვალოს დეიდა-მეთქი ანუ გააზრებული არ მქონდა, რა იყო დედობა. პირადად მე, ორი და ერთი ძმა მყავს და ვიცი, რა დიდი ბედნიერება და კომფორტია, როცა ჭირსა თუ ლხინში ამდენი და-ძმა გიდგას გვერდით. ყოველთვის მინდოდა, თავადაც ოთხი შვილი მყოლოდა, მაგრამ მას მერე, რაც ქეთო გაჩნდა, გადავიფიქრე — შვილებს გაზრდით როგორ ვერ გავზრდი, მათ ღამეებსაც გავუთენებ, სითბოს არც ერთს არ მოვაკლებ, მაგრამ თურმე ბავშვს უფრო მეტი რამ სჭირდება. ჰოდა, ამიტომაც, ჯერჯერობით მხოლოდ ორი შვილის ყოლა მაქვს გადაწყვეტილი. ყველაფერი ღმერთის ნებაა, ვნახოთ, რა მოხდება.

— ზოგჯერ ემოციების გამოხატვა მიჭირსო, — მითხარი. მეუღლესთან ურთიერთობაშიც თავშეკავებული ხარ?

— მეუღლის მიმართ — არა, უფრო ქეთას მიმართ მიჭირდა გრძნობების გამოხატვა, მაგრამ მერე დედობას შევეჩვიე...

— ვიდრე „კომედი შოუში“ დაიწყებდი მუშაობას, რას საქმიანობდი?

— მშობლებს არ უნდოდათ, მსახიობი გამოვსულიყავი და იძულებით ჩამაბარებინეს ეკონომიკურ-ინფორმაციულ ფაკულტეტზე. მათემატიკისგან ძალიან შორს ვიყავი და ვიტანჯებოდი, ლექციებზე არც კი დავდიოდი. გადავწყვიტე, მშობლებისგან მალულად, თეატრალურ უნივერსიტეტშიც მეცადა ბედი. გამოცდები წარმატებით ჩავაბარე და როცა ეს ამბავი ჩემებს შევატყობინე, თეატრალურიდან სულ თრევა-თრევით წამომიყვანეს, თან მემუქრებოდნენ: დაიცადე, ჯერ სახლში მიგიყვანოთ, მერე ნახავ რაც მოგივაო!.. მიუხედავად მშობლების წინააღმდეგობისა, თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლა არ შემიწყვეტია. ახლა მართალია, თეატრში არ ვმუშაობ, მაგრამ ოცნება „კომედი შოუს“ წყალობით ავიხდინე — მსახიობი ვარ!.. ბიჭებთან სკოლის პერიოდშივე ვმეგობრობდი. ერთხელაც, ვანო ჯავახიშვილმა დამირეკა და კასტინგზე მისვლა მთხოვა. ჰოდა, მას შემდეგ ერთად ვართ.

— ცისმარი როგორ გახდი?

— ცისმარი და ნიკოლოზი შემთხვევით აღმოვაჩინეთ. ერთ-ერთ სკეტჩში, რომელშიც მე ჩემი „შუტკები“ მქონდა და ნიკას — თავისი, რატომღაც მომინდა, ნიკას გავარშიყებოდი, მან კი მითხრა: გადი, ქალო, აქედან, ნუ მაწუხებო. ნიკოლოოოზ, — რატომღაც სახელით მივმართე. ჰოდა, ასე დაუგეგმავად გაჩნდა ეს ორი ტიპაჟი. რაც შეეხება თეთრ ზვიგენს, ამაზე უკვე „შუტკები“ დაიწერა.

— შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი ქალი ხარ, ვისაც ერთდროულად, ორი ქმარი ჰყავს...

— რა მეთქმის, ასეა... უახლოეს „კომედი შოუში“ ნახავთ, ცისმარი ნიკოლოზს რა დღეშიც ჩააგდებს...

— ჩაწერისას ალბათ, ბევრი სახალისო რამ ხდება, არა?

— ფეხმძიმედ რომ ვიყავი, ვითხოვე, — დიდი ზომის კაბა მომიტანეთ, მუცელზე რომ შემეკრას-მეთქი. მომიტანეს ხუთი ზომით დიდი კაბა, რომელიც ქინძისთავით დავიმაგრე. შუა გადაღების დროს, კაბა თურმე, ნელ-ნელა ჩამძვრა. ნიკა რაღაცას კი მანიშნებდა, მაგრამ ვერაფერს მივხვდი და ვეჩხუბებოდი: რა გინდა, ნიკოლოზ, თავი დამანებე-მეთქი. კიდევ კარგი, კაბა შარვალზე მქონდა გადაცმული, თორემ ხალხის წინაშე მომეჭრებოდა თავი (*იცინის*)...

— როგორი დედამთილ-მამამთილი გყავს?

— მამამთილი არ მყავს, დედამთილი კი ახალგაზრდა და ძალიან კარგი ქალია. ჩვენ ერთად ვცხოვრობთ და ბავშვის გაზრდაშიც მეხმარება.

— მეუღლეს შენი სამსახური მოსწონს?

— მან იცოდა, სადაც ვმუშაობდი ანუ გააზრებული ჰქონდა, რომ ცოლად მსახიობი მოჰყავდა. ეჭვიანი არ არის და მასზე არც მე ვეჭვიანობ. სხვათა შორის, გაცნობის პერიოდში ყველაფერში გამოვცადე. ქალმა უნდა იცოდეს, მის მომავალ მეორე ნახევარს როგორი ხასიათი აქვს სიმთვრალეში, ეჭვიანია თუ არა და ა.შ.

— როგორ გამოცადე?

— რამდენჯერმე, როცა ჩემს ოჯახში მოვიდა, მამაჩემთან ერთად დალია. თავიდან ორი ჭიქა შევაპარე, მერე — მესამე, მეოთხე, მეხუთე. მოკლედ, აღმოჩნდა, რომ სიმთვრალეშიც კარგი ხასიათი ჰქონდა...

— მოკლედ, აიტანა სასმელი და გამოცდაც ჩააბარა, არა?

— ჩააბარა და თანაც, ფრიადზე... მაშინ გავიფიქრე, — ეს კაცი ნამდვილად გამომადგება-მეთქი. ზოგი სიმთვრალეში ძალიან „ჭედავს“ და ამას ვერ ავიტანდი. მას რომ ჰკითხო, კარგი ცოლი ვარ, რადგან ყველაფერს ვასწრებ — სახლის დალაგებას, სადილების მომზადებას. გურმანი ვარ და სამზარეულოში ფუსფუსი მიყვარს.

— საინტერესოა, უცნობი ადამიანები როგორ გხვდებიან?

— დამინახავენ თუ არა, ცისმარის ფრაზებს იმეორებენ, ხშირად კი იმასაც მეკითხებიან, — ნიკოლოზი სად გყავს, შენი თეთრი ზვიგენი სად არისო? — მე სად უნდა მყავდეს? მას თავის მეუღლეს ჰყავს, ჩემთან რა უნდა-მეთქი? მერე ვასიკოზე მეკითხებიან, — შენი შავი ზვიგენი სად არისო? ხალხი ჩემ მიმართ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავს, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი. ერთხელ რესტორანში ვიყავით, როცა ერთი კახელი კაცი მოვიდა და ვასიკოს უთხრა: თქვენი მეუღლე ისე მიყვარს, ისე მიყვარს... იქნებ ჩემთან, კახეთში გამოუშვათ, პატივი მინდა ვცე. ოღონდ გამოუშვით და ყველაფერი ჩემზე იყოსო. ვასიკომ სიცილით უპასუხა, — თქვენ მარტო დრო მითხარით, როდის გამოვუშვაო...

— კახეთშიც დაპატიჟებული ყოფილხარ და აბა, შენ იცი, არ გაანაწყენო ჩემებურები...

■

დამინახავენ თუ არა, ცისმარის ფრაზებს იმეორებენ, ხშირად კი იმასაც მეკითხებიან, — ნიკოლოზი სად გყავს, შენი თეთრი ზვიგენი სად არისო?

რატომ მიიჩნია პატრულმა ბაჩო ჩაჩიბაია საეჭვო პიროვნებად

„ჩვენ ყველანი თოჯინები ვართ“

მსახიობი ბაჩო ჩაჩიბაია პირველად გოშა გორგოშიძის „სტუმარში“ ვნახე, სადაც ის ზიგმუნდ ფროიდს ასახიერებდა. სპექტაკლით ისე მოვიხიბლე, რომ რამდენჯერმე დავესწარი და სიმართლე გითხრათ, ფროიდის მიმართ ჩემი ანტიპათიაც სადღაც გაქრა... ბოლოს ბაჩო სცენაზე ბათუმში, გახმაურებულ „ქეთო და კოტეში“ ვნახე, სადაც მსახიობი თვით ნინო ანანიაშვილის პარტნიორი გახლდათ.

ნატა კობიძე



— სპექტაკლში — „სტუმარი“ — 85 წლის მოხუცად მოგვევლინეთ, ეს როლი არაჩვეულებრივად მოირგეთ...

— მინდა აღვნიშნო, რომ ერიკ ემანუელ შმიტის ეს პიესა მართლაც, საოცარია. პირადად მე, „სტუმარის“ წაკითხვის შემდეგ რამდენიმე წლით გავიზარდე. ფროიდის შესახებ მანამდეც მქონდა წაკითხული, მაგრამ სპექტაკლზე მუშაობამ ამ პიროვნების მიმართ ჩემი დამოკიდებულება სრულიად შეცვალა. როცა როლზე დამამტკიცეს, ბევრი ვიფიქრე, თუ როგორ უნდა მეთამაშა 27 წლის კაცს 85 წლის მოხუცის როლი, ამის მეშინოდა კიდეც და ამიტომ მივიღე ორიგინალური გადაწყვეტილება: სპექტაკლის დაწყების წინ სცენაზე გავედი როგორც მსახიობი ბაჩო ჩაჩიბაია, შემდეგ შევტრიალდი და გრიმის გარეშე, მაყურებლის თვალწინ „დავბერდი“. ასევე მოვიქეცი ფინალშიც ანუ სცენიდან გავედი არა როგორც ფროიდი, არამედ — როგორც ბაჩო ჩაჩიბაია. როლზე მუშაობისას უამრავი ფოტო და ვიდეომასალა ვნახე, რათა კარგად შემესწავლა ფროიდის პიროვნება. არსებობს კადრი, სადაც მას ხელჯოხი უჭირავს და ძლივს შესამჩნევად კოჭლობს. ეს კადრი კარგად დამამახსოვრდა და მეც მივბაძე. სპექტაკლის შემდეგ ბევრი მეუბნებოდა, — ფროიდს ძალიან ჰგავხარო, ეს კი ჩემთვის ყველაზე დიდი კომპლიმენტია.

— „ქეთო და კოტეში“ ვინ მიგიწვიათ?

— ჩემმა მეგობარმა, ქორეოგრაფმა კოტე ფურცელაძემ, რომელსაც ცეკვის თეატრი აქვს. მან ჩემი მონაცემები დიდი ხნის წინ მოიწონა და თავის დასში მიმიწვია... უდიდესი სიამოვნება იყო სცენაზე ისეთ ცნობილ ადამიანებთან ერთად დგომა, როგორებიც ნინო ანანიაშვილი, ნანი ბრეგვაძე, პაატა ბურჭულაძე და ლადო ათანელი არიან. როცა მითხრეს, ნინოსთან ერთად უნდა იცეკვოო, გავოგნდი. ის ნამდვილი პროფესიონალი, ძალზე მოქნილი და საოცრად მსუბუქი ადამიანია. მან რამდენიმე ილეთი მასწავლა და კომპლიმენტიც მითხრა: — ძალიან კარგად ცეკვავთო. საოცარი პიროვნებაა. თქვენ წარმოიდგინეთ, რეპეტიციამდე ერთი საათით ადრე მოვიდა და მამეცადინა. ეს ჩემთვის დაუვიწყარი მასტერკლასი იყო...

— როგორ ფიქრობთ — „ქეთო და კოტე“ წარმატებული სპექტაკლია?

— ძნელია იმ სპექტაკლზე ლაპარაკი, რომელშიც მონაწილეობ. ერთადერთი, რასაც ვხედავდი, გადაჭედილი დარბაზი და უწყვეტი ტაში იყო, რაც თავისთავად, სპექტაკლის წარმატებაზე მეტყველებს...

— „სტუმარ-მასპინძელშიც“ მონაწილეობთ. ჯოყოლას განსახიერება ხომ არ გაგიჭირდათ?

— სულაც არა! ჩემთვის ვაჟა-ფშაველა ყველაზე დიდი მწერალია და ამ სპექტაკლის შემდეგ კიდევ უფრო მეტად შემიყვარდა. ვაჟა „კოსმოსური“ მწერალია — ანუ ჩემი აზრით, გალაკტიონი ცაშია, ის კი კოსმოსში გახლავთ. ორივეზე ვგიჟდები, მათი ლექსები ჯიბით დამაქვს.

— ხშირად მსახიობები სერიალში მონაწილეობაზე უარს ამბობენ. თქვენთვის, პოპულარულ სერიალში — „გოგონა გარეუბნიდან“ — მონაწილეობა რამდენად საინტერესო იყო?

— თავიდან ამ სერიალში ერთ-ერთ მთავარ როლზე დამამტკიცეს, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან შემოთავაზებული გასამრჯელო თეატრიდან შორს ყოფნად არ მიღირდა. მერწმუნე, სცენაზე დგომა სულ სხვა სიამოვნებაა, თეატრში მყოფს ყოფითი პრობლემები მავიწყდება.

— ასეთი ყოფითი პრობლემები მსახიობებს მრავლად გაქვთ?

— სამწუხაროდ, კი... მსახიობს იმდენი ფული მაინც უნდა ჰქონდეს, რომ სცენაზე მყოფი შუქისა და ნაგვის გადასახადზე არ ფიქრობდეს. ხშირად სწორედ ამ პრობლემების გამო გვიხდება რეკლამებსა თუ იაფფასიან სერიალებში მონაწილეობა.

— პოპულარობა გხიბლავთ?

— საკუთარი თავის ზედმეტად წარმოჩენა არასდროს მიცდია. მირჩევნია, კარგი და თუნდაც — მეორეხარისხოვანი როლი ვითამაშო, ვიდრე მდარე და ისეთი, რომელიც პოპულარობას იოლად მომიტანს. საქართველოში ძალიან მარტივია, გახდე „ცნობადი სახე“, მაგრამ შედეგი?..

— ბაჩო, რუსთაველის თეატრში ვინ მიგიწვიათ?

— სტუდენტობის დროს ვთამაშობდი სპექტაკლში — „მონადირე“, რომელიც ჩემმა პედაგოგებმა: გიორგი შალუტაშვილმა და ალეკო მახარობლიშვილმა დადგეს. ეს სპექტაკლი საკმაოდ პოპულარული გახდა და ამიტომაც, სულ მალე „თავისუფალ თეატრში“ გადაიტანეს, ოღონდ სახელი შეუცვალეს — „იხვებზე მონადირე“ დაარქვეს. იმ პერიოდში რუსთაველის თეატრში კასტინგი ტარდებოდა. ჩვენს სპექტაკლს რობერტ სტურუა დაესწრო. მეორე დღეს დამირეკეს: რუსთაველის თეატრში აგიყვანეს, გილოცავთო. ვერ გეტყვით, რა დამემართა — რამდენიმე წუთი გაშეშებული ვიდექი, ხმას ვერ ვიღებდი. დედამ მითხრა, — ფერი დაკარგეო... ჩემთან ერთად მაშინ ეკა მოლოდინაშვილი, ქეთი ხიტირი, გოგა ბარბაქაძე, ზურა ინგოროყვა, გიორგი ყიფშიძე და რამდენიმე ახალგაზრდა მსახიობი აიყვანეს.

— დღეს რუსთაველის თეატრში როგორი სიტუაციაა?

— დღესდღეობით თეატრში არსებულ სიტუაციას „გონზაგოს მკვლელობას“ შევადარებდი, რომელშიც მოქმედება ასე ვითარდება: მსახიობები შემოდიან და თამაშობენ „ჰამლეტს“, რის გამოც მათ ციხეში გამოამწყვდევენ და სიკვდილს მიუსჯიან. რატომ? იმიტომ, რომ მათ მეფე მოკლეს. ამის შემდეგ შემოდის ერთ-ერთი გმირი და ამბობს: ყველაფერი შეიცვალა, მოკვდა დედოფალი, მოკვდა მეფე და თვით ჰამლეტიც; დაინიშნა ახალი მმართველი, რომელიც ბრძანებას გასცემს, რომ მსახიობები შეწყალებულ იქნან. დასკვნა: ჩვენ თოკზე შებმული თოჯინები ვართ და ვრჩებით ჰაერში გამოკიდებულნი — ანუ შექსპირის სიტყვებით რომ ვთქვათ: თეატრი არის სამყარო, ჩვენ კი ყველანი თოჯინები ვართ.

— თუმცა ზოგჯერ თვით თეატრის ხელმძღვანელებიც აქცევენ თავიანთ მსახიობებს თოჯინებად...

— ჩვენ რეჟისორს ვემორჩილებით, მაგრამ პარალელურად ვაკეთებთ იმას, რაც გვსურს. თეატრი ცოცხალი ორგანიზმია და სწორედ ამით განსხვავდება კინოხელოვნებისგან, სადაც გადაღების შემდეგ ვერაფერს შეცვლი. როცა „თავისუფალ თეატრში“ ვთამაშობდი, ერთ-ერთ სპექტაკლში ასეთი სცენა მქონდა: მეგობარს მოჰქონდა მამის გამოგზავნილი წერილი, რომელიც ხმამაღლა უნდა წამეკითხა. როცა პარტნიორი გრაგნილით ხელში მომიახლოვდა, გაეღიმა. მივხვდი, რაღაცას მიმზადებდა. წერილს თვალი გადავავლე და იქ ისეთი რამ ეწერა, ღამის ხმამაღლა გავიცინე, მაგრამ არ დავბნეულვარ: პარტნიორს გადავხედე და ვუთხარი, — „ეს რა მოუწერია მამაჩემს! გსურს, ყველაფერი ხმამაღლა წავიკითხო?“ მას სიცილი აუტყდა და მაგიდის ქვეშ შეძვრა. მაყურებელი ვერაფერს მიხვდა, რადგან ჩვენ თითოეულ ნაბიჯსა თუ სიტყვას გამართლება მოვუძებნეთ. სცენაზე ზოგჯერ ხდება ასეთი რამ, მაგრამ მსახიობი არ უნდა დაიბნეს.


სცენაზე დგომა სულ სხვა სიამოვნებაა, თეატრში მყოფს ყოფითი პრობლემები მავიწყდება

— ერთგული მაყურებელი გყავთ?

— ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დედას აზრია. მას უყვარს თეატრი და წლების მანძილზე ერთგულ მაყურებლად რჩება... ვფიქრობ, მსახიობი თვითკმაყოფილებას არ უნდა განიცდიდეს. თუ დაიჯერე, რომ ძალიან მაგარი ხარ, მაშინ აუცილებლად ცუდად ითამაშებ! მსახიობმა მუდმივად უნდა აკონტროლოს საკუთარი თავი და ყოველი სპექტაკლის შემდეგ გაიზარდოს. ამას წინათ ქუჩაში პატრულმა გამაჩერა, — საეჭვო გარეგნობა გაქვსო. თავიდან ვერ მივხვდი, რას მერჩოდნენ, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ „სტუმარ-მასპინძლის“ პრემიერა ახლოვდებოდა, სადაც ჯოყოლას როლს ვთამაშობ და იმ პერიოდში ჩემი მზერა მართლაც მკაცრი იყო, რადგან ქვეცნობიერად ამ გმირზე ვფიქრობდი...


ბევრი ვიფიქრე, თუ როგორ უნდა მეთამაშა 27 წლის კაცს 85 წლის მოხუცის როლი, ამის მეშინოდა კიდეც

— ქუჩაში გცნობენ?

— რა თქმა უნდა. ბევრი მიღიმის, ბევრი კი მთხოვს, მასთან ერთად სურათი გადავიღო. ვერ გეტყვით, პოპულარობა სერიალმა მომიტანა თუ თეატრმა. ალბათ უმრავლესობა მაინც სერიალიდან მიცნობს. ისე, ამას წინათ ბარში ვიჯექი, როცა ახალგაზრდა წყვილი მომიახლოვდა; მითხრეს: ძალიან მოგვწონს ის სპექტაკლები, რომლებშიც თამაშობთო. გამიხარდა, რომ თეატრში 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდებიც დადიან. ერთ კურიოზსაც მოგიყვებით: სამარშრუტო ტაქსით ვმგზავრობდი, ფანჯარაში ვიყურებოდი და ვგრძნობდი, რომ გვერდით მჯდომი ქალი თვალს არ მაშორებდა. თავი უხერხულად ვიგრძენი და ვუთხარი: თქვენი ჩანთიდან არაფრის ამოღებას არ ვაპირებ-მეთქი. მიპასუხა, — არა, ბაჩო, მე ვიცი, რომ მსახიობი ხარ და შენი როლები ძალიან მომწონსო.

— გასულ ზაფხულს რუსთაველის თეატრს სვანეთში ჰქონდა გასტროლი. როგორ შეგხვდათ იქაური მაყურებელი?

— სვანეთში „გონზაგოს მკვლელობა“ წავიღეთ. გაოგნებული დავრჩი მაყურებლის დახვეწილობით, გულთბილობითა და უდიდესი სიყვარულით თეატრის მიმართ. მსგავსი ღიმილით, სითბოთი არსად შეგვხვედრიან. ქუჩაში ყველა გვცნობდა და გვესალმებოდა, კომპლიმენტებს გვეუბნებოდა.

— თავად როგორი მაყურებელი ხართ?

— ლმობიერი. ნანახში არასდროს ვეძებ მინუსს, პირიქით — სულ დადებითის ძიებაში ვარ. ყოველგვარი ნოვაციის მომხრე გახლავართ, ოღონდ სიახლე გამაღიზიანებელი არ უნდა იყოს. სტურუას „დარისპანი“ რომ ვნახე, სადაც სცენაზე ავტომობილი შემოდის, გაოცებული კი არ დავრჩი, არამედ ეს ამბავი ჩვეულებრივად მივიღე, რადგან ყველაფერი ლოგიკურად მოხდა. საქმის ასე გაკეთება კი მხოლოდ დიდ რეჟისორებს შეუძლიათ. თეატრი ხელოვნებაა, თანაც — ძალიან მაღალესთეტიკური; მას სიყვარულით უნდა მივუდგეთ და არა — ზიზღით. აგვისტოს ომის შემდეგ რამდენიმე მსახიობი ლამისყანაში მიგვავლინეს, რათა იქაურ ბავშვებს ომისგან მიყენებული სტრესის მოხსნაში დავხმარებოდით. ისინი იმდენად იყვნენ დათრგუნვილები, რომ ასანთის ანთებაზეც კი თრთოდნენ. მათთან დაახლოებით ერთი თვე ვიყავით, ლექსებს, ხატვას, მსახიობობას ვასწავლიდით და თანდათან, მათ სახეზე ღიმილი გაჩნდა. თუ თავიდან ტანკებს ხატავდნენ, რომლებიც მათ სახლებს ბომბავდა, ბოლოს ეზოში მოსეირნე ბავშვებისა და ყვავილების ხატვა დაიწყეს. მოკლედ, პატარებმა სტრესი სწორედ თეატრის წყალობით დაძლიეს. ■

ვინ აკონტროლებდა ნინო ნადირაძეს

„დიქტატურაში ცხოვრება მაიძულებდა, ტყუილი მეთქვა"

ამბობს, რომ ექიმობა ადრეულ ასაკში გადაწყვიტა. უყვარს, როცა სხვებს ეხმარება და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ადამიანი შრომას არ უფასებს, ექიმი-კარდიოლოგი ნინო ნადირაძე მაინც ცდილობს, მათ სიკეთე გაუკეთოს, რადგან მიაჩნია, რომ ეს მისი ამქვეყნიური მოვალეობაა.

ნინო მჭედლიშვილი

— უმკაცრესი მშობლები მყავდა, უფრო სწორად, მამა იყო ძალიან მკაცრი. მართალია, საოცრად მანებივრებდნენ, მაგრამ მთხოვდნენ, რაც შეიძლება მეტი მესწავლა. 9 საათი შესრულდებოდა თუ არა, მე და ჩემი და საძინებელ ოთახში შევდიოდით. ეზოშიც ყოველთვის მოზომილად, ერთი საათით ჩავდიოდით. მოკლედ, დიდი მეთვალყურეობის ქვეშ ვიყავით და ალბათ ამიტომაც, საოცარი პასუხისმგებლობის გრძნობა ჩამომიყალიბდა. დღემდე მგონია, რომ მთელი საყაროს ვალი მაქვს.

— ასეთმა აღზრდამ შენზე კარგად იმოქმედა?

— ცოტა მეტი თავისუფლება რომ მოეცათ, შეიძლება ცხოვრებაში უფრო მეტისთვის მიმეღწია. ჩემთვის ბევრი რამ ტაბუდადებული იყო და შესაბამისად, კომპლექსებიც მქონდა.

— მაინც, რა იყო შენთვის ტაბუდადებული?

— მაგალითად, მამამ არ მომცა უფლება, ღამღამობით ექთანად ან სანიტრად მემუშავა, არადა, პრაქტიკანტს ეს ძალიან მჭირდებოდა. ამ ყველაფრის გამო შინაგანი თავისუფლება მაკლია. შენ წარმოიდგინე, ახლაც კი, როცა საზღვარგარეთ ან სულაც, რესტორანში მივდივარ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მეუღლეც მახლდეს, გამუდმებით მაქვს განცდა, რომ სახლში მაგვიანდება.

— მამა დღემდე გაკონტროლებს?

— მამა ცოცხალი აღარ არის, 11 ივლისს გარდაიცვალა. ეს უზარმაზარი დანაკარგია ჩემთვის. ის გახლდათ ადამიანი, რომელიც არასდროს იტყუებოდა, არ პირფერობდა. მასში ვხედავდი უზარმაზარ ვაჟკაცობას, არნახულ ინტელექტს, უკიდეგანო სიყვარულს შვილების, ოჯახის მიმართ. ის იყო ერთადერთი მამაკაცი, რომელსაც ბოლომდე ვენდობოდი და უზარმაზარ პატივს ვცემდი.

— მამას ტყუილი არასდროს უთქვამსო, — მითხარი. თავად ხშირად იტყუები?

— დიქტატურაში ცხოვრება მაიძულებდა, პატარ-პატარა ტყუილები მეთქვა. სხვათა შორის, მამას რიდი დღემდე მაქვს. მას სიზმარში ხშირად ვხედავ და მეშინია, ისეთი არაფერი გავაკეთო, რაც არ მოეწონებოდა. ცოცხალი რომ იყო, მე და ჩემმა დამ ის მაინც ვიცოდით, სად იყო და ჩვენ მიერ გადადგმულ ამა თუ იმ ნაბიჯს დაინახავდა თუ არა, ახლა კი გვგონია, ყველაფერს ხედავს (*იცინის*).

— ნინო, როცა შენს ხასიათზე გეკითხებიან, პირველ რიგში რომელი თვისება გახსენდება?

— ძალიან პირდაპირი ვარ. ჩემთვის უცხოა შური. სულ მინდა, ადამიანებს რაღაც კარგი გავუკეთო და დედამიწაზე ჩემს არსებობას თითქოს ამით ვამართლებ — მანამ უნდა ვიცხოვრო, სანამ ადამიანებს ვჭირდები. მომწონს, როცა ვმუშაობ და სიმართლე გითხრათ, დასასვენებლად წასვლაც არ მიყვარს. წელს მგონი, პირველი შემთხვევა იყო, როცა დაახლოებით ერთი კვირა არც მუშაობის თავი მქონდა და არც სხვებზე ზრუნვის. მამის გარდაცვალებამ ჩემზე ძალიან იმოქმედა და დასასვენებლად ბათუმში წავედი.

— სულსწრაფი ხარ?

— ადრე, როცა შედარებით ახალგაზრდა ვიყავი, სულსწრაფობა ნამდვილად მახასიათებდა, ყველაფერი დღეს მინდოდა და არა — ხვალ. ახლა, ასაკის მატებასთან ერთად მივხვდი, რომ სულსწრაფობით არაფერი გამოვა და მომთმენი გავხდი.

— მაღაზიაში ლამაზი ტანსაცმელი რომ ნახო, მოთმინებით დაელოდები, როდის აიღებ ხელფასს, რათა სასურველი სამოსი შეიძინო?

— წლების წინ, სანამ იმ სასურველ კაბასა თუ შარვალს შინ არ წამოვიღებდი, ნამდვილად არ დამეძინებოდა, ახლა კი ვფიქრობ, — თუ ჩემი ბედია, არ გაიყიდება-მეთქი. მოკლედ, დავრწმუნდი, რომ ასაკის მატება ადამიანს ძალიან ცვლის.

— ქალის ნათქვამი კომპლიმენტის ყოველთვის გჯერა?

— არა. საზოგადოება, რომელშიც ვტრიალებ, ჭრელია. ბევრჯერ, ჩემ თვალწინ ერთს მეორისთვის საოცარი კომპლიმენტი უთქვამს, მაგრამ ზურგს უკან დაუცინია, გაულანძღია. აქედან გამოდინარე, კომპლიმენტების ნაკლებად მჯერა. ხშირად ქათინაურს ზრდილობისთვის (ასე მეც მოვქცეულვარ) ან იმ შემთხვევაში ამბობენ, როცა

მართალია, ის ქირურგია, მე კი კარდიოლოგი, მაგრამ ზუსტად ვიცი, როგორი მძიმე სამუშაო აქვს

შენგან რაღაც სჭირდებათ. პირადად მე, თუ ვიღაცის ჩაცმულობით, სილამაზით მართლა აღვფრთოვანდები, ამას ვერ დავმალავ, მაგრამ სიტყვების უაზრო რახა-რუხიც არ მიყვარს. მამაჩემის შვილი ვარ და ზედმეტობას ვერიდები!

— **როგორი ქათინაური უფრო სასიამოვნოა შენთვის: როცა გეუბნებიან, რომ კარგად გამოიყურები თუ როცა შენ მიერ კარგად შესრულებულ სამუშაოს უსვამენ ხაზს?**

— სკოლაშიც, უმაღლეს სასწავლებელშიც და სამსახურშიც ყველაფერს ფრიადზე ვაკეთებდი, ყოველთვის საქმისა და სწავლის „მსხვერპლი“ ვიყავი, ახლა კი ვცდილობ, ჩემი განათლება და ინტელექტი ქალურობითა და ზედაპირულობით გადავფარო. აღარ მინდა, ჩემზე თქვან: დედა, რა ჭკვიანია, რა ნიჭიერიაო, რადგანაც ეს ფრაზები ბავშვობიდანვე მესმის. ახლა მსურს ყველამ აღნიშნოს: ვაიმე, როგორი ლამაზიაო!

— **მეგობრები რას გსაყვედურობენ ხოლმე?**

— მაფრთხილებენ: ზედმეტს ნურავის ნურაფერს გაუკეთებ, მადლობას არავინ გეტყვისო. ცდილობენ, ამ მხრივ დამამუხრუჭებინონ, მაგრამ არ გამოსდით — ადამიანების პატივისცემას ჩუმ-ჩუმად, მაგრამ მაინც ვახერხებ.

— **როგორი ცოლია ნინო — ეჭვიანი, პრეტენზიული თუ...**

— საკმაოდ ჭკვიანი ვარ და ვიცი, როდის უნდა ვიეჭვიანო. ეჭვიანობა ისეთი საშინელი გრძნობაა, რომელიც შენვე შეგჭამს და დაგანაოჭებს. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ეს გრძნობა საერთოდ არ აქვს, მაგრამ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. როგორი ცოლი ვარ? — მხარში ამოდგომა შემიძლია, საღი აზრების მიმწოდებელი ვარ...

— **ოჯახში დომინანტობის სურვილი გქონია?**

— არასდროს გამჩენია სურვილი, ვინმეზე მებატონა. მგონი, პირველობა ბავშვობის მერე შემძულდა. ასაკის მატებასთან ერთად მიმძაფრდება სურვილი იმისა, რომ ვიყო სუსტი ქალი, რომელსაც ხელისგულზე ატარებენ.

— **შეიძლება ითქვას, რომ მეუღლე ნინოს ხელისგულზე ატარებს?**

— მთლად ხელისგულზე ვერა, მაგრამ ამას ცდილობს, ნამდვილად ცდილობს!

— **როგორი დიასახლისი ხარ?**

— სანამ მეორე შვილი გამიჩნდებოდა, სამზარეულოში თავგამოდებით ვფუსფუსებდი, დღეში სამნაირ კერძს ვამზადებდი. მინდოდა ყოფილიყავი კარგი დედა, კარგი დიასახლისი, კარგი ცოლი, კარგი რძალი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ... დაეტიე, რა, შენთვის, ვის რას უმტკიცებ? თან, ის დრო ახლა აღარავის ახსოვს. ამას წინათ კატლეტი მოვამზადე და ჩემი უფროსი შვილი მეუბნება: — დედა, შენ კატლეტების მომზადება გცოდნია და თანაც, როგორი გემრიელისო. აღარ ახსოვს, ადრე რას ვაკეთებდი, ეს კი გულსატკენია... ახლა ორ სამსახურში ვმუშაობ და საოჯახო საქმეებისთვის დრო ნაკლებად მრჩება.

— **საინტერესოა, თავად თუ აფასებ მამაკაცის შრომას?**

— მე და გუგა ერთ სფეროში ვმუშაობთ. მართალია, ის ქირურგია, მე კი კარდიოლოგი, მაგრამ ზუსტად ვიცი, როგორი მძიმე სამუშაო აქვს.

— **და ცდილობ, ქმარს შრომა შეუმსუბუქო?**

— ამას ალბათ, იმით ვახერხებ, რომ ზედმეტი შეკითხვებით ტვინს არ ვუჭამ, არ ვარ კონფლიქტური. ადამიანმა ძალიან უნდა მოინდომოს, რომ გამანაწყენოს.

— **შენთვის როგორია კომფორტული გარემო?**

— ძალიან მიყვარს ჩემი სახლი და სადაც უნდა წავიდე, მეგობრებთან იქნება თუ ქალაქგარეთ, შემიძლია მაქსიმუმ, 2 საათი გავჩერდე, მერე კი შინისკენ გამოვრბივარ. მოკლედ, სახლში ყოფნა ყველაფერს მირჩევნია.

— **„ტუსოვკები“ და „ფეშენ“-ღონისძიებები აღარ გიზიდავს?**

— ამისთანა ადგილებში სიარულიც აღარ მხიბლავს. „ტუსოვკებზე“ მხოლოდ იმისთვის მივდივარ, რომ მეგობრები ვნახო.

— **როგორც ვიცი, გუგას ხინკალი ძალიან უყვარს. სახინკლეში ხშირად დადიხართ?**

— არა, გუგას გარშემო ჰყავს ისეთი ადამიანები, რომლებთან ერთადაც რეგულარულად აწყობს „ხინკალო-თერაპიას“.

— **მიამიტი ხარ?**

— მე რომ დავიბადე, მიამიტობას ეძინა (*ილიმის*).

— **როგორი დედა ხარ?**

— ვფიქრობ, რომ კარგი დედა ვარ: ყურადღებიანი, თბილი, მაგრამ ამავდროულად — მკაცრიც. შვილები ჩემს ნათქვამს უსიტყვოდ ასრულებენ. მათთან ხმამაღალი ლაპარაკი და სადამსჯელო ღონისძიებების ჩატარება არ მიწევს. მოკლედ, შვილებს ჩემი უსიტყვოდ ესმით და არც მე ვარ გულგრილი მათი თხოვნების მიმართ.

— **შენს უარყოფით თვისებებზე რას მეტყვი?**

— ჩემნაირი გადასარევი ადამიანი აბა, სხვა ვინ არის, მითხარით (*იცინის*)!.. ამ ეტაპზე საკუთარი თავი მომწონს; რაც არ მომწონდა, ასაკთან ერთად გამოვასწორე. 25 წლის უფრო სულსწრაფი, ფიცხი, ენამწარე და ავიც კი ვიყავი, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა. ახლა საშინლად ვერ ვიტანენ კონფლიქტს, ეს მანადგურებს. ■



დაქალების ეგოიზმის „მსხვერპლი“ პატარძლები და სასიძოების ახირებები

„დიტო ქისიშვილი რუსეთს დანახვისას მუხლებზე დაემხო“

„შეიძლება პატარძალი კარგად, ძალიან კარგად ან ფანტასტიკურად გამოიყურებოდეს, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა პატარძლის დანახვისას სუნთქვა გეკვრის“, — მითხრა საქორწილო კაბების დიზაინერმა ოთამარ ნადირაძემ, რომელსაც მისივე კომპანიის სახელწოდების გამო, მარი გოლდითაც ხშირად მიმართავენ. სამწუხაროდ, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ პატარძლის დაქალების ეგოიზმის, სიძის ახირებისა თუ სხვა მიზეზების გამო, გოგონა საკუთარ ქორწილში განუმეორებლად არ გამოიყურება, რაც დიზაინერის გაღიზიანებას იწვევს და ზოგჯერ, „მარი გოლდი“ ასეთი კლიენტების მომსახურებაზე უარს ამბობს...

მალე ქართველი დიზაინერის საქორწილო კაბები პარიზშიც გაიყიდება. ქალბატონ თამარს საფრანგეთში გამგზავრებამდე ვესაუბრე.

ეთო ყორღანაშვილი

თუ ვინმე გაჯიუტდება და ჩემს რჩევას არ გაითვალისწინებს, შესაძლოა ასეთი კლიენტი დავკარგო კიდეც...

— რამდენიმე წლის წინ პარიზში, ტექსტილის გამოფენაზე გახლდით. უცხოელები „მარი გოლდის“ კაბებით და ქართველი მოდელებით აღფრთოვანდნენ, ერთი ქალბატონი კი, რომელიც ასევე ხელოვანია და ულამაზს ხელჩანთებს ქმნის, ჩვენით განსაკუთრებულად დაინტერესდა და პარიზში მაღაზიის გახსნა შემომთავაზა. მზად იყო, ხარჯები თავად გაეღო, მაგრამ ვინაიდან ამ საქმეს ბევრი ფული დასჭირდა, საქმეში მესამე პარტნიორიც ჩავრთეთ. ამჟამად მხოლოდ ტექნიკური საკითხებია მოსაგვარებელი. მესამე პარტნიორმა კატალოგის შექმნაც გვთხოვა. შეუძლებელია, მასში ყველა კაბა მოხვდეს და ამიტომაც, საუკეთესოები შევარჩიეთ...

— როგორც ვიცი, კატალოგის შესაქმნელად საბერძნეთში მცხოვრები ქართველი ფოტოგრაფი მოიწვიეთ.

— საბერძნეთში კატალოგებს მსოფლიოს მასშტაბით ქმნიან. ჯერ არ ვიცი, ნიკა საბულუას ნამუშევრები როგორი იქნება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ფოტოზე არც ერთი მაქმანი თუ მძივი არ დაიკარგება. ახლა ყველაფერი კატალოგის დიზაინერზეა დამოკიდებული.

— ფრანგებს თქვენი ნამუშევრების შეძენის საშუალება როდის ექნებათ?

— ეს ფინანსებსა და საფრანგეთის კანონებზეა დამოკიდებული. რისი მოგვარებაც ჩვენთან უცბად ხდება, იმას პარიზში გარკვეული ეტაპების გავლა სჭირდება. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვი, რომ უცხოელი საპატარძლოებით განებივრებული არ ვარ: კაბებს ინგლისიდან, საბერძნეთიდან, რუსეთიდან, ისრაელიდან მიკვეთენ.

— პარიზული ამბების გამო ქართველ მომხმარებლებს თქვენი ყურადღება ხომ არ მოაკლდათ? მით უმეტეს, წელიწადის ამ დროს ქორწილი ხშირია...

— იმისთვის, რომ საქართველოში დაგაფასონ, ჯერ უცხოეთში უნდა გაღიარონ, რის გამოც გული მწყდება. ლამაზ კაბაში გამოწყობილ პატარძალს რომ ვხედავ, შრომაში გატარებული უძილო ღამეები მავიწყდება. იმას, რაც საზღვარგარეთ 20-30 ათასი ევროდ იყიდება, აქ „კაპიკებად“ ვყიდით. მოკლედ, მხოლოდ ენთუზიაზმზე როდემდე ვიმუშავებ, არ ვიცი. საქართველოში საქმის კეთება რთულია: ან ბევრი ფული უნდა გქონდეს, ან „ვარსკვლავი დაგეცეს“. ვნახოთ, საფრანგეთი ჩემთვის ასეთი „ვარსკვლავი“ აღმოჩნდება თუ არა...

— წარმატებებს გისურვებთ!.. მოდი, მოდურ საქორწილო კაბებზე გვესაუბრეთ...

— საქორწილო კაბების მოდა მეტნაკლებად იცვლება. თუკი შარშან „რუშებიანი“, გაშლილი კაბა იყო აქტუალური, ახლა ყველას „რუსალკა“ უნდა — უხდებათ თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მიმაჩნია, რომ პატარძალმა ის უნდა ჩაიცვა, რაც უხდება.

— როცა თქვენი კლიენტი ისეთ კაბას ირჩევს, რომელიც მოდაშია, მაგრამ არ უხდება, ცდილობთ თუ არა მის არჩევანში ჩარევას?

— რა თქმა უნდა! ერთხელ გოგონა მოვიდა, რომელსაც განიერი ბეჭები ჰქონდა. ვუთხარი: — ბეჭი „კვეთას“ მოითხოვს, თუნდაც წვრილი ბრეტელის სახით-მეთქი. გაბრაზებულმა მიპასუხა: — ჩემს ბეჭებს რას ერჩითო?! მსგავსი შემთხვევა ბევრია. ცხადია, მსუქან გოგონას, რომელსაც წელის ფორმა გამოყვანილი არა აქვს, გაშლილი კაბა არ მოუხდება. პირადად მე, მოკლე ქვედაბოლო არ მიხდება. შეიძლება ყოველდღიურ ცხოვრებაში საკუთარ თავს ასეთი კაბის ჩაცმის უფლება მივცე, მაგრამ ქორწილის დღეს პატარძალი განუმეორებლად ლამაზი უნდა იყოს! თუ ვინმე გაჯიუტდება და ჩემს რჩევას არ გაითვალისწინებს, შესაძლოა ასეთი კლიენტი დავკარგო კიდეც...

— თუ გქონიათ შემთხვევა, როცა ქსოვილმა გიკარნახათ, როგორი კაბა უნდა შეგეკერათ?

— ქსოვილზე ბევრი რამაა დამოკიდებული. მაგალითად, ამას წინათ გავაკეთე ესკიზი და კაბის შესაკერად ქსოვილი ტოკიოდან გამოვიწერე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ისეთი ლამაზი არ გამოვიდოდა, როგორიც ჩავიფიქრე. ჰოდა, ახლა ამ ქსოვილით სულ სხვანაირი კაბა უნდა შევკეროთ... ჩემთან ერთად უნიჭიერე-

ჩოხა ჩვეულებრივ, კლასიკურ საქორწილო კაბებსაც უხდება

სი გოგონები მუშაობენ და ხშირად, მათ აზრსაც ვითვალისწინებ. ჩვენთან სკოლის მოსწავლეც მუშაობს — ჩემი მეგობრის შვილია. მუშაობა ძალიან უნდოდა და მივიღეთ. ნოემბერში აქციის მოწყობა გვინდა, რომლის ფარგლებშიც, ამ გოგონას ნამუშევრებს მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს გადავცემთ.

— **ქალბატონო თამარ, ნაციონალურ საქორწილო კაბებს თუ ჰყავს მომხმარებელი?**

— ქართველებს გემოვნება გვაქვს, მაგრამ ყველაფერი იაფად გვინდა. რამდენიმე ნაციონალური კაბა ჩვენებისთვის შევქმენით. ვფიქრობ, პატარძალი ძალიან თამამი უნდა იყოს, ასეთი კაბა რომ ჩაიცვას.

— **ხშირად ხდება, რომ ქორწილში ბიჭებს ჩოხა აცვიათ, გოგონები კი ნაციონალური სამოსით არ იმოსებიან.**

— ჩოხა ჩვეულებრივ, კლასიკურ საქორწილო კაბებსაც უხდება. ჩვენ ვცდილობთ, მომხმარებლის მატერიალური შესაძლებლობა გავითვალისწინოთ და მისთვის ხელმისაწვდომი სამოსი შევთავაზოთ.

— **ბოლო დროს გოგონები თეთრ საქორწილო კაბას იშვიათად ირჩევენ. ამ სეზონზე როგორი ტენდენციაა?**

— 12 წელია, ამ სფეროში ვმუშაობ. უმეტესობა კრემისფერ და შამპანურ-ისფერ კაბას ირჩევს. მიმაჩნია, რომ კაბის ფერი გოგონას ტანზე უნდა შეირჩეს. ზოგს თეთრი ძალიან მოსწონს, მაგრამ არ უხდება, ზოგს კი პირიქით — თეთრი მოსწონს, მაგრამ სხვა ფერ სამოსში უკეთესად გამოიყურება... მომხმარებლებს ვეუბნები: — უფლება მომეცით, კაბა თავად შეგირჩიოთ, დანარჩენი კი სარკეს და საკუთარ თვალებს მიანდვეთ-მეთქი. ხშირად გოგონები დაქალებთან ერთად მოდიან, რომლებიც საპატარძლოებზე მეტად აქტიურობენ. მათ სულ ვეუბნები: კაბის შერჩევა იმას დაეცადეთ, ვინც უნდა ჩაიცვას-მეთქი. ერთხელ გოგონას ავანგარდული საქორწილო კაბა ძალიან მოუხდა, მაგრამ მისმა დაქალმა დაიჟინა, — არ გინდაო! ეს ეგოიზმის გამოვლენა იყო. ნურავინ მიწყენს, მაგრამ მსგავსი შემთხვევის მომსწრე ხშირად გავმხდარვარ. მახსოვს, მაშინ ძალიან გავბრაზდი და საპატარძლოს დედამთილის ან დედის მოყვანა ვთხოვე. კაბა დედამთილსაც ძალიან მოეწონა და სარძლოს უთხრა: ამ კაბას ნუ ჩაიცვამ, მაგრამ იცოდე, ჩვენს ოჯახში შენი დაქალის ფეხი არ ვნახოო!..

პარტნიორმა კატალოგის შექმნაც გვთხოვა. შეუძლებელია, მასში ყველა კაბა მოხვდეს და ამიტომაც, საუკეთესოები შევარჩიეთ...

— **საქორწილო კაბების შერჩევაში სასიძოები არ მონაწილეობენ?**

— მოდიან, მაგრამ ჯობია, საერთოდ არ მოვიდნენ. ამას წინათ კაბა ყველას მოეწონა, სასიძოს გარდა! ბიჭებს ვურჩევ, საქორწილო კაბის შერჩევაში ნაკლებად ჩაერიონ... თქვენ მომღერალ დიტო ქისიშვილის რეაქცია უნდა გენახათ, როცა პატარძლის — რუსკას წასაყვანად მოვიდა: მუხლებზე დაეშხო... მანამდე დიტო „პრიმერკაზეც“ არ მოსულა. რუსკას საქორწილო კაბა მისთვის სიურპრიზი იყო!

— **ვიცი, რომ მოკლე საქორწილო კაბები არ მოგწონთ, მაგრამ მაინტერესებს, მინის მომხმარებელი თუ ჰყავს?**

— როცა დაჟინებით მთხოვენ, ასეთ კაბებსაც ვქმნი. მაგალითად, ინგლისში მცხოვრები ქართველი პატარძალი გვყავდა, რომელსაც დედაც ეხვეწა, — ქორწილში გრძელი კაბა ჩაიცვიო. გოგონა თითქოს დავითანხმეთ კიდეც, მაგრამ ბოლოს, მაინც თავისი გაიტანა... ერთ-ერთი ჩვენი კლიენტი ქორწილს კლუბურ სიტუაციაში იხდის. აი, მას კი ისეთი კაბა შევთავაზე, რომლის მოკლედ გადაკეთებაც შეიძლება — კლუბურ სიტუაციას ასეთი რამ ძალიან მოუხდება... და კიდევ, ძალიან მინდა, პატარძლის ხელზე ამბორის ტრადიცია აღდგეს, რადგან ამ დროს ქალი უფრო მედიდური, თავდაჯერებული ხდება. თან, მაკიაჟის გამო ამდენი კოცნა რეკომენდებულიც არაა. როცა ეს რჩევა მივეცი, ერთ-ერთმა სასიძომ ისიც კი მითხრა, — რა შენი საქმეა, ჩემს ცოლს სად ვაკოცებო (*იცინის*)?! მამაკაცები ხელზე ამბორით ყოველდღე არ გვანებივრებენ და იქნებ, პატარძალს ეს სიამოვნება ქორწილის დღეს მაინც მიანიჭონ...

■

დიტო „პრიმერკაზეც“ არ მოსულა. რუსკას საქორწილო კაბა მისთვის სიურპრიზი იყო!

6 თვის ტურისტი პოლონეთიდან

ეთო ყორღანაშვილი

6 თვის უსაყვარლესი ალისია (ალა) პოლონელი ტურისტი გახლავთ. გოგონამ თბილისში, ბათუმსა და სვანეთში იმოგზაურა. ჩვენს ქვეყანაში მყოფ პატარა ტურისტთან „ექსკლუზიური ინტერვიუც“ ჩავწერე, მაგრამ მისი „საუბრის“ კარგად გაშიფვრა ვერ მოვახერხე. ამიტომ, ალისიას მამასთან — რადეკ პირკასთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

— მე და ჩემმა მეუღლემ საქართველოს შესახებ მეგობრებისგან შევიტყვეთ. საინტერესო, მეგობრული ხალხი ხართ. ქართული სამზარეულოც ძალზე მოგვწონს. სხვათა შორის, ჭამა პოლონელებსაც ძალიან გვიყვარს. თქვენი ქვეყნის სუფრის კულტურით აღფრთოვანებულები ვართ!.. ჯერ თბილისში ვიყავით, მერე სვანეთში გავემგზავრეთ, იქიდან — ბათუმში... შავ ზღვაში ალისიას ფეხები ჩავაყოფინეთ (*იცინის*).

— პატარა ტურისტს როგორი ემოციები ჰქონდა?

— მოგეხსენებათ, ამ ასაკის ბავშვთან ერთად მგზავრობა პრობლემურია — ალისია ტიროდა ხოლმე, თუმცა სერიოზული პრობლემა არ შეგვქმნია.

— 6 თვის ბავშვთან ერთად, საქართველოში გამომგზავრება რამ გადაგაწყვეტინათ?

— ჩვენი მეგობრები შვილებთან ერთად ხშირად მოგზაურობენ.

— ასეთ პატარა შვილებთან ერთად?

— არა (*იცინის*).

— ბევრ ქვეყანაში ხართ ნამყოფი?

— დაახლოებით — 30-ში.

— დიდი ხანია, რაც ოჯახი გაქვთ?

— ოჯახი 2 წლის წინ შევქმენი. მე და ჩემი მეუღლე 9 წლის განმავლობაში ვმეგობრობდით.

— ერთმანეთი მოგზაურობისას ხომ არ გაიცანით?

— არა, კაშა მეგობრის სახლში, შემთხვევით გავიცანი. დავმეგობრდით, ერთად ვმოგზაურობდით...

— განსაკუთრებულად რომელმა ქვეყანამ მოგხიბლათ?

— ახალი ზელანდიის ბუნება ძალიან მოგვეწონა!.. მხოლოდ მაშინ ვმოგზაურობთ, როცა თბილი ამინდებია. ზამთარს პოლონეთში ვატარებთ.

— პოლონეთში რას საქმიანობთ?

— პროგრამისტი ვარ, ჩემი მეუღლე — პროექტების მენეჯერი. სხვადასხვა ფირმაში ვმუშაობთ.

— საქართველოში ვინმესთან სტუმრად ხართ?

— პროფესორ დავით ქოიავას ოჯახში ვართ. მისი ვაჟი რიგაში, ტურიზმის ფაკულტეტზე სწავლობს და თავისი პროფესიის გამო, ხშირად მოგზაურობს, უცხოელ მეგობრებს ეკონტაქტება... როგორც ვიცი, მათ ოჯახს ბევრი უცხოელი სტუმრობს. თავად ბატონ დავითს თბილისში, ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერების უნივერსიტეტში დიზაინის ფაკულტეტი აქვს, სადაც ახალგაზრდებს საკმაოდ ფართო სპექტრით ასწავლიან: 4 კომპიუტერულ პროგრამას, ფოტოგრაფიას, ქსოვილების დამუშავების რამდენიმე მიმართულებას, ინტერიერის დიზაინს...

— რადეკ, ყველაზე მეტად, საქართველოს რომელი ქალაქი მოგეწონათ?

— ჩემთვის თბილისია საინტერესო, მეუღლეს კი ბათუმი და თბილისი მოეწონა. ■

ჯერ თბილისში ვიყავით, მერე სვანეთში გავემგზავრეთ, იქიდან – ბათუმში...

გურამ ოდიშარია — სოხუმის ლიტერატურის პორტის დოკერი



24 სექტემბერს 60 წელიწადი შეუსრულდა და სისხამ დილით დავურეკე შავი ზღვის სანაპიროდან, ბათუმიდან. მზის ამოსვლიდან ოჯახის წევრების შემდეგ პირველმა მომილოცეო, — მომახარა. ისიც ძალიან გაუხარდა, 60 წლის ასაკში პირველ ინტერვიუს სწორედ ზღვის სანაპიროდან რომ ვწერდი და მთხოვა, ზღვა მომიკითხეო. დავპირდი და ინტერვიუს შემდეგ შევუსრულე კიდეც დანაპირები იუბილარ მწერალსა და შესანიშნავ ადამიანს — გურამ ოდიშარიას. შევახსენე, — თქვენს ჩანაწერებში ამოვიკითხე: შეუძლებლის შესაძლებლობა ჩემი სიზმარ-ცხადია, ჩემი მშობლიური ევერესტიო. შეუძლებლის შესაძლებლად აცხადებას გისურვებთ, და სწორედ ისე, „სოხუმში დაბრუნებაში“ რომ წერთ: „დღე იქნება ნათელი, ცა — ულრუბლო. ჩვენ გემით დავბრუნდებით სოხუმში. გემით...“ მანამდე კი... თქვენი ცხოვრების გზაზე გვესაუბრეთ, თქვენი 60-წლიანი ცხოვრების უღელტეხილზე.

ირმა ხარშილაძე

— ოჯახის წევრები დილაადრიან ვიღვიძებთ. ამ დილით, ავდექი თუ არა, კომპიუტერი ჩავრთე და, რომ არ ველოდი, ინტერნეტით იმდენი მოლოცვა დამხვდა ნაცნობ-მეგობრებისა და უცნობებისგანაც. ცოტა ხანში კი ჩემმა ქალიშვილმა — სალომემ და მეუღლემ — ცისანამ შემომიტანეს შოკოლადის ტორტი, რომელსაც ეწერა „60“. იქვე გამოძერწილი ვიყავი მე, კარლსონივით ცოტათი ჭარბწონიანი, სავარძელში მჯდომი, გვერდით — ჩემი ძაღლი დეზი, წიგნები; აქეთ ზღვა, მაშველი რგოლი, ბალახი. ტორტი კი ორიგინალური აღმოჩნდა და ძალიან მომეწონა, მაგრამ მხატვრულად დაწერილ „60“-ს ჯერჯერობით ვერ ვეგუები (*იცინის*). ეს რიცხვი რომ ამოატრიალო, მიიღებ „09“-ს, რომლის ვალი ნებისმიერ კითხვაზე პასუხია. როგორც ჩანს, აწი დროა, მეც გავცე ბევრ კითხვას პასუხი. 60 წლიდან კაცი სიბერისთვის ემზადება, უფრო ღირსეულად უნდა მოიქცეს და ბევრი რამ უკვე აღარც ეპატიება. ისე, 20-20 წლად დავყოფდი ჩემს ცხოვრებას. პირველ ოცწლეულს მივაკუთვნებდი ბავშვობას, რომელიც მომდევნო ოცწლეულს ლამაზად შეერწყა — ყმაწვილკაცობა, სტუდენტობა, ახალგაზრდობა — საუკეთესო წლები იყო. მერე, 40-ის რომ გავხდი, ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი დამიდგა ცხოვრებაში — დაიწყო ომი, რომელსაც ვერაფრით წარმოვიდგენდი ჩემს ქალაქში და უღელტეხილით დავტოვე აფხაზეთი. მესამე 20 წელიწადი მართლაც ყველაზე მეტად ჰგავდა უღელტეხილს...

— **თითოეული ოცწლეული არა მარტო ასაკობრივად, ცხოვრების წესით და გეოგრაფიულადაც სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა. გახსოვთ, რა ხდებოდა იმ დღეს, 20 წლის რომ შესრულდით?**

— სტუდენტი ვიყავი. სოხუმში, შინ აღვნიშნე დაბადების დღე. თანაჯგუფელები და ბავშვობის მეგობრები და მეზობლები მეწვივნენ. მამამ დიდი სუფრა გაშალა და ორდღიანი ლხინი გვქონდა. ვნებივრობდით და გვეგონა, რომ მთელი ცხოვრება ასე გაგრძელდებოდა, სულ ლაღად, კარგად და მშვენივრად ვიქნებოდით. სამოთხის ბაღში ყოფნას ჰგავდა ყველაფერი. იმხანად დაუოჯახებელი ვიყავი და არც რომანტიკული თავგადასავლები მაკლდა (*იღიმის*). ახალ რომანზე ვმუშაობ და იქ მინდა, სწორედ ეს ამბები აღვწერო.

— **რა მნიშვნელოვან მომენტებს გამოყოფთ ცხოვრებიდან?**

— პირველ ოცწლეულში დავამთავრე სოხუმის სკოლა და ვსწავლობდი აფხაზეთის უნივერსიტეტში; მეორე ოცწლეულში ცოლი შევირთე და შვილი შემეძინა — ანუ ფაქტობრივად, სახლი ავაშენე — შევქმენი საკუთარი ოჯახი, სადაც თვითონ ვიყავი ლიდერი, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა. ჩემი პირველი წიგნებიც იმხანად გამოვიდა. მაშინ ლექსებს ვწერდი და ყოველთვის ვცდილობდი, რომ ჩემი მშობლიური ქალაქის ბუნების სილამაზით ნაკარნახევი ლექსები მეწერა და პოეზიაში რაღაც, „ზღვის სკოლასავით“ შემექმნა. ვწერდი ლექსებს და თვითონვე ვაფორმებდი მხატვრულად, რადგან ხატვაც მეხერხებოდა. სხვათა შორის, ახლაც გავაფორმე ჩემი რამდენიმე წიგნი — პროზაული კრებული და ვაპირებ, თვითონ დავასურათო.

— **რაც ცნობილი მწერალი გახდით, თუ არ ვცდები, ლექსების კრებული არ გამოგიციათ.**

— არა, არ გამომიცია და ახლა ვაპირებ. შევკრიბე ჩემი ლექსები და საკმაოდ დიდი კრებული გამომდის. მინდა, ჩემმა მეგობრებმა წაიკითხონ, რადგან ბევრი მხოლოდ პროზაიკოსად მიცნობს.

— **ავანსად ერთი ლექსი იქნებ წაგვიკითხოთ. საიუბილეოდ თქვენს რომელ ლექსს მიუძღვნიდით გურამ ოდიშარიას?**

— (*იცინის*) ერთი ლექსი მქონდა, ცოტა უცნაური. მახსოვს, სტუდენტობისას ბევრმა გოგონამ გადაიწერა და მოგვიანებით, თბილისში რომ ჩამოვედი, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში შეხვედრა მომიწყვეს ცირა ბარბაქაძის ხელმძღვანელობით. ეს ლექსი რომ წავიკითხე, ცირას თაობის გოგონებმა ერთხმად დაიძახეს: შენი ლექსია, უბის წიგნაკით რომ დაგვაქვსო? რასაკვირველია, ლექსი სიყვარულზეა და „გაუგზავნელი წერილებიდან“ ჰქვია: „ისევ მახსოვხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ წამიერად გიგონებ კიდეც./ და თუ გიგონებ, ეს იმას ნიშნავს, რომ წამიერად გინატრებ კიდეც./ და თუ გინატრებ, ეს იმას ნიშნავს, რომ წამიერად მიყვარხარ კიდეც./ და თუ მიყვარხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ წამიერად შენთან ვარ კიდეც./ და თუ შენთან ვარ, ეს იმას ნიშნავს, რომ წამიერად მოვმკვდარვარ კიდეც...“

— **რომანტიკოსი პოეტი ომმა**

დოკუმენტალისტ პროზაიკოსად გაქციათ. სვანეთისა თუ ცხოვრების უღელტეხილმა ძალიან შეგცვალათ? ან რა შეგინარჩუნათ და რა დაგაკარგვინათ?

— სვანეთის უღელტეხილიდან

მეუღლესთან ერთად

სრულიად სხვა კაცი გადმოვედი. ომი ძალიან ცვლის ადამიანებს. გარდა დაღუპული ადამიანებისა და მშობლიური სახლის დაკარგვისა, ურთიერთობები დამაკარგვინა ომმა. გზადაგზა სულის ნაწილს ვკარგავდი თითქოს, მაგრამ მარად ამწვანების, მარად სინორჩის, მარად გაცოცხლების, სულის აღორძინების უნარი არ დამიკარგავს არც მე და არც ჩემს ოჯახს, მეგობრებს და ამის წყალობით მოვედით დღემდე. ეს — ბედნიერება და ღმერთის საჩუქარია, თორემ ბევრი ვიცი, ვისაც ვერ გამოუცხობენ ტორტს წარწერით — „60“, რადგან ცოცხალი აღარ არის. განსაცდელი კვლავაც ბევრი გველის და დღეიდან ცხოვრების კიდევ ერთი ახალი ეტაპი იწყება ჩემთვის. თავი უნდა მოვუყარო ყველაფერს: შემოქმედებას, გამოცდილებას, განცდილს. ახალი, ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის, მაძიებელი და ლიტერატურაშიც გაბედული. მათთან ძალიან ვმეგობრობ და თითქოს საკუთარ ახალგაზრდობას ვუბრუნდები ამ ურთიერთობით, რადგან მათსავით მაძიებელი და გაბედული ვიყავი ყოველთვის. მინდა, ჩემიც გავუზიარო ამ ახალგაზრდებს და მათგანაც ბევრი რამ ვისწავლო.

— ბოლო წლებში სამწერლო ჟანრი კვლავ შეიცვალეთ და დოკუმენტური პროზა მხატვრულით შეცვალეთ. როგორ შეაფასებთ თქვენს მხატვრულ ნაწარმოებს?

— როდესაც მზე ჩადის და ღამდება, კაცს მაშინ გჭირდება სანთელი, ჰოდა, ასე მგონია, სწორედ სანთლის ფუნქცია უნდა გვქონდეს მწერლებს. საერთოდ კი არიან მწერლები, უსასრულოდ რომ ასწორებენ თავიანთ ნაწერს. მათ რიგს არ მივეკუთვნები. ჩემს წიგნს რომ გამოვცემ, შეიძლება ოდესღაც ერთხელ წავიკითხო, მეტად აღარ ვუბრუნდები. მაგალითად, ვფიქრობდი, წლები რომ გავიდოდა, ჩემი დოკუმენტური პროზა — „დევნილთა უღელტეხილი“ გამემხატვრულებინა, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან მივხვდი, რომ ამით ნაწარმოები გულწრფელობას დაკარგავდა. იმ ფორმით კი ახლაც დიდ ემოციას აღძრავს. გამოცემული წიგნი ჩემთვის უკვე წარსულია და არასდროს მგონია, რომ რაღაც განსაკუთრებული შევქმენი. ყოველთვის ვფიქრობ — ღირებულს, გამორჩეულს მომავალში დავწერ და დღევანდელი დღე ხვალინდელისთვის სამზადისია მუდამ. აწი მეტი კონცენტრირება მჭირდება, რადგან უკვე ჯილდოები და პრემიები დამიგროვდა; ახლახან, რიგის მწერალთა და პუბლიცისტთა ცენტრმა ანტონ ჩეხოვის „ოქროს მედლით“ დამაჯილდოვა. ამ უდიდესი მწერლის მედალი ჩემთვის მეტისმეტი მგონია, პასუხისმგებლობას კი დიდს მაკისრებს. სულ მინდა, პირველკურსელივით ვიყო, ყველაფერს რომ სწავლობს



და ითვისებს. აბა, პროფესორად თუ მივიჩნევ თავს, ესე იგი, მოვმკვდარვარ და ეგაა. ისე, სიკვდილამდე ალბათ კიდევ ბევრი დრო მაქვს (*იღიმის*).

— ალბათ კი არა, აუცილებლად და ვიდრე კიდევ ბევრ საინტერესო ნაწარმოებს შემოგთავაზებთ და ბევრ სასიკეთოს გააკეთებთ ადამიანური ურთიერთობების დასათბობად, დღეს — დაბადების 60 წლისთავზე რას ეტყვით თქვენს ხალხს?

— ერთ-ერთ შეხვედრაზე, აფხაზმა ქალბატონმა მითხრა, გურამ, თქვენ მხოლოდ ქართველი მწერალი არ ხართ, თქვენ სოხუმელი მწერალი ხართო. ეს ტიტული განსაკუთრებულად საამაყოა ჩემთვის და ბედნიერი ვარ, რომ სოხუმის ლიტერატურის პორტის დოკერი ვარ. როგორი პატარაცაა პლანეტა და ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან კონტინენტები, ასევე ახლოს ვართ ადამიანებიც და არასდროს უნდა დავშორდეთ. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ომმა ადამიანი შემაძულა და უფრო მეტადაც შემაყვარა, რადგან კარგი ადამიანი მეტი ვნახე. ადამიანებს ერთმანეთის შეცნობაში მწერლებიც უნდა დავეხმაროთ. ვისურვებდი, რომ ამ დღიდან მე და ჩემმა მკითხველმა უფრო უკეთ გავუგოთ ერთმანეთს...

სიყვარულს გულითა და სულით უნდა დაატარებდე კაცი, ეს ზღვა კი ჩემი დიდი სიყვარულია და არც არასდროს დავშორებივარ. 40 წელიწადი სოხუმში ვიცხოვრე; მას შემდეგაც ჩემი ზღვა და ჩემი ქალაქი ისევ ახლოს ვართ ერთმანეთთან. ამიტომაც მწამს, რომ ადამიანებიც დაახლოვდებიან, ჩემთვის ძვირფასი ხალხი — აფხაზები და ქართველები ერთმანეთს გაუგებენ. ბედნიერი ვიყავი, სოხუმში ნოდარ დუმბაძის წიგნს რომ წავაწყდი, მიხარია, რომ აქ, ჩემი მეგობრის სახლში შესანიშნავი აფხაზი მწერლის, ალექსი გოგუას წიგნი ვნახე. ხელოვნება, ლიტერატურა და კიდევ ბევრი რამაა ამქვეყნად, ყველაფერზე მაღლა რომ დგას და ადამიანთა დასაახლოებლად ბევრი რამის გაკეთება რომ შეუძლია. ხოლო როცა მწერალი წერ ამ დაახლოებაზე, სიყვარულსა და ურთიერთობაზე, ისედაც „იმ ზღვასთან“ უნდა იყო ყოველთვის, ოკეანესთანაც, დედამიწაზეც. ყველგან უნდა იყო და... ბევრი უნდა იყო! ■

თამთა ცინცაძე — დიდი მაესტროს მოწაფე და იოსელიანების ექსრძალი

„ჯაბა, როგორც მამა, ისე ზრუნავდა ჩემზე"

მსახიობი თამთა ცინცაძე ილიას უნივერსიტეტის თეატრში (ყოფილი ვაკის „თეატრალური სარდაფი") მუშაობს. პარალელურად, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა. ადრეულ წლებში უფრო დრამატული და ლირიკული როლების შემსრულებლად მიიჩნევდნენ, ბოლო დროს, სახასიათო ტიპაჟებიც შექმნა, რაც მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია... თამთა ჯაბა იოსელიანის ყოფილი რძალი გახლავთ და ამ ქორწინებიდან ჰყავს შვილი — ჯაბა იოსელიანი-უმცროსი.

თამთა დადეშელი

— ჩემი მოსწავლეობის პერიოდში სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარება მოდური იყო და მეც ექიმობისთვის ვემზადებოდი... მისაღები გამოცდები უკვე მოახლოებული იყო, როცა შევიტყვე, რომ თეატრალურ ინსტიტუტში მიშა თუმანიშვილს ჯგუფი აჰყავდა (რაც 4 წელიწადში ერთხელ ხდებოდა) და იქ ჩაბარების სურვილი გამიჩნდა. შემოქმედებითი ტურები ადვილად გადავლახე და მაღალი ქულებით ჩავირიცხე. გამიმართლა, ექსპერიმენტულ ჯგუფში მოვხვდი, ჩვენი ხელმძღვანელები იყვნენ ბატონი მიშას ასისტენტები — გოგი მარგველაშვილი, ლევან წულაძე, გია კიტია და ირა ჟღენტი... ჩემი ჯგუფელები იყვნენ — დათო დოიაშვილი, დათო საყვარელიძე, ნანუკა ლითანიშვილი, გიორგი ნაკაშიძე, დათო მღებრიშვილი, გიორგი სიხარულიძე.

— თქვენს პედაგოგს — მიშა თუმანიშვილს როგორ გაიხსენებდით?

— დიდი ხელოვანი, გენიოსი და უაღრესად ინტელექტუალური ადამიანი ამავდროულად, კარგი მასწავლებელი იყო. დიდი სითბოსა და სიყვარულის გარდა ბატონი მიშასგან არაფერი მახსოვს. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ თითქოს თუმანიშვილის მოწაფეები პედაგოგზე ზედმეტად მიჯაჭვულები ვიყავით და მის გარეშე როლზე მუშაობა გვიჭირდა. ასე არ ყოფილა... ფანატიკოსები კი არ ვართ, უბრალოდ, ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგი გვყავდა. თითოეული სიტყვა მახსოვს, როგორ გვარიგებდა, რომ ჩვენი პროფესია, ხელობა და როლის კეთების ხელოვნება კარგად გვესწავლა. ახლა უკვე, როცა თვითონ გავხდი პედაგოგი, ვგრძნობ, თუ როგორი კარგი სკოლა გამატარა ბატონმა მიშამ...

— ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, თუმანიშვილის თეატრში განაგრძეთ მუშაობა?

— არა, შემოთავაზება არ მქონდა; თუმცა ბატონი მიშა IV კურსიდან მთავაზობდა მის თეატრში მსახიობობას, მაგრამ იმის გამო, რომ ჩემი პირადი ცხოვრება უცნაურად აეწყო, ვერ შევძელი. ინსტიტუტის დამთავრებიდან 2 წლის შემდეგ, დოიმ (დათო დოიაშვილი) სამუშაოდ მარჯანიშვილის თეატრში მიმიწვია. მაშინ დამოუკიდებელი მსახიობობა მოდური იყო. მეც იმ „მოდას" ავყევი და ამ გადასახედიდან ვხვდები, რომ შეცდომა დავუშვი.

— რომელ უმაღლეს სასწავლებელში მუშაობთ?

— ილიას უნივერსიტეტში მეტყველებას ვასწავლი და ჩვენს თეატრში რეჟისორის ასისტენტიც ვარ. გამორჩეულ და საინტერესო სტუდენტებს კი პირველივე კურსიდან საშუალება ეძლევათ, სწავლის პარალელურად, პროფესიონალ მსახიობებთან ერთად სცენაზე დადგნენ. ეს კარგი ექსპერიმენტი ოთარ ეგაძემ დანერგა. ჩვენი თეატრის რეპერტუარში 5 სპექტაკლია და აქედან ოთხში ვთამაშობ.

— მოდი, ახლა თქვენს ოჯახზეც ვისაუბროთ. როგორც ვიცი, ახლა მესამე ქორწინებაში იმყოფებით. ვინ არის თქვენი მეუღლე?

— ძალიან კარგი მეუღლე მყავს, არაჩვეულებრივი ადამიანია... მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის მინდოდა, მყარი და ძლიერი ოჯახი შემექმნა, სხვაგვარად მოხდა. არ ვიცი, ეს ბედია თუ ჩემი მხრიდან რაიმე მცდელობა დავაკელი, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემი ოჯახი ორჯერ დაინგრა...

— თქვენს უფროს ვაჟზე — ჯაბა იოსელიანი-უმცროსი რას გვეტყვით?

— 2 შვილი მყავს — ჯაბა იოსელიანი და ივა კონტრიძე. კარგი ბიჭები არიან — ჭკვიანები, განათლებულები, მოსიყვარულეები. იმითაც ბედნიერი ვარ, რომ მათ ერთმანეთი ჰყავთ...

— როგორც ვიცი, ჯაბა თქვენთან არ გაზრდილა, ხომ ასეა?

— მისი პატარაობისას პოლიტიკურად რთული პერიოდი იყო. ვინც იოსელიანების ოჯახს ახლოს იცნობდა, ეს კარგად იცის. ჯაბა იზრდებოდა როგორც მამასთან, ასევე ჩემთანაც, დეიდაჩემსა და ბებიას დიდი ამაგი აქვთ მასზე. თუმცა იყო დაძაბულობა, ხშირ შემთხვევაში, დაცვის საჭიროებაც... ის, რა თქმა უნდა, მამის ოჯახში უფრო უსაფრთხოდ იყო. ძნელია იმის აღწერა, გაგება და დაჯერება, თუ რამდენად რთული ცხოვრება გვქონდა. ცუდია და განვიცდი, რომ ჯაბას ჩემი ხელი გარკვეულწილად მოაკლდა, მაგრამ ალბათ თითქმის ყველა დანგრეული ოჯახის შვილი ასეა. მას ივასთან შესანიშნავი ძმობა და სიყვარული აქვს. ივა 18 წლისაა, წელს სტუდენტი გახდა, ჯაბა კი — 21-ის; მარკეტინგის სპეციალისტია, მილანში ბაკალავრიატი წარმატებით დაამთავრა და ახლა სადიპლომოს წერს. გონიერი ბიჭია, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლობით აღსავსე.

— მსმენია, რომ ლექსებსაც წერს...

— დიახ, ჩვენ ეს გენეტიკურად მოგვდგამს — ჩემი დიდი ბაბუა ლექსებს წერდა; მე და ჩემი მშობლებიც ვწერთ და ამის ნიჭი ჯაბასაც გამოჰყვა. ჯაბა ბავშვობაში კარგად ხატავდა კიდეც, კერამ-

იკულ ნამუშევრებს აკეთებდა, ცხოვრებაში ბევრი გატაცება აქვს და ყველაფერი კარგად გამოსდის. სხვათა შორის, ჯაბას მეორე ბაბუა — ალეკო ცინცაძე, ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის დამაარსებელი, პროფესორი, მათემატიკოსია და ახლახან ენათმეცნიერებაში აღმოჩენა გააკეთა, რომელიც ალბათ შეცვლის ქართული ანბანის შექმნის თარიღს...

— ჯაბას მამა, კონსტანტინე როგორ გაიცანით და რამდენ ხანს იცხოვრეთ ერთად?

— ცოლ-ქმარი მხოლოდ 2 წელი ვიყავით, მანამდე 1 წელი კი — შეყვარებულები გახლდით და ბოლოს, ისე მოხდა, რომ მომიტაცა... ერთმანეთი თეატრალურ ინსტიტუტში გავიცანით. ის იმ დროს თსუ-ს სტუდენტი, გერმანისტი იყო. მოგეხსენებათ, ლილი იოსელიანი მისი მამიდაა და თეატრალურ ინსტიტუტშიც მოუნდა „შემოეხედა“. დაინტერესდა იმით, თუ რა ხდებოდა თუმანიშვილის სამსახიობო ჯგუფში და გაეგო, მასაც ხომ არ ჰქონდა ამ დარგისკენ მიდრეკილება. მაგრამ ჩვენი პროფესია მაინცდამაინც არ მოეწონა და თავის საქმიანობას მალე დაუბრუნდა. 1-2 კვირა თავისუფალ მსმენელად იჯდა და სწორედ იმ პერიოდში დავმეგობრდით...

— რა გახდა თქვენი დაშორების მიზეზი?

— ოჯახი „პატარებმა“ შევქმენით და მხოლოდ მეგობრული ურთიერთგაგება და დიდი სიყვარული საკმარისი გვეგონა... კარგი მეგობრები გახლდით, რაც დღემდე გრძელდება, მაგრამ ცოლქმრობა არ გამოგვივიდა. ისე, მიმაჩნია, რომ ჩვენი დაშორება არასწორ მომენტში მოხდა. კოწია ძალიან კარგი, კულტურული, დახვეწილი და განათლებული ადამიანია. მაშინ ისეთი რთული პერიოდი იყო, ვინ რას ლაპარაკობდა, დღემდე ვერ ვხვდები. თითქოს ზოგიერთს რაღაც დავალებაც კი ჰქონდა, რომ ჩვენს ოჯახში სიტუაცია აერია; მიზანმიმართულად ცდილობდნენ ოჯახის გარშემო რაღაც ამბების ატეხას. იმ ლაბირინთში გზის გაკვლევა, მერწმუნეთ, შეუძლებელი იყო. ახლა რომ ვაკვირდები, დიდი მოთმინება გვქონია, რომ ეს ყველაფერი ღირსეულად გადავიტანეთ და ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა შევინარჩუნეთ.

— მათ ოჯახში ცხოვრებისას როგორი ურთიერთობა გქონდათ ბატონ ჯაბა იოსელიანთან?

— თავიდანვე არაჩვეულებრივად მიმიღო და ჩემ მიმართ მართლაც კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. პირადად მე, როგორც ძალიან თბილი, მოსიყვარულე, კეთილი და კულტურული ადამიანი, ისე დამამახსოვრდა. მამასავით ზრუნავდა ჩემზე. ვმეგობრობდით, თავის ნაწერებს მაკითხებდა. როცა ახალ რომანზე მუშაობდა, აზრს მეკითხებოდა, შეიძლება სულაც არ აინტერესებდა, მაგრამ — წახალისების მიზნით. ჯაბა ძალიან ჭკვიანი და ტრაგიკული პიროვნება იყო... მოგეხსენებათ, პროფესორი იყო, ბევრი ნაშრომისა და წიგნის ავტორი, რასაც ნამდვილად თვითონ წერდა, ამის მომსწრე თავად ვარ. მერე რატომღაც პოლიტიკით დაინტერესდა, რაც მგონია, რომ არასწორი გადაწყვეტილება იყო; ისე, ამის დიდი სურვილი თვითონაც არ ჰქონდა... მაგრამ ვერ განვიკითხავ, რადგანაც მისგან ბევრი კარგი რამ მახსოვს... ■



ორი ჯაბა იოსელიანი — უფროსი და უმცროსი

ეთო ყორღანაშვილი

18 წლის ნინი მელაძესა და ლადო გუდაძეს ერთმანეთის სიყვარულის გარდა, მოტოციკლის სიყვარულიც აერთიანებთ. ამ ორ, მძაფრი შეგრძნებების მაძიებელ ადამიანს მიაჩნია, რომ ბაიკერი წყვილები სხვა შეყვარებული წყვილებისაგან განსხვავდებიან... ვიდრე ინტერვიუს ჩავწერდით, ლადომ საკუთარი მოტოციკლით მთიან ადგილას გასეირნებაც მოასწრო, შემდეგ კი შეყვარებული ბაიკერები პატრულის თანამშრომლებთან ურთიერთობასთან დაკავშირებითაც გულახდილად მესაუბრნენ...

— ლადო, როცა ნინი გაიცანი, თავიდანვე იცოდი, რომ ბაიკერი იყო?

— ნინი შემთხვევით დავინახე — მოპედით (სკუტერით) მიდიოდა. გავაჩერე და ვუთხარი: შეჯიბრებას ვატარებთ; თუ შეგიძლია, მოდი, გაერთობი-მეთქი.

ნინი:

— რადგან მოტოციკლებთან დაკავშირებულ შეჯიბრებაზე დამპატიჟა, ტელეფონის ნომერი უპრობლემოდ გამომართვა... როცა დავმეგობრდით, ყველა მეუბნებოდა, — ლადოს უყვარხარო. ამასობაში, ჰოლანდიაში გავემგზავრე (იქ დეიდა და დეიდაშვილები მყვანან), უკან დაბრუნებული კი მივხვდი, რომ მხოლოდ ლადო და მოტოციკლი მენატრებოდა (*იცინის*). უკვე ვიცოდი, რომ ლადოს ვუყვარდი. მის მიმართ სიმპათია მეც გამიჩნდა. სულ ჩემ გვერდით იყო, მაგრამ სტანდარტულად (როგორც შეყვარებული ბიჭი) არ იქცეოდა.

ლადო:

— საქართველოში რომ დაბრუნდა, ერთხელ, სეირნობისას მითხრა, — მიყვარხარო.

ნინი:

— ინიციატივა მე გამოვიჩინე. მაინტერესებდა — ამდენი ხნის განმავლობაში მეჩვენებოდა თუ მართლა ვუყვარდი. ჩემმა ინიციატივამ გაამართლა: ლადო სიყვარულში მაშინვე გამომიტყდა. 1 წელია, რაც ერთად ვართ. მოპედებზე უკვე აღარ ვფიქრობთ. ერთმანეთის სიყვარულის გარდა, დღეს მოტოციკლების სიყვარულიც გვაერთიანებს. მძაფრი შეგრძნებების მაძიებლები ვართ!..

— რამდენი ხანია, რაც სპორტის ამ სახეობით ხართ გატაცებული?

ლადო:

— მე — 4 წელია, ნინი — 2.

ნინი:

— წინათ ჩინური, საშინელი მოპედი მყავდა (საქართველოში სხვანაირი არც იყიდებოდა). წარმოიდგინე,

ᲛᲫᲐᲤᲠᲘ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲘᲙᲔᲠᲔᲑᲘ

„ჰერკულესი“ ერქვა (*იცინის*)! ამის გამო, ყველა „მეკაიფებოდა“.

ლადო:

— მთელი ბავშვობა, მანქანები და მოტოციკლები მიტაცებდა. შემდეგ მთლიანად ამ საქმეზე გადავერთე — სხვა არაფერი მაინტერესებს. გაისად სწავლის გაგრძელება ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მინდა. მანქანებთან, მოტოციკლეტებთან დაკავშირებულ თემებს გავაშუქებ ხოლმე. სამეგობრო მოტოფედერაცია ჩამოვაყალიბეთ. რამდენიმე შეჯიბრებაც ჩავატარეთ.

— მოტოციკლი უფრო მოგწონს თუ მანქანა?

— მოტოციკლი „სხვა ადრენალინია“, მანქანა — სხვა. ის ადამიანები გამიგებენ, ვისაც სპორტის ეს ორივე სახეობა მოსწონს. ქალაქში მოძრაობისას მოტოციკლი უფრო კომფორტულია, განსაკუთრებით — მისთვის, ვისაც ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს.

ნინი:

— საერთოდ, მანქანა არ მიყვარს — ჩემთვის ყუთთან ასოცირდება, მაგრამ ლადოს გვერდით მანქანაში ჯდომა მსიამოვნებს — კარგად მართავს.

— ნინ, კიდევ რით ხარ დაკავებული?

— კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტი ვარ. ვიოლინოზე ვუკრავ, ასევე — გიტარაზე. ვმღერი კიდეც, ვხატავ, ვძერწავ... ბევრი რაღაც არსებობს, რაც მაინტერესებს — ცხოვრება მიხარია და უამრავი გეგმა მაქვს!

— ნინ, შენს ერთ-ერთ ფოტოზე ასეთი მინაწერი ვნახე: „კაბა? დიახ!“

— სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით, ბანკეტი მქონდა. ის კაბა ბებიამ შემიკერა (ჩემი დიზაინით). წინათ გიჟურად ვიცვამდი, როკი მიტაცებდა... ისე ჩაცმული კონსერვატორიაში რომ მივიდე, ყველა მე დამიწყებს ცქერას, ეს კი სასიამოვნო არ იქნება.

— ლადო, როგორც ვიცი, ნინის მოტოციკლის მართვას ასწავლიდი. როგორი მოსწავლე იყო?

— ცუდი!

ნინი:

— არაფერს ვუჯერებდი.

ლადო:

— ძალიან ჯიუტია. სამაგიეროდ, ყველაფერს იოლად ითვისებს. დღეს შემიძლია, ვენდო: ვიცი, რომ „ა“ პუნქტიდან „ბ“ პუნქტამდე უპრობლემოდ



მივა. არ მქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ვინმე „ჩამჯდომოდა“ და ჩემთვის მოტოციკლის მართვა ესწავლებინა, ნინის კი კარგი შანსი აქვს.

— ვიდრე მართვას კარგად ისწავლიდით, ტრავმები ხომ არ მიგიღიათ?

ნინი:

— სერიოზული — არა.

ლადო:

— როცა ამ სფეროში „ფეხს ვიდგამდი“, მძიმე ავარიაშიც მოვყევი — მანქანა შემასკდა, საავადმყოფოშიც ვიწექი... ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ საქმეზე ხელი უნდა ავიღო. ბევრ ადამიანს ვიცნობთ, ვინც მოტოციკლიდან გადაყირავდა და ამით მოტოსთან დაკავშირებული მისი ცხოვრება დასრულდა.

ნინი:

— ჩვენ ასეთები არა ვართ! წინააღმდეგობებს ვუმკლავდებით. ვფიქრობთ, რომ ყოველი წარუმატებლობა ახალი წარმატების საწინდარია.

— ერთმანეთს არ შესჯიბრებიხართ?

— ჩემი მოტოციკლი მთებზე, კლდეებზე სასიარულოდ ვარგისია, ნინისი — ქალაქში. ზოგადად, შეჯიბრებებში რამდენჯერმე გამიმარჯვია, საპრიზო ადგილი დამიკავებია... დიპლომები, თასები, მედლები მაქვს. წელს „ჩავარდნილი“ სეზონი იყო — შეჯიბრებები არ ტარდებოდა. გაისად რაღაცების გაკეთებას ვაპირებთ, გეგმები გვაქვს...

— საკუთარ მოტოციკლებს ერთმანეთს თუ ანდობთ ხოლმე?

ლადო:

— როგორც ჩემს კბილის ჯაგრისს სხვა ვერ იხმარს, ასევე წარმოუდგენელია, რომ ვინმემ ჩემი მოტოციკლი და „შლემი“ გამოიყენოს.

ნინი:

— ჩემ გარდა!

ლადო:

— ერთმანეთის შესაძლებლობები 100%-ით ვიცით. შემიძლია, ნინის ჩემი მოტოც და „შლემიც“ თავისუფლად ვანდო.

— მშობლები თქვენს ბაიკერობას გაგებით ეკიდებიან?

ნინი:

— სანამ მე და ლადო მეგობრები ვიყავით, ჩემი მშობლები ჩვენ მიმართ კარგად იყვნენ განწყობილები. როცა მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე, ერთმანეთთან შინ აღარ მივდივართ...

ლადო:

— მისი მშობლები დაძაბულები არიან — ნინის მუსიკისკენ „მიექაჩებიან“. მეც მომწონს, რომ ამ საქმითაა დაკავებული. ვცდილობ, ყველაფერში ხელი შევუწყო, ბაიკერების საზოგადოებაშიც გავრიო... 14 წლის ვიყავი, როცა მეგობარმა მოპედი მაჩუქა. მას მერე ვცდილობ, ოჯახის წევრები ნერვიულობას გადავაჩვიო. მაფრთხილებენ, — ცოტა ნელა იარეო. რამდენჯერმე დედაჩემს ჩემთვის ტელეფონით დაურეკავს და უთქვამს: „მარშრუტკაში“ ვიჯექი და დაგინახე, მოტოციკლეტი ცალ ბორბალზე მიგყავდა; ხომ არ გაგიჟდიო?!.

ნინი:

— მოტოციკლის მართვასთან დაკავშირებით, ჩემი ოჯახის წევრები აღარ ნერვიულობენ: მიხვდნენ, რომ საშიში არაფერია. მენდობიან. ცოტა ხნის წინ „პრავაც“ ავიღე.

— შენ თუ შეგიძლია, მოტოციკლეტით სხვადასხვა ტრიუკის შესრულება?

— ჩემი წინა მოტოციკლით ერთხელ ვცადე, მაგრამ რატომღაც, ლადომ წინააღმდეგობა გამიწია. შემდეგ ის მოტო გავყიდე. მინდა, უკანა ბორბალზე სიარული მეც ვისწავლო.

— წინა მოტოციკლს „გოგოს“ უწოდებდი, არა?

— კი, მაგარი „გოგო“ იყო: ლამაზი, გამხდარი, ტანწერწეტა...

ლადო:

— მისი ახლანდელი მოტო კი ბიჭია!

— ლადო, მართვის მოწმობა შენც გაქვს?

— არა (*იცინის*). რამდენიმე დღის წინ ვიანგარიშე და აღმოჩნდა, რომ ჯარიმებში 5.470 ლარი მაქვს გადახდილი. თანხის ნაწილი კიდევ დასა-

ფარავი მაქვს. მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევაში, პატრულის თანამშრომლები ბაიკერებს მანქანის მძღოლებზე მეტად ერჩიან. თანდათან ვცდილობ, ჭკვიანად ვიარო. ჩართული სირენით პატრული როცა გამომკიდებია, ბევრჯერ სადარბაზოში შევვარდნილვარ და მოტოთი მეორე-მესამე სართულზე ავსულვარ.

ნინი:

— პატრულის თანამშრომლები მხოლოდ მოძრაობის წესების დარღვევისას არ გვერჩიან: ერთხელ მოტოციკლები გაჩერებული გვყავდა, მაგრამ მაინც მოგვდგნენ და მოგვდგნენ!.. მაშინ მივხვდი, რომ „პრავა“ უნდა ამეღო.

ლადო:

— ნინის გადასახდელ ჯარიმებთან დაკავშირებული უბედურება არ სჭირს, მაგრამ „პრავის“ აღებამდე ძალიან მაწვალა.

ნინი:

— ერთ დილას ლადომ სადღაც გაყოლა მთხოვა, მაგრამ უარი ვუთხარი. „გაუტყდა“. მოგვიანებით მითხრა: — შენც ახლა რუსთავში არ წასულიყავი და „პრავა“ არ აგეღოო. — კი, ავიღე-მეთქი, — ვუპასუხე. სანამ მართვის მოწმობა არ ვაჩვენე, არ დამიჯერა. ძალიან გაუხარდა!

— **ლადო, მოტოფედერაციას რა გეგმები აქვს?**

— ყველაფერს საკუთარი ხარჯებით ვაკეთებთ. როცა სპონსორები გვეყოლება, ისეთ ღონისძიებას მოვაწყობთ, რომელსაც თბილისი ვერასოდეს დაივიწყებს! კარგი იქნება, თუ ბევრი ხალხი შემოგვიერთდება: მოტოციკლით დანიშნულების ადგილზე კომფორტულად მივლენ — საცობში დგომა არ მოუწევთ. თან, „მარშრუტკით“ მგზავრობის საფასური 80 თეთრი გახდა, 80 თეთრის ბენზინით კი მოტოციკლით მთელი დღის მანძილზე ივლი... ■

მაფრთხილებენ, — ცოტა ნელა იარეო...

14 წლის მუსიკოსი, რომელმაც ცოლის მოყვანაც მოასწრო და მისი გაშვებაც

„ზრდილობა მაჯლიბ, დანარჩენი ყველაფერი მაქვს“

თუკი ერთხელ მაინც მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გაგივლიათ, აუცილებლად შეამჩნევდით კიბეზე ჩამომჯდარ პატარა ბიჭს, რომელიც ხან დოლისა და ხან ფანდურის თანხლებით უმღერის პატარა გოგოს — „წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგალევინებსო...“ და მოწყალებას ითხოვს...

ნინო მჭედლიშვილი

ზედმეტად გულახდილი აღმოჩნდა ჩემი რესპონდენტი. მითხრა, რომ ეს მისი პირველი ინტერვიუა. აქამდე მასთან არც მიკროფონით და არც დიქტოფონით არავინ მისულა. „ერთხელ გადამიღეს მარტო კამერით; ეტყობა, კადრი სჭირდებოდათ ფილმისთვის. სევდიანი ფილმი იქნებოდა, აბა, მათხოვარ მომღერალს რისთვის გადაიღებდნენ?!“ — მითხრა ინტერვიუს ბოლოს პატარა მუსიკოსმა. ცხოვრებამ ბევრი რამ ასწავლა...

— **რაფო, მშობლები არ გყავს?**

— როგორ არა, მყავს. ერთმანეთს გაშორებულები არიან. მე მამასთან ერთად ვცხოვრობ. რუსთავში, დედასთან, ჩემი ძმა ცხოვრობს.

— **რატომ გაიყარნენ შენი მშობლები?**

— წლინახევრის ვყოფილვარ, ჩემი მშობლები ერთმანეთს რომ გაშორდნენ. ბებიამ (მამის დედამ) გამზარდა. ახლა ერთად ვცხოვრობთ მე, მამა, ბებიაჩემი და ბებიაჩემის და.

— **შენ ოჯახის ყველაზე პატარა წევრი ხარ და რატომ გამოგიშვეს საშოვარზე? მამა არ მუშაობს?**

— მუშაობდა. ვაგზალზე ტელეფონებს ყიდდა. მერე ტელეფონები მოჰპარეს, სცემეს. მერე ნარკომანობა დაიწყო. ახლა ფეხი სტკივა, ვერ დადის... სვამს.

— **ვინ გირჩია, ქუჩაში რომ გასულიყავი ფულის საშოვნელად?**

— მამამ. რომ შეატყო, ვეღარ მუშაობდა და ძალიან გაგვიჭირდა, თავისი დოლი მომცა და გამომიშვა სამუშაოდ. მამა მედოლეა, ადრე ქორწილებში უკრავდა, დედა — პიანისტი, მოცეკვავე და მომღერალი. მუსიკალური ნიჭიც გენებით გადმომეცა. თავად ვისწავლე დოლზე დაკვრა, 2 წლიდან მამას ხელებში ვუყურებდი... 11 წლის ვიყავი, პირველად მე და მამა მეტროსთან რომ ჩავედით ფულის სათხოვნელად. ჩამოვჯექი მეტროსთან, მოვიქციე დოლი ფეხებშუა და დაკვრა დავიწყე. თავიდან მრცხვენოდა, ამდენი ხალხის წინ რომ უნდა დამეკრა და მოწყალება მეთხოვა. მერე შევეჩვიე. ერთხელ, ერთი ბიჭი მოვიდა, ფანდური მომიტანა და მაჩუქა. 3 დღეში ფანდურიც „დავამხეცე“. სალამურზე დაკვრაც ვისწავლე. 3-4 დღეში კი მარტომ დავიწყე სიარული.

— **ძმა არ დაგიდგა გვერდით?**

— ეგ იშვიათად მოდის ჩემთან, 17 წლის არის და უსაქმურია.

— **დღეში რამდენს შოულობ?**

— ზოგჯერ 20 ლარს, ზოგჯერ — 50-ს, ზოგჯერ ათსაც ძლივს ვაკეთებ.

— **სად მიგაქვს ფული?**

— სახლში. ნახევარს ვხარჯავთ ოჯახში, საჭმელზე, ნახევარს — ვინახავ.

— **რისთვის?**

— ტანსაცმელი უნდა ვიყიდო.

— **სკოლაში დადიხარ?**

— VIII კლასიდან გამოვედი. მასწავლებელს დავარტყი...

— **რატომ?**

— „ტაბურეტკა“ მესროლა და მეც შემოვარტყი...

— **არ ინანე შენი საქციელი? თან, სკოლიდანაც გამოუშვიხარ...**

— არა, არ მიყვარდა სკოლა. ჯერ ერთი, სწავლას მაძალებდნენ, მერე იქ ძმაკაცები ვერ გავიჩინე, ვერავის დავუმეგობრდი. გოგოები დამცინოდნენ...

— **ოჯახში შენ გარდა ვინმე მუშაობს?**

— ბებიაჩემი მწვანილს ყიდის მეტროსთან.

— **როგორც მითხარი, ბავშვთა სახლში ცხოვრობდი. იქ როგორ მოხვდი?**

— 6 წლის რომ გავხდი, დიღმის ბავშვთა სახლში ბებიამ წამიყვანა. იქ ცუდად ვიქცეოდი — ვიპარებოდი და მერე კაჭრეთში გადამიყვანეს. სახლში მინდოდა, დედა მენატრებოდა... რომ

გავიზარდე, დედა თვითონ მოვძებნე. მასთან რუსთავში ჩავდივარ ხოლმე...

— **დედას შენს შეყვარებულებზე თუ უყვები ხოლმე?**

— ბევრი შეყვარებული არ მყოლია. მხოლოდ ერთი გოგო მიყვარდა და ისიც ცოლად მოვიყვანე. ლიკა „ახმეტელის“ მეტროსთან გამაცნო ერთმა ბიჭმა, ჩემი შეყვარებულიაო. ლიკამ მითხრა, არ მიყვარს ეს ბიჭი, უბრალოდ, მეცოდება; მარტო მე მიჯერებს, რომ იმუშაოს და სახლში საჭმელი შეიტანოსო. მოკლედ, დავახლოვდით. ერთხელაც, თავის დაქალთან იყო და დამიძახა, — ამოდიო. იქ მითხრა, მიყვარხარო. არც მე წავსულვარ „ატკაზზე“. თან, მიყვარდა, თავიდან კარგი ბავშვი იყო. მერე გამოაჩინა თავისი „კლანჭები“ და მიიღო კიდევაც თავისი.

— **ცოლად როგორ მოიყვანე?**

— ჩვეულებრივად: ვუთხარი, ცოლად უნდა მოგიყვანო-მეთქი, დამთანხმდა და სახლში წამოვიყვანე.

— **მის მშობლებს არაფერი ჰკითხე?**

— მშობლებისთვის რატომ უნდა მეკითხა, გოგოს უნდოდა ჩემი ცოლობა...

— **შენ ხომ არასრულწლოვანი ხარ. რომ ეჩივლათ ლიკას მშობლებს, ხომ დაგიჭერდნენ?**

— ჯერ ერთი, ლიკა ჩემზე უფროსი იყო — 16 წლის და იმას დაიჭერდნენ. თან, მას ვუყვარდი და ნებით გამომყვა. დედამისს არ უნდოდა, რომ გამომყოლოდა.

— **მამამ რა გითხრა, სახლში ცოლი რომ მიუყვანე?**

— წინასწარ იცოდა მამამ ამის შესახებ. გაუხარდა კიდეც. სანამ ლიკას მივიყვანდი, სახლში სულ ჩხუბი იყო. მერე მისი გვრცხვენოდა და აღარ ვყვიროდით. დამშვიდდა ოჯახი. თან, დიასახლისი გვაკლდა სახლში. სახლს ალაგებდა, სარეცხს გვირეცხავდა. სადილის გაკეთება კარგად არ იცოდა, ამიტომ კერძებს მე ვაკეთებდი. მიყვარს სახლში ფუსფუსი. რეცხვაც მიყვარს, დაგვაც, დაუთოებაც, ჭურჭლის გარეცხვაც და სულაც არ არის ეს „გრეხი“... სისუფთავის ამბავია, რა...

— **ე. ი. ოჯახს მატერიალურად უზრუნველყოფ, სახლს ალაგებ, რეცხავ, სადილებს ამზადებ. ბებია რას აკეთებს?**

— სვამს...

— **ლიკას რა უყავი, გაუშვი?**

— კი, სულ იბუტებოდა. წვრილმანებზე ვჩხუბობდით. მაგალითად, ერთხელ, სადილს ვამზადებდი. პომიდორს ვჭრიდი. ხახვი დამიჭერიმეთქი, — ვთხოვე. არ მიყვარს ხახვის დაჭრაო, — გაჯიუტდა.

— **რა მოხდა მერე — თვალები ეწვებოდა, ალბათ...**

— ხახვს რომ ვჭრი, მეც მეწვის თვალები, მაგრამ უნდა იცოდე, რომ ხახვი წყლიან ჭურჭელში მოათავსო, სანამ დაჭრი; დანაც დაასველო და არ აგეწვება. გათხოვება თუ უნდა ადამიანს, ხახვის დაჭრაც უნდა შეეძლოს.

— **ისე, მაინც რის გამო დაშორდით ერთმანეთს?**

— ტანსაცმლის წამოსაღებად მშობლებთან მივიდა და ეტყობა, დედამისმა „დაქოქა“. ლიკა კი ეუბნებოდა, რაფო მიყვარს და სხვას არ გავყვები ცოლადო. დედამისი დედაჩემს დაუკავშირდა და მგონია, რომ სწორედ მისი მოთხოვნით წამიყვანა დედაჩემმა რუსთავში, რომ ერთმანეთს დავშორებოდით. მერე ნელ-ნელა აგვერია ურთიერთობა. ჩემს სატელეფონო ზარს აღარ პასუხობდა და მატყუებდა... ლამის გულმა „დამარტყა“... ბოლოს, ერთხელ მითხრა, დიდუბეში შეგხვდებიო. „სსიანი“ სხვა იპოვე-მეთქი, — ვუთხარი და შევაგინე. ისიც არ დამრჩა ვალში და მას მერე შემძულდა. ცოტა ხანში დედაჩემმა დამირეკა და მითხრა, — დავინახე, ლიკა ვიღაცის მანქანაში ჯდებოდაო. იმის მერე მასზე გული საერთოდ ამიცრუვდა.

მოთხოვნის შესაბამის სიმღერებს ვმღერი... „ცვეტშია“ – „პატარა ქალო“...

— **ფეხმძიმედ ხომ არ იყო?**

— კი და ბავშვი „დამიკარგა“. იცოდა, რომ ფეხმძიმედ იყო და თავს არ გაუფრთხილდა. „როლიკებზე“ შეხტა, „კატაობდა“ და დაეცა...

— **მერე უცოლოდ ცხოვრება არ გაგიჭირდა?**

— უფრო კარგად ვარ. ჯერ ცოლი არ მინდა, მამა მყავს მოსავლელი... ექიმები ამბობენ, თუ თავის თავს მიხედავს, განიკურნებაო.

— **მამაშენს მეორე ცოლი აღარ მოუყვანია?**

— კი, ჰყავდა ვიღაც შორენა. კარგად არ მახსოვს ის ქალი. ხან თავის სახლში გარბოდა, ხან უკან ბრუნდებოდა...

— **დედაშენი აღარ გათხოვილა?**

— კი, სამჯერ... ბევრი რამ არ მომწონს დედაჩემის საქციელში (*ამოიხვნეშა. — ავტ.*)... ყველაფერს ვერ გეტყვი.

— **დედა ახლა სად მუშაობს?**

— სათბურში. ყვავილებს კრეფს და საყვავილეებს ამარაგებს. სულ დაჩხვლეტილი აქვს ხელები ეკლებით.

— **რა სიმღერებს მღერი, როგორია შენი რეპერტუარი?**

— მოთხოვნის შესაბამისი. „ცვეტშია“ — „პატარა ქალო“ და „აყვავებულა არაგვზე დეკა“...

— **მოწყალეა ხალხი?**

— კი, ერთხელ ერთი ბიჭი მოვიდა, — ჩემი ტელეფონის ნომერი ჩაიწერე, თუ რამე გაგიჭირდეს, დამირეკეო, — მითხრა. კალამი და ფურცელი არ მაქვს-მეთქი, — ვუთხარი. ათლარიანზე დამიწერა თავისი ნომერი და მომცა...

— **რითი ერთობი?**

— კომპიუტერი ვიყიდე იაფად, ას ლარად. ერთ ბიჭს თავანი ჰქონდა ჩასაბარებელი და იმან მომყიდა. ბებიაჩემს ვესესხე, პენსია ჰქონდა აღებული და მომცა. მერე გავუსტუმრე ნელ-ნელა. ახლა ტელევიზორი გაგვიფუჭდა და კომპიუტერში უყურებს სერიალებს. გამოადგა ჩემი ნაყიდი კომპიუტერი.

— **ჩახლეჩილი ხმა გაქვს, სიგარეტს ეწევი?**

— 6 წლის ვიყავი, დიდმა ბიჭებმა რომ გამასინჯეს სიგარეტი. მის მერე ვეწევი. თავიდან „პარაოზი“ ვიყავი — დღეში 3 კოლოფს ვეწეოდი. ახლა შევამცირე. „ბარსელონას“ ფორმა ვიყიდე და ფეხბურთზე დავიწყე ფიქრი. ადრე კარატეზე დავდიოდი, მაგრამ მასწავლებელმა გაიგო, სიგარეტს რომ ვეწეოდი და გამომაგდო.

— **რაფო, როდემდე უნდა ივლიდე ასე მეტროსთან?**

— ახლა რესტორანში ვაპირებ მისვლას. იქნებ ამიყვანონ მედოლედ. თორემ აქ უკვე გაჭირდა მუშაობა. პოლიცია აღარ მაჩერებს. ერთხელ, ენა შევუბრუნე და მცემეს. ზრდილობა მაკლია, დანარჩენი ყველაფერი მაქვს. ■

დროებით ორსული...

ინგა ჯაყელი

ახლა ის უნდა გიამბოთ, თუ რა შეიძლება, დამართოს კაცს გაუთავებელმა სმამ და თუნდაც საკუთარი ცხოვრებისადმი გამოჩენილმა უპასუხისმგებლობამ...

ოთო მშრომელი ბიჭია. თუმცა, რაღა ბიჭი, ცოტა ხნის წინ 28 წელიწადი შეუსრულდა. არანაირ საქმეს არ თაკილობს, მაგრამ რად გინდა?! იმის ნაცვლად, რომ ნაშოვნი ფული ყაირათიანად ეხარჯა, გაუძღვებოდა ბიჭებს ტერენტის დუქნისკენ და გონის დაკარგვამდე გამოთვრებოდა, მერე კი ხან ერთი „ფეხსუსტი“ ქალის კარს მიადგებოდა, ხან — მეორისას და დარჩენილ თანხას იმათ უკუჭავდა დეკოლტირებულ გულისპირში... მართალია, დილით იმასაც ვეღარ იხსენებდა ხშირ შემთხვევაში, სანაცვლოდ რა მიიღო, მაგრამ კითხვას იმის შიშით ვერ ბედავდა, ვინმეს არ წამოეძახებინა — ღვინომ ქალის სურვილიც გაგიქროო...

ასეთი კაცი წესით არავის უნდა უნდოდეს ქმრად, მაგრამ ქალებისას რას გაიგებს კაცი: — ახლა იმიტომ სვამს, ცოლი რომ არ ჰყავს, კაი ცოლის ხელში კაციც „გამოკარგდება!“ — თავს ირწმუნებდნენ გასათხოვარი გოგოები და როგორც შეეძლოთ, ეპრანჭებოდნენ...

თავის სიყვარულზე მხოლოდ ერთ-ერთი არ ლაპარაკობდა ხმამაღლა: ლოტოს კოჭივით მრგვალი და დაბალი ნატო, რომელიც ელამიც იყო და მის გათხოვებაზე მდიდარი მამამისიც არ ოცნებობდა. ძმებს უფრო ეწვოდათ გული, მაგრამ რა ექნათ — დას ძალით ხომ არ შეაჩეჩებდნენ ვინმეს, თორემ ფულის გადამხდელებიც იყვნენ...

ოთოს გარეგნობა ჩინებული ჰქონდა. რომ მოენდომებინა, კალათბურთსაც ითამაშებდა. თითქმის ორმეტრიანი გახლდათ. მისი შავი თვალები კი ვის არ აუბნევდა თავგზას?!.

ნატოც ერთ დღეს ამ „თავგზააბნეულებს“ შორის აღმოჩნდა, მაგრამ სხვებივით უიმედოდ კვნესას არ მოჰყოლია. მზაკვრული გეგმა ჩაიფიქრა...

მთვრალი ოთო, თუ ქალის სურვილს არ აედევნებოდა, ხშირად სახლის ნაცვლად, თავის „საყარაულო“ ვაგონში იძინებდა, ვენახების ბოლოში. ჰოდა, ერთხელაც თვალი რომ გაახილა დილით, გვერდით სწორედ ის ლოტოს კოჭივით მრგვალი ნატო დაინახა, თითქმის შიშველი...

იმის იმედით, მგონი მესიზმრებაო, კარგა ხანს იფშვნიტა თვალები, მაგრამ ქალი „ვერ გააქრო“. ჰკრა მუჯლუგუნი და გააღვიძა...

— ვაიმე, დაკარგულო პატიოსნებავ და გატეხილო სახელო! — წაიშინა ხელები თავში. — ეს რა მიყავი, შე უნამუსო, ცუდად ვარ, შემომიტყუე ვაგონში და გახელებული ხარივით მეტაკე, — აღვარღვარებდა ცრემლებს გოგო...

— მტყუნის?! — შეიგინა ოთომ. ვერაფრით დაიჯერა, რომ ნატოსთან თუნდაც მთვრალმა იკადრა რამე.

— ვაიმე-ე! — ხმას მოუმატა გოგომ. — სახლში ვეღარ მივბრუნდები. მეც მომკლავენ ძმები და არც შენ დაგტოვებენ ცოცხალს...

ნატოს ძმების ხათრიც ჰქონდა ოთოს და შიშიც. მიდი და ნუ შეგეშინდება — ორივე ყოფილი მორაგბე გახლდათ. მიწოლით კედელს ანგრევენ...

ოთომ ქეჩო მოიქექა:

— მიდი ახლა, შენ სახლში შეიპარე. მე კი ხვალ-ზეგ მოვალ და შენს ხელს ვთხოვ შენს ძმებს...

გოგომ დაიჯერა და წავიდა. ოთოს მის სახლში მისვლა არც მეორე დღეს უფიქრია და არც იმ კვირაში:

— დრო რომ გავა, მერე წავიდეს და ამტკიცოს, მე ვიხმარე მასზე ძალა თუ სხვა ვინმემ. მზეთუნახავები მეძლევიან და ვინ დაიჯერებს, რომ იმისთანასთან დავწექიო?! — იმშვიდებდა თავს, მაგრამ არც ნატო აპირებდა დანებებას: 1 თვისთავზე, ოთოს დილაადრიან გზაზე დახვდა:

— დავიღუპე, ორსულად ვარ... დროზე მოდი და ოჯახს ჩემი თავი სთხოვე, თორემ დაგვხოცავენ!

— ორსულად, არა!.. — ხელი აიქნია ბიჭმა და სულ გადაიკარგა სოფლიდან...

სხვა ნატოს ადგილზე ხელს ჩაიქნევდა და დანებდებოდა, მაგრამ ერთხელაც გამობზეკილი მუცლით დაეინახვა ძმებს და მამას, მერე კი ატირდა:

— ძალა იხმარა იმ უნამუსომ, ვაგონში შემათრია-ა-ა!..

გაიქცნენ ქალაქში ნატოს ძმები, მოძებნეს ოთო და თავპირდასივებული ჩამოათრიეს სოფელში. როგორც ჩანს, მაინც სცადა თავის დაძვრენა, მაგრამ მორაგბეებს მოერეოდა თუნდაც ორმეტრიანი კაცი?!.

სასწრაფოდ დანიშნეს ქორწილი. ოთოს ოჯახს სამხიარულო რა ჰქონდა, მაგრამ ნატოს ოჯახმა 500 კაცი მაინც შეყარა წვეულებაზე. ათასანტიმეტრიან ქუსლებზე იდგა პატარძალი, მაგრამ მაინც ვერ სწვდებოდა სიძეს მხრებამდე...

რაიონის ეკლესიაში ჯერ ჯვარი დაიწერეს, მერე ხელი მოაწერეს ქორწინების სახლში და ის იყო, საქორწინო სუფრას უნდა შემოსხდომოდნენ, რომ აიწია კაბა პატარძალმა და პატარა ბალიში გამოაძვრინა: ფაფუ-უ, გაბზეკილი მუცელი! მის ძმებსაც კი პირი დარჩათ ღია:

— დროებით ვიყავი ორსული... აბა, ისე ვერ ვაფიქრებინე ჩემი ცოლად შერთვა და... ის კაი იყო, ვაგონში რომ შემათრია?! — ნიშნის მოგებით გახედა უკვე ქმარს გოგომ.

— ყოჩაღ შენს ქალობას! — შეაქება ნატო გამხიარულებულმა სტუმრებმა. მხოლოდ ოთო იდგა გახევებული. ისე გამწარდა, დაიფიცა: სხვა ქალებში ვივლი და შენ ჩემგან ქმრობას ვერ ეღირსებიო... არც გაჰკარებია ორისამი თვე, მაგრამ მერე მაინც „წაუცდა ხელი“ და სიურპრიზი აქ ელოდა, თუ ელოდა: ნატო ქალწული აღმოჩნდა...

დღემდე უკვირს, რომ ინფარქტი არ მოუვიდა:

— მიყვარდი და სხვაგვარად ხელში ვერ ჩაგიგდებდი! — სიყვარულითა და ცრემლიანი თვალებით უცქერდა გოგო, მაგრამ ახლა მისი ცრემლები ალალი იყო და თითქოს რაღაც გაულღვა ოთოს მკერდში...

სიმთვრალეში წამოსცდა ნატოს ქალწულობის ამბავი და ასე გაიგო სოფელმა, სოფლისგან კი მე...

სხვათა შორის, ამ „შარის“ შემდეგ ოთომ სმას უკლო, თანაც წლისთავზე ნატომ ტყუპი ბიჭი გაუჩინა და სადღა ჰქონდა ღვინოში გადასაყრელი ფული და დრო?!. ■

რა უფრო მნიშვნელოვანია კარიერა თუ პირადი ცხოვრება

„კაცებს ეშინიათ, ცოლმა არ გვიღალატოსო“

ზოგჯერ, პირადი ცხოვრების გამო, ქალები უკვე აწყობილ კარიერაზეც კი უარს ამბობენ და ოჯახის შექმნის შემდეგ, შინიდან გამოსვლაც კი ეზარებათ, უფრო სწორად, ამბობენ, რომ ეზარებათ, სინამდვილეში კი მათ უმეტესობას ამის უფლებას მეუღლე არ აძლევს.

ლიკა ქაჯაია

ნია, *18 წლის:*

— ძალიან მიკვირს, როცა ქმარი ცოლს ასეთი არჩევანის წინაშე აყენებს — ან ოჯახს მიხედავ, ან იმუშავებ, მაგრამ ქმარ-შვილს გამოეთხოვებიო. თუ მე შევძელი, მესწავლა, მუშაობა დამეწყო, კარიერაში წარმატებისთვის მიმეღწია და ნორმალური სამუშაო, ნორმალური ანაზღაურებით მეშოვა, ქმარმა ამ ყველაფერზე უარი რატომ უნდა მათქმევინოს? ვფიქრობ, ასე მხოლოდ ქართველი კაცები იქცევიან და ისიც იმიტომ, რომ საშინლად ეჭვიანები არიან.

— შენი აზრით, ამის მიზეზი მხოლოდ ეჭვიანობაა?

— აბა, სხვა რა უნდა იყოს? იმას კი არ ფიქრობენ, რომ ქალს ღალატი თუ მოუნდება, ამას სახლშიც მოახერხებს. კარადაში გამომწყვდეული საყვარლების ამბავი მართლა ანეკდოტი კი არაა. ხომ იცი, ასეთი ამბები ქართულ რეალობაში ბლომადაა.

— ზოგს უბრალოდ, იმიტომ არ უნდა ცოლი ამუშაოს, რომ ამით თავმოყვარეობა ელახება...

— რას გულისხმობ?

— ბევრს მიაჩნია, რომ ოჯახი კაცმა უნდა არჩინოს და ფიქრობენ: ისეთი რა უნდა გაგვიჭირდეს, ქალი რომ ვამუშაოთო?..

— სამაგიეროდ, დარწმუნებული ვარ, ასეთები ცოლს სახლში ვირეებივით ამუშავებენ. თავად ოჯახში ფული შემოაქვთ, მაგრამ ქალებს ისეთი საქმეების მოგვარება უწევთ, როგორიც სახლის რემონტი, ბაზარში სიარული და მსგავსი რაღაცებია. იდეალური ვარიანტია, როცა ცოლიც მუშაობს, ქმარიც დაკავებულია, საოჯახო საქმეებს კი თანაბრად ინაწილებენ.

— და შენი აზრით, ბავშვებზე ვინ უნდა იზრუნოს?

— თუ მცირეწლოვნები არიან, ძიძამ, თუ არა და, ბაღში, სკოლაში ივლიან, ბებია-ბაბუები მოუვლიან... თუ ქალს პროფესია არა აქვს, ცხადია, ის ვერსად იმუშავებს.

— რატომ? ხომ შეიძლება რაღაც საქმე გამონახოს და ვთქვათ, მაღაზიაში, კონსულტანტად დაიწყოს მუშაობა?

— ცხადია, შეიძლება, მაგრამ როცა მცირეწლოვანი შვილები გყავს, თუ ამით შენს კარიერას ზიანი არ მიადგება და მატერიალური მდგომარეობაც გიწყობს ხელს, მუშაობაზე დროებით უარი უნდა თქვა, მაგრამ როგორც კი ბავშვები წამოიზრდებიან და ხელ-ფეხი გაგეხსნება, თუ ამის შნო გაქვს, მუშაობა აუცილებლად უნდა დაიწყო.

ნიკო, *18 წლის:*

— ჩემს ცოლს არასდროს ვეტყვი, — შინ დაჯექი და გარეთ ცხვირი არ გაყო-მეთქი. მეტიც, თუ ქალს დეკრეტში ყოფნით უკვე აწყობილი კარიერა თავზე ემხობა, მაშინ უნდა გარისკოს და ბავშვი ძიძას ანდოს. არ მესმის იმ კაცების, რომლებსაც ეშინიათ, ცოლმა არ გვიღალატოსო და სამსახურში ამიტომაც არ უშვებენ.

ვფიქრობ, ადრე თუ გვიან, ასეთი ოჯახი აუცილებლად დაინგრევა.

მაკო, *19 წლის:*

— თავის დროზე მამამ მეუღლეს მუშაობის უფლება არ მისცა, — რა გაჭირვება მაქვს, ცოლი სახელმწიფო სამსახურში რომ ვამუშაო? მაგას ჯობია, შინ იჯდე და ოჯახს მიხედო, კერძები მოამზადოო, მაგრამ მას მერე, რაც თავად შემცირებაში მოყვა და ოჯახის რჩენა ვეღარ შეძლო, დედაჩემი მოხუცის მოსავლელად, საბერძნეთშიც კი გაუშვა. აი, ასეთები არიან ქართველი კაცები: როცა ორი „კაპიკის“ შოვნა შეუძლიათ, კუდი ყავარზე აქვთ გადებული, მაგრამ როცა ლუკმა პირიდან ეცლებათ, უმწეონი ხდებიან. პირადად მე, არასდროს გავთხოვდები ისეთ კაცზე (როგორც უნდა მიყვარდეს), რომელიც მუშაობას ამიკრძალავს.

მამუკა, *18 წლის:*

— ცოლს მუშაობის უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივცემ, თუ ძალიან ცნობილი პიროვნება იქნება და დღეში იმდენი შემოსავალი ექნება, რამდენიც შესაძლოა, მე თვეში ვერ გამოვიმუშაო.

— სხვა შემთხვევაში, მას შინ გამოამწყვდევ?

— აბა, რა! ქალი სახლიდან რომ გავა, კაცს ეს უნდა უღირდეს... დედაჩემი მთელი ცხოვრება მუშაობდა და ახლა მამას საყვედურობს: თან ვმუშაობ, თან სახლის საქმეებსაც ვაკეთებ, გივლით, გირეცხავთ, გიუთოებთო. მამა ეუბნება: შე ოჯახაშენებულო, დაჯექი სახლში, ნუ იმუშავებ, ამით არ დავიქცევითო, მაგრამ დედა თავის „კარიერას“ ვერ ელევა — მაღაზიაში მუშაობს, ხილის გამყიდველად და დღეში 5 ლარს უხდიან. მამას ადგილას, ასეთ ჯიუტ ცოლს ჭკუას ვასწავლიდი!

— ჭკუის სწავლებაში რას გულისხმობ?

— მთელი თვე ფულს არ მივცემდი და ვნახავდი, რაში ეყოფოდა ის თანხა, რომლითაც ასე ამაყობს...

ეკა, *17 წლის:*

— მიზნად მაქვს დასახული: სანამ კარიერას არ ავიწყობ, არ გავთხოვდები! არ მინდა, მთელი ცხოვრება ქმარს ვუყურებდე ხელებში და ფულს ვთხოვდე. მეუღლეს რაც არ უნდა ბევრი ფული ჰქონდეს, საკუთარ შემოსავალს არაფერი სჯობს. ჩვენს ოჯახში ეს თემა ტაბუდადებული იყო, მაგრამ მას მერე, რაც საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა და მამა საქართველოში იძულებით დაბრუნდა, „ჯადო

აიხსნა“ — მან დედას მუშაობის უფლება მისცა.

— **ალბათ იმიტომ, რომ საქართველოში დაბრუნებულმა სამსახური ვერ იშოვა...**

— ჰო, ასე იყო. როცა ძალიან გაგვიჭირდა, დედამ მუშაობა დაიწყო. რაღაც პერიოდის შემდეგ, მამაც ამოძრავდა, აქაურ სიტუაციასაც აუღო ალღო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ტვინი გაეხსნა: მიხვდა, რომ არაფერია ცუდი იმაში, თუ ქალსაც აქვს სამსახური და რომ ზედმეტი შემოსავალი არავის აწყენს.

„პირველ რიგში, კარიერაზე უნდა იფიქრო“

MONDLICHT:

„ყოველთვის რაღაცის დათმობაა საჭირო. კარიერული წინსვლა პირადი ცხოვრების ნგრევის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია. არიან გამონაკლისები, რომლებსაც ორივეს შენარჩუნება-განვითარების უნარი აქვთ. თქვენ როგორ არჩევანს გააკეთებდით?“

WILKINSON:

„კარიერა, კარიერა და ყოველთვის კარიერა! პირადი ცხოვრება მერეც მეყოფა. არასდროს მესმოდა იმ ადამიანების, რომლებიც 19-20 ან ჰაჰა, 21-22 წლის ასაკში ქმნიდნენ ოჯახს. ეს ყველაფერი სისულელეა! კაცმა ჯერ საკუთარ თავზე უნდა იფიქრო, საქმე აიწყო და მერე, თუ ძალიან მოგინდება, ოჯახსაც შექმნი“.

WISE LADY:

„სრული ბედნიერებისთვის ორივე მჭირდება და ჯერჯერობით, თავს ბედნიერად ვგრძნობ კიდეც“.

IAKHSARI:

„კარიერა და პირადი ცხოვრება ერთმანეთს უშლის ხელს? ვითომ?..“

WILKINSON:

„კი, უშლის, თანაც — ძალიან. აბა, რომელ ერთზე უნდა იფიქრო: სწავლაზე, სამსახურზე თუ ცოლსა და შვილზე? რა გეჩქარებათ? თუ დაქორწინებას ცოტა ხნით გადადებთ, კაცობრიობა ამოწყდება?“

შიზოფრენიკ:

„არა, არ უშლის, მაგრამ ოჯახის შექმნასთან ერთად, პრობლემები მატულობს და რატომ უნდა აიტკივო აუტკივარი თავი?“

IAKHSARI:

„პრობლემები შეიძლება, მატულობს, მაგრამ მატულობს მუღამიც — წინსვლისა და უკეთესი ცხოვრების; და სურვილი, რომ კარიერა აიწყო, შენთვის ძვირფასი და საყვარელი ადამიან(ებ)ი კარგად აცხოვრო ანუ თემაა ძალიან საკამათო... P.S. კარიერა პირადი ცხოვრების ნაწილია“.

ნუკი:

„თუ ისეთი კარიერა არ მექნება, როგორიც მინდა, ვერ ვიტყვი, რომ სრულყოფილი პირადი ცხოვრება მაქვს... თუ კარიერას ისე ავიწყობ, როგორც საჭიროა, ეს უზომოდ დიდ ბედნიერებას მომანიჭებს და ამ სიხარულს ვერაფერი გამიუფერულებს... მოკლედ, კარიერაზე „დავაწკაპუნე“.

MY_SWEET_NOVEMBER:

„ორივე აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანმა თავი შემდგარ პიროვნებად იგრძნოს. ერთი მათგანის არსებობა მეორეს კი არ გამორიცხავს, არამედ — ავსებს. ის არგუმენტი კი, რომ ვითომ ორივეზე ზრუნვისთვის ადამიანს დრო არ რჩება, მხოლოდ ზარმაცი ხალხის მოგონილია, რომლებიც კარიერაში ან პირად ცხოვრებაში საკუთარი წარუმატებლობის გამართლებას ასე ცდილობენ“.

ნუკი:

„ეჰ, ერთი მეორეს ზოგჯერ, მართლაც უშლის ხელს... მაგალითად, ღამით ქმართან ერთად რომ ნებივრობ და ამ დროს აღმოჩნდება, რომ გასაქცევი ხარ, როგორი იქნება მამაკაცის რეაქცია:

ა) კარგადაც მოგაგინებს და ბარგსაც მოგიყრის;

ბ) გაგიგებს ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მაგრამ ბოლოს „ა“ პუნქტით დააგვირგვინებს ყველაფერს...

გ) არ ესიამოვნება, მაგრამ ვინაიდან სიტუაცია გააზრებული აქვს, ამასაც შეეგუება...

კაცმა ჯერ საკუთარ თავზე უნდა იფიქრო, საქმე აიწყო და მერე, თუ ძალიან მოგინდება, ოჯახსაც შექმნი

აი, ეს „გ“ ვარიანტი არ მოგვიშალოს ღმერთმა კარიერისტ ქალებს“.

ELLE_88:

„ისეთი ზარმაცი ვარ, რომ შუაღამისას საწოლიდან არანაირი კარიერის გამო არ წამოვხტები. სამუშაო საათები 9:00-დან 18:00-მდე ვიცი მე...“

MISS CHOCOLATE:

„სრული ბედნიერებისთვის ორივე აუცილებელია, მაგრამ იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ორივეში ერთნაირად გაუმართლა“.

ბეკა911:

„უპირატესობას კარიერას ვანიჭებ. თუ კარგი კარიერა და იმიჯი გექნება, ჯანსაღი სიყვარულის პოვნის უფრო დიდი შანსი მოგეცემა“.

ნინო877:

„მე ნიჭიერი ვარ და ორივეს ვასწრებ“.

FERLADOR:

„ორივე საჭირო და აუცილებელია იმისთვის, რომ ადამიანმა სრულფასოვან პიროვნებად იგრძნოს თავი. საკმარისად დატვირთული დღის რეჟიმი მაქვს, მაგრამ „მისთვის“ დროს მაინც გამოვნახავ... ჩემთვის გაუგებარია, ზოგისთვის პირადი ცხოვრება რატომ ასოცირდება ცოლის მოყვანასთან ან გათხოვებასთან, სასწრაფოდ შვილების გაჩენასთან და იმ ყოფით ოჯახურ-ცხოვრებისეულ პრობლემებთან თუ პასუხისმგებლობასთან, რისთვისაც ჯერ მზად არ არიან?!.“

SOLVEIG:

„ზოგჯერ საქმეში წარმატების მისაღწევად ძალიან ბევრი რამის დათმობაა საჭირო. თუ გინდა, აწყობილი პირადი ცხოვრება გქონდეს, კარიერაში რაღაც-რაღაცებზე უარის თქმა მოგიწევს, განსაკუთრებით ქალს — რადგან ბავშვების გაჩენას და გაზრდას საკმაოდ ბევრი დრო მიაქვს... მე თუ მკითხავთ, ადამიანმა კარიერაზე ისე უნდა იზრუნოს, რომ პირადი ცხოვრება არ დაენგრეს“.

ტოტო:

„ჩემთვის გაუგებარია, პირადი ცხოვრების გამო კარიერაზე უარი რატომ უნდა თქვა? ჩემი აზრით, შეყვარებულმა წყვილმა ერთმანეთს ყველაფერში უნდა შეუწყოს ხელი“.

WILKINSON:

„კარიერა, პირველ რიგში!.. ჯერ რაც მინდა, ის უნდა ავისრულო და მერე

შეიძლება, პირად ცხოვრებაზეც ვიფიქრო. როცა საქმეს ვაკეთებ, სხვა რაღაცების მიმართ საშინლად უყურადღებო ვარ, არ მაინტერესებს, რა ხდება გარშემო. სხვათა შორის, ზაფხულშიც ასევეა: როცა ვისვენებ, ვიღაცასთან დარეკვა, ახლობლების მოკითხვა საერთოდ არ მახსენდება. საშინლად მაღიზიანებს ზედმეტი ყურადღება, როცა ყოველდღე გეკითხებიან: რას შვრები, როგორ ხარ, სად ხარ, რას აკეთებ, არ მოგენატრე? და ა.შ. არ მევასება ეს უწი-პუწები".

UMBR_ELLA:

„მე თუ პირადი ცხოვრება არ მაქვს მოწესრიგებული, კარიერაში წინსვლის სურვილიც არ მიჩნდება".

WILKINSON:

„მე პირიქით ვარ. ყველასა და ყველაფერზე წინ საკუთარ თავს ვაყენებ. მინდა, ცხოვრება, საქმე ავიწყო და იმის შიში არ მქონდეს, — ვაიმე, ხვალ რა იქნება-მეთქი? დედა „ტვინს მიბურღავს": შენ გვერდით არც ერთი გოგო არ მინახავს, არადა ეს ერთგვარი სტიმულიაო. რა სისულელეა! საკუთარ თავზე თავად თუ არ ვიზრუნე, სხვა რაში დამეხმარება?.."

FAO:

„ყველაფერს თავისი დრო აქვს. არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ძალიან ადრე ქმნიან ოჯახს... პირველ რიგში, კარიერის აწყობაზე უნდა ვიფიქროთ. თუმცა არც იმას ვამბობ, რომ პარალელურად, პირადი ცხოვრება ვერ გექნება, ეს სისულელეა... მოკლედ, თავის დროზე ყველაფერი კარგია, მაგრამ ამ ეტაპზე უპირატესობას კარიერას ვანიჭებ".

ტრიპალი:

„პირველ რიგში, რა თქმა უნდა, კარიერაზე უნდა იფიქრო, თუ არ გინდა, ბოლოს „საშუალო ფენაში" ამოყო თავი. თან, ასე შვილს სათანადო განათლებასაც ვერ მისცემ და ცხოვრებას დაუმახინჯებ".

■

„პაატა დაიჭირეს და ბრალად ყაჩაღობა წაუყენეს"

მარი:

„მე და პაატამ ოჯახი 17 წლის ასაკში შევქმენით. მისმა მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ ცალკე უნდა გვეცხოვრა და ბინა გვიყიდეს. მართალია, მატერიალურად გვეხმარებოდნენ, მაგრამ მათ მიერ მოცემული თანხა არ გვყოფნიდა: გარდა იმისა, რომ უნდა გვეჭამა და ჩაგვეცვა, გართობაზეც ვფიქრობდით, საამისოდ კი ფულს არავინ გვაძლევდა და პაატამ გადაწყვიტა: მუშაობას დავიწყებო. აბა, უპროფესიო 17 წლის ლაწირაკს მუშაობას ვინ დააწყებინებდა? მოკლედ, სამუშაო რომ ვერ იპოვა, ნევროზი აიკიდა და მთელი დღე ქუჩა-ქუჩა, აღმა-დაღმა დაეხეტებოდა. ბოლოს მამაჩემმა მშენებლობაზე დააწყებინა მუშაობა. დღეში 10 ლარს უხდიდნენ, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო: კვირაში ერთხელ განტვირთვის დღეს ვიწყობდით და კვირის განმავლობაში მის მიერ წვალებით ნაშოვნ ფულს ერთსაათიან სიამოვნებაში ვხარჯავდით. მისმა მშობლებმა რომ შეიტყვეს, პაატა მუშაობსო, ლამის გადაირივნენ, — ცემენტი რომ ზილო, იმისთვის კი არ გაგვიზრდიხარ, თავს რატომ გვჭრიო?! მერე კი, გაბრაზებულებმა, ფულის მოცემა შეგვიწყვიტეს...

რამდენიმე თვეში დავფეხმძიმდი. ვიდრე ბავშვი გაჩნდებოდა, თავი ასე თუ ისე, გაგვქონდა, მაგრამ შვილის შეძენის შემდეგ ცხოვრება ძალიან გაგვიჭირდა: პატარა ხელოვნურ კვებაზე იყო, პამპერსიც ხომ უნდოდა და კიდევ ათასი რამ სჭირდებოდა. მხოლოდ პაატას ნაშოვნი „კაპიკებით" კი ამ ყველაფრის ყიდვა შეუძლებელი იყო და თან, ჩვენც ხომ გვინდოდა ჭამა? გადასახადებიც ხომ უნდა გადაგვეხადა?.. ჩემი ოჯახიც დიდად ვერ გვეხმარებოდა, საამისოდ მათ მატერიალური მდგომარეობა არ უწყობდა ხელს; მერე პაატაც უმუშევარი დარჩა... მოკლედ, ძალიან ვწვალობდით. ერთხელ ჩემმა მეუღლემ შინ ბევრი ფული მოიტანა. ვკითხე, — საიდან-მეთქი? მუშაობა დავიწყე და პრარაბმა თანხა წინასწარ მომცა; იცოდე, ამიერიდან არ გაგვიჭირდებაო. ჩემი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა: მალე პაატა დაიჭირეს და ბრალად ყაჩაღობა წაუყენეს. მას შემდეგ, რაც დააპატიმრეს, საცხოვრებლად დედ-მამასთან გადავედი. პატარის აღზრდა დედას მივანდვე, მე კი ერთ-ერთ კაფე-ბარში, ჭურჭლის მრეცხავად ვმუშაობ, შვილსაც ვუვლი და გარკვეულ თანხას ქმარსაც ვურიცხავ... დედამთილ-მამამთილი ახლა კი მეხვეწებიან, — ჩვენთან გადმოდი, მხარში ამოგიდგებით; ორივე გთხოვთ, ჩვენს ვაჟს საბოლოოდ ნუ დაგვაკარგვინებ, მას ჩვენთან შეხვედრა კი არა, ლაპარაკიც აღარ სურს, რადგან თავის უბედურებაში ჩვენ გვადანაშაულებსო, მაგრამ მათთან ერთად ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნია. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? ქმრის გამო მათი ატანა ღირს? დარწმუნებული ვარ, საცხოვრებლად მათთან რომ გადავიდე, ეს პაატას ძალიან გაახარებს და ამის შემდეგ მშობლებს თავადაც ყველაფერს მიუტევებს. მითხარით, ჩემს ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდით? ისიც არ მინდა, მშობლებს ტვირთად დავაწვე. და კიდევ, პაატამ არ იცის, სადაც ვმუშაობ, ის ამის უფლებას არ მომცემდა..."

■

„სიყვარულის სახელით, ხავსს ვებღაუჭები!.."

ვაჟა, *18 წლის:*

„შეყვარებულის მშობლები მიწუნებენ: შენნაირ სასიძოზე არ ვოცნებობდით, ჩვენი შვილი ბრედ პიტს უნდა გავაყოლოთო. რას მიწუნებენ? — ცხადია, გარეგნობას. იმის გამო, რომ თვალები ოდნავ „გამირბის", დამბრაკეს. „ლოვეს" ნათესავები დამცინიან: იმ ბრუციანმა ამის სილამაზე როგორ აღიქვა? წავიდეს, თავისი ტოლი ნახოსო. მართალია, ამ ყველაფრის გამო ძალიან ვბრაზობ, მაგრამ ჩემი ბუთხუზა ისე მიყვარს, რომ მის გამო ყველაფერს ვითმენ. ჩემები მეუბნებიან: იმ გოგოს შეეშვი, თორემ მისი მშობლები ცხოვრებას გაგიმწარებენო. შესაძლოა, ასეც მოხდეს, მაგრამ მე სიყვარულის სახელით, ხავსს ვებღაუჭები!..

მირჩიეთ, მათ გამო სიყვარულის დაკარგვა ღირს? როგორ გგონიათ, როცა დავქორწინდებით (გაპარვას უახლოეს მომავალში ვაპირებთ), ჩემი ბუთხუზას მშობლები საკუთარი შვილის ოჯახის დანგრევას მოინდომებენ? მართალია, ვფიქრობ, რომ სიყვარულს წინ ვერავინ და ვერაფერი აღუდგება, მაგრამ იმისიც მეშინია, რომ შესაძლოა, ერთ დღესაც ჩემმა „ლოვემ" აღმოაჩინოს, რომ კი არ ვუყვარვარ, არამედ ვეცოდები და... ჩემგან წავიდეს".

■

P.S. მაშ ასე, თუ მარის და ვაჟას წერილების წაკითხვის შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

■



სამყარო

ვინ შეუკერა თეთრი ჩოხა დავით ბაგრატიონს

ანუ ქალბატონი, რომელიც რაინდულ სამოსს ქმნის

ლალი ფაცია

ამ ადამიანის ნამუშევარს სად არ შეხვდებით — თბილისში, საქართველოს ნებისმიერ კუთხეში, უცხოეთში (რუსეთი, ამერიკა, საბერძნეთი)... მასთან ძირითადად ქართული ფოლკლორული ჯგუფები თანამშრომლობენ („სუხიშვილები", „მართვე", „რუსთავი", საბავშვო ქორეოგრაფიული ჯგუფები, რეგიონული ანსამბლები). მასთან ჩოხოსნებიც მეგობრობენ — დასის წევრთა სამოსი დალი სეთურიძის შეკერილია. დავით ბაგრატიონსაც ჩოხა-ახალუხი მან შეუკერა... დაუზარელი ადამიანია ქალბატონი დალი, ერთ წუთს ვერ ნახავთ გაჩერებულს, სულ საქმეშია ჩაფლული... კიდევ იმით გამოირჩევა, რომ საოცრად უყვარს ის კუთხე, სადაც გაიზარდა. ჰოდა, ინტერვიუც სწორედ ამ თემაზე საუბრით დავიწყეთ.

— თბილისში დავიბადე, მაგრამ მთაში, სოფელ სეთურებში, გუდაურის მახლობლად გავიზარდე. როგორც კი დადგებოდა 25 მაისი და სკოლიდან დამითხოვდნენ, უკვე სეთურებში ვიყავი, სადაც 31 აგვისტომდე ვრჩებოდი.

— თქვენს ბავშვობაში როგორი იყო კურორტი გუდაური?

— ადრეულ წლებში, გუდაურში ერთადერთი სახლის გარდა არაფერი იყო, სადაც კაიშაურები ცხოვრობდნენ. იქვე პატარა მაღაზია ჰქონდათ, რომელშიც ნავთი, ასანთი, სანთელი და სხვა პირველადი მოთხოვნილების ნივთები იყიდებოდა... თუ რამ დაგვჭირდებოდა, ჩვენი სოფლიდან იმ მაღაზიაში მივდიოდით.

— როგორც ინტერვიუს დაწყებამდე მითხარით, მთა თქვენთვის განსაკუთრებულ სიწმინდეს წარმოადგენს... რა არის ამის მიზეზი?

— იქაურობამ სიყვარული, კაცთმოყვარეობა მასწავლა... საოცარი ბებიები მყავდა, რომლებმაც ბევრი კარგი რამ ჩამინერგეს. მოკლედ, ბავშვობაში იქ განვლილი წლები თბილად მახსენდება, რის შემდეგაც ვამბობ, რომ მთა ჩემთვის მართლაც უდიდესი სიწმინდეა!

მას ჩოხა ქორწილამდე 3 თვით ადრე, როგორც „ჩოხოსანს", ისე შეუკერეთ...

— კერვა ბავშვობიდან გიყვარდათ?

— დიახ. VI-VII კლასში ვიქნებოდი, რომ ჩემს მეგობრებს რაღაცებს ვუკერავდი, ჩემებურად რაღაცებს „ვჯღანავდი". ბებიაჩემს საკერავი მანქანა ჰქონდა, რომელსაც მივუჯდებოდი და გაუთავებლად ვკერავდი. ჩემი ასეთი საქციელი ყველას უკვირდა, რადგანაც ასეთი გატაცებისთვის საკმაოდ პატარა ვიყავი. ამასთან, კარგად ვქარგავდი. დედას კაბებს „ვემტერებოდი", თუ რომელიმეს ხელში ჩავიგდებდი, დავჭრიდი და გადავაკეთებდი ხოლმე. ერთხელაც, ჩემები სათიბში იყვნენ წასული და დედას ექვსმეტრიანი, „კლოში" კაბა გადმოვიღე, დავჭერი და ჩემთვის კაბა შევიკერე, რომლითაც შემდეგ ახლობლის ქორწილში წავედი. ასეთი იდეა ხშირად მომდიოდა, მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, არასდროს მიფიქრია, რომ მომავალში ამ საქმეს გავყვებოდი. მაშინ სპორტსმენი გახლდით, საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებში ვთამაშობდი, თან — მამისგან მალულად (*იღიმება*). რომ გაეგო, ტრუსებით მოედანზე დავრბოდი, გაგიჟდებოდა. მთიული კაცი იყო და მოგეხსენებათ, რასაც იტყოდა... ისე, წარმატებული ხელბურთელი კი ვიყავი.

— სპორტს რატომ არ გაჰყვით?

— სპორტულ კლუბ „განთიადში", მწვრთნელმა, ვოვა არაქელოვმა ამიყვანა და პირდაპირ ნაკრებში ჩამრიცხა. ძლიერი თავდამსხმელი გახლდით. მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირი შემოვიარე, მაგრამ სკოლა რომ დავამთავრე, სპორტს თავი დავანებე, რადგან მამამ მაინც გაიგო ჩემი სპორტსმენობის ამბავი და აღარ გამიშვა. არ სიამოვნებდა და რატომ უნდა გამეღიზიანებინა? სკოლა რომ დავამთავრე, მაშინ ასეთი კანონი იყო: თუ სასწავლებელში არ ჩააბარებდი, სადმე მუშაობა უნდა დაგეწყო. ჩემი მეზობელი საბავშვო ატელიეს დირექტორი იყო. ავდექი და 17 წლის ასაკში სამუშაოდ მასთან მივედი.

— თავიდან რას კერავდით?

— წლების მანძილზე იქ მოსწავლეებისთვის სკოლის ფორმებს ვკე-

რავდი. კლიენტები ჩემთან ჩაწერით ხვდებოდნენ, რიგი იყო ხოლმე. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და მთავრობის წევრების ბავშვებს — მინისტრების შვილებს ვუკერავდი, შევარდნაძის შვილიშვილებისთვისაც ვკერავდი, თვითონ მოდიოდნენ. მოკლედ, ცნობილი მკერავის სახელი მქონდა. იმ ატელიეში 28 წელი ვიმუშავე. სულ 40 წლის სტაჟი მაქვს.

— დღესდღეობით კი ეროვნულ სამოსზე მუშაობთ...

— დიახ, სხვას არაფერს ვკერავთ მე და ჩემი ჯგუფის წევრები.

— სად და როგორ შეისწავლეთ ამ სამოსის კერვა?

— ჩვენთან, იმ ატელიეში, რომელიც ვახსენე, მუშაობდა ჩოხის მკერავი — მიშა ფანჩულიძე. უამრავი კლიენტი ჰყავდა. ერთხელ, ანსამბლ „ორერის“ წარმომადგენლები მოვიდნენ — „კინტაურის“ ფორმების შეკერვა უნდოდათ. დირექტორმა რატომღაც მიშას კი არა, მე დამიძახა და მთხოვა, იქნებ მოახერხო და ამ ადამიანებისთვის ფორმები შეკეროო. ხატვა მეხერხებოდა, თარგებს ვაკეთებდი და ვიფიქრე, რომ შევძლებდი, — ოღონდ ნიმუში მომიტანეთ-მეთქი, — ვთხოვე. მომიტანეს. 5 არაჩვეულებრივი კოსტიუმი შევკერე. მიშა ფანჩულიძე გაგიჟდა. ისე გამოვიდა, რომ პატარა გოგომ გამოცდილ სპეციალისტს კონკურენცია გაუწია... რადგან პირველი ნამუშევარი გამომივიდა, მას მერე სახელიც გავითქვი და ჩემთან შეკვეთებით მოდიოდნენ ანსამბლები, ჯგუფები, გუნდები... „მზიურელების“ ფორმებსაც მე ვკერავდი.

— ყველა კუთხის სამოსს თავისი დამახასიათებელი დეტალი აქვს. რთული არ არის თითოეულზე მუშაობა?

— რომელი კუთხის სამოსს რა სჭირდება, ზეპირად ვიცი, რადგანაც საფუძვლიანად მაქვს შესწავლილი თითოეული კუთხის კოსტიუმისთვის დამახასიათებელი შტრიხები და ელემენტები...

— ვიცი, რომ „სუხიშვილების“ ანსამბლის მოცეკვავეებისთვისაც კერავთ სასცენო კოსტიუმებს...

— კი, „სუხიშვილებმაც“ გამიცნეს და ბოლო 5 წელია, ნინო სუხიშვილი მუდმივად კონტაქტობს ჩემთან. მათთან ძალიან ახლოს ვარ. აი, ახლაც 20 ახალუხსა და 12 „კინტაურის“ ფორმას ვუკერავ. ცოტა ხნის წინ, „ჯეირანის“, „ხევსურულის“ კოსტიუმები შევკერე. ყველა მოცეკვავეს ვიცნობ. ძალიან მომწონს მათთან მუშაობა.

— დღეში რამდენ კოსტიუმს კერავთ?

— ჩემთან 7 მკერავი მუშაობს. მთავარია, დავუხაზო, დავუჭრა და „პრიმერკები“ გავუკეთო. დანარჩენს ისინი აკეთებენ.

— ვიცი, რომ სამეფო გვარის წარმომადგენლის — დავით ბაგრატიონის საქორწინო ჩოხა თქვენ ნახელავია...

— კი, ასეა. თვითონ დავით ბაგრატიონი მოვიდა და — ჩოხა შემიკერეთო, მითხრა... ჩოხაზე ქილების 5 ჩასაწყობი გაგვაკეთებინა. არადა, საჭიროა 7 ან 9. დავითს ამის შესახებ ვუთხარით კიდეც, მაგრამ არ გაითვალისწინა. შემდგომ, როგორც ჩანს, შენიშვნა სხვებმაც მისცეს. მერე მოვიდა და გვთხოვა, იქნებ დავამატოთო, მაგრამ ეს უკვე აღარ შეიძლებოდა...

— ჩოხა ქორწილამდე რამდენიმე თვით ადრე შეუკერეთ, არა?

— დიახ, 3 თვით ადრე, როგორც „ჩოხოსანს“... მერე იმ სამოსით დაიწერა ჯვარი. სხვათა შორის, ტელევიზიით აჩვენეს მისი მეუღლის დიზაინერი, ვინც სადედოფლო კაბა შეკერა. ბევრი ილაპარაკა, როგორ მუშაობდა კაბაზე. მეფის კოსტიუმზე რას გვეტყვითო? — ჰკითხა ჟურნალისტმა. იცით, მისი ჩოხა-ახალუხი აქ არ შეუკერავთ, მამაპაპურია და ევროპიდან ჩამოიტანესო. გული დამწყდა...

— რა თანხა სჭირდება მამაკაცს, ეროვნულ სამოსში რომ გამოეწყოს?

— ყველაზე მცირე — 1.500 ლარი.

„ჩოხოსნები“ სულ ჩვენთან იკერავენ ჩოხებს...

მართალია, ჩოხის შეკერვა მოზრდილი მამაკაცისთვის 70 ლარი ჯდება, მაგრამ ქამარი, ხანჯალი, ქილები (თითო 10-ლარიანიც არის და 200-დოლარიანიც) ხომ უნდა? ეს ყველაფერი არც ისე იაფია...

— ქალის სამოსზე უფრო ადვილია მუშაობა?

— მამაკაცის სამოსი უფრო ადვილი შესაკერია, ვიდრე — ქალის. ქალის კოსტიუმს ჯერ ერთი, ბევრი ქსოვილი სჭირდება. მერე ის ზონრებითა და მძივებით უნდა გაფორმდეს. ეს კი მეტ დროსა და შრომას მოითხოვს.

— თავად თუ გაქვთ ეროვნული სამოსი?

— კი, ზამთარში ვიცვამ ხოლმე. შინდისფერი შალის ქსოვილისგან ხევსურული ქულაჯა (შემოსაცმელი) მაქვს შეკერილი. უთბილესია.

— მამაკაცის ჩოხას, ქართულ, რაინდულ სამოსს ქალი რომ კერავთ, ამაზე რას მეტყვით?

— საერთოდ, ჩოხას მამაკაცები კერავენ, მაგრამ რაკი ერთხელ დავინტერესდი ამ საქმით და გამომივიდა, „დავავადდი“ კიდეც და მგონია, რომ ვერასდროს დავეხსნები.

— არავის ასწავლით თქვენს ხელობას?

— მყავს მოსწავლეები, მინდა, რომ ვასწავლო, მაგრამ ბევრი ვერ უდებს გულს. თუმცა არიან მონდომებულებიც, რომლებმაც უკვე თავი გამოიჩინეს. ერთ-ერთი ასეთი კარგი მოსწავლე დისშვილსაც გავურიგე და მშვენიერი ოჯახი შექმნეს. ჩემი ძმისშვილიც აქ მუშაობს. უმაღლესი განათლება კი აქვს, მაგრამ სამსახური თავისი სპეციალობით ვერ იშოვა და ეს საქმე შესანიშნავად აითვისა. მოკლედ, არ ვემდური ჩემს ხელოსნებს. ყოჩაღი, თავდადებული და მშრომელები არიან.

■

რაკი ერთხელ დავინტერესდი ამ საქმით მგონია, რომ ვერასდროს დავეხსნები

სიყვარულის იმპულსები

ალბათ ნებისმიერი ჩვენგანი აღმოჩენილა, ერთი შეხედვით, გამოუვალ სიტუაციაში. იმაზე კი იშვიათად თუ დავფიქრებულვართ, რომ ხშირად თავადვე ვიმწყვდევთ საკუთარ თავს ჩიხში და შემდეგ უზარმაზარ ენერგიას ვხარჯავთ საიმისოდ, რომ ვიპოვოთ ვინმე (ან რამე), ვისაც გადავაბრალებთ ჩვენს წარუმატებლობას, ჩვენი შფოთისა თუ წუხილის მიზეზებს — მაშინ, როცა თვითონვე ვართ საკუთარი განცდების პირველწყარო. თუ ადამიანი საკუთარ თავს ჩაუნერგავს აზრს, რომ მას ყველა ემტერება, — მაშინ ის ქვეცნობიერად ყველასა და ყველაფრის მიმართ ნეგატიურად განეწყობა, სამყაროს მხოლოდ მუქ ფერებში დაინახავს... მაგრამ საბედნიეროდ, ცხოვრება მრავალფეროვანია და ის ცალსახად არ უნდა აღვიქვათ. ყველას აქვს არჩევანის გაკეთების უფლება; უფრო მეტიც: შეგვიძლია, თავად „ავირჩიოთ“ აზრები და ვმართოთ გრძნობები. ამიტომაც თუკი ვირწმუნებთ, რომ სიყვარულია ყველგან და ყველაფერში, — ჩვენი ქვეცნობიერი ბუნება ისე აეწყობა, რომ გარშემო მყოფებში უპირატესად დადებითს დავინახავთ; ხოლო მათ, ვისაც ვუყვარვართ, კიდევ უფრო შევუყვარდებით. ჯერ კიდევ ბავშვობაში გვიყალიბდება შეხედულებები, ხოლო შემდეგ თვითონ ვქმნით ისეთ ცხოვრებისეულ სიტუაციებს, რომლებიც ჩვენს შეხედულებებს მოერგება. აბა, უკან მოვიხედოთ და თვალი გადავავლოთ განვლილი ცხოვრების გზას. დავრწმუნდებით, რომ წამდაუწუმ ვეჯახებით ერთიმეორის მსგავს პრობლემებს. შესაძლოა, ეს სიტუაციები და პრობლემები გარეგნულად განსხვავებული ჩანდეს, მაგრამ ძირეულად ხშირად იდენტურია. ასე რომ, ყველაფერი, რაც ჩვენს ცხოვრებაში მომხდარა, მნიშვნელოვანწილად, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, თავად ავირჩიეთ და დავგეგმეთ. მაგრამ მთავარი აწმყოა და ყველაზე მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ვაზროვნებთ მოცემულ მომენტში. აზრების შეცვლა კი ადვილი შესაძლებელია. მაგალითად, თუ გავიფიქრეთ — „მე ცუდად ვარ“, იგი თავისთავად, ჩვენში შესაბამისი უარყოფითი ემოცია გაღვივდება...

ფსიქოლოგების აზრით...

რაც უფრო ხშირად აფასებენ ადამიანები საკუთარ თავს უარყოფითად, მით უფრო ნაკლებ წარმატებას აღწევენ ცხოვრებაში. ყველას შეგვიძლია, შევიცვალოთ დამოკიდებულება წარსულისადმი. ამით, ბუნებრივია, წარსულს ვეღარ შევცვლით, მაგრამ უსიამოვნო ემოციებისგან ნამდვილად გავთავისუფლდებით. აზრი არა აქვს გამუდმებულ თვითგვემას იმის გამო, რომ ოდესღაც ვიღაცას რაღაც ვაწყენინეთ (ან მან გვაწყენინა); რაღაც ისე არ გამოგვიდა, როგორც გვინდოდა და ა.შ. ცუდი მოგონებებისგან რომ გავთავისუფლდეთ, საჭიროა ვისწავლოთ მიტევება. უკვე ის ფაქტი, რომ მიტევების სურვილი გაგვიჩნდა, ხელს უწყობს სულიერი კომფორტის დამყარების პროცესს. მიტევებით ჩვენ მასაც გავათავისუფლებთ, ვისაც ვაპატიებთ და თავადაც გავთავისუფლდებით უარყოფითი ემოციებისგან.

ოღონდ პირველ რიგში, საჭიროა მივუტევოთ საკუთარ თავს. შინაგანი დისკომფორტის წყარო უმეტესწილად, შინაგანი დათრგუნვილობიდან მოდის. ფსიქოლოგები ბევრს წერენ საკუთარი თავის პატივისცემისა და სიყვარულის შესახებ. ადამიანები თავადვე რომ ვიქმნით ცხოვრებისეულ სიძნელეებსა და პრობლემებს, იქიდანაც ჩანს, რომ პრობლემა იმ სახით, როგორითაც ჩვენ წარმოგვიდგენია, ძალზე იშვიათად შეესაბამება რეალობას.

დანერგეთ ცხოვრებაში ერთი წესი

აიღეთ სარკე, ჩაიხედეთ, წარმოთქვით საკუთარი სახელი და რამდენჯერმე გაიმეორეთ: „მიყვარხარ და გიღებ ისეთს, როგორიც ხარ“. შეეცადეთ, გაუგზავნოთ საკუთარ თავს სიყვარულის იმპულსები. როცა იგრძნობთ, რომ თავი გიყვართ და პატივს სცემთ, თავდაჯერებაც მოგემატებათ და ბევრი პრობლემაც თავისთავად გაქრება. აბა, სცადეთ და თამამად შეხედეთ ცხოვრებას თვალებში! ■

რჩევები დიასახლისებს...

• ბოსტნეულის კერძებს ხშირად ნუ მოურევთ, ქვაბი მხოლოდ დროდადრო შეანჯღრიეთ, რათა ძირზე არ მიიწვას. ხარშვისას ქვაბს სახურავს ნუ ახდით — ჰაერში შემავალი ჟანგბადი ვიტამინებს შლის.

• საჭმელი სოდა — რომელსაც კერძს ხორცის ან ლობიოს უფრო მალე მოხარშვის მიზნით უმატებენ — ვიტამინებს შლის.

• თუ წვნიანს კვერცხით აზავებთ და გეშინიათ, კვერცხი არ აგეჭრათ, ათქვეფის დროს დაუმატეთ რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი ან ცოტა მაწონი. ასე წვნიანი უფრო გემრიელიც გამოვა.

• სამზარეულოში უსიამოვნო სუნი გაქრება, თუ ლიმონის ან ფორთოხლის გამხმარ ქერქს დაწვავთ.

• თუ პლასტმასის ქილაში ყველს ან ხახვს ინახავდით და არასასიამოვნო სუნი შერჩა, სოდიანი წყალი გამოავლეთ — სუნი მაშინვე გაქრება.

• თბილ რძეში დასველებული ქსოვილით ტყავის ნაწარმს იოლად მოსცილდება მელნის ლაქები.

• ნაქარგები და არშიები უკუღმა პირიდან დააუთოეთ, რათა ნახატი ამობურცული დარჩეს.

• თუჯის ნივთებს პეწი რომ დაუბრუნოთ, შუაზე გაჭრილი ხახვით, შემდეგ კი — ზეთში დასველებული სუფთა ქსოვილით გაწმინდეთ. ■

ქიმიურად დახვეული თმის მოვლა

ქალის მომხიბვლელობისა და მშვენიერების მთავარი საიდუმლო მოვლილი და ჯანმრთელი თმაა. თუ გსურთ, პიკანტურად გამოიყურებოდეთ, მეტი დრო და ენერგია დაუთმეთ თმას. მისთვის ნუ დაიშურებთ ნურც დროს და ნურც თანხას. საუცხოო ვარცხნილობა ხომ თქვენი წარმატების გარანტიაა.

გრძელი თმა, რომელზეც ბევრი ქალი ოცნებობს, ხშირად უხალისოდ გამოიყურება და მოუვლელის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამასთან, თუკი თმას უსიცოცხლო და უღიმღამო ელფერი აქვს, ის ქალის მომხიბვლელობასაც ჩრდილს აყენებს. ხოლო თუ უხალისო ფერს ისიც ემატება, რომ მისი ბოლოები გამოიფიტა და იპობა, ეს თქვენს იმიჯზე უკვე დამღუპველად იმოქმედებს, რადგან თმაში გაჩენილი „ბოლოჭამია“ მიუთითებს, რომ ძალიან ცუდად უვლით და სათანადო ყურადღებას არ აქცევთ.

თუ შეამჩნიეთ, რომ თმის ბოლოები იპობა, დაუყოვნებლივ უნდა შეიჭრათ იგი. ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც უნდა აიჭრათ, სადამდეც თმის ღერი დაუზიანებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თმის ღერის სტრუქტურის დარღვევა გაგრძელდება, მისი შუაზე გაპობა უფრო გახშირდება და თქვენი თმა სავალალო მდგომარეობამდე მივა. თმაში „ბოლოჭამიების“ გაჩენა აგრეთვე ნიშნავს, რომ თმის ღერს ძირიდან საკვები აღარ მიეწოდება, ბოლოები იფიტება და შუაზე იპობა.

დღეს უამრავი დამცავი ზეთი, ნიღაბი და შამპუნ-ბალზამი არსებობს, მაგრამ მისი გამოყენება ბრმად არ შეიძლება. პირველ რიგში, უნდა განსაზღვროთ თქვენი თმის ტიპი, მისი ხარისხი და მკურნალობის პროცედურა მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ჩაიტაროთ. უკეთესი იქნება, თუ თმის სტრუქტურას გამოიკვლევთ და სპეციალისტის რეკომენდაციით თმის გამაჯანსაღებელ პროცედურებს ჩაიტარებთ.

ახლა კი რამდენიმე რეკომენდაცია მათ, ვისაც თმის ქიმიურად დახვევა გადაუწყვეტია:

◆ ქიმიური დახვევა უფრო მისაღებია საშუალო სიგრძის თმაზე. უმჯობესია, გაიკეთოთ საშუალო ან მსხვილი კულულები.

◆ თუ ძალზე თხელი თმა გაქვთ, მოერიდეთ ქიმიურ დახვევას, ვინაიდან, შესაძლოა, ამ პროცედურის ჩატარების შემდეგ იგი საგრძნობლად დაზიანდეს.

◆ ასევე არ არის რეკომენდებული ძალიან სქელი და ხშირი თმის დახვევა — თქვენი თმა უფრო გაფუებული გამოჩნდება და მისი მოვლაც მეტად გაგიჭირდებათ.

◆ არასდროს გაიღიაოთ ან გაიმუქოთ თმა ქიმიური დახვევის წინ. სითხე, რომელიც დახვევისას გამოიყენება, ფერს უცვლის საღებავს — თმას ერთი ტონით აბაცებს. ამასთანავე, უკარგავს მას ბზინვარებას. შეღებილი თმა მხოლოდ 2-3 კვირის შემდეგ დაიხვიეთ.

◆ ქიმიურად დახვეული თმა შეიღებეთ 2-3 კვირის შემდეგ. დახვევის შემდეგ მოერიდეთ გამაუფერულებელი საშუალებების გამოყენებას — ამან შესაძლოა თმის დაწვა გამოიწვიოს.

◆ ქიმიური დახვევის შემდეგ უმჯობესია, თმა შეიღებოთ შედარებით მუქ ტონებში. ამით თავიდან აიცილებთ მის დამწვრობასა და გაუხეშებას.

◆ ქიმიური ვარცხნილობის შემდეგ თმის უხეშად დავარცხნას მოერიდეთ. რეკომენდებულია შამპუნით დაბანის შემდეგ თმაზე ბალზამის შეზელა და თითოეული კულულის საგულდაგულოდ დავარცხნა.

◆ დაბანის შემდეგ ქიმიურად დახვეული თმა არავითარ შემთხვევაში ფენით არ გაიშროთ. ეს თმის ღერს გააუხეშებს. ასევე კარგია თმის ზეთების გამოყენება.

◆ დახვეული თმა მშრალ მდგომარეობაში არ დაივარცხნოთ. ეს მას აზიანებს.

◆ მიზანშეწონილი არ არის დამწვარი თმის ხშირ-ხშირად დაბანა. ■

ბრინჯის ტკბილი გუფთა

გადარჩეულ-გარეცხილი 1 ჩ/ჭ ბრინჯი მდუღარე მარილწყალში ჩაყარეთ და 5-8 წთ ხარშეთ. გადაიტანეთ თუშფალანგზე. როცა წყლისგან დაიწრიტება, გადაიღეთ ცხელწყლიან ქვაბში და მორევით, შესქელებამდე ნელ ცეცხლზე ხარშეთ. დაუმატეთ შაქრის ფხვნილი, ქიშმიში, 1 ს/კ პურის ფქვილი და კარგად აურიეთ. მიღებული მასისგან გააკეთეთ პატარ-პატარა გუფთები და ამოავლეთ საფანელში. ტაფაზე დაასხით ზეთი, აადუღეთ, მოათავსეთ შიგნით გამზადებული გუფთები და შეწვით. სუფრაზე მიიტანეთ რომელიმე ტკბილ საწებელთან ან სიროფთან ერთად. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

„ჟანა დ'არკს ვგავარ"

ყველაზე აქტიური მკითხველი სტუდენტობის წლებში იყო. ბოლო დროს წიგნის საკითხავად დროის გამონახვა უჭირს. მიაჩნია, რომ მეტად განათლებული უნდა იყოს, ვიდრე ახლაა. ამჟამად გურამ დოჩანაშვილის მოთხრობებს კითხულობს. უყვარს პოეზია, განსაკუთრებით — გალაკტიონის. ზეპირადაც არაერთი ლექსი იცის. ცდილობს, წიგნები 5 წლის შვილსაც შეაყვაროს. სახლში მამამთილის შეძენილი, მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს. წიგნების ყიდვა თავადაც უყვარს. ინტელექტუალური თამაშები იზიდავს, მაგრამ შიშობს, დღეს თავად როგორი „მოთამაშე" იქნება. „ერუდიტისთვის" ჩასაწერად შინ მსახიობ ნატა ბერეჟიანს ვესტუმრე.

გურული ციცინოს ახალი საგენტო – „არტ ციცინო"

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— ნატა, სერიალის „გოგონა გარეუბნიდან" გადაღებები უკვე დაიწყო. შენი გმირი — ციცინო როგორ არის, მის ცხოვრებაში ახალი რა ხდება?

— (*ციცინის*) გმადლობ, კარგად არის. ახალ სააგენტოს ხსნის სახელწოდებით — „არტ ციცინო".

— ამ როლმა პოპულარობა მოგიტანა. შენი გმირი ხალხმა შეიყვარა.

— ციცინო მეც მიყვარს, ხალისიანია.

— ჰგავხარ?

— ორივენი გურულები ვართ და გურულებზე ვგიჟდები. ციცინოს რით ვგავარ? ყველაფერს ვამბობ, რასაც ვფიქრობ. უფრო სწორად, ჯერ ვლაპარაკობ და მერე ვფიქრობ. ამის გამო საკუთარი თავიც და სხვაც უხერხულ მდგომარეობაში არაერთხელ ჩამიყენებია. ცოტა ფიცხი ხასიათი მაქვს. როცა როლზე მუშაობას ვიწყებ, კონსულტაციას ჩემს გურულ მეგობართან გავდივარ. საქმის მიმართ ზედაპირული მიდგომა არ მახასიათებს, ყველაფერს გულით ვუდგები და ბოლომდე ვიხარჯები.

— რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდი?

— ამაზე არ მიფიქრია. შეიძლება, ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ საერთო პიროვნულ თვისებებს ყველაზე მეტად ჟანა დ'არკთან ვპოულობ. ადვილად დასამორჩილებელი ადამიანი არ ვარ. მეამბოხე ხასიათი მაქვს. სკოლაში ჩხუბისთავი ვიყავი. რაც გავიზარდე, ვცდილობ, თავის მოთოკვა ვისწავლო.

— სკოლაში რაზე ჩხუბობდი?

— უსამართლობას ვერ ვიტან და ამის გამო არაერთხელ მიჩხუბია. ვერ ვიტან, როცა შენიშვნას დაუმსახურებლად მაძლევენ. ამაზე მწვავედ ვრეაგირებ. არ შემიძლია, რადგან რეჟისორია, შემაგინოს და მე ხმა არ ამოვიღო.

— ასეთი შემთხვევა გქონია?

— საბედნიეროდ, ასეთ რეჟისორებთან ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ ინსტიტუტში სწავლის დროს, მახსოვს, პედაგოგმა დაუმსახურებლად დამიყვირა. გავჩერდი და რეპეტიცია აღარ გავაგრძელე. სანამ ბოდიშს არ მომიხდიან, ურთიერთობას არ ვაგრძელებ. როცა თავად ვარ დამნაშავე, შემიძლია მუხლებზე დავდგე და მოვიბოდიშო. ეს ჩემთვის პრობლემა არ არის.

— სანამ ეს პოპულარული ჰოლივუდელი მსახიობი კინოსამყაროში მოხვდებოდა, ერთი წლის მანძილზე პიცერიას ალაგებდა, მოგვიანებით კი თავს მწვანლეების გაყიდვით ირჩენდა. დაასახელე იგი.

— ქალია თუ მამაკაცი?

— მამაკაცია.

— ბრედ პიტი, არა?

— დიახ, შემდეგი კითხვა კი...

— (*მაწყვეტინებს*) „იეს!" გამოვიცანი.

— შექსპირის შემოქმედებას კარგად იცნობ?

— ბევრი რამ მაქვს წაკითხული.

— მოცულობით რომელია ყველაზე დიდი ნაწარმოები?

— უნდა დავფიქრდე და გიპასუხებ. (*პაუზის შემდეგ*) მინიშნებას ვერ მეტყვი?

— ამ ნაწარმოების მთავარი როლის შესრულებაზე არაერთი მსახიობი მამაკაცი ოცნებობს.

— „ჰამლეტი" ყოფილა.

— რას ნიშნავს „მიცუბიში" იაპონურად?

— არ ვიცი.

— „მიცუბიშის" ლოგო გაიხსენე.

— მანქანებში ვერ ვერკვევი და საერთოდ, ტექნიკასთან მწყრალად ვარ. არც იმის ინტერესი მაქვს, რომ მაგარი ტელეფონი მქონდეს, არც კომპიუტერთან ვმეგობრობ, არც რომელიმე პოპულარულ სოციალურ ქსელში ვარ დარეგისტრირებული. ისეთი ტერმინები, როგორიცაა — „დავთაგე" და „დავალაიქე", ჩემთვის გაუგებარია და ჩემს ლექსიკონში არ შედის. ცხოვრებაში უფრო საინტერესო ბევრი რამ არსებობს. მითხარი, „მიცუბიში" რას ნიშნავს? უნდა დავიმახსოვრო.

— სამ ბრილიანტს. დაასახელე ერთადერთი ფრინველი დედამიწაზე, რომელიც ვერ დაფრინავს, მაგრამ ცურვა შეუძლია.

— პინგვინი.

— საფრანგეთის ამ პრეზიდენტს თავს 30-ჯერ

დაესხნენ, მაგრამ ყოველ ჯერზე ტერორისტებს ხელი მოეცარათ.

— ასეთი რამ შარლ დე გოლზე მსმენია, ხომ არ მეშლება?

— **გამოიცანი. „ზედმეტად ბევრი მამაკაცია ამ ბიზნესში და მათ არ იციან, როგორ ჩაცვან ქალებს". რომელი ცნობილი ფრანგი დიზაინერია ამ გამონათქვამის ავტორი?**

— თავად ქალია?

— **დიახ.**

— კოკო შანელი.

— **„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები,/ მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი"... როგორ გრძელდება გალაკტიონის ეს ლექსი?**

— „...ხელშეუხები, როგორც მზის სხივი,/ მიუწვდომელი, როგორც ედემი./ და თუ არა ხარ ის, ვისაც ვფიქრობ,/ მე დღეს არ ვნაღვლობ, დაე, ვცდებოდე!/ ავადმყოფ გულს სურს, რომ მას ოცნების თეთრ ანგელოზად ევლინებოდე./ დაიწვას გული უცნაურ ტრფობით,/ ცრემლით აღივსოს ზღვა — საწყაული,/ ოღონდ მჯეროდეს მე ჩემი ბოდვა/ და სიყვარულის დღესასწაული".

— **რომელ ქვეყანაში გამოიგონეს კომპასი?**

— არ ვიცი...

— **ქაღალდი და ქოლგა?**

— არც ეს ვიცი.

— **ჩინეთში.**

— ეს ყველაფერი იცოდი თუ მასალაზე მუშაობის დროს ეცნობი?

— **რა თქმა უნდა, ამ რუბრიკისთვის კითხვების მომზადების დროს ბევრ რამეს ვსწავლობ. შენთვის განკუთვნილ კითხვარში არ შემიტანია, მაგრამ დღეს წავიკითხე, თურმე ბუების გუნდს პარლამენტი ჰქვია. იცოდი?**

— არა (*იცინის*), პარლამენტი? ძალიან სასაცილოა.

— **ბოტიჩელის ფერწერული ტილო „ვენერას დაბადება" გაიხსენე. რაზე დგას ვენერა?**

— ნიჟარაზე.

— **„...უცბად გაახსენდა ვრონსკისთან შეხვედრის პირველ დღეს მატარებლის ქვეშ ჩავარდნილი კაცი და მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა. მსუბუქი ნაბიჯით ჩაიარა კიბე, რომელიც წყალსაქაჩავიდან ლიანდაგისკენ ჩადიოდა და თითქმის მის წინ მიმავალი მატარებლის წინ გაჩერდა. იგი ვაგონების ქვეშ, ხრახნებსა, ჯაჭვებსა და თუჯის მაღალ თვლებს მისჩერებოდა და ცდილობდა, თვალით მოეზომა შუა ადგილი წინა და უკანა თვლებს შორის, შეერჩია ისეთი წუთი, როცა ეს ადგილი მის პირდაპირ იქნებოდა"... რომელ ცნობილ ნაწარმოებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?**

— „ანა კარენინაში".

— **ორი კაცი მდინარის ნაპირთან მივიდა. ორივეს მეორე ნაპირზე უნდოდა გადასვლა. იქვე იდო ნავი, რომელშიც მხოლოდ ერთი კაცი ეტეოდა. მიუხედავად ამისა, მდინარეზე გადასვლა ორივემ შეძლო და შემდეგ თავ-თავიანთი გზა გააგრძელეს. როგორ?**

— გთხოვ, კითხვა გამიმეორე. (*გამეორების შემდეგ*) ამას როგორ შეძლებდნენ, ერთმა მათგანმა გადაცურა?

— **არა.**

— დარწმუნებული ვარ, ძალიან მარტივი პასუხი ექნება, მაგრამ დავიბენი.

— **ის კაცები მდინარის სხვადასხვა ნაპირზე იყვნენ მისულები.**

— აი, ხომ გითხარი, მარტივი იქნება-მეთქი. ასეთი კითხვები მიყვარს.

— **მაშინ კიდევ ერთ მსგავს შეკითხვას დაგისვამ: გოგონა მივიდა სარკესთან, საკუთარი გამოსახულება დაინახა და მერე თავის თავს შუბლზე აკოცა. შეიძლება თუ არა, ასე მოხდეს?**

— როგორ შეიძლება?!

— **რატომ არ შეიძლება?**

— სარკეში საკუთარ შუბლს ვერ აკოცებ, ტუჩებს — კი.

— **„მიხა", „არდადეგები", „ბებერი მეზურნეები", დიდი მწვანე ველი", ნუცას სკოლა" — რა საერთო აქვს ამ ფილმებს?**

— ყველა ფილმი მერაბ კოკოჩაშვილის გადაღებულია.

— **რა ერქვა ვახტანგ გორგასლის ვაჟს, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ ქართლში გამეფდა?**

— არ მახსოვს.

— **დაჩი. აინშტაინის აზრით, წარმატება სამი კომპონენტისგან შედგება: პირველი — ეს არის ილბალი, მეორე — თამაში... დაასახელე მესამე.**

— შრომისმოყვარეობა.

— **ცდები. აინშტაინს მიაჩნდა, რომ ეს ენაზე კბილის დაჭერის უნარია.**

— (*იცინის*) რაც მე მაკლია.

— **1910 წლის 5 აპრილიდან, მატარებლის გასვლის შეფერხების გამო, რა აკრძალეს საფრანგეთის რკინიგზის სადგურზე?**

— ადამიანის ქმედებაზეა ლაპარაკი?

— **დიახ. ამის გამო მატარებელი გასვლას ხშირად აგვიანებდა.**

— დამშვიდობება, კოცნა. რა ვიცი, კიდევ რა შეიძლება იყოს, მოვიფიქრებ.

— **ეს სწორი პასუხია. რომში ის სიმამაცის სიმბოლოდ მიიჩნეოდა. ომის დროს ვინც პირველი შეიჭრებოდა მოწინააღმდეგის ქალაქში, უფლებას აძლევდნენ, ხელში ეს მცენარე სჭეროდა, ხოლო ვინც მისით თავს დაუმსახურებლად გაილამაზებდა, სენატის გადაწყვეტილებით ციხეში სვამდნენ. რომელ მცენარეზეა ლაპარაკი?**

— საქართველოშიც ხარობს?

— **დიახ.**

— დაფნა.

— **ცდები, ერთ-ერთ ყვავილზეა ლაპარაკი.**

— მაშინ ვარდი იქნება.

— **ნამდვილად ასეა. ამ ძაღლის ჯიში სად გაჩნდა, უცნობია. ვარაუდობენ, რომ მისი სამშობლო იყო ინდოეთი, საიდანაც ისინი მოხვდნენ საბერძნეთში, იუგოსლავიაში, ვენეციის ყურის სანაპიროზე. დიდი ხნის მანძილზე ნაკლებად პოპულარული იყო. ინტერესი 1960 წლიდან, დისნეის მულტფილმის გამოსვლის შემდეგ გაჩნდა. დაასახელე, რომელი ჯიშის ძაღლზეა ლაპარაკი.**

— ზუსტად რა ჰქვია, არ ვიცი, ჭრელი ძაღლია. დალმატინელი ხომ არა?

— **გამოიცანი. ამ ხელსაწყოს, რომელიც გამიზნულია ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ფიქსირებისთვის, ოფიციალურად ჰქვია პოლიგრაფი. დაასახელე ამ ხელსაწყოს საყოველთაოდ ცნობილი სახელწოდება.**

— ვერ გიპასუხებ.

— **სიცრუის დეტექტორი. დაბოლოს, დაასრულე ბელინსკის ცნობილი გამონათქვამი: „ქალის ღირსების საზომი მამაკაცია, რომელიც მას..."**

— აგრძნობინებს, რომ ის ქალია.

— **„...რომელიც მას უყვარს".** ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდეგნელი თემურ ივანიძე

1. მაიკლ ფარადეი მჭედლის ოჯახში დაიბადა.

2. ივანე ჯავახიშვილი ბრწყინვალედ უკრავდა ვიოლინოზე.

3. ტომას ედისონს 1093 გამოგონება ჰქონდა დაპატენტებული.

4. მსოფლიოში 200 მილიონამდე დალტონიზმით დაავადებული ადამიანია.

5. ევა ბრაუნი ჰიტლერის ფოტოგრაფის თანაშემწე იყო მაშინ, როცა მან ფიურერი გაიცნო.

6. რუსეთში დემოკრატებს პოლიტიკური ოპონენტები დაცინვით, „დერმოკრატებს“ ეძახიან.

7. „ადამიანები ტალანტს არ აფასებენ, გენიოსები კი ეზიზღებათ“, — წუხდა ნიკოლო პაგანინი.

8. საქართველოს დედოფალი ბურდუხანი ოვსთა მეფე ხუდანის შვილი და თამარ მეფის დედა იყო.

9. გადმოცემით, ვახტანგ გორგასალი სიმაღლეში 12 ბრჭყალი ანუ 2 მეტრი და 40 სანტიმეტრი იყო.

10. „ილია ყველა პატიოსან ადამიანში ზიზღს იწვევს... ჩვენი და თავადი ჭავჭავაძის შეთანხმება შეუძლებელია“, — გაიძახოდა ფილიპე მახარაძე.

11. უკვდავი სიტყვები: „თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდეს“ — 1625 წელს, მარაბდის ბრძოლაში დაცემულ გმირს, ბაადურ ციციშვილს ეკუთვნის.

12. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ 1879 წელს დაარსდა. მისი თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანი გახლდათ.

13. რუსეთ-ფინეთის ომის დროს რუსები გაიძახოდნენ: „მი ლიუბიმ ფინსკი ნაროდ, ნო ნე ლიუბიმ ფინსკოე ბურუუაზნოე პრავიტელსტვო“.

14. ძილისა და სიზმრის მომავლინებელ ღვთაებას ბერძნულ მითოლოგიაში მორფეუსი ერქვა. იგი ძილის ღმერთის, ჰიპნოსის შვილი იყო.

15. 3000 მეტრზე მაღალ მთას შოტლანდიელები „მონროს“ ეძახიან. შოტლანდიაში სულ 284 „მონროა“.

16. ხიროსიმაში, ატომური ბომბის ჩამოგდების ადგილას, ატმოსფერო მილიონ გრადუსამდე გავარვარდა.

17. პროფესორი ალექსანდრე რონდელი გარეგნულად ძალზე ჰგავს ამერიკელ მსახიობ ლესლი ნილსენს, რომელიც

რა იყო უფლის წინასწარმეტყველთა მისია და დანიშნულება

„გზის“ მიმდინარე ნომრიდან, რამდენიმე წერილს ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა ცხოვრებას დავუთმობთ. ამჯერად, უფლის წინასწარმეტყველთა დანიშნულებასა და მისიაზე გესაუბრებით...

შორენა მერკვილაძე

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებად იწოდებიან ადამიანები, რომლებიც მომავლის განჭვრეტის ნიჭით იყვნენ ღვთისგან დაჯილდოებულნი. უფალი მათ მოუწოდებდა, ადამიანებისთვის მისი წმინდა ნება ეუწყებინათ და კაცობრიობა, მეტადრე კი — რჩეული ერი აღთქმული მესიის მისაღებად, მაცხოვართან შესახვედრად მოემზადებინა... ცხადია, უფლის წინასწარმეტყველნიც, როგორც სხვა მართალნი ძველი აღთქმისა, ღვთისგან იყვნენ გამორჩეულნი. მათ თავად უფალი აუწყებდა თავის წმინდა ნებას, რომელიც შემდგომ სხვა ადამიანებისთვის უნდა გადაეცათ. ამგვარად, ისინი შუამდგომელნი იყვნენ ღმერთსა და ადამიანებს შორის და მათი საქმე ღვთის ნების განხორციელება იყო. პავლე მოციქული ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა მიმართ ბრძანებს: „არა ნებითა კაცთაითა მოსადამეოწია წინასწარმეტყველებაი, არამედ წუკითა სულისა წმიდისაითა იტყოდეს წმიდანი ღმრთისა კაცნ“.

დიდი, მცირე და სხვა წინასწარმეტყველნი

წინასწარმეტყველთაგან ზოგი დიდ წინასწარმეტყველად იწოდება, ზოგი — მცირედ; ზოგნიც სხვა წინასწარმეტყველებად არიან სახელდებულნი. ძველი აღთქმის პერიოდში არსებობდა 4 დიდი და 12 მცირე წინასწარმეტყველი. დიდი წინასწარმეტყველები არიან: ეზეკიელი, იერემია, ესაია, დანიელი; მცირე წინასწარმეტყველებად იწოდებიან: ამბაკუმი, აბდია, ანგია, ამოსი, ზაქარია, იოველი, იონა, მალაქია, მიქეა, ნაუმი, ოსე, სოფონია; სხვა წინასწარმეტყველებად კი: მოსე, აარონი, დავითი, სოლომონი, ელისე, ნათანი, გედეონი, ელია. მცირე წინასწარმეტყველებმა იწინასწარმეტყველეს მხოლოდ ერთ კონკრეტულ ფაქტთან, მოვლენასთან დაკავშირებით. ამასთან, ისინი წინასწარმეტყველებდნენ რომელიმე კონკრეტულ ადგილას. დიდი წინასწარმეტყველნი კი მთელი ისრაელის ტერიტორიაზე წინასწარმეტყველებდნენ და სიცოცხლეშივე იყვნენ ცნობილნი მთელი ერისთვის. ყველა მათგანს მთელი მომავალი აქვს ნაწინასწარმეტყველები — იერუსალიმისა და სოლომონის ტაძრის დანგრევა და ებრაელთა ბაბილონის ტყვეობაში ჩავარდნა, ისრაელიანთა ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ იერუსალიმის ტაძრის აღდგენა, მაცხოვრის შობა, ჯვარცმა, აღდგომა, ზეცად ამაღლება... რაც შეეხება სხვა წინასწარმეტყველებად სახელდებულთ, — მათი მოვალეობა და მისია არ ყოფილა მხოლოდ წინასწარმეტყველება; მაგალითად, მოსე იყო უდიდესი წინასწარმეტყველი წინასწარმეტყველთა შორის, მაგრამ ამავდროულად ის იყო ერის მმართველი. ასევე უდიდესი წინასწარმეტყველი იყო დავითიც, მის ფსალმუნებში უდიდესი წინასწარმეტყველებებია გადმოცემული, მაგრამ ამავდროულად დავითი იყო მეფე ისრაელისა. სულიწმიდის მადლი, რომლითაც ისინი წინასწარმეტყველებდნენ, ყველა მათგანს ერთნაირად ჰქონდა ბოძებული ღვთისგან.

წინასწარმეტყველთა მისია და დანიშნულება

მამა იასონ შარიძაძე:

— ვიცით, რომ ძველი აღთქმის პერიოდში ჭეშმარიტ ღმერთს ერთადერთი ერი — ისრაელიანები სცემდნენ თაყვანს. ძველი აღთქმის ისტორია მოწმობს, რომ რჩეული ერი და მისი წინამძღვრები ხშირად ივიწყებდნენ ღმერთს და მის აღთქმას, იხრებოდნენ ჭეშმარიტი ღმერთის თაყვანისცემისგან, ივიწყებდნენ მის მცნებებს და კერპთაყვანისცემისკენ მიიდრეკებოდნენ. წარმართული ცრუმორწმუნეობა და უზნეობა მთელი ერისა, მღვდელმთავრებისა და მეფეების ჩათვლით, ზოგჯერ უკიდურესობამდე მიდიოდა, თვით სამღვდელოებაც კი ივიწყებდა ჭეშმარიტ ღმერთს და მის აღთქმას, რომლის თანახმადაც, სწორედ ისრაელის ერისგან უნდა წარმომდგარიყო ხორციელად კაცობრიობის მხსნელი. იყო ისეთი მომენტებიც, რომ თვით ღვთის სახლშიც კი აღმართავდნენ წარმართულ საკურთხევლებს და მღვდელმსახურნი ერთან ერთად სწირავდნენ მსხვერპლს კერპებს. ამის შესახებ არაერთგზის მოწმობს „წმინდა წერილი“. მაგალითად, იუდეის მეფის, მახარეს დროს, ღვთის სახლში დაშვებული იყო მკითხაობა და მისნობა, გამოძახება მკვდრებისა და ნათელმხილველებისა. მეფე აქაბმა კი მღვდელმთავარს უბრძანა, რომ ტაძრის სპილენძის საკურთხეველი ისე-

თით შეეცვალა, როგორიც დამასკოში ჰქონდა ნანახი, კერპების სამსხვერპლოზე. ასეთ დროს ერის შეგონება და ჭეშმარიტი ღვთისკენ მობრუნება მღვდელმსახურთა პირდაპირი მოვალეობა იყო, მაგრამ როგორც ვთქვით, თავად სამღვდელოებაც ხშირად განუდგებოდა ჭეშმარიტ ღმერთს და არ ასრულებდა თავის მოვალეობას.

ასეთ კრიტიკულ მომენტებში, როდესაც თავად უმაღლესი სამღვდელოებაც უხვევდა ჭეშმარიტი ღვთის გზიდან და ერში ღვთის მცნებების მასწავლებელი აღარ რჩებოდა, უფალი ისრაელიანებს უვლენდა წინასწარმეტყველებს, რომლებიც ხალხს ღვთის წმინდა ნებას აუწყებდნენ. წინასწარმეტყველთა გამოჩენის დროს, მღვდლებსა და ლევიტელებს მხოლოდ საღვთისმსახურო წესების ფორმალური აღსრულების უფლება ჰქონდათ დატოვებული.

წინასწარმეტყველები უშიშრად ამხელდნენ სჯულის დამრღვევთ. ისინი მტკიცედ ეწინააღმდეგებოდნენ მრავალღმერთიანობას, ამხელდნენ ცოდვებსა და უსჯულოებაში და აფრთხილებდნენ მოსალოდნელი სასჯელის შესახებ, რაც ჭეშმარიტი ღვთისგან განდგომის სანაცვლოდ ელოდა მათ. უფალი მათი პირით შეაგონებდა ერს, რომ მთავარია არა გარეგნული მოქმედება, არამედ შინაგანი განწყობილება და უბიწოების გზით ღმერთთან სულიერ ერთობაში ყოფნა. ამის შესახებ არაერთგზის მოწმობს „წმინდა წერილი“. მხილებასთან ერთად, გამოსწორების გზებსა და საშუალებებზეც მიუთითებდნენ.

ისინი წინასწარმეტყველებდნენ მაცხოვრის ქალწულ მარიამისგან შობის, მისი ქადაგების ადგილის, ჯვარცმის, მკვდრეთით აღდგომის, ზეცად ამაღლების, ასევე ქრისტიანული ეკლესიის დაარსების შესახებ. ასახელებდნენ ნიშნებს, სად დაიბადებოდა მესია, ვისი ტომიდან წარმოდგებოდა ხორციელად, როდის მოვიდოდა...

რომელ პერიოდებში ჰყავდა ისრაელის ერს წინასწარმეტყველები

— „წმინდა წერილი“ მოწმობს, რომ ისრაელის ერი ეგვიპტელთა მონობის პერიოდში გამრავლდა. ებრაელი ერის პირველი წინასწარმეტყველი იყო მოსე, რომელმაც რჩეული ერი მონობიდან გამოიყვანა. ისრაელის აღთქმულ ქვეყანაში შესვლიდან 400 წლის მანძილზე, ისრაელიანებისთვის მსაჯულთა ხანა იდგა. უკანასკნელი მსაჯული იყო სამოელი, რომელიც ამავდროულად წინასწარმეტყველიც იყო. ე.ი. მთელ მსაჯულთა ხანის განმავლობაში ერს წინასწარმეტყველი არ ჰყოლია, რადგან ამ პერიოდში მათ ჰყავდათ მართალი და უფლის მცნებების აღმასრულებელი წინამძღოლნი და ისრაელიანებიც ღვთის მცნებების აღსრულებით ცხოვრობდნენ. შემდეგ დადგა მეფეთა ხანა, რომელიც 6 საუკუნე გაგრძელდა. მალე ისრაელის სამეფო ორად გაიყო და ერის უმეტესი ნაწილი კერპთმსახურების გზით წავიდა. მთელი ამ ხნის მანძილზე და შემდგომ, ბაბილონის ტყვეობისას, ფაქტობრივად არ ყოფილა პერიოდი, ისრაელს წინასწარმეტყველი რომ არ ჰყოლოდა. შემდგომ, მაცხოვრის მოსვლის მოახლოებისას, რაბინთა ხელში ძველი აღთქმის სჯულმა სახეცვლილება განიცადა. მართალია, ამ პერიოდშიც იყვნენ ისრაელიანთა შორის მართალი და ჭეშმარიტი სჯულის დამცველი ადამიანები, მაგრამ მთლიანობაში ერში სარწმუნოებამ დაკნინება იწყო. ამ დროს უფალი რჩეულ ერს მოუვლენს ბოლო წინასწარმეტყველს — იოანე ნათლისმცემელს, რომელიც განამზადებს ისრაელის ერს მაცხოვართან შესახვედრად — სინანულის მოწოდებით ამზადებს მათ გულებს აღთქმული მესიის მისაღებად, რომელსაც ისრაელის ერი მთელი თავისი არსებობის მანძილზე ელოდა... ამდენად, რჩეულ ერს წინასწარმეტყველები იმ პერიოდში ჰყავდა, როდესაც ჭეშმარიტ ღმერთს განუდგებოდნენ და ხელს იღებდნენ სჯულის აღსრულებაზე...

წინასწარმეტყველთა ყოფა

— ცხადია, წინასწარმეტყველთა ცხოვრება იმ ერში, რომელიც ხშირად ივიწყებდა უფალს, არ იყო ადვილი. მათ დევნიდნენ, შეურაცხყოფდნენ, ზოგიერთი მოაკვდინეს კიდეც. მიუხედავად ამისა, ისინი მთელ ცხოვრებას უფლის მცნებების დაცვასა და ხალხის ღვთისკენ მობრუნების ღვაწლში ატარებდნენ. მთელ სიცოცხლეს ღვთისა და ერის სამსახურს უძღვნიდნენ. მათთვის ერზე ზრუნვა ყოველთვის პირად საქმეებსა და კეთილდღეობაზე უპირატესი იყო. ყოველთვის მზად იყვნენ, თავი გაეწირათ ერისთვის. წინასწარმეტყველთა თავგანწირული მსახურების მთავარ მიზანს ღვთისგან მიცემული აღთქმის წმინდად შენახვა და დაცვა წარმოადგენდა — იმ აღთქმისა, რომლის თანახმადაც, ისრაელის ერისგან უნდა წარმომდგარიყო ხორციელად მხსნელი კაცობრიობისა, რომელიც არა მარტო რჩეულ ერს, არამედ მთელ კაცობრიობას გამოიხსნიდა პირველქმნილი ცოდვის შედეგებისგან — მარადიული სიკვდილისა და ბნელეთის ტყვეობიდან. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ძეძღვენელი თემურ ივანიძე

მთავარ როლს ასრულებს კომედიაში — „შიშველი პისტოლეტი“.

18. განთქმულ კარდიოლოგ ანზორ მელიას სესილია თაყაიშვილი სახლში ურეკავდა და თავისთან იბარებდა: ცუდად ვარ, მოდი და მინახულე, თორემ ხვალ გადასაღებ მოედანზე წავიქცევიო.

19. „შეტევა გვამებით იზომება და არა — მეტრებით“, — ამბობდნენ სტალინგრადის ბრძოლების დროს გერმანელი ოფიცრები.

20. სანქტ-პეტერბურგის ერთ-ერთ ქუჩაზე შემორჩენილია ლენინგრადის ბლოკადის დროინდელი წარწერა: „საარტილერიო დაბომბვისას ეს ქუჩა ყველაზე მეტად დაუცველია“.

21. „ომი ყველაზე კარგი ვარჯიში იყო ქართველებისთვის, — ამბობდა დავით აქუბარდია ერთ-ერთ გადაცემაში. — სხვა რომ არაფერი, ბრძოლის დროს ქართველი მეომარი რვაკილოგრამიან ხმალს იქნევდა და როცა ომი არ იყო, ამავე ხმლით ფარიკაობაში ვარჯიშობდა“.

22. 1984 წელს სალვადორ დალის კუთვნილ სასახლეში ხანძარი გაჩნდა, რომლის დროსაც მოხუცებულმა მხატვარმა ვერც ერთ მომვლელ ქალს ვერ მიაწვდინა ხმა. ხანძრის დროს დალიმ სხეულის 20%-ის დამწვრობა მიიღო.

23. „ჯერ სარგებელი და მერე პატრიოტიზმი“, — ასე აფასებენ ისტორიკოსები ფრანგი მეღვინეების საქციელს, რომელთაც ფაშისტური ოკუპაციის დროს გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდათ გერმანელებთან. მეღვინეთა შორის არავინ ყოფილა ფრანგული წინააღმდეგობის წევრი. რა თქმა უნდა, იყვნენ პატრიოტებიც, მაგრამ მათი ძალისხმევა ბრიტანეთის რადიოს მოსმენას არ გასცილებია.

24. რეი ჩარლზს ჯორჯიას შტატში კონცერტების ჩატარება ჰქონდა აკრძალული, რადგან ის უარს აცხადებდა რასობრივი პრინციპით დაყოფილი პუბლიკის წინაშე გამოსულიყო. 1979 წელს კონგრესის სენატორებმა ბოდიში მოუხადეს მომღერალს და მისი სიმღერა — „ჯორჯია ოვ მაი მაინდ“ შტატის ჰიმნად აღიარეს.

ბედი კაცისა

დამოუკიდებელი მთავრობის პირველი სამხედრო მინისტრის ტრაგიკული ცხოვრების დეტალები

მას შემდეგ, რაც პარლამენტმა რეპრესირებულთა ოჯახებისთვის კომპენსაციის გადახდის გადაწყვეტილება მიიღო, ბევრმა მათგანმა სასამართლოს მიმართა. მათ რიგში დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის წევრის, გრიგოლ ლორთქიფანიძის შვილიც გახლავთ. 93 წლის პროფესორი, ბატონი თეიმურაზ ლორთქიფანიძე იმ ტკივილიან წლებს იხსენებს, რომელიც მამის მონატრებაში გაატარა — უმოწყალოდ დახვრეტილი მამის საფლავიც კი არა აქვს. გრიგოლ ლორთქიფანიძემ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს მოაწერა ხელი; იგი ჯერ სამხედრო მინისტრი, შემდეგ კი განათლების მინისტრი გახლდათ. მთელი ცხოვრება სამშობლოსგან, ოჯახისგან მოწყვეტილმა, საპატიმროებსა და გადასახლებებში გაატარა. კომუნისტური წყობილების დროს მისი სახელი ტაბუდადებულიც იყო.

თეა ხურცილავა

თეიმურაზ ლორთქიფანიძე:

— მე და ჩემი და-ძმა მამის ალერსს მოწყურებულები ვიყავით. მასთან უშუალო კონტაქტი თითქმის არ გვქონია — მამას ფოტოსურათებით, წერილებითა და დედის ნაამბობით ვიცნობდით. ძალიან მეამაყება, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძის შვილი ვარ. მამა 1881 წელს, ვანის რაიონის სოფელ ისრითში დაიბადა. ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია დაამთავრა და იმავე წელს, ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულტეტზე ჩააბარა. ამ დროს ოდესაში რევოლუციური მოძრაობა იყო დაწყებული. სტუდენტთა გამოსვლებში მამა აქტიურად მონაწილეობდა — პოლიტიკური გაფიცვების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. ამის გამო, 1904 წელს, სხვა მეამბოხე სტუდენტებთან ერთად უნივერსიტეტიდან გარიცხეს და ციხეშიც ჩასვეს. 3 წელი პატიმრობასა და გადასახლებაში გაატარა. 1907 წელს გაათავისუფლეს იმ პირობით, რომ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში არ ჩაერეოდა. 1907 წელს სწავლა ისევ იქ განაგრძო, მაგრამ პროფესია შეიცვალა და ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. სტუდენტობის დროს, საქართველოში მისი რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი „ეკალი“, რომელიც რადიკალური მიმართულების გამო მალე აკრძალეს. შემდეგ ქუთაისში, გაზეთ „სოციალ-დემოკრატიულ ფურცელს“ რედაქტორობდა. 1911 წელს ისევ დააპატიმრეს და ორი წელი მეტეხის ციხეში გაატარა. გასამართლების შემდეგ გადაასახლეს. ნიკოლოზის მეფობის პერიოდში ციხეებში შედარებით ნორმალური პირობები იყო. ადამიანს რომ გადაასახლებდნენ, მერე ტანჯვა-წამებაში არ ამყოფებდნენ და მუშაობის უფლებას აძლევდნენ. 1916 წელს, ვორონეჟის გუბერნიაში დასახლდა და იქ გაიცნო მომავალი მეუღლე. ძალიან ლამაზი დედა მყავდა — წარმოშობით უკრაინელი, ლუბა ავრამენკო. ის მეწარმის ქალიშვილი გახლდათ. ბაბუა ცნობილი კომერსანტი იყო, ტყავისა და ზეთის ქარხნები ჰქონდა. დედამ უმაღლესი რომ დაამთავრა, ვორონეჟში, დაბა ურაეკოს სასწავლებელში პედაგოგად დაიწყო მუშაობა. სწორედ იქ მივიდა გადასახლებაში მყოფი მამაც პედაგოგად. საოცარი სიყვარული ჰქონიათ... ჩემი და — დარეჯანი იქ დაიბადა. მერე მამა ოჯახთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა. დედამ ადვილად დაამყარა მეგობრული ურთიერთობა ყველასთან და ქართული ენაც ბრწყინვალედ შეისწავლა. მე 1920 წელს, საქართველოში დავიბადე.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სამხედრო მინისტრი

1918 წელს, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში მამაჩემიც ჩაება. ჯერ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს, მოგვიანებით — სამხედრო მინისტრად, მერე კი განათლების მინისტრად გადაიყვანეს... დედა იგონებდა, როგორ უჭირდათ მატერიალურად, მაგრამ ფუფუნებაში გაზრდილ ქალს საყვედური ერთხელაც არ დასცდენია. თურმე ოჯახისთვის აუცილებელი ავეჯი და ნივთებიც კი არ ებადათ. ერთხელ მამა შინ უცხოელ სტუმრებთან ერთად დაბრუნებულა და უთქვამს, უცხო ხალხს ჩაი მაინც მივართვათო. დედას შეუხსენებია, რომ შესაფერისი სერვიზი არ ჰქონდათ. მამას გაუღიმია და უთქვამს — მდიდარი დასავლელები სიღარიბეს გვაპატიებენ — თიხის ჭიქებით მირთმეულ ჩაიზე უარს არ გვეტყვიანო...

მთელი ცხოვრება მამის მონატრებაში გავატარეთ — სულ მის მოლოდინში ვიყავით... საქართველოს ოკუპაციის შემდგომ, 1921 წლის თებერვალში, ქვეყნის მთავრობა იძულებული გახდა, თბილისი დაეტოვებინა და ბათუმში გახიზნულიყო. მამას რევკომის დელეგაციასთან მოლაპარაკებები დაევალა. 17-18 მარტს, ქუთაისში გამართულ შეხვედრებზე მამას ძირითადი მოთხოვნა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა იყო. მაშინ რევკომის წევრებმა მისი მოთხოვნები უარყვეს და დამოუკიდებელ მთავრობას მოუწოდეს, დაუყოვნებლივ ეცნოთ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და სრული კაპიტულაცია გამოეცხადებინათ. გრიგოლ ლორთქიფანიძის პრინციპულობის შედეგი იყო, რომ ემიგრაციაში მიმავალმა, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ლეგიტიმურობა შეინარჩუნა. მაშინ ჩემი ოჯახიც გაემზადა ემიგ-

რაციაში წასასვლელად. მარსელისკენ მიმავალ გემში ჩემს ოჯახთან ერთად მეც ვმჯდარვარ — ჩვილი ვყოფილვარ. მამამ კარგად იცოდა, თავის თავსა და ოჯახს საფრთხის ქვეშ რომ აყენებდა, მაგრამ ქვეყნიდან წასვლაზე უარი თქვა და გემიდან ბოლო წუთს გადმოგვიყვანა.

— **რატომ?**

— რომ არა ეს გადაწყვეტილება, აჭარა დაიკარგებოდა. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უმაღლეს სკოლაში სწავლისას, ბატონმა გიორგი ხაზარაძემ ამ პერიოდის უაღრესად საინტერესო სტენოგრაფიულ ჩანაწერს მიაკვლია: აღმოჩნდა, რომ საქართველოს დამოუკიდებელი მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ, იმ დროს ბათუმის ციხეში მყოფი, მისი მოწინააღმდეგე, ბოლშევიკი სერიოჟა ქავთარაძე გამოიძახა და უთხრა: „საქართველოს მთავრობა იძულებულია, დატოვოს ქვეყანა. რამდენადაა ეს სამართლიანი, ამას მომავალი თაობა განსჯის. ახლა კი მიუხედავად ჩვენი პრინციპული უთანხმოებისა, საჭიროდ მიმაჩნია შევთანხმდეთ, რომ საქართველოს საერთო მტრებმა არ ისარგებლონ მენშევიკებისა და ბოლშევიკების დაპირისპირებით და გამოუსწორებელი შეცდომა არ მოხდეს — ბათუმი სავსეა თურქი ჯარისკაცებით, თურქეთის მთავრობა აჭარის ოკუპაციას ცდილობს, ამიტომ გადავწყვიტე, ახლავე ვუბრძანო ჩვენი ჯარების სარდალს, გენერალ გიორგი მაზნიაშვილს, დაუყოვნებლივ გადმოვიდეს ბოლშევიკების მხარეზე და იმოქმედოს თქვენი მითითებების შესაბამისად, პირველ რიგში, თურქი სამხედრო ძალების უკან გასადევნად. თუ ეს ორ-სამ დღეში არ მოხდა, ჩვენ შეიძლება დავკარგოთ ბათუმი, რასაც ქართველი ხალხი არც ჩვენ და არც თქვენ არასოდეს გვაპატიებს...“ მაშინ გენერალმა მაზნიაშვილმა კატეგორიული უარი თქვა ბოლშევიკების მხარეს გადასვლაზე. ამან ჟორდანია საგონებელში ჩააგდო. მთავრობის წევრებთან ითათბირა და გადაწყვიტა, პირადი წერილი გაეგზავნა გენერალ მაზნიაშვილისთვის და ისევ ეთხოვა. თათბირზე მამაჩემს უთქვამს: კარგად ვიცნობ გიორგი მაზნიაშვილს, ის არავითარ შემთხვევაში არ გადავა ბოლშევიკების მხარეს და რადგან ბოლშევიკებს ბათუმის დასაცავად სხვა სამხედრო ძალები არ გააჩნიათ, ბათუმი განწირულია; მზად ვარ, ბოლშევიკების სამხედრო ძალების შემოსვლამდე გენერალ მაზნიაშვილთან ერთად, ბათუმი უცხო ძალებისგან გავათავისუფლოო. ჟორდანიას მამაჩემის წინადადება მოსწონებია. ამის შემდეგ ჩამოგვიყვანეს გემიდან და სოფელში გაგვიშვეს. მართლაც მამამ თავის უახლოეს მეგობართან, გიორგი მაზნიაშვილთან ერთად, სამ დღეში ბათუმი და მთლიანად აჭარა გაათავისუფლა. არც ერთი თურქი სამხედრო საქართველოს ტერიტორიაზე აღარ იმყოფებოდა.

— **ამის მერე საქართველოდან არ წასულხართ?**

— შემდეგ მამა ისევ თავის მშობლებთან, სოფელში დაბრუნდა და ჩვენთან ერთად ორი თვე გაატარა. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა. მამას არაფრად ჩაუთვალეს აჭარის გათავისუფლება, ანტიკომუნისტური სულისკვეთება არ აპატიეს და 1921 წლის 13 მაისს დააპატიმრეს. იმ დაწყევლილმა ღამემ მთლიანად შეცვალა ჩვენი ცხოვრება. მამა ჯერ მეტეხის ციხეში იჯდა, სადაც ორი წელი გაატარა. იქვე ჩამოაყალიბა „თეთრი გიორგის ორგანიზაცია“, რომლის მიზანიც საქართველოს გათავისუფლება იყო... ერთ დღეს რუსის ჯარი მეტეხის ციხეში შევიდა, რომ იქიდან პოლიტიკური ტყვეები გამოეყვანათ. ამ დროს მამამ გასცა ბრძანება, რომ ყველა საკნის კარი ჩაეკეტათ და პატიმრებს განგაში აეტეხათ. მთელი ციხე აგუგუნდა. პატიმრებმა შიმშილობა და დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს. ამან შედეგი გამოიღო და იმ ღამით პატიმრები ვერ გადაიყვანეს. 1922 წლის 16 დეკემბერს, მამაჩემი 53 „საშიშ“ ქართველთან ერთად რუსეთის ციხეში გაგზავნეს, ყოველგვარი გასამართლების გარეშე. იცოდნენ, დაქსაქსვას რომ უპირებდნენ და პატიმრებმა წერილი დაწერეს — ითხოვდნენ, ყველა ერთ ციხეში გადაეყვანათ, მაგრამ პატიმართა ერთი ჯგუფი სუზდალის სამონასტრო საპატიმროში გაგზავნეს, ნაწილი კი — სხვაგან.

გრიგოლ ლორთქიფანიძე ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად

სუზდალის ციხე

— მამამ სუზდალის საპყრობილეში 2 წელი გაატარა. 1923 წლის მაისში მისი თანამებრძოლები, ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები რომ უმოწყალოდ დახვრიტეს, არ იცოდა. მამაჩემი ყველანაირ ინფორმაციას მოწყვეტილი იყო. მეგობრებს შეძლებისდაგვარად ციხიდან წერილებს უგზავნიდა, მაგრამ პასუხს ვერ იღებდა. საკანში განმარტოებით იყო და სწორედ იქ დაწერა ფილოსოფიური ესეისტური შინაარსის წიგნი — „ფიქრები საქართველოზე“. მის მიერ განხილული საკითხები დღესაც აქტუალურია. 1925 წელს გაათავისუფლეს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნება აუკრძალეს. იძულებული გახდა, რუსეთში მოეძებნა სამუშაო და კურსკში დაიწყო პედაგოგად მუშაობა. არაერთხელ სთხოვა მთავრობას, მიეცათ მისთვის სამშობლოში ჩასვლისა და ცოლ-შვილის მონახულების უფლება. დაჟინებულმა მოთხოვნამ საბოლოოდ თავისი გაიტანა და 1928 წელს, საქართველოში დროებით ჩამოვიდა. კარგად მახსოვს ის დღეები, დედას ცრემლიანი თვალები, ჩვენი სიხარული... გვეგონა, რომ ბოლო მოეღო მოლოდინს. სახლი სტუმრებით გაივსო. მერე მოინახულა საქართველოს კუთხეებში შემორჩენილი რამდენიმე მეგობარი. მამას საქართველოში დარჩენა და უნივერსიტეტ-

ში ლექციების წაკითხვა შესთავაზეს, მაგრამ კატეგორიული უარი თქვა — მე რომ კომუნისტების სამსახურში ჩავდგე, ეს ჩემი პრინციპებისა და მეგობრების ღალატი

გრიგოლ ლორთქიფანიძე

იქნება, რომლებიც ჩემთან ერთად გადაასახლესო. იძულებული იყო, ისევ კურსკში დაბრუნებულიყო. ცოტა ხანი ერთად ვცხოვრობდით და მაშინ გაჩნდა ჩვენი უმცროსი ძმა — ნოდარი. 1929 წელს, როცა მთელი ქვეყანა სტალინს 50 წლის იუბილეს ულოცავდა, მამამ მას „მისალოცი“ დეპეშა გაუგზავნა.

წერილი სტალინს

— სტალინს მამა პირადად იცნობდა ჯერ კიდევ რევოლუციამდე. თურმე კობა მას ძალიან აფასებდა. კურსკიდან ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

„მოსკოვი, კრემლი; სტალინს

დღეს თქვენ ტრიუმფატორი ხართ. რომის ტრიუმფებში მონაწილეობდა საგანგებო მონა, რომელიც დიდ გამარჯვებულს შეახსენებდა მის ცალკეულ შეცდომებსა და ბედის ცვალებადობას. შუა საუკუნეების რუს მეფეებს კრიტიკოსებად სალოსები ჰყავდათ.

არ ვდგავარ რა ტრიუმფატორის უავგუსტოესი ეტლის ძარის უკან სატერფულზე და არც კარის სალოსი გახლავართ, მაგრამ მაინც მივცემ ჩემს თავს უფლებას, რომ შევიტანო ერთგვარი დისონანსი (სულერთია, მას მაინც არავინ გაიგონებს) იმ ხოტბა-დიდების ქოროში, რომელიც გარს გახვევიათ თქვენი ნახევარი საუკუნის დღეს. რაც შეეხება ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ა.შ., ბევრი ჩვენგანი მათ გულწრფელად გისურვებთ, მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ თქვენს იუბილეს დაემთხვა ორი უმნიშვნელოვანესი, აღმაშფოთებელი წინააღმდეგობრიობა და თქვენ მიერვე შექმნილი ისტორიული ფაქტი ეროვნული პოლიტიკის სფეროდან: ტაჯიკებისთვის მოკავშირე რესპუბლიკის უფლებების მიცემა და იმავდროულად, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ავტონომიის ნიშანთა საბოლოო ლიკვიდაცია და მათი გადაქცევა რუსულ საბჭოთა საადგილმამულოდ, კრინიცკის მეთაურობით.

საუკეთესო საიუბილეო მისალმებებთან ერთად ვისურვებდი, რომ თქვენ და თქვენი თანამებრძოლები საბოლოოდ არ დაგატყვევოთ რუსული კრემლის ისტორიულმა აჩრდილებმა და რომ მოსკოვის დიდმპყრობელობამ მეტად ვერ შეძლოს ინტერნაციონალიზმის დიადი იდეის მეწამულ ტოგაში გახვევა.

გრიგოლ ლორთქიფანიძე, 1929, 27.09“.

არავინ იცის, წაიკითხა თუ არა ეს დეპეშა ადრესატმა, მაგრამ ერთი ფაქტია, წერილის გაგზავნის მეორე დღესვე დააპატიმრეს. 6 თვით ისევ ციხეში გამოკეტეს, მერე მოულოდნელად გაათავისუფლეს, ალბათ — სტალინის განკარგულებით და ვორონეჟში იძულებითი ცხოვრება მიუსაჯეს. ვორონეჟში პედაგოგობას აგრძელებდა. ქალაქის განათლების ინსპექტორად დაინიშნა — თანამდებობის პირი იყო. დედას სურვილი ჰქონდა, მის გვერდით, გადასახლებაში გვეცხოვრა, მასთან ერთად გაეტარებინა ის მძიმე წლები, მაგრამ მამამ უარი თქვა — ჩემი შვილები საქართველოში უნდა აღიზარდონ ჭეშმარიტ პატრიოტებად, საქართველოს სუნთქვა არ უნდა გამორჩეთო. დედაც უსიტყვოდ დაემორჩილა...

მამას დაპატიმრების შემდეგ, კარგა ხანს სოფელში ვცხოვრობდით. დედა ბაბუას ეხმარებოდა და ყანაში, ვენახში მუშაობდა. მისი წყალობით, საქართველოს სიყვარულით, ქართულ ტრადიციებზე აღვიზარდეთ. ერთხელ ქმრის სანახავად მეტეხის ციხეში, შრომით გადაღლილი, მალარიისგან დასუსტებული წავიდა. მოულოდნელად ადმინისტრაციამ აცნობა, ლორთქიფანიძე რუსეთში გადაასახლესო. თურმე დედა იქვე უგონოდ ჩაიკეცა. მამას ერთ-ერთი პატიმარი მეგობრის მეუღლე იქვე აღმოჩნდა. მან მოასულიერა მისთვის უცნობი ქალი და მერე თავის ბინაში წაიყვანა — მომჯობინდით და სოფელში მერე წადითო. ასე გაიცნეს ერთმანეთი. ეს გულისხმიერი ქალბატონი სკოლის დირექტორი, ლიდა ცინცაძე აღმოჩნდა. მას კამოს ქუჩაზე, სკოლის შენობაშივე ჰქონდა კარგი ბინა. ისინი დამეგობრდნენ. დედას შესთავაზა, თბილისში შვილებთან ერთად გადმოდი, ერთ ოთახს დაგითმობ და სამსახურშიც მოგაწყობო. მისი წყალობით, ჩვენც თბილისში გადმოვსახლდით, ცხოვრებისთვის ელემენტარული პირობები შეგვიქმნა, დედაჩემი სამსახურში მოაწყო. ორი წლის შემდეგ დედამ ერთი ოთახი პლეხანოვზე მიიღო... მამას მეგობრებისგანაც ხშირად ვგრძნობდით თანადგომას და მათი მადლიერები ვართ...

ხელახალი რეპრესია

— 1937 წელს მამას გადასახლების ვადა უთავდებოდა და სამშობლოში დასაბრუნებლად ემზადებოდა. 1936 წელს მისი მეგობარი თბილისში ჩამოვიდა და წერილი, მცირე თანხა და საიდუმლოებით მოცული, ტილოში გახვეული ჩემოდანი ჩამოგვიტანა. ამ ჩემოდანს დედა თვალისჩინივით უფრთხილდებოდა და მამას ჩამოსვლამდე გახსნა არ უნდოდა... რას ვიფიქრებდით, ახალი უბედურება რომ გველოდა. ახალი რეპრესიები დაიწყო. 1937 წლის 13 იანვარს მამაჩემი ისევ დაიჭირეს და 5 წლით დააპატიმრეს. არადა, როგორი სიყვარულით გვწერდა, მალე დაგიბრუნდებით და თქვენთან ვიქნები, შვილებო, გაიზრდებით და გაიგებთ ჩვენი დღევანდელი სატკივარის მიზეზსო. ოპტიმისტი იყო და იმედს არ კარგავდა, რომ ადრე თუ გვიან დაამტკიცებდა თავის უდანაშაულობას. თითქოს ამის წინა პირობაც არსებობდა. 1936 წელს, სტალინის ნებართვით, გრიგოლ ლორთქიფანიძეს ნება დართეს, თვენახევრით კისლოვოდსკში ემკურნალა და დაესვენა. მეუღლეც თან ახლდა. იქიდანვე ციმბირში გაამწესეს, სადაც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

„ჩეკას“ ჯურღმულებში დალეული სიცოცხლე

— 1937 წელს გრიგოლ ლორთქიფანიძის კვალი გაქრა. დედამ არაერთხელ გაგზავნა მთავრობაში შეკითხვა, სადამსჯელო ორგანოებსაც სთხოვდა, ინფორმაცია მიეწოდებინათ, მაგრამ პასუხი არ ჩანდა. მხოლოდ 1954 წელს გვიპასუხეს, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძე ცოცხალი აღარ იყო. გავიგეთ, რომ ბერიას მცდელობით, ციმბირიდან საქართველოში გადმოუყვანიათ უკვე დასნეულებული მამაჩემი და „ჩეკას“ ჯურღმულებში მოუთავსებიათ. მაშინ წამოტივტივდა ქობულოვის შეთითხნილი საქმე საქართველოს ემიგრაციასთან გრიგოლ ლორთქიფანიძის კავშირის შესახებ. ქობულოვი თავის დასმენაში მიუთითებდა, ჟორდანიას ლორთქიფანიძე საქართველოში ყველაზე საიმედო დასაყრდენ ძალად მიაჩნიაო. მამას თურმე საშინლად სცემდნენ. წლების შემდეგ გვაცნობეს, 1937 წლის 2 სექტემბერს, ბერიასა და ქობულოვთან დაკითხვის დროს გარდაიცვალაო. ბედის ირონიაა, სამშობლოსა და ოჯახზე უზომოდ შეყვარებულ კაცს სული ამოხადეს 2 სექტემბერს, თავის დაბადების დღეს, საქართველოში, „ჩეკას“ ჯურღმულში. მერე გავიგეთ, სანთელივით ჩამომდნარი იყოო. მას შემდეგ შვილები კარგა ხანს ამაოდ ვეძებდით მამის საფლავს, მაგრამ ვერსად მივაგენით. ეს უდიდესი ტკივილია... მთელი ცხოვრება ვცდილობდით, გრიგოლ ლორთქიფანიძის შვილობა ღირსეულად გვეტარებინა. საკონსტრუქტორო ბიუროში ვმუშაობდი, ბევრი გამოგონებისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ვარ. ჩაის სასხლავი აპარატი გამოვიგონე და ამისთვის პრემიაც მივიღე. ცხოვრება გრძელდებოდა, მაგრამ სევდა და ტკივილი არასოდეს გაგვნელებია. დედამ მისი გარდაცვალების ამბავი რომ გაიგო, ამის შემდეგ გახსნა „საიდუმლო ჩემოდანი“. იქ აღმოჩნდა 1924 წელს, სუზდალის ციხეში დაწერილი წიგნი „ფიქრები საქართველოზე“, მისი ანდერძი და სხვა ჩანაწერები, რომელიც წლების შემდეგ გამოიცა. როცა მის ნაწერებს ვკითხულობ, ვხვდები, ის იყო ჭეშმარიტი ერისკაცი, რომელიც მუდამ საქართველოს აღორძინებაზე ფიქრობდა და ზრუნავდა. გვეამაყება, რომ ბევრი ეროვნული საქმე გააკეთა. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

10 ვარჯიში ბრტყელტერფიანებისთვის

დადგენილია, რომ ბრტყელტერფიანობისას არა მარტო ტერფი, არამედ ხერხემალიც ზიანდება. ექიმები გვირჩევენ, შეავსრულოთ ვარჯიშები როგორც ტერფის თაღის, ისე ზურგის კუნთების გასამაგრებლად.

ზურგზე წოლისას

1. ბავშვმა მაქსიმალურად უნდა გაჭიმოს ხელ-ფეხი და ამ მდგომარეობაში სცადოს თითების გაშლა და მოხრა.

2. სთხოვეთ პატარას, ფეხის ცერა თითებით ჰაერში წრე შემოხაზოს. ქუსლი ამ დროს შიგნით უნდა იყოს მიმართული.

3. ფეხებთან დადებულ ბურთს ბავშვმა ორივე ქუსლი უნდა შემოაჭდოს და ისე აიღოს და დადოს.

მუცელზე წოლისას

4. ხელები აწყვია სხეულის გასწვრივ, ხელისგულებით — იატაკისაკენ; ფეხები შეტყუპებულია. ბავშვი რიგრიგობით სწევს ჯერ მარჯვენა, შემდეგ მარცხენა ხელს. ხელის აწევას თან სდევს ჩასუნთქვა, დაწევას — ამოსუნთქვა.

სკამზე ჯდომისას

5. ბავშვს ხელები მუხლებზე უწყვია, ფეხები ოდნავ განზე აქვს გაწეული. პატარა ფეხის წვერებს ზემოთ სწევს, ხოლო ქუსლს იატაკს არ აცილებს და ტერფს მაქსიმალურად ხრის. დაბლა დაშვებისას თითები იშლება.

6. ბავშვი ჯერ ქუსლებს ეყრდნობა და ფეხის წვერებს ზემოთ სწევს, შემდეგ კი თითის წვერებს ეყრდნობა და ქუსლებს სწევს მაღლა.

7. მჯდომარე ვიმეორებთ მეორე ვარჯიშს.

8. იატაკისგან ქუსლებისა და თითის წვერების მოუწყვეტლად მაქსიმალურად მაღლა ვწევთ ტერფის თაღს.

9. ფეხისგულებს ერთმანეთს ვატყუპებთ ისე, რომ ტერფის გარეთა მხარე იატაკს ეხებოდეს.

10. ტერფები მიტყუპებულია, მუხლებს შორის ბურთია მოთავსებული. მაღლა ვწევთ ტერფის შიგნითა კიდეს, ხოლო გარეთა მჭიდროდ ეხება იატაკს.

I როგორ ვავარჯიშოთ ერთ წლამდე ასაკის ბავშვები

ბავშვის ნორმალური ზრდისა და განვითარებისთვის ერთ-ერთი მთავარი პირობა მოძრაობაა. მოძრაობა ავითარებს მთელ ორგანიზმს, განსაკუთრებით — კუნთოვან და საყრდენ-მამოძრავებელ სისტემებს, ხელს უწყობს უჯრედების მომარაგებას ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებებით.

ბავშვის დაბადების მესამე კვირიდან რეკომენდებულია მსუბუქი მასაჟი. აუცილებელია, ვარჯიში და მასაჟი ბავშვს თავდაპირველად კვალიფიციურმა სპეციალისტმა ჩაუტაროს, ოღონდ დედის თანდასწრებით, რათა შემდგომ დედამ დამოუკიდებლად შეძლოს იმავე პროცედურების ჩატარება. გახსოვდეთ: მასაჟსა და ვარჯიშს სარგებლობის მოტანაც შეუძლია და ზიანისაც — თუკი არასწორად ან უდროოდ ჩავატარეთ. სწორედ ამიტომ, პაწიას ჯანმრთელობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, კომპლექსი ჩაატაროს (და დედას ასწავლოს) კვალიფიციურმა სპეციალისტმა, პედიატრთან კონსულტაციის შემდეგ.

რა უნდა იცოდეს დედამ მასაჟის შესახებ

ჩვილს მეტისმეტად სათუთი კანი აქვს და მისი დაზიანება ადვილია, ამიტომ ვინც პაწიას მასაჟს უკეთებს, რამდენიმე მითითება უნდა გაითვალისწინოს:

— ფრჩხილები ძირში დაიჭრას.

— ხელები საპნითა და თბილი წყლით დაიბანოს.

— არ ჩაატაროს მასაჟი ცივი ხელებით.

— მასაჟის დროს ოთახის ტემპერატურა უნდა იყოს არანაკლებ 21-22 გრადუსისა.

— ბავშვის კანმა თავისუფლად რომ ისუნთქოს, ნუ წაუსვამთ ტალკს, ზეთსა თუ კრემს. უმჯობესია, ის თქვენ თვითონ შეიზილოთ ხელზე და მასაჟი ისე ჩაატაროთ.

— მასაჟი ტარდება დღის პირვ-



ელ ნახევარში, კვებიდან 40-45 წუთის შემდეგ.

— პროცედურის დროს პატარას ესაუბრეთ, მიეფერეთ.

— ტირილი, მოუსვენრობა, აგზნება სიგნალია იმისა, რომ მასაჟი უნდა შეწყვიტოთ.

— ხელი უნდა უსვათ მსუბუქად, ნაზად, პერიფერიიდან — ცენტრისკენ; უნდა ემთხვეოდეს ლიმფისა და ვენური სისხლმიმოქცევის მიმართულებას. მაგალითად, ხელის მასაჟის დროს მოძრაობა მტევნიდან მხრისკენ მიემართება; ფეხის მასაჟის დროს — ტერფიდან საზარდულის ღარისკენ, მუხლისთავის (კვირისტავის) შემოვლით; ტერფის მასაჟის დროს — ქუსლიდან ფეხის თითებისკენ; მუცლის მასირებისას მოძრაობა უნდა ემთხვეოდეს საათის ისრის მიმართულებას.

— უნდა ვერიდოთ სახსრების მიდამოში ბიძგისებურ მოძრაობებს, აქტიურ მოძრა-ობებს წელის მიდამოში (იქ, სადაც თირკმლები და სასქესო ორგანოები მდებარეობს).

— სამ თვემდე ასაკის ბავშვებისთვის უმთავრესად რეკომენდებულია ხელით მასაჟი (ხელსმა), რომელიც 7-8 წუთი გრძელდება, შემდეგ კი აქტიურ მოძრაობებზე, ვარჯიშზე გადავდივართ.

გთავაზობთ 1,5-იდან 3 თვემდე ასაკის პატარებისთვის რეკომენდებულ ვარჯიშთა სისტემას. თითოეული ვარჯიში 5-6 წუთი გრძელდება. ვიწყებთ 1-2-წუთიანი მოძრაობებით, შემდეგ კი ხანგრძლივობას თანდათან ვზრდით.

ვარჯიშების ქვემოთ მოყვანილი კომპლექსი უნდა ჩატარდეს სისტემატურად, ყოველდღე ან დღეგამოშვებით. ვარჯიშისა და მასაჟის ჩატარებისას დატვირთვა თანდათან უნდა გავაძლიეროთ, შემდეგ კი შევასუსტოთ. დატვირთვა მთელ სხეულზე თანაბრად რომ გადანაწილდეს, სასურველია, დავიცვათ ქვემოთ მოცემული თანამიმდევრობა:

კომპლექსი იწყება მასაჟით:

— ხელების მასაჟი (ხელსმა): პაწიას ვაწვენთ გულაღმა, ფეხებით ჩვენკენ. მარჯვენა ხელის ცერა თითს ვუდებთ მარცხენა ხელისგულში, რომ კარგად მოეჭიდოს და ჩვენკენ მსუბუქად მოვწიოთ. ვიწყებთ ხელსმას ხელის ჯერ შიდა, შემდეგ გარეთა ზედაპირზე, მტევნიდან მხრამდე. ვიმეორებთ 4-6-ჯერ (სურ. 1).

— ფეხების მასაჟი: პაწიას მარჯვენა ფეხს ვიდებთ მარჯვენა ხელისგულზე. მარცხენა ხელით ვიწყებთ ხელსმას ტერფიდან საზარდულის ნაკეცამდე, შემდეგ — წვივისა და თეძოების გარე ზედაპირზე. ასეთივე თანამიმდევრობით ვატარებთ მეორე კიდურის ხელსმას. ვიმეორებთ 4-6-ჯერ (სურ. 2).

— ტერფის მასაჟი (დაზელა): ბავშვს ვაწვენთ ზურგზე, მარცხენა ხელით გვიჭირავს მისი მარჯვენა წვივი და მარჯვენა ხელის ზურგით ვუზელთ ტერფის ძირს, ქუსლიდან თითებისკენ და პირიქით. ვიმეორებთ 6-8-ჯერ (სურ. 3).

— მუცლის მასაჟი (ხელსმა): მარჯვენა ხელს საათის ისრის მიმართულებით წრიულად ვუსვამთ მუცელზე. სიფრთხილეა საჭირო მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოსთან შეხებისას, სადაც მდებარეობს ღვიძლი. მოძრაობებს ვიმეორებთ 6-8-ჯერ (სურ. 4).

— ზურგის მასაჟი (ხელსმა): პაწიას ვაბრუნებთ მუცელზე, ფეხებით მასაჟისტისკენ. ვიწყებთ ხელსმას კისრიდან დუნდულებისკენ ორივე ხელისგულით, ხოლო პირუკუ — მტევნის ზურგითა და თითებით (სურ. 5).

— პაწიას ვტოვებთ მუცელზე. ფეხები მუხლებში აქვს მოხრილი, ხელები — იდაყვის სახსარში, მუშტები — მკერდქვეშ. გავაჩეროთ ასეთ მდგომარეობაში 1-2 წუთს (სურ. 6).

— ცეკვის ილეთები: პაწიას ორივე ხელი ამოვდოთ იღლიის ქვეშ, სახით ჩვენკენ მოვაბრუნოთ. ვეცადოთ, დავაყენოთ მაგიდაზე და მსუბუქად ჩავაბუქნინოთ. გავიმეოროთ 6-8-ჯერ (სურ. 7).

— ნაბიჯები: პაწია გვიჭირავს იღლიის ქვეშ ამოდებული თითებით, ზურგით ჩვენკენ. ვადგმევინებთ მაგიდაზე 5-6 ნაბიჯს (სურ. 8).

— მუცელზე ხოხვა: ვაწვენთ მუცელზე. იდაყვში მოხრილი ხელები მკერდქვეშ აქვს ამოდებული. ხელისგულებით ვეხებით ორივე ფეხისგულზე და ვუბიძგებთ წინ. ვიმეორებთ 5-6-ჯერ (სურ. 9).

— ცურვა: პაწიას ვაწვენთ მუცელზე, მარჯვენა ხელისგულს მკერდქვეშ ამოვუდებთ, მარცხენა ხელს კი ერთდროულად ვკიდებთ ქუსლსა და ტერფზე და მსუბუქად ვწევთ მაღლა. პასუხად პაწია რეფლექსურად ზნექს ზურგს და თავს უკან სწევს. ვიმეორებთ 2-3-ჯერ (სურ. 10).

ვარჯიშის დასასრულს პაწიას ჩააცვით, შეახვიეთ თბილ საბანში და მყუდრო ოთახში დააწვინეთ.

II ვარჯიში და მასაჟი 3-დან 4 თვემდე ასაკის ბავშვებისთვის

1. ხელების მასაჟი (ხელსმა): ვაწვენთ პატარას ზურგზე, ფეხებით ჩვენკენ. მარჯვენა ხელის ცერა თითს ვუდებთ მარცხენა ხელში, ვაცდით, რომ კარგად მოეჭიდოს და მსუბუქად მოვწევთ ჩვენკენ. ვიწყებთ ხელსმას ჯერ შიდა, შემდეგ გარეთა ზედაპირზე, ხელის მტევნიდან მხრამდე. ვიმეორებთ 6-8-ჯერ (სურ. 1).





2. მკლავების გადაჯვარედინება და გადაშლა: დავაწვინოთ ბავშვი ზურგზე, ფეხებით ჩვენკენ. ორივე ხელის ცერა თითი ჩავუდოთ ხელებში, რომ კარგად ჩაეჭიდოს. შემდეგ ფრთხილად გადავუშალოთ მკლავები აქეთ-იქით და ასევე ფრთხილად გადავაჯვარედინებინოთ გულმკერდზე. მოძრაობები შევასრულოთ ისე, რომ ხან მარჯვენა ხელი იყოს ზემოდან და ხან მარცხენა. გავიმეოროთ 6-8-ჯერ (სურ. 2).

3. ხელების აწევა: საწყისი მდებარეობა იგივეა. ბავშვს მივაწოდოთ ორი პატარა რეზინის რგოლი ან ხელში ცერა თითები ჩავუდოთ. მაგრად რომ ჩაებღაუჭება, ორივე ხელი ავუწიოთ ჯერ წინ, შემდეგ — თავის გასწვრივ მაღლა. გავიმეოროთ 4-6-ჯერ.

4. ფეხების მასაჟი: საწყისი მდგომარეობა იგივეა. ბავშვს მარჯვენა ფეხი თავისუფლად უდევს მასაჟისტის მარჯვენა ხელისგულზე. თითებს კოჭის სახსარში ვკიდებთ. მარცხენა ხელის სამი თითით ვუზელთ წვივისა და ბარძაყის გარეთა და წინა ზედაპირს ტერფიდან ზევით. ვიმეორებთ 4-6-ჯერ. შემდეგ მარჯვენა ხელით ვუკეთებთ მარცხენა ფეხის მასაჟს (სურ. 4).

5. ფეხების მოხრა: საწყისი მდგომარეობა იგივეა. ბავშვს წვივებში ისე მოვკიდოთ ხელი, რომ საჩვენებელი თითები წინ იყოს მიმართული. ფეხები მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსარში ისე მოვახრევინოთ, რომ მუხლები მუცელს მივუახლოვოთ, შემდეგ გავუმართოთ და დაბლა დავუშვათ. გავიმეოროთ 6-8-ჯერ (სურ. 5).

6. რეფლექსური გადაბრუნება ზურგიდან მუცელზე: საწყისი მდგომარეობა იგივეა. ბავშვი წევს ზურგზე. მარცხენა ხელში ვუდებთ მარცხენა ხელის ცერა თითს, რომ კარგად ჩაეჭიდოს. ფეხებს ვუმართავთ და მარჯვენა ხელით წვივებს ისე ვუჭერთ, რომ საჩვენებელი თითი მათ შორის მოხვდეს. ბავშვი მსუბუქად გადავაბრუნოთ მარჯვნიდან ისე, რომ მენჯით მაგიდის ზედაპირს ეხებოდეს. იმავდროულად გავჭიმოთ იდაყვში მოღუნული მარცხენა ხელით. ვაიძულოთ, მუცელზე გადაბრუნებამდე შემოაბრუნოს მხრის სარტყელი, ტანი და თავი. მოძრაობა შევასრულებინოთ ჯერ მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ, 1-2-ჯერ (სურ. 6).

7. ზურგის მასაჟი (დაზელა): ბავშვი დავაწვინოთ მუცელზე. ორივე ხელის მსუბუქი და თანაბარი მოძრაობით კუდუსუნიდან კისრისკენ და პირიქით; გავუკეთოთ ხელსმა. ვერიდოთ ბიძგისებურ მოძრაობებს. თითებით არ შევეხოთ ხერხემლის მალებს. გავიმეოროთ 4-6-ჯერ (სურ. 7).

8. დუნდულების მასაჟი: ბავშვი დავაწვინოთ მუცელზე და ხელის ზურგები მსუბუქად ვუტყაპუნოთ, ისე, რომ კანი შევარდისფრდეს. გავიმეოროთ 6-8-ჯერ (სურ. 8).

9. ფეხზე წამოყენება: ბავშვი დავაწვინოთ მუცელზე, ორივე იდაყვში მოვკიდოთ ხელი და მსუბუქად, ძალიან ფრთხილად წამოვწიოთ — ვაიძულოთ, დაეყრდნოს ჯერ მუხლებს და შემდეგ — ტერფებს. გავიმეოროთ 2-ჯერ.

10. ტერფების მასაჟი: ბავშვი დავაწვინოთ ზურგზე. მარცხენა ხელი მარჯვენა წვივში ჩავკიდოთ და მარჯვენა ხელის თითის ზურგებით დავუზილოთ ფეხისგულები ქუსლიდან თითებისკენ და პირიქით. გავიმეოროთ 6-8-ჯერ (სურ. 10).

11. „ცეკვა“: ბავშვს ორივე ხელი იღლიის ქვეშ ამოვდოთ და სახით ჩვენკენ დავაყენოთ. ბავშვი თითის წვერებზე დგას. ვაიძულოთ, მსუბუქად ჩაბუქნოს და ტერფები მთლიანად შეახოს მაგიდას. გავიმეოროთ 6-8-ჯერ.

თუ ვარჯიშის დროს ბავშვი ატირდა, ეცადეთ, დაამშვიდოთ. თუ ჭირვეულობა არ დაიშალა, ვარჯიში შეაწყვეტინეთ, მეორე დღეს კი უფრო მცირე ხანს ავარჯიშეთ — თითოეული მოძრაობა შეასრულებინეთ არა 6-8-ჯერ, არამედ — 3-4-ჯერ.

კიდურის კუნთების თანაზომიერი განვითარებისთვის სასურველია, ბავშვს საწოლში სათამაშოები ისეთ სიმაღლეზე ჩამოუკიდოთ, რომ მათ ჩასაჭიდებლად ხელების მაქსიმალურად გამართვა და აწევა დასჭირდეს. სათამაშო ისეთი ზომის უნდა იყოს, რომ ჩვილი თავისი პაწია თითებით ადვილად ჩაეჭიდოს.

გახსოვდეთ: *მასაჟსა და ვარჯიშს სარგებლობის მოტანაც შეუძლია და ზიანისაც, თუ არასწორად ან უდროოდ ჩავატარეთ. სწორედ ამიტომ, პაწიას ჯანმრთელობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, კომპლექსი ჩაატაროს (და დედას ასწავლოს) კვალიფიციურმა სპეციალისტმა, პედიატრთან კონსულტაციის შემდეგ.*

■

თემატური წიგნები
ჟურნალ „ოჯახის მკურნალთან“ ერთად
წიგნი №9
6 ოქტომბრიდან

სერიის მომდევნო თემები:
№10 ყველაფერი ალიმაქსის შესახებ
№11 ყველაფერი თავის ტკივილის შესახებ

უკვე გამოსული წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩვილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 5(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

***

არც არა მარგო ტირილმა,
არც არა ცრემლის დენამა,
აჯობა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.
გამხიარულდით, სწორებო,
სანამ ერთურთსა ვხედავთო,
მოვკვდებით, დავიკარგებით,
შავ მიწას ამოვხედავთო.
შავის მიწისა ნაჟური
გულზედა ჩამოგვდიოდეს.
ტირიდეს ქალი და რძალი,
ჩვენ ერთიც არ მოგვდიოდეს.

ხალხური

სახსოვარი

ვაჟა-ფშაველა

◆ ადამიანის ფიქრის ერთი საქებური თვისება — მოვლენათა მიზეზების ძიებაა.

◆ ადამიანის გონება ყველას და ყველაფრის დაბერებას შეურიგდება, ხოლო სიბერე ერისა საშინელებაა.

◆ ადვილ ნუ იტყვით ვაჟკაცზე არა ვარგაო, იმასა.

◆ აზრი დარბაისელი, დიდად გამოცდილი, დინჯი მოხუცია; ყველაფერს სარგებლობის, სიმართლისა და ჭეშმარიტების თვალით უცქერის, საბოლოოდ რა გამოვა და რა — არა.

◆ მწერლობა მაშინ ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, როცა უკეთესად ემსახურება ქვეყანას.

◆ ყვავილი ყვავილთან ჰყვავის.

◆ თავის მარცხს კაცნი ვერ ვიტყვით, ჩქარა ვიუბნებთ სხვისასა.

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

მ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-39, 2011

მედლეხვალიე (საუბ.) — ვისაც ჩვევად აქვს საქმის სახვალიოდ გადადება.

მეზვრე — ვენახის მომვლელი და მცველი.

მეკენძალა — ტყის მცენარე; რაჭალეჩხუმში მხლად ხმარობენ.

მეკვერცხული — ბევრი კვერცხის დამდები (ქათამი).

მეკლდეური — კლდეზე მცოცავი სპორტსმენი.

მეკოდე (ძვ.) — ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში ვისაც პურობის დროს (ლხინსა თუ ჭირში) ღვინო, არაყი და ლუდი აბარია.

მეკომური — სოფელ ადგილას მცხოვრები, კომლის პატრონი.

მელელვია — იგივეა, რაც კვირიონი (პატარა ჩიტი ერთგვარი).

მელიორაცია (ლათ.) — მიწის ნაყოფიერების გაუმჯობესება მშრალი ადგილების მორწყვის, ჭაობების ამოშრობის და სხვ. გზით.

მემთე — ვინც ზაფხულობით მთაში მიჰყვება საქონელს.

მერდინი — 1. შინ დამზადებული აბრეშუმის თხელი ქსოვილი; 2. (კუთხ.) წმინდა საცერი — სამტკიცი.

მერუე — რუს მეთვალყურე, სარწყავი წყლის გამანაწილებელი, გამრიგე.

მერები — მთავარი მერუე.

მერწყული (ძვ.) — წყლის მზიდავი.

მესკია — პატარა ჩიტი ერთგვარი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჩვენი ოჯიბ

ოტია იოსელიანი

თავის მირტყმა და ჯაუის გადაბრუნება

რაკი ერთი წლისაც არ ვყოფილვარ, რა თქმა უნდა, ამ ფათერაკის მახსოვრობას ვერ დავიჩემებ. ჩემიანებისგან და შუბლზე დაჩნეული ნაჭდევით კი ეს ამბავი, დაახლოებით, ასე ვიცი:

ჩვენ გვქონდა პატარა მრგვალი მაგიდა, ალბათ არშინი სიგანისა. კაკლის ხის უნდა ყოფილიყო. შუაზე ერთი ხარატული ფეხი ჰქონდა. ცალ ფეხზე მაგიდა ვერ დამაგრდებოდა, ამიტომ, ქვევით, იატაკიდან ასე, მტკაველზე, სამად იყოფოდა. სამივე გაკუთხული მოკლე ფეხის განშტოება ოვალურად ქვევით ეშვებოდა და ძირს ებჯინებოდა.

უთუოდ ქვეშაგებზე დაგორებული დამტოვეს (ოჯახში ქალის საქმეს რა გამოლევს). აქედან ვასკვნი, ეს მანამდე უნდა მომხდარიყო, სანამ ფეხზე გავივლიდი, ცხრა თვემდე.

ეტყობა, ფორთხვა ვიცოდი. არ ვიცი, რა საწრიალე ამიტყდა, სანამ სიარულს ვისწავლიდი, მანამდე მაინც გაქცევა რატომ მოვინდომე... ასე იყო თუ ისე, საწოლიდან თავდაყირა გადმოვშვებულვარ და შუბლი (ზედ წარბების შუა) იმ მრგვალი მაგიდის ფეხის გაკუთხულ წახნაგზე დამირტყამს. ღიმილის, სიცილის და სიმღერის რა მოგახსენოთ, თორემ ტირილი და ბღავილი თავიდანვე მეხერხებოდა. ამიტეხია თავგახეთქილს ერთი ვაიუშველებელი. მოცვივდნენ — ბებია, დედა და მამიდაჩემი (მამაჩემი შინ არ ყოფილა). შექნილა რძალ-დედამთილს შორის ჩვეულებრივი უსიამოვნება, უფრო რძალ-მულს შორის, რაკი ბებია არ იყო ისეთი, ყოველდღიურ ოჯახურ კინკლაობაში რომ ენა ელესა.

— ვთქვი მე, რავარც დეიბადა, გავაძიძაოთ-მეთქი! — დაზაფრული დედაჩემი რას ამბობდა, ალბათ, თვითონაც არ იცოდა.

— ნეტავი, ვინ უნდა გავაძიძაოთ? — ბებიასთვის უკითხავს მამიდას, რძალთან მოსალოდნელი აყალმაყალის შემდეგ რომ ეთქვა, მე მაგისთვის ხმაც არ გამიციაო.

— ეს არგასაჩენი და არგადასარჩენი... — ორივე ხელი ჩემზე მოუშვერია დედას, ბებიას კალთაში რომ ვსიოდი.

— ამის მტერი და ორგული... — „არგადასარჩენად“ ვერ გავუმეტებივარ ბებიას.

— ნეტავ, ვის უნდა მივაძიძაოთ? — ისევ ბებიას სცემია მამიდა.

— აპალიეს ცოლს ამის კბილა ბიჭი ჰყავს!.. — უპასუხია რძალს.

— შე ქალო! (მამიდა ბებიას „შე ქალოთი“ მიმართავდა) — აპალიეს ცოლი თავისასაც გაზრდის და ჩვენსასაც? ჩვენ რას ვაკეთებთ, თუ იცი?..

— გაძიძავება ჯერ არ გაგიგონიათ, თუ რა მოხდა!

— კი, შე ქალო, გაძიძავება ქე გვაქვს გაგონილი... — გაუტრიზავებია მულს რძალი.

— ჩუ, ჩუ, მაგი თქვენ კი არა, მეც აღარ მახსოვს. რა დროს ამის ლაპარაკია!.. — დაუმუნათებია ბებიას ორივე...

ბებია ხალხური მედიცინის საუკეთესო მცოდნე იყო. ჭრილობაზე სახელდახელოდ რა დამადო და რით შემიხვია, არ ვიცი, მაგრამ დასტაქარი რომ არ უძებნიათ, ეს ვიცი.

სისხლის დენა რომ შეეწყვიტა, შემილოცავდა: რაკი, რაც მახსოვს, ხელი დანითაც რომ გაგვეჭრა, როცა გვიხვევდა, ჩურჩულებდა:

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა:

ძმამ ძმაი მოჰკლა,
კაენმა — აბელი.
სისხლო, დაწყნარდი.
კმარა ამდენი!

— ნეტავ, რას აჩენენ ამ ცოდვის შვილებს, თუ მოვლა-პატრონობის თავი არა აქვთ... — (მამიდა გაუთხოვარი ქალი იყო, დედაჩემზე 20 წლით უფროსი).

— ვისაც გაჩენის თავი არა აქვს...

— გაჩუმდით, გაჩუმდით! — გამწყრალა ბებია. — ჩემს შვილიშვილს არაფერი სჭირს გასაძიძავებელი და გასაშვილებელი. რვა, ობლობაში და გაჭირვებაში, ჩემი გავზარდე, მეორე რვა სანახევროდ, მაზლისშვილები (ბებიას მაზლისშვილებიც დედიკოს, „დეიკოს“ ეძახდნენ), ამასაც მე გავზრდი!

ამ ამბის შემდეგ ჩემი აკვანი ბებიას თავის საწოლთან დაუდგამს...

ასე რომ, თუ თავი არაფერზე მიარტყა, რა ეწერება და ედავიდარაბებაო, რომ იტყვიან, თუ ეს მართალია, მე ჯერ კიდევ თოთოობაში მაქვს ეგ საქმე მოსტუმრებული, ცხრა თვისას მაქვს თავი მირტყმული და ჭკუა გადაბრუნებული. ■

თუ თავი არაფერზე მიარტყა, რა ეწერება და ედავიდარაბებაო, რომ იტყვიან, თუ ეს მართალია, მე ჯერ კიდევ თოთოობაში მაქვს ეგ საქმე მოსტუმრებული, ცხრა თვისას მაქვს თავი მირტყმული და ჯაუა გადაბრუნებული.

დასაწყისი იხ. „გზა“ №39

რუსუდან ბერიძე

ვალეტი

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება
შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ამირან ალადაშვილი თეიმურაზ ქსოვრელთან მუშაობის მესამე წელს მიხვდა, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში. იმ დროს ადვოკატი მსხვილი კონტრაქტების პაკეტზე მუშაობდა, რომელშიც კრედიტის გარანტორად ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი ბანკი დგებოდა. დოკუმენტებში თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრამ პაკეტზე მუშაობისას რომელიღაც წვრილმანმა, ციფრების რაღაც შეუსაბამობამ, ადვოკატის ყურადღება მაინც მიიპყრო. თავიდან იფიქრა, რომ ეს დაუდევრობით გაპარული შეცდომა იყო და ვიღაცამ, შენაჯამები ციფრები აურდაურია. ამიტომ, დოკუმენტებს კიდევ ერთხელ მიუბრუნდა და მალევე მიხვდა, რომ დაუდევრობით კი არა, სრულიად შეგნებულად — მეტიც, თითქმის ვირტუოზულად დაშვებულ შეცდომასთან ჰქონდა საქმე. ამ აღმოჩენით გაოგნებული მოხუცი სკამის საზურგეზე ისე გადაქანდა, თითქოს დენმა დაარტყაო და კარგა ხანს გაუნძრევლად იჯდა. ბოლოს ძალა მაინც მოიკრიბა და აღიარა, რომ სერიოზული დანაშაულის კვალს წააწყდა.

ამ შემთხვევის შემდეგ, მოხუცი ადვოკატი მუდმივად ჩასაფრებული იყო და ყველა დოკუმენტს, რომელიც მასთან ქსოვრელისგან ხვდებოდა, საგანგებოდ ამოწმებდა და უკვე დარღვევას დარღვევაზე პოულობდა. მერე, თანდათან, მარტო დანაშაულის არსს კი არა, მის მასშტაბებსაც ჩასწვდა და კიდევ უფრო მეტი თავზარი დაეცა. ალადაშვილი დარწმუნდა, რომ სახელგანთქმული და საზოგადოებაში დაფასებული თეიმურაზ ქსოვრელი გაქნილი გაიძვერა და სერიოზული დამნაშავე იყო, რომელიც დოკუმენტს დოკუმენტზე აყალბებდა და გადასახადებს თავს უსინდისოდ არიდებდა.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ადვოკატი ჯიუტად დუმდა, შვილსაც კი არაფერი გაუმხილა. „მაინც რატომ ვიქცეოდი ასე? — ვინ იცის, მერამდენედ ჰკითხა საკუთარ თავს, მაგრამ დამაჯერებელი პასუხი ვერც ამჯერად იპოვა. — იქნებ იმიტომ, რომ გულის სიღრმეში მაინც არაფრის დაჯერება არ მინდოდა? მით უფრო, რომ ჩემ გარდა ამას ვერავინ — ვერ ან არ ამჩნევდა. თანაც, უკვე დაგვიანებულიც იყო განგაშის ატეხა, რადგან ჩემი კეთილდღეობა და თვით საადვოკატო ფირმის არსებობაც ამ კაცზე იყო დამოკიდებული... ახლა კი უკვე ჩემი სიცოცხლეც მის ხელშია: უნდა, მომკლავს, უნდა, ცოცხალს დამტოვებს...

ამის გაფიქრების შემდეგ, მოხუცმა მანქანის სარკეს კიდევ ერთხელ შიშით შეავლო თვალი, მაგრამ, მისდა გასაკვირად, კვლავაც არავინ მოსდევდა. „დავიჯერო, ქსოვრელის კაციჭამიებს დადევნებაზეც კი არ უფიქრიათ? — დაიბნა ადვოკატი. — წარმოუდგენელია... — პიჯაკის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლით დაცვარული შუბლი ხელისკანკალით მოიწმინდა. — ქსოვრელი ხომ უკან არავის და არაფრის წინაშე არ დაიხევს, მით უფრო — ჩემ წინაშე... განა რა ისეთი დიდი დაბრკოლება ვარ მისთვის, რომ ვერ მომერიოს? განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მიხვდა, რომ დუმილს აღარ ვაპირებ. ან როგორ უნდა გავჩუმდე, თუკი უკვე იმაშიც დავრწმუნდი, რომ სისხლშიც გვარიანად აქვს ხელი მოსვრილი? ამიტომ, მისი ავკაცობა რაც შეიძლება, სწრაფად უნდა გამოვააშკარაო... ამ ქვეყანაში მართლა ყველაფერი ჩალით კი არ არის დახურული და მართლმსაჯულებაც ჯერ კიდევ არსებობს. თუმც კი ძალიან მოიკოჭლებს, რასაც ჩემმა და ჩემისთანების დუმილმაც შეუწყო ხელი. მაგრამ ახლა აუცილებლად ამოვიღებ ხმას და ამით, აქამდე ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილ ყველა ცოდვას ერთად გამოვისყიდი...“

მძიმე ფიქრებში ჩაძირულმა მოხუცმა უეცრად მანქანა მკვეთრად დაამუხრუჭა.

— ეს რა ჯანდაბაა? — ხმამაღლა წამოიძახა მან შემდეგ, გზას გულდასმით დააკვირდა და დაინახა, რომ იქ ვიღაც იდგა, უფრო სწორად კი სკამზე გაუნძრევლად იჯდა.

ალადაშვილმა მანქანა გააჩერა და შორი მაშუქი ჩართო. შუა გზაში საზურგიანი ხის სკამი იდგა, სკამზე კი ადამიანის სიმაღლის თეთრსახიანი თოჯინა იდო, რომელსაც შორიდან ადამიანისგან ვერ გაარჩევდი. „იქნებ მართლა ადამიანია?“ — გული აუჩქარდა ადვოკატს და, თან, ანგარიშმიუცემლად უკან მიიხედა. მდევარი ისევ არსად ჩანდა. „მადლობა ღმერთს!“ — გაიფიქრა მოხუცმა, მანქანა ნელ-ნელა დაძრა და როცა შუა გზაში გამოდგმულ სკამამდე რამდენიმე მეტრი რჩებოდა, ისევ გააჩერა და სკამზე მჯდომს გულმოდგინედ დააკვირდა.

— ეს ხომ მანეკენია! — წამოიძახა მან. — მე კი რა აღარ ვიფიქრე...

სკამზე „მჯდარი“ მანეკენი ადამიანს მართლაც ძალიან ჰგავდა. „არ გამიკვირდება, უეცრად შორიდან რომ მომესალმოს, ანდა ფეხზე წამოდგეს და პირდაპირ ჩემკენ გამოემართოს“, — გაიფიქრა ალადაშვილმა, რომელსაც მანქანიდან გადასვლა ვერ გაებედა.

მოხუცს შუა გზაში ნისლიდან ამოზრდილი სკამი და მასზე მოჩვენებასავით წამოსკუპებული თოჯინა იმდენად არ აშინებდა, რამდენადაც რაღაც სხვა, უხილავი და უსულო, რომელიც მთელ მის არსებას დაჰპატრონებოდა. „იქნებ ეს ჩემში უკვე საფუძვლიანად ჩაბუდებული უმისამართო შიშია, რომელსაც ვერ ვერევი? ვერევი კი არა, მგონი, ამის გამო საერთოდ, ველარ ვაზროვნებ“, — გაიფიქრა და მანქანიდან მოჩვენებასავით უხმაუროდ გადავიდა. თან, თოჯინას თვალს წამითაც არ აცილებდა. „ყველაფერი ძალიან უცნაურ სპექტაკლს ჰგავს, რომელშიც, როგორც ჩანს, მეც ვმონაწილეობ და ახლა სცენაზე სწორედ ჩემი გასვლის დროა“, — ის იყო, გაიფიქრა მოხუცმა, რომ მის ზურგს უკან რაღაცამ გაიხმაურა, მაგრამ შებრუნება ველარ მოასწრო, რადგან კეფაში იმდენად ძლიერი დარტყმა იგრძნო, რომ მოცელილივით დავარდნილს ძირს სული არ დაჰყოლია...

გურამ ალადაშვილის უარით გასტუმრების შემდეგ ირაკლი ჩავლეიშვილმა პოლიციიდან წამოსვლა სა-

ბოლოოდ გადაწყვიტა. ამიტომ, იმავე საღამოს, თავის უშუალო შეფს — ანდრო მიროტაძეს დაურეკა და საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ შეატყობინა. „სამსახური სამსახურად და დროა, აქედანაც ავიკრა გუდა-ნაბადი“, — გაიფიქრა მან, თუმცა თბილისში დაბრუნება არ უჩქარია და ზღვაზე კიდევ რამდენიმე დღე დარჩა. საშინელი სიცარიელის განცდა არც ამის შემდეგ განელებია, მაგრამ გულზე ოდნავ მოეშვა. ორშაბათს მაღვიძარამ ზუსტად შვიდ საათზე დარეკა. თუმცა ჩავლეიშვილს უკვე ისედაც ეღვიძა. საათის აწკრიალების შემდეგ კი ლოგინიდან წამოდგა, ფანჯარაში გაიხედა და დაასკვნა, რომ სამსახურიდან წამოსვლით კიდევ ერთი არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. „მაინც რატომ არ შემიძლია სხვებივით ჩვეულებრივად ცხოვრება? — ჰკითხა საკუთარ თავს. — ვითომ მართლა ვინმეზე უკეთესი ანდა უარესი ვარ? არა მგონია... მეც ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ. უბრალოდ, ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში დგება კრიტიკული მომენტი, როცა გრძნობ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება ან თავად აღარ შეგწევს ამის ძალა და ბედს ნებდები“.

ბედს დანებებულის კვალობაზე ირაკლი არც ისე ურიგოდ ირჯებოდა. ჯერ შხაპი მიიღო, შემდეგ ყავა მოიდუღა და, სავარძელში მოკალათებულმა, ნება-ნება შესვა. თან, სამსახურში გატარებული წლების გახსენებასაც ჯიუტად ცდილობდა...

ჩავლეიშვილმა პოლიციაში 25 წელი იმუშავა. „ეს თითქმის ცხოვრების ნახევარია და ამის შემდეგ სადაც უნდა წავიდე და რაც უნდა ვაკეთო, ამ წლებს ვერსად გავექცევი, — დაასკვნა მან, — ვერავინ შეძლებს განვლილი ცხოვრების გაუქმებასა და ყველაფრის ხელახლა დაწყებას...“ ყავის ბოლო ყლუპს სვამდა, როცა ჟურნალების მაგიდაზე დაუდევრად მიგდებულ ერთ-ერთ გაზეთს მოჰკრა თვალი, რომელიც წინადღეს იყიდა, მაგრამ წაკითხვის სურვილი არ გასჩენია. ჩავლეიშვილი გაზეთს დასწვდა და ფურცვლა დაუწყო, მაგრამ გული ვერც ამჯერად დაუდო; მეტიც — ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს პუბლიკაციების სათაურებიც, ტექსტებიცა და ფოტოებიც უკვე ათასჯერ მაინც ჰქონდა ნანახი. ის იყო, გაზეთი უნდა დაეკეცა, რომ მისი ყურადღება ერთ-ერთმა ნეკროლოგმა მიიპყრო, რომელიც ასე იწყებოდა: „წავიდა ჩვენგან საუკეთესო მეგობარი და ნიჭიერი ადვოკატი — გურამ ალადაშვილი“. „რაო? — თვალებს არ დაუჯერა ჩავლეიშვილმა. — გურამი კი არა, ამირან ალადაშვილი! გურამი რა შუაშია?.. როგორც ჩანს, ვიღაც უტვინოს მამა-შვილის სახელები აერია ერთმანეთში... ან იქნებ, კიდევ ერთი ადვოკატი გურამ ალადაშვილი არსებობს? არა მგონია...“ სიტუაციის გასარკვევად ირაკლი მობილურ ტელეფონს დასწვდა, თან საათს შეხედა და ნომრის სწრაფად აკრება დაიწყო. ადამიანი, რომელსაც ურეკავდა, ძალიან ადრე დგებოდა. ის ირაკლის აწ უკვე ყოფილი კოლეგა — გოგი ღვინიაშვილი იყო. სწორედ ის ღვინიაშვილი, ვინც გურამ ალადაშვილის მამის, ამირან ალადაშვილის დაღუპვის საქმეს იძიებდა.

ღვინიაშვილმა ზარს მალე უპასუხა:

— გისმენ! — გაისმა ყურმილში მისი ნამძინარევი ხმა.

ირაკლი თავს ძლივს მოერია, რომ ტელეფონი არ გაეთიშა.

— გოგის გაუმარჯოს... — გაბზარული ხმით დაიწყო მან შემდეგ. — ირაკლი ვარ... ხომ არ გაგაღვიძე?..

— მართლა შენ ხარ, ბიჭო? — ხანმოკლე პაუზის შემდეგღა ამოიღო ხმა ღვინიაშვილმა. — შენს ზარს არ ველოდი.

— არც მე ვაპირებდი შენთან დარეკვას, მაგრამ... — სათქმელი აღარ დაასრულა ირაკლიმ.

— მაგრამ რა?

— რაღაც უნდა გთხოვო.

— მოიცა, ჯერ ის მითხარი, მართლა გადაწყვიტე ჩვენგან წასვლა?

— მართლა. მაგრამ ახლა სულ სხვა რამის გამო გირეკავ.

— კიდევ მოხდა რამე?

— ეგ შენ უკეთ გეცოდინება.

— მე-ე?

— ჰო. მითხარი, რა დაემართა ადვოკატ გურამ ალადაშვილს?

— შენ რა, მართლა არაფერი იცი?

— რომ ვიცოდე, ამ დილაადრიან ხომ არ შეგაწუხებდი?

— რა არის, იცი? — ისევ პაუზა გააკეთა ღვინიაშვილმა და შემდეგ როგორც იქნა, ამოღერღა: — ალადაშვილი მოკლეს.

— მოკლეს?

— ჰო, სამშაბათ საღამოს საკუთარ ოფისში ჩაცხრილეს. შენ ალბათ, ისიც არ გეცოდინება, რომ მანამდე მამა დაეღუპა ავტოავარიაში...

— პირველად მესმის, — იცრუა ირაკლიმ.

— ასეა, ასე... — ამოიოხრა ღვინიაშვილმა და შემდეგ დასძინა: — მოდი, რა, ძმურად, შეეშვი სისულელეებს და სასწრაფოდ სამსახურში გამოდი. უშენოდ გვიჭირს...

— არ შემიძლია... უკვე ყველაფერი გადავწყვიტე.

— შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ მაინც არ მესმის, ასე ერთი ხელის მოსმით, როგორ შეიძლება ყველაფრის გადახაზვა?

— რომ შეგხვდები, მაშინ აგიხსნი.

— ესე იგი, სამსახურში მაინც შემოივლი, ხომ?

— სამსახურში არა მგონია, მაგრამ ერთმანეთს სადმე აუცილებლად გადავეყრებით...

ამ სიტყვების შემდეგ ჩავლეიშვილი ღვინიაშვილს დაემშვიდობა, ტელეფონი გათიშა და ბარგის ჩალაგება დაიწყო. რამდენიმე წუთში კი სასტუმროს ნომრიდანაც გავიდა და კარი უხმაუროდ გაიხურა...

მეორე დილით, ზუსტად რვის ნახევარზე, ირაკლი ჩავლეიშვილმა პოლიციის შენობის ზღურბლს სამთვიანი პაუზის შემდეგ, პირველად გადააბიჯა, მორიგეს თავი დაუკრა და პირდაპირ ანდრო მიროტაძის კაბინეტისკენ გასწია. მის დანახვაზე, მიროტაძე მაშინვე წამოდგა და ხელი დაბნეულმა გაუწოდა:

— გამოკეთდი, ბიჭო?..

— ჰო, მგონი, დავუბრუნდი ცხოვრებას...

— კარგი იქნებოდა, ჩვენგანაც არ წასულიყავი, მაგრამ... — ამჯერად სათქმელის დასრულება გაუჭირდა მიროტაძეს. — მოკლედ, უკვე ყველა დოკუმენტი მზადაა. მარტო შენი ხელის მოწერა აკლია და... ძალიან კი გაგვიჭირდება უშენოდ, მაგრამ რადგან ასე გადაწყვიტე... ჰო, მართლა, 9 საათზე

ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენციის გამართვას ვაპირებ და ბარემ შენც მათი თანდასწრებით გაგაცილებთ...

— აი, ამის გაკეთება კი არ არის საჭირო.

— შენ თუ გკითხეთ, კი! — ხმას აუწია მიროტაძემ. — ის კი არა, შენზე გაზეთში სტატიასაც აუცილებლად დავაბეჭდვინებ.

— არ არის-მეთქი საჭირო, დამიჯერე!

— იქნებ ინებო და ცოტა უფრო გასაგებად ამიხსნა, რატომ?

— იმიტომ, რომ აღარსად მივდივარ.

— რაო? — დაიბნა მიროტაძე. — იმის თქმა გინდა, რომ...

— დიახ-დიახ... ახლავე მუშაობას უნდა შევუდგე.

— ხუმრობ, ხომ?

— არც მიფიქრია.

— აბა, ის სატელეფონო ზარი რაღა იყო?

— დიდი შეცდომა.

— და ამას ახლა მიხვდი?

— ჯერ კიდევ გუშინ, ამ დროს, მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემი კარიერა დასრულებული იყო, მაგრამ მერე ისეთი რაღაც გავიგე, რომ პოლიციიდან წასვლა სასწრაფოდ გადავიფიქრე და ახლა...

— ძალიან კარგი, რომ გადაიფიქრე, — გააწყვეტინა ჩავლეიშვილს ანდრომ.

— მეც ასე ვფიქრობ, — დაეთანხმა მას ირაკლი, — მაგრამ შენთან ერთი თხოვნა მექნება.

— გისმენ.

— გურამ ალადაშვილის მკვლელობის საქმის წაყვანა მინდა.

— ალადაშვილის?.. — ჩაფიქრდა მიროტაძე.

— ჰო.

— მაგ საქმის გამოძიებაში თითქმის ყველა ვართ ჩართული. საგამოძიებო ჯგუფში ღვინიაშვილი და ხარაიშვილი არიან, მეც ვეხმარები, პეტრე ლევიძემ კი საპროკურორო ზედამხედველობა აიღო საკუთარ თავზე.

— გურამ ალადაშვილი ჩემი მეგობარი იყო... — დაიწყო ჩავლეიშვილმა.

— ვიცი, — ფეხზე წამოდგა ანდრო, — ნამდვილად დაგვიბრუნდი, ხომ?

— ნამდვილად.

მიროტაძემ მაგიდას შემოუარა და ჩავლეიშვილის გვერდით შედგა:

— ეს ყველაზე კარგი ამბავია, რაც ამ ბოლო ხანებში გავიგე... უკვე წარმოვიდგინე, ბიჭები რას გაიხარებენ...

— ჩემს კაბინეტში ვინ ზის? — დაინტერესდა ირაკლი.

— ბიბილური.

— კარგი იქნებოდა, იქ ისევ მე დაგებრუნებინე.

— უპრობლემოდ დაგაბრუნებ. ბიბილური მაინც კვალიფიკაციის ასამაღლებლად მყავს გაგზავნილი. მოკლედ, შეგიძლია, კაბინეტში ახლავე შეხვიდე... ჰო, მართლა, არ დაგავიწყდეს, რომ 9 საათზე ალადაშვილის საქმესთან დაკავშირებით, ოპერატიული თათბირი გვექნება.

— ზუსტად ცხრაზე სათათბირო ოთახში ვიქნები. ერთ წუთსაც არ დავაგვიანებ.

— დააგვიანებ და შენი აჯობებს, — თვალები ეშმაკურად მოწკურა კმაყოფილმა მიროტაძემ...

ჩავლეიშვილმა საკუთარი კაბინეტის კარი ფრთხილად მიხურა და ირგვლივ მიმოიხედა. მაგიდა შეეცვალათ. „ალბათ, ბიბილურმა თავისი გადმოათრია, — უკმაყოფილოდ გაიფიქრა მან, — სამაგიეროდ, სკამებია ჩემი“. ქურთუკი გაიხადა და ერთ-ერთ სკამზე მიაგდო. შემდეგ მაგიდას მიუჯდა და მიხვდა, რომ ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე პირველად იგრძნო თავი კარგად — იმდენად კარგად, რომ თითქოს მის ცხოვრებაში ის მტანჯველი 3 თვე არ ყოფილიყო.

9 საათზე ყველანი სათათბიროში, ოვალური მაგიდის გარშემო შეიკრიბნენ. ირაკლი ისევ თავის უწინდელ ადგილზე დაჯდა. მის გვერდით გოგი ღვინიაშვილი მოთავსდა და მაშინვე აქსუტუნდა. ამის შემხედვარე ჩავლეიშვილმა ღიმილი ვეღარ შეიკავა, რადგან ერთი ისეთი დღეც კი ვერაფრით გაიხსენა, ღვინიაშვილს სურდო რომ არ ჰქონოდა. ღვინიაშვილის გვერდით ისევ ლევან ხარაიშვილი დაჯდა და მელოტი კეფის ენერგიულ ფხანასაც ძველებურად მოჰყვა, მაგიდას დანარჩენებიც თითქოს საგანგებოდ დადგენილი რიგის მიხედვით შემოუსხდნენ. მოკლედ, ყველაფერი მართლა ძველებურად იქნებოდა, რომ არა ჯინისის შარვალსა და ცისფერ ბლუზაში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი, რომელიც ჩავლეიშვილს აქამდე არასდროს ენახა.

— ეს ანა მორჩილაძეა, ჩვენი ახალი თანამშრომელი, — ხმადაბლა გადაულაპარაკა ჩავლეიშვილს ღვინიაშვილმა, — ჩვენთან შენი ბიულეტენზე გასვლის შემდეგ მოვიდა.

ირაკლის ამ ქალზე ბევრი სმენოდა. პოლიციის აკადემიის წარჩინებულ კურსდამთავრებულ — ანა მორჩილაძეს ბევრი საინტერესო შეთავაზება ჰქონდა, მაგრამ მან რატომღაც ყველას „მიროტაძის კანტორაში“ (სწორედ ასე მოიხსენიებდა ბევრი მათ განყოფილებას) მუშაობა არჩია. ირაკლიმ ქალს შეხედა და მათი თვალები მაშინვე ერთმანეთს შეხვდა. ანამ ჯიქურ მომზირალ მამაკაცს ოდნავ შესამჩნევად გაუღიმა. „საინტერესო შევსება მიგვიღია, — გაიფიქრა ჩავლეიშვილმა, — მაგრამ სარისკოც, რადგან როგორც კი მამაკაცების საზოგადოებაში თუნდაც ერთი ქალი ხვდება, მაშინვე ყველაფერი იცვლება, ზოგჯერ კი თავდაყირაც დგება“.

ირაკლის ფიქრი ანდრომ გააწყვეტინა, რომელიც ოთახში შემოსვლისთანავე საქმეს შეუდგა.

— ორშაბათი მძიმე დღეა, — დაიწყო მან, — ჩვენთვის კი ის ალბათ, ორმაგად მძიმედ დაიწყება, რადგან ადვოკატ გურამ ალადაშვილის მკვლელობის საქმეში წინ ვერ წავიწიეთ...

— მთლად ასე ტრაგიკულადაც არაა საქმე, შეფ, — გააწყვეტინა მიროტაძეს ღვინიაშვილმა.

— მაგრამ ერთი კარგი ამბავიც გვაქვს, — თითქოს ღვინიაშვილის შენიშვნა არ გაუგონიაო, ისე განაგრძო მიროტაძემ, — ირაკლი გამოჯანმრთელდა და სამუშაოს დღესვე შეუდგება. დარწმუნებული ვარ, ეს ამბავი ყველას ძალიან გაგახარებთ, მათ შორის — ანა მორჩილაძესაც, ვინც ჩავლეიშვილს ჯერ პირადად არც კი იცნობს.

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. დაბნეული ღვინიაშვილი მიროტაძეს უნდოდ მიაშტერდა, გაკვირვებულმა ხარაიშვილმა კი ირაკლი ისე შეათვალიერა, თითქოს პირველად ხედავსო. დანარჩენებიც დაბნეულები ჩანდნენ. მხოლოდ ანა იჯდა მშვიდად და ირაკლის უღიმოდა.

ჩავლეიშვილი მიხვდა, რომ სიტუაციის განსამუხტავად მასაც რაღაც უნდა ეთქვა.

— ნამდვილად ასეა... — ხმადაბლა დაიწყო მან. — თავს უკვე კარგად ვგრძნობ და მუშაობასაც ვაგრძელებ...

— შესანიშნავია! — წამოხტა უცბად ლევან ხარაიშვილი და ირაკლის ხელი ენერგიულად ჩამოართვა. — ჩათვალე, რომ ჩვენგან არც არასდროს წასულხარ, ხომ ასეა, ბიჭებო?

— ასეა, ასე! — მაშინვე ფეხზე წამოდგნენ დანარჩენებიც და ირაკლის შემოეხვივნენ.

როგორც კი ვნებათაღელვა ჩაცხრა და ყველა თავის ადგილს დაუბრუნდა, ირაკლიმ ისევ ანას შეხედა. ქალი გაუნძრევლად იჯდა და სახეზე ახლა უკვე იდუმალი ღიმილი დასთამაშებ-

და. „ამის გვერდით მუშაობა გამიჭირდება“, — გაიფიქრა ჩავლეიშვილმა და ბლოკნოტი გადაშალა, მაგრამ ანდრომ დაასწრო:

— ირაკლიმ მთხოვა, რომ ალადაშვილის საქმეში ყოველგვარი ზედმეტი ფორმალობის გარეშე ჩაგვერთო. ამიტომ, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. გოგი, გისმენთ.

ღვინიაშვილმა საქაღალდიდან რამდენიმე ფურცელი ამოიღო და დაიწყო:

— გურამ ალადაშვილის გვამი დილის 8 საათზე სამსახურში მისულმა მისმა პირადმა მდივანმა — სოფიო ბიბილაშვილმა აღმოაჩინა. ადვოკატს სამჯერ ესროლეს. სამწუხაროდ, სროლის ხმა არავის გაუგონია, რადგან ძველებურ შენობას, სადაც ალადაშვილის საადვოკატო ფირმა მდებარეობს, სქელი კედლები აქვს, ფანჯრები კი ხმაურიან ქუჩაში გადის. გაკვეთის შედეგად მიღებული პირველადი მონაცემებით, მკვლელობა დაახლოებით ღამის თერთმეტ საათზე მოხდა და ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან როგორც სოფიო ბიბილაშვილი ამტკიცებს, გურამ ალადაშვილი სამსახურში გვიანობამდე ხშირად რჩებოდა. მამამისის დაღუპვის შემდეგ კი იქ ათენ-აღამებდა...

— ირაკლიმ უფროსი ალადაშვილის დაღუპვის მიზეზი თუ იცის? — გააწყვეტინა ღვინიაშვილს ანდრომ.

— ვიცი, — გოგის პასუხი დაასწრო ჩავლეიშვილმა, — ამირან ალადაშვილი ავტოავარიაში დაიღუპა.

— მაშინ სულ ეს არის, — დაასრულა მოყოლა ღვინიაშვილმა.

— სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არაფერიც არ არის, — შუბლი შეიკრა მიროტაძემ, — ჯერ არც მკვლელობის მოტივი ვიცით, არც მკვლელობის იარაღი გვაქვს და არც მოწმეები გვყავს.

ჩავლეიშვილი წამით დაფიქრდა, თავიდანვე ღირდა თუ არა დანარჩენებისთვის იმის გამხელა, რომ სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, გურამ ალადაშვილი მასთან ზღვაზე იყო ჩასული და მაშინვე დაასკვნა, რომ არ ღირდა.

„ძალიან ცუდად იქცევი! — მაინც შეუძახა შემდეგ ფიქრში საკუთარ თავს. — პოლიციაში მეორე ცხოვრებას წესების აღმაშფოთებელი დარღვევით იწყებ“. მაგრამ ისევ არაფერი უთქვამს, რადგან ახლა, როგორც არასდროს, ისე იყო დარწმუნებული, რომ სწორად იქცეოდა.

— მცირე ხნით შევისვენოთ, — ფიქრიდან გამოარკვია ირაკლი მიროტაძის ხმამ.

— მაინც რამდენ ხანს? — დაზუსტება ითხოვა ხარაიშვილმა.

ანდრომ საათს დახედა:

— ერთ საათში ჩემს კაბინეტში გელოდებით. მანამდე კი იქნებ ვინმე ღვთისნიერმა ყავაც კი შემომთავაზოს...

მიროტაძე ოთახიდან გავიდა. დანარჩენები მაშინვე ჩავლეიშვილს შემოეხვივნენ და მანაც იგრძნო, რომ ისევ რაღაც უნდა ეთქვა.

— ყველაფრის თავიდან დაწყებას შევეცდები... — ჩახრინწული ხმით წარმოთქვა მან. — საშინლად მძიმე პერიოდი მქონდა... კაცის, თუნდაც თავდაცვის მიზნით, მოკვლა საშინელება ყოფილა... მაგრამ მაინც შევეცდები.

მცირე ხნით ოთახში სრული სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც შემდეგ ლევან ხარაიშვილმა დაარღვია:

— კარგად გვესმის შენი. ცუდი ამბავი დაგემართა, მაგრამ რას იზამ? ცხოვრება გრძელდება და შენც ფეხი უნდა აუწყო.

— და კიდევ, — სიტყვა ჩამოართვა კოლეგას გოგი ღვინიაშვილმა, — შემიძლია, თამამად გითხრა, რომ ყველას ძალიან გვაკლდი.

— დიდი მადლობა, — თავი დამნაშავესავით დახარა ირაკლიმ, — მეც მაკლდით ყველანი...

ამის შემდეგ ღვინიაშვილმა ჩავლეიშვილს საქაღალდე გაუწოდა:

— ალბათ გურამ ალადაშვილის საქმეს უშუალოდ გაეცნობი.

— აუცილებლად, — საქაღალდე მაშინვე ჩამოართვა ირაკლიმ, — მამამისის საქმეც აქ არის?

— არა, — ხმაში გაკვირვება დაეტყო გოგის, — ამირან ალადაშვილის საქმე უკვე დახურულია.

— მესმის, მაგრამ საქმის მასალებს მაინც გადავხედავდი... თუ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ იქნები.

— საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს? — მხრები აიჩეჩა ღვინიაშვილმა. — ოღონდ, თან არ მაქვს და მერე შემოგიტან...

— კარგს იზამ.

— მართლა, სად უნდა შემოგიტანო?

— ჩემს ძველ კაბინეტში.

— იქ ხომ ბიბილური ზის.

— უკვე აღარ ზის.

— ჰმ... — თავი გადააქნია ღვინიაშვილმა. — მაინც რა წარმავალია ყველაფერი...

გოგის გასვლის შემდეგ, ოთახში მხოლოდ ირაკლი და ანა მორჩილაძე დარჩნენ.

— თქვენ შესახებ ბევრი მსმენია, — დაიწყო ანამ.

— იქნებ თავიდანვე შენობით დაგვეწყო.

— კი, ბატონო. შენ შესახებ ბევრი მსმენია.

— ბევრი ცუდი?

— ცუდიც და კარგიც. ვფიქრობ, შენგან ბევრი რამის სწავლას შევძლებ.

— მეეჭვება, — სასწრაფოდ ფეხზე წამოდგა ირაკლი და გასასვლელისკენ გაემართა, მაგრამ ანამ გადაუსწრო და კარი ფართოდ გაუღო:

— მიბრძანდით, მასწ...

ჩავლეიშვილმა გაბინეტში შესვლისთანავე იგრძნო, რომ საშინლად გაიოფლა და პულოვერის გახდა გადაწყვიტა. მაგრამ ეს ისე უხერხულად გააკეთა, რომ პულოვერს პერანგიც თან მიჰყვა და სანამ გამომძიებელი ერთმანეთში ჩახლართულ ტანსაცმელს აცალკევებდა, ოთახის კარი ხმაურით გაიღო და ანა მორჩილაძე შემოვიდა. წელს ზემოთ ნახევრად შიშველი ჩავლეიშვილის დანახვაზე ქალი შეცბა და მაშინვე უკან დაიხია.

— ეს... ეს ღვინიაშვილმა გამომატანა... — უხერხულობისგან ხელში შერჩენილ საქაღალდეს ჩააშტერდა იგი. — ავტოკატასტროფის მასალებია...

— სანამ ამ ოთახშიც რაიმე კატასტროფა არ მომხდარა, საქაღალდე დატოვე და თავად აქედან გაქრი! — თითქმის უბრძანა ქალს გაღიზიანებულმა ჩავლეიშვილმა...

ანამ საქაღალდე მაგიდაზე დადო და ოთახიდან უკანმოუხედავად გავარდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-39

— ღმერთო, არ მჯერა! ნუთუ მართლა მომიხსენია ანდერძში? ნეტავ, რა წერია? რა წერია, რა წერია? — გაოგნებული ვიმეორებდი ერთსა და იმავეს, თან, ბოლთას უაზროდ ვცემდი ნოტარიუსის მისაღებში.

მუხლები მიკანკალებდა. ვერა და ვერ დავიწყნარე ნერვები. ისიც კი მიკვირდა, აქამდე როგორ მოვაღწიე. რომ არა... საშკა, მარტო ვერაფრით მოვიდოდი. გასაკვირია, არა? სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, ამიტომ საშკას დავურეკე და ვთხოვე, გამყოლოდა. ბოლოს და ბოლოს, ასე თუ ისე, ერკვეოდა კანონებში, თუ რამე გაუგებრობას ექნებოდა ადგილი.

— დამშვიდდი ახლა, რას ფორიაქობ? — ის უფრო მტუქსავდა, ვიდრე მამშვიდებდა, — რაღაცას გაჩუქებდა, მაგას იმდენი ფული ჰქონდა ყოველთვის... ცოტას დაგიტოვებდა ალბათ, გული რომ არ დაგწყვეტოდა. აბა, მე ხომ არ დამიტოვებდა?

— თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი, რა! — გავუწყერი და წინ და უკან სიარული განვაგრძე. — არ მჯერა რაღაც...

ამ დროს ჩემი ჯერიც დადგა. კაბინეტში შევედი. ჩემდა გასაოცრად, ნოტარიუსი მამაკაცი აღმოჩნდა. შეიძლება არც არაფერი იყო გასაოცარი, მაგრამ ადრე, როცა ნოტარიუსთან რამე დამჭირვებია, ყოველთვის ფაშფაშა ქალები მხვდებოდნენ ხოლმე. ეს კი გამხდარი, დაბალი კაცი აღმოჩნდა, ხანში შესული და ნახევრად მელოტი. სათვალის ზემოდან გადმომხედა და ოფიციალური სახით შეუდგა „კანონის აღსრულებას“. თქვენ ბრძანდებით ესა და ეს, ხართ ამის და ამის შვილი, მცხოვრები აქა და აქ... და ა.შ.

— ძალიან კარგი, — თქვა ბოლოს, — მაქვს პატივი, გაცნობოთ, რომ აწ განსვენებულმა ქალბატონმა, ნინო რუსაძემ დაგიტოვათ უძრავი ქონება, სახლი, რომელიც მდებარეობს...

როგორც ჩანს, შოკი განვიცადე, რადგან ის, რაც ამის შემდეგ მოხდა, მუნჯურ კინოს უფრო ჰგავდა. ვხედავდი, ნოტარიუსი როგორ ამოძრავებდა ტუჩებს და თვალს აყოლებდა რაღაც სტრიქონებს მის წინ გაშლილ საბუთებში, თან გამოთქმით კითხულობდა თითოეულ სიტყვას, მაგრამ ერთი ბგერაც არ მესმოდა.

როგორც იქნა, დაამთავრა თავისი უხმო მონოლოგი და შემომხედა — ჩემი რეაქცია აინტერესებდა.

გაქვავებული ვიდექი. ლაპარაკის უნარი დაკარგული მქონდა... მოძრაობისაც...

მამაკაცის ტუჩები კვლავ შეირხა... კვლავ უხმოდ... მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როცა მან რაღაც ქაღალდზე ხელის მოწერა მთხოვა.

მოვაწერე ხელი, მაგრამ არც ის ვიცოდი, რას ვაწერდი და არც ის — თუ რატომ. ასე დაბნეული არასდროს ვყოფილვარ. მესმოდა, რომ ნოტარიუსი რაღაცას მიხსნიდა და კმაყოფილი შემომცქეროდა, ამიტომ მეც ვუქნევდი თავს, არადა, საერთოდ არაფერი მესმოდა. მედიცინის ენაზე ამ მდგომარეობას, მგონი, ტრავმატოლოგიური სიყრუე ჰქვია... ალბათ, არ ვცდები.

არც ის მახსოვს, გარეთ როგორ გამოვედი. როგორც ჩანს, უვნებლად, რადგან საშკა იქვე დამხვდა, კართან ატუზული.

— მორჩა? — ისე მკითხა, თითქოს ზოგადსაკაცობრიო საკითხის გადასაწყვეტად ვიყავი შესული.

— მგონი, კი.

— რა გჭირს?

— რა მჭირს? — ტანსაცმელზე დავიხედე.

— საშინლად გამოიყურები.

— მან მე სახლი დამიტოვა, გესმის? სახლი, რომელშიც ცხოვრობდა! — ხმა ამიკანკალდა.

— სახლი დაგიტოვა? — საშკას თვალები გაუფართოვდა, მაგრამ უმალ შეიცვალა სახე, თითქოს აქ გასაკვირი არც არაფერი იყო და მშვიდი ხმით გააგრძელა. — მერე რა! დედაა და თავისი ვალი მოიხადა.

წარბები შევყარე. საშკა დაიბნა.

— რა იყო? რამე ისე ვერ ვთქვი?

— რა ჯანდაბად მინდოდა მაგის სახლი? რატომ დამიტოვა? მას ხომ ჰყავს შვილები. იმათ?

— იმათაც დაუტოვებდა რამეს, ნუ დარდობ.

— ამხელა ქონება! რა საშინელებაა! არადა, ახლოს არ გამიკარა, როცა გაიგო, რომ მისი შვილი ვიყავი.

— დაივიწყე ეგ. მისთვის მოულოდნელი იყო ეს ამბავი.

— სახლი... — შეფიქრიანებული ჩემთვის ვბუტბუტებდი. — და მერე დანარჩენ შვილებს? იმათ რა?

— იმათ — თავიანთი წილი... შენ რაში გენაღვლება ისინი, — მამშვიდებდა საშკა.

— ახლა მაგათ იერიშებს რა გაუძლებს! აგერ ნახავ, გადამაყოლებენ ამ სახლს.

— შენც ადექი და გაყიდე! დღესვე!

კიდევ უფრო შევჭმუხნე წარბები.

— რა თქვი?

— თუ გინდა, რა თქმა უნდა, — უხერხულად შეიშმუშნა, — ამით უსიამოვნებას აიცილებ თავიდან.

— და ფული შენ მოგცე, არა?

— მე ეგ არ მიფიქრია.

— სამაგიეროდ, მე ვიფიქრე! — ჩემდა უნებურად, ისე ვიყვირე, ძარღვები დამეჭიმა ყელზე.

— ცუდად გიფიქრია! თუ ასე გგონია, როგორც მოვედი, ისე წა-

ვალ! — თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

— არა, ჯერ სახლში გამიყვანე, ცოტა აზრზე თუ არ მოვედი, აქვე წავიქცევი.

— წამოდი მერე, რაღას უცდი?

როგორ მომნატრებია ჩემი ბინა. სიყვარულით მოვავლე თვალი ჩემს ბუდეს და ტახტზე ღონემიხდილი ჩამოვჯექი. საშკას ავხედე, რომელიც ზედამხედველივით დამდგომოდა თავზე.

— ახლა რა ვქნათ? გინდა რამე? მითხარი, რა გავაკეთო, — ფრთხილად მკითხა.

— ყავა მოადუღე, დავლიოთ.

— ახლავე! — ისე გაუხარდა, ლამის სირბილით გავარდა სამზარეულოში.

სახე ხელებში ჩავრგე და ავქანავდი. სიზმარში მეგონა თავი. ისინი არ მოვიდნენ. ვითომ შეგნებულად? თუ სხვა დროს იყვნენ დაბარებულები? რატომ არ მირეკავენ? ომს ხომ არ მიცხადებენ? სკანდალი არ ამცდება! არ უნდა მომეწერა ხელი, მაშინვე უნდა მეთქვა უარი!

სასოწარკვეთილი ვიყავი.

— აი, ყავაც, დალიე და დამშვიდდები, — დამიყვავა საშკამ და გვერდით მომიჯდა.

თითები ფინჯანს შემოვაჭდე. მესიამოვნა, რაღაც ცხელს რომ შევეხე, ერთიანად ვცახცახებდი, ვერა და ვერ დავიოკე შემცივნება.

უეცრად მხარზე მისი მკლავი ვიგრძენი, ფრთხილად რომ გადამხვია. უსიამოვნო ტალღამ დამიარა. იმიტომ კი არა, რომ ახლა მოფერების ხასიათზე არ ვიყავი, საშკას შეხება არ მესიამოვნა...

— არ გინდა! — ყრუდ ამოვთქვი.

— რატომ? — ჩურჩულით მკითხა და ჩახუტება დამიპირა.

— არ გინ-და! — დამარცვლით გავიმეორე და უხეშად მოვიცილე მისი ხელი.

— გადამეჩვიე, არა? — მწარედ ჩაიცინა.

— არა, — თავი გავაქნიე.

— აბა?

— გადაგიყვარე, — მტკიცე ხმით ვუპასუხე და თვალი თვალში გავუყარე...

საოცარი სისწრაფით შეეცვალა სახე, ყვრიმალები აუთამაშდა. ვუყურებდი ერთ დროს ჩემთვის საყვარელ მამაკაცს და ვერაფერს ვგრძნობდი. ისე მოულოდნელად გამქრალიყო მასთან დაკავშირებული ყველა სასიამოვნო შეგრძნება, რომ ამ აღმოჩენამ შემაშინა კიდეც. ნუთუ ყველაფერი ყალბი იყო? ნუთუ არ მიყვარდა? მაშინ რა მინდოდა მასთან? მხოლოდ იმიტომ ვიწექით ერთად, რომ ვიღაც მჭირდებოდა გვერდით? რა საზიზღრობაა!

— მატყუებ... სამაგიეროს მიხდი, არა? — ჩურჩულით მკითხა.

— არა, არც გატყუებ და არც სამაგიეროს გიხდი. მე შენ არასდროს მყვარებიხარ.

— მაშინ... მაშინ რატომ იყავი ჩემთან?

— მხოლოდ იმიტომ, რომ მარტო არ ვყოფილიყავი. მჭირდებოდი იმ პერიოდში... გამოგიყენე. მორჩა და გათავდა! ყალბი იყო ის, რაც იყო.

— ჩემი მხრიდან არ იყო ყალბი! — დაიძაბა და წამოდგა.

— შენი მხრიდანაც იყო. აბა, კარგად დაფიქრდი! ცოლზე გამწარებული, ცხელ გულზე მე მომადექი...

— არა!

— კი! და როცა სიბრაზე გაგინელდა, ისევ იქ გაიქეცი, საიდანაც „მოიქეცი“, — კბილებში გამოვცერი და ცხელი ყლუპი ხმაურიანად მოვსვი, — ახლა კი დიდი მადლობა, რომ დამეხმარე და თუ შეიძლება, მარტო დამტოვე!

— მადლობის მაგიერია?

— ჰო. თუ ძალიან გინდა, ასე ჩათვალე! — უკან არ დავიხიე და გამჭოლი მზერა ვესროლე.

ისე გაფითრდა, ტუჩებიც კი გაუთეთრდა. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, მხოლოდ ერთხელ მიიხედ-მოიხედა ირგვლივ, მერე მარჯვენა ხელი მძლავრად გაიქნია, თითქოს ვიღაცას სილას აწნავსო და გავიდა...

კარის გაჯახუნების ხმა მეხის გავარდნის ხმას ჰგავდა...



არ გამკვირვებია, ნუკრი რომ დამიკავშირდა და შეხვედრა მთხოვა. ველოდი ამას. ვიცოდი, რომ არ მომასვენებდნენ. დროის გასვლასაც არ დაუცადეს, მეორე დღესვე დამირეკეს. მე ის უფრო გამიკვირდა, იქ რომ არ დამხვდნენ, ნოტარიუსთან.

რჩევისთვის ლადოს მივმართე, როგორ მოვიქცე-მეთქი.

— როგორ? — ლადომ შუბლი შეიკრა. — როგორ და არაფერი დაუთმო, დაახვევინე ორივეს! — „პროფესიონალური“ რჩევა მომცა ჩემმა დამქირავებელმა.

არა, ბრძოლას ნამდვილად არ ვაპირებდი. არაფერში მჭირდებოდა მათი სახლი. ეს, უბრალოდ, პატარა შურისძიება იყო. მე სულ რამდენიმე საათით გამარჯვებულად მინდოდა თავი მეგრძნო. ჩემმა ახალგამომცხვარმა და-ძმამ ჯერ არ იცოდა, რა სიურპრიზსაც ვუმზადებდი.

მეგონა, თავიანთი ნდობით აღჭურვილი პირის თანდასწრებით მოითხოვდნენ ჩემთან შეხვედრას, მაგრამ შევცდი... ნანას ბინაში დამიბარეს.

ამჯერად მარტო წავედი... ჰმ, ბინა... ბინა კი არა, უზარმაზარი კერძო სახლი ჰქონია თურმე! აი, რატომ მაჩუქა დედაჩემმა ის სახლი მე. ამათ თავ-თავიანთი აპარტამენტები ჰქონიათ და იმიტომ. დარწმუნებული ვიყავი, არც ნუკრის ექნებოდა ნანაზე ნაკლები „უძრავი“ ქონება.

ჩემდა გასაკვირად, ორივე თბილად შემხვდა. გადამეხვივნენ და გადამკოცნეს კიდეც. ცოტა არ იყოს, დავიბენი. მე ომს ველოდი, ისინი კი თეთრი ბაირაღით დამხვდნენ. ოდნავ მოვეშვი, დაძაბულობამ თითქმის გამიარა.

— დიდი მადლობა, რომ მოხვედი, — ჯერ გამართულად მითხრა ნანამ და ამის შემდეგ ენა დაება, — ისა... ის... რამეს ხომ არ... ხომ არ დალევ? გინდა ყავა?.. იქნებ ჩ... ჩაი გირჩევნია?

— ანერვიულდა მოულოდნელად და ისე აღეგზნო, ღაწვები შეუფერადდა.

— კონიაკს დავლევდი, — გამომწვევად ვთქვი და ისეთი დემონსტრაციული მზერით შევხედე, უარესად დავაბნიე. არ მომეწონა, ასე რომ დაიძაბა. ამან ჩემზეც იმოქმედა.

— კო... კონიაკს? ნუკრი, ნახე, რა, ბარში უნდა იყოს 1 ბოთლი... ანდა, მოიცა, მე

გამოვიტან, — სასწრაფოდ შეცვალა გადაწყვეტილება და თვითონ გავიდა მოსატანად; ალბათ — უფრო იმიტომ, რომ დაწყნარებულიყო.

ნუკრის შევხედე. ის ისეთივე მშვიდი იყო, როგორიც ყოველთვის და ისე სიყვარულით მომჩერებოდა, როგორც სხვა დროს. ძმას ალბათ, დაზე ნაკლებად აწუხებდა დედის ანდერძის ამბავი.

მას არ დავლაპარაკებივარ. არც თვითონ უცდია ხმის ამოღება. ამასობაში ნანაც გამოვიდა. ცალ ხელში კონიაკის ბოთლი და ჭიქები ეჭირა, მეორეში — ნატეხი შოკოლადით სავსე თეფში.

გაუსაძლისი სიჩუმე ჩამოწვა ოთახში. ნუკრი სასმელს ასხამდა, ნანა ნუკრის მისჩერებოდა, მე კი ორივეს. ბოლოს ვეღარ მოვითმინე.

— იქნებ ცოტა ჩქარა დავამთავროთ ეს ყველაფერი? — გაღიზიანება შემეტყო ხმაში.

— ანა, საყვარელო... შენ ალბათ იცი, რატომაც გთხოვეთ შეხვედრა, — ნახევრად ოფიციალურად, ნახევრად შინაურულად დაიწყო ჩემმა უმცროსმა დამ.

— და? — ცალი წარბი კაპასი ქალივით ავზიდე.

— და ის, რომ ჩვენ აქამდე არაფერი ვიცოდით, — დამნაშავესავით აიწურა მხრები.

— ახლა, როცა იცით, რამე შეიცვალა? — მრავლისმეტყველი ტონით ვიკითხე.

— როგორ არ შეიცვალა! შენ ჩვენი უფროსი და ხარ. ეს კარგია, ძალიან კარგი, — მომაყარა და მომაყარა, — ვერაფრით ვამართლებ დედაჩემს, შენს არსებობას რომ გვიმალავდა! მაგრამ ახლა რაღას შევცვლით, აღარ არის ის ადამიანი. მიცვალებულზე ცუდს არ ლაპარაკობენ. უნდა ვაპატიოთ, სხვა გზა არ გვაქვს. ალბათ, ჰქონდა საამისო მიზეზი. დღეიდან კი...

— ერთი წუთით, თუ შეიძლება, — აგდებულად გავაწყვეტინე, მომბეზრდა ამ კომედიის ყურება და კეთილი დედმამიშვილის როლის თამაში, — პირდაპირ მითხარით, რა გინდათ, ყოველგვარი შორიდან მოვლის გარეშე.

ნანა გაქვავდა. ასეთ უკმეხობას ჩემგან არ მოელოდა. ალბათ, ჯერ-ჯერობით ისევ თავის შინამოსამსახურედ აღმიქვამდა. წამიერი დაფიქრების შემდეგ მიხვდა, სულაც არ იყო აუცილებელი „შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეს“ გამოყენება ჩემთან და მედიდურად გააგრძელა:

— ადრე რომ გაგვეცანი, დედას ანდერძი არც ჩემთვის იქნებოდა მოულოდნელი და არც ნუკრისთვის, მაგრამ ასე უცებ ამხელა ამბის გაგება ადვილი არ იყო ჩვენთვის.

— ვხვდები, როგორი შოკიც მიიღეთ, არ მიკვირს, — უდარდელად ავიჩეჩე მხრები, — ხსოვნა იყოს, — ვთქვი, ჭიქა ავწიე და კარგი ლოთივით გადავკარი.

ნუკრიმ სიცილი ვერ შეიკავა. ნანამ არაფერი შეიმჩნია. ორივემ გაიმეორა, — ნათელში ამყოფოს მისი სული ღმერთმაო. ნანამ მოსვა, ნუკრიმ ბოლომდე დაცალა.

— ახლა როგორ უნდა მოვიქცეთ? მე რომ თქვენი სისხლი და ხორცი ვარ, ამას ვერ გავექცევით, სამწუხაროდ, — მშრალად განვმარტე.

— რატომ სამწუხაროდ? ეს სულაც არ არის უსიამოვნო ფაქტი. ჩვენ გვიხარია...

— გეტყობათ, — უშნოდ გავიცინე, — კმაყოფილებას ვერ ფარავთ, აშკარაა, — და ორივეს დამცინავად გადავხედე.

— ჩვენ საჩხუბრად არ მოგვიწვევიხარ... — მაქსიმალურად ცდილობდა ნანა სიმშვიდის შენარჩუნებას, ეშინოდა, გაკაპასებით მთლად არ გაეფუჭებინა საქმე. ხუმრობა ხომ არ იყო, ამხელა ქონებას კარგავდა.

— არც მე ვარ სამტროდ მოსული. ჯერ თქვენ მითხარით, რას მთავაზობთ და მერე მე გეტყვით ჩემსას... ერთიც ჩამოასხი, ნუკრი, რა! — ვთქვი და ჭიქა მივუშვირე გაოგნებულ ნახევარძმას.

— ახლავე, — როგორც იქნა, ამ ხნის განმავლობაში პირველად ამოიღო ხმა.

ჩამოასხა...

— პატარებს გაუმარჯოს, — ომახიანად წარმოვთქვი, — ჩემი ვასიკოს და თქვენი შვილების თამადობით, — ხაზგასმით ვახსენე ვასიკო.

— შვილი გყავს? — ვითომ გაუხარდა ნანას.

— შვილი არა, შვილობილი, — როგორც იქნა, თბილად გავიღიმე.

რა თქმა უნდა, ვერ გაიგეს, შვილობილი რას ნიშნავდა, საიდან უნდა მყოლოდა, ამიტომ არც ერთი არ ჩამძიებია.

მე დავლიე, ნუკრიმაც. ნანამ ამჯერად სადღეგრძელოც კი არ თქვა.

მეორე ჭიქამ შემახურა. ძალა მომემატა თითქოს. შვებაც კი ვიგრძენი. მიუხედავად იმისა, რომ მარტო ვიყავი მათ წინააღმდეგ, აღარ ვიძაბებოდი. მე არ მქონდა ცუდი განზრახვა, მაგრამ ჯერ მათგან მინდოდა მომესმინა, რას მოითხოვდნენ ჩემგან.

— გავაგრძელოთ, — უდარდელად ამოვთქვი, ფეხი ფეხზე გადავიდე და შოკოლადი პირისკენ გავაქანე.

— ჰმ, — ჩაახველა ნანამ, — ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ და... მესმის, არც ისე ადვილია შენი მხრიდან... მაგრამ ჩვენიც ხომ უნდა გაიგო...

— პირდაპირ მითხარი, ძალიან გთხოვ, — უკმეხად გავაწყვეტინე ისევ.

— კარგი, გეტყვი! — მსწრაფლ შეიცვალა ხმა. — რადგან ნუკრის არ სურს, ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღოს, — მტრულად გადახედა ღვიძლ ძმას და კვლავ მე მომიბრუნდა, — მე პირადად გთავაზობ ერთ რამეს... მოგვყიდე ის სახლი!

იმდენად მოულოდნელი იყო მისი წინადადება, წამით გავშრი. მეგონა, მეტყოდნენ, — დაგვითმეო... ასეთ რამეს კი არ ველოდი. გაოცებულს სუნთქვა შემეკრა და ხველა ამიტყდა. ვერც მოვიფიქრე, რა უნდა მეპასუხა. ნუკრიმ წყალი მომირბენინა. სულმოუთქმელად დავლიე.

— კარგად ხარ? — შევნიშნე, ნანას ნიკაპი უთრთოდა.

— კარგად ვარ, გმადლობ... — ძლივს შესამჩნევად გავიღიმე.

— ახლა როგორ მოვიქცეთ?

ამჯერად მე უნდა მელაპარაკა, ჩემი ჯერი დადგა. ერთი ღრმად ამოვიოხრე, თითები ერთმანეთში გადავხლართე და დავიწყე.

— ის ისეთივე დედა იყო ჩემი, როგორიც თქვენი, — განვმარტე.

ამასობაში ნუკრი დას მიუჯდა გვერდით და ხელი გადახვია.

— რა თქმა უნდა, — თავი დააქნია ნანამ.

— ალბათ უკვე იცით ეს ამბავი და მის მოყოლას არ დავიწყებ.

— ვიცით, კი, — წაეხმარა დას ნუკრი.

— სევდიანი ამბავია, ანა, და ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, — ალაპარაკდა ჩემი უმცროსი და, — დედას არასდროს უხსენებიხარ, არც მიუნიშნებია ოდესმე. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გავიგეთ. რას ვიფიქრებდით, რომ ის სახლს სხვაზე გააჩუქებდა...

— სხვაზე, არა? — მწარე ღიმილი გამომესახა.

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ახლობელი არ იყავი მანამდე... ანუ...

— გასაგებია.

უხერხული სიჩუმე ჩამოწვა ოთახში და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ გაბედავდა მის დარღვევას. ისევ მე უნდა მეკისრა ეს მისია.

— ასეა თუ ისე, ახლა სახლი ჩემია, — ვთქვი ყოველგვარი ირონიის და ნიშნის მოგების გარეშე.

— მაგრამ ჩვენ იმ სახლში დავიბადეთ და გავიზარდეთ, — ვერ მოითმინა ნანამ.

— სამაგიეროდ, ბოლო დროს იშვიათად მოდიოდით იქ. თანაც, თუ სიმართლე გინდათ, დიდად არ იწუხებდით თავს დედათქვენის მონახულებით.

— რა სისულელეა! როგორც კი დრო გამომიჩნდებოდა, სულ იქ ვიყავი! — გააპროტესტა ჩემმა ნახევარდამ.

— არ გვინდა ახლა ამაზე კამათი. ამიტომ არ დამიწყია ეს საუბარი, — ხელი ავიქნიე და გავაჩერე, — მხოლოდ ერთი რამ მინდა ვთქვა, — სახლის გაყიდვას არ ვაპირებ.

— აჰ! — ამოიკვნესა ნანამ და ხელი პირზე აიფარა.

— ისე გაძლევთ, ყოველგვარი გაყიდვა-შესყიდვის გარეშე, — მშვიდად გავაგრძელე, — მე ის არაფერში მჭირდება, ჩემიც კი ოხრად მრჩება. მირჩევნია, თქვენთან ურთიერთობა შევინარჩუნო, ვიდრე ჩამოვჯდე სახლში, რომელიც მე მართლა არ მეკუთვნის.

არასდროს დამავიწყდება მათი სახეები. გაოცებული, თავზარდაცემული, შოკირებული თუ დამბლადაცემული... არ ვიცი, რომელი ეპითეტი უკეთ ასახავდა მათ გამომეტყველებას.

— დამირეკეთ, როცა მზად იქნებით და წავიდეთ გადასაფორმებლად, — უბოროტოდ გავუღიმე ორივეს, ავდექი და სანამ ისინი გონს მოვიდოდნენ, დავტოვე იქაურობა...

თითქოს ტვირთი მომეხსნაო, ისე მსუბუქად ვიგრძენი თავი. კმაყოფილი ვიყავი ჩემი გადაწყვეტილებით. ბოლოს და ბოლოს, ერთი დედის შვილები ვიყავით და ის სახლი მართლაც მათ ეკუთვნოდათ. ან კი რა ჯანდაბად მინდოდა? რომელი ქმარშვილის პატრონი მე ვიყავი ან მრავალშვილიანი დედა? ასე ჯობდა. მათ მაინც არ დავკარგავდი. მათთან ურთიერთობის გაგრძელებით მარტოობა მაინც არ მემუქრებოდა.

ლადოსთან სასიხარულო ამბავი დამხვდა. როზა გამოეყვანათ საავადმყოფოდან. გამიხარდა მისი ნახვა. ერთხელაც ვერ ვინახულე და სინდისი მქენჯნიდა, მაგრამ ჩემი ბრალი არ იყო, ვერა და ვერ მოვიცალე.

ლადო მართალი აღმოჩნდა. ქალი ისეთი უძლური ჩანდა, როგორც ჩვილი ბავშვი. გამხდარი და მობერებული მეჩვენა. სუსტად გამიღიმა, დამჭკნარი ხელები გამომიწოდა და ჩამიხუტა. გული ამიჩუყდა, ცრემლი მომადგა თვალებზე. ჩემდა უნებურად, ხმამაღლა ავტირდი... ალბათ ყველა ემოცია ერთად მომაწვა — ჩემიც და სხვისიც...

ის დღე ოჯახურ დღესასწაულს დაემსგავსა. ყველა შეეცადა, თავისებურად აღენიშნა როზას დაბრუნება — ლადო ადრე დაბრუნდა ოფისიდან, მე და ვასიკომ სადილი მოვამზადეთ, ლევანი სუფრის გაშლაში მოგვეშველა. როზა ისე ააღელვა ჩვენმა მზრუნველობამ და ყურადღებამ, რომ ჩემზე ხმამაღლა ატირდა.

შესანიშნავი დღე იყო. კიდევ იმით იყო კარგი, რომ დილანდელ შეხვედრაზე ფიქრის დრო აღარ დამრჩა, ვეღარ მოვიცალე ამისთვის. ამან უფრო განმტვირთა და ღამითაც მშვენივრად მეძინა...

რაოდენ გასაოცარი იყო, როცა მეორე დილით, ადრე ამდგარს, რათა საუზმე გამემზადებინა მამაკაცებისთვის, სამზარეულოში მოფუსფუსე როზა დამხვდა.

— რას აკეთებთ, როზა დეიდა? თქვენ რატომ წუხდებით? მე მივხედავ ყველაფერს, წადით, წამოწექით, ასე როგორ შეიძლება! — რბილად ვუსაყვედურე.

ქალმა მორჩილად გაუშვა ხელი ტაფას, რომელზედაც კარტოფილს წვავდა და იქვე, სკამზე ჩამოჯდა. მისი დაწყებული საქმე მე გავაგრძელე. თან — ვსაქმიანობდი, თან — ერთმანეთს ველაპარაკებოდით. როგორ მიხაროდა ასეთი სიტუაცია...

როზას გამოჩენამ მეტი თავისუფლება მომანიჭა. რადგან მარტო აღარ მიწევდა სახლში ყოფნა, ვერც ლადო ახერხებდა ჩემს დამარტოხელებას და მისებურად „დატერორებას“. სამაგიეროდ, ვასიკოსთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია და არც შეუცვლია. ისინი ძველებურად აგრძელებდნენ მეგობრობას. დღითი დღე ვამჩნევდი, რომ ლადოს ბავშვისადმი დამოკიდებულება მართლაც გულწრფელი იყო და მამაკაცი „კეთილი ძიას“ როლს არ თამაშობდა.

ნუკრი და ნანა ერთი კვირის შემდეგ ვნახე. გულისამაჩუყებელი შეხვედრა გამოვიდა. თბილად შეეხვდით ერთმანეთს. ერთ საათში მოვრჩით საბუთების გაფორმებას და მერე ცოტა წავუქეიფეთ. მიხაროდა, ასე რომ დამთავრდა ჩვენი „მორიგება“. ქონება დავკარგე, მაგრამ უკეთესი „ქონება“ შევიძინე — ჩემთვის ძვირფასი ადამიანები, რომლებიც პირველივე დღიდან შემიყვარდა, მაგრამ საკუთარ თავსაც ვერ ვუმხელდი ამას... ან ვერ ვგრძნობდი... ახლა კი ვიგრძენი და გული კმაყოფილებით ამევსო...

როზა ყოველდღე იკრებდა ძალებს, ყოველდღე ეტყობოდა უკეთესობა. აქ ყოფნა მშველისო, ამბობდა ხშირად, ამ სახლის კედლები ყველაზე კარგი წამალიაო ჩემთვის. სხვანაირად ვერც წარმომედგინა. ის ხომ წლობით ცხოვრობდა ლადოს გვერდით, ამ ოჯახში, ამ კედლებში. ამაში გასაკვირს ვერაფერს ვხედავდი.

სამაგიეროდ, მენატრებოდა ჩემი პატარა ბინა, ჩემი თავშესაფარი და ვოცნებობდი იმ დღის დადგომაზე, როცა შინ დაბრუნებას და რამდენიმე საათით მაინც განმარტოებას შევძლებდი. მინდოდა, ჩემს გემოზე მოვკალათებულიყავი ტელევიზორის წინ, ფეხები ჟურნალების მაგიდაზე შემომელაგებინა და მზესუმზირის კნატუნით შემექცია თავი, თან რომელიმე, თუნდაც უკვე მოყირჭებული მელოდრამისთვის მეყურებინა.

ამაზე ვოცნებობდი და ვერც წარმომედგინა, მოსალოდნელზე სწრაფად თუ ამიხდებოდა ეს ოცნება და რა შედეგამდე მიმიყვანდა იგი...

საღამო ხანი იყო. მე და როზა სამზარეულოში ვტრიალებდით. მისი რეცეპტით ნამცხვარს ვაცხობდი. როზა მკარნახობდა, მე ვაკეთებდი.

ამ დროს კარი გაიღო და ლადომ შემოყო თავი.

— ანა! — დამიძახა. — მობილური რატომ გაქვს გამორთული? ვიღაც ბიჭი გირეკავს, იქნებ გახვიდე ჩემს კაბინეტში და უპასუხო?

„საშკა!“ — გამიელვა გონებაში და ხელ-ფეხი გამიცივდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

უსიამოვნოდ გასახსენებელი ამბავი

მარი ჯაფარიძე

სიმართლე რომ გითხრათ, როდესაც წინა კვირაში ამ ნომრის თემაზე ვფიქრობდი, კარგა ხანს ვიყოყმანე, „უსიამოვნო ამბავი“ შემომეთავაზებინა თუ არა, რადგან კარგად მომეხსენება მგზავნელების ამბავი... სიყვარულს, „ამბავსა“ და „გაგებას“ თუ არ ეხება, ის თემა არ მოგწონთ. ბოლოს, მაინც გადავწყვიტე, ექსპერიმენტი ჩამეტარებინა და გაამართლა კიდეც — მშვენიერი ამბები დამიმესიჯეთ. სამწუხაროდ, ყველა მათგანს ვერ ვბეჭდავ ამ კვირაში და ახალ თემაზე მოსულ ამბებთან ერთად, მომდევნო ნომერშიც შემოგთავაზებთ.

მანეთა ბებია

„უსიამოვნოდ კი არა, ისე მწარედ მახსენდება ეს ამბავი, ახლაც შიშის ჟრუანტელი მივლის ტანში. 8 წლის ვიყავი, როცა დედამ ერთ ავბედით დღეს მაღაზიაში გამგზავნა, თან პროდუქტების ნუსხა გამატანა. ისე მეზარებოდა, ფეხებს ძლივს მივათრევდი. ჩემდა საუბედუროდ, მაღაზია დაკეტილი დამხვდა და რომ წარმოვიდგინე, სხვა მაღაზიაში მისასვლელად რამხელა გზა მქონდა გასავლელი, კინაღამ იქვე წავიქეცი, მაგრამ ვიცოდი, ჩემს საქმეს სხვა ვერავინ გააკეთებდა, ამიტომ ძალა მოვიკრიბე და გადავწყვიტე, მაღაზიის გაღებას დავლოდებოდი. ლოდინმა იმაზე მეტხანს მომიწია, ვიდრე წარმომედგინა. შინ მიბრუნებას აზრი არ ჰქონდა, დედა მაინც უკან გამომგზავნიდა. ამიტომ, კიდევ ერთხელ მოვიკრიბე ძალა და მაღაზიის ნოქარს სახლში ვეახლე. ვაი, საწყალო ჩემო თავო... აღმოვაჩინე, რომ გამყიდველის სახელი აღარ მახსოვდა, უფრო სწორად, მახსოვდა, მაგრამ მის სისწორეში მეპარებოდა ეჭვი. ბოლოს, ისევ მოვიკრიბე გამბედაობა და თამამად შევძახე: — მანეთა ბებიაააა! პასუხი არავინ გამცა და ისევ დავიყვირე, ამჯერად უფრო რიხიანად და გამბედავად. მესამე დაძახებაზე კი შინიდან მოხუცი ქალი გამოვიდა. რომ უნდა გამხარებოდა და ამომესუნთქა, მეშველა-მეთქი, ისეთი ბოროტი თვალებით შემომხედა და ისეთი ბრაზიანი ხმით მითხრა, — ვისი გოგო ხარ შენო? კინაღამ გული გამისკდა. ის იყო, პასუხი უნდა გამეცა, რომ 2 ქალი შემოვიდა. შვებით ამოვისუნთქე და ისე გავიძურწე, უკან აღარ მომიხედავს. მივხვდი, ის 2 ქალი რომ არ შემოსულიყო, კარგ დღეს არ დამაყრიდა ის მოხუცი. მისი გაბრაზებისა და გაბოროტების მიზეზს კი ვერ ვხვდებოდი. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, შინ შეშინებული მივედი და კარგა ხანს იმ მაღაზიისკენ აღარც გამიხედავს, იმ ქალის შიშით. გვიან გავიგე, თურმე ის ქალი ახალგაზრდობაში მსუბუქი ყოფაქცევის ყოფილა და სექსმომსახურებაში მანეთს იღებდა. ამიტომ შეარქვეს მანეთა. თუმცა, ერთადერთი ვიყავი, ვინც ამ სახელით მიმართა და დღემდე მიკვირს, როგორ გადავურჩი ცოცხალი. რამდენიმე ხნის შემდეგ ის ქალი გარდაიცვალა და მხოლოდ ამის შემდეგ გავბედე იმ არემარეს გავკარებოდი, სადაც ის ქალი ცხოვრობდა. ეს ამბავი კი დღემდე უსიამოვნოდ მახსენდება და იმ ქალის თვალების წარმოდგენაზე ახლაც შიშის ჟრუანტელი მივლის ტანში. განძის მაძიებლის მაძიებელი“.

საყვარლის თავიდან მოშორების უნიკალური მეთოდი

„ალბათ არც ღირს ამის გახსენება, მაგრამ მაინც მინდა გიამბოთ: ჩემი და 25 წლის იყო, როცა მთელი ცხოვრება დაუნგრიეს. ყოფილმა მეგობარმა, რომელთანაც ხშირად მიდიოდა სტუმრად, ცხოვრება სულ აუწეწა. მის მეზობლად ერთი ქალი ცხოვრობდა, შვილებთან ერთად. ერთი სიტყვით, კარგად „გულაობდა“ და ქმრის გვერდში არყოფნას სულაც არ განიცდიდა. ერთი საყვარელი ჰყავდა, რომელსაც თავში ტილიც კი უკვდებოდა შიმშილით. ჯიბეგაფხეკილი საყვარელი რად უნდოდა? ჰოდა, გადაწყვიტა, მოეშორებინა. ჩემი დის სტუმრობით ისარგებლა და ერთმანეთს გააცნო. თან ამ კაცს შთააგონა, რომ მარი თანახმა იყო, მას ცოლად გაჰყოლოდა. იმანაც მოჰკიდა ხელი და მარი „წეწვაგლეჯით“ მოიტაცა. ისე მოახერხა მარიმ, რომ საერთო ახლობლის დახმარებით უკანვე წამოვიდა, მაგრამ მეორედაც მოიტაცა და შემდეგ დარჩა. ცემით წაიყვანეს, ხელწერილი დააწერინეს და ძალით დატოვეს (თურმე პოლიციელი ყოფილა). როგორც გავიგეთ, ცოლი ჰყოლია, ცემით თავში სიმსივნე გაუჩინა და გარდაცვლილა ის გოგო. შვილი ჰყავდათ, ახლა 21 წლის იქნება ის ბიჭი და თვალით არ უნახავს მამა-შვილს ერთმანეთი. ასე, ჩხუბითა და მთელი ამბით დაიტოვა ჩემი და და ქორწილის დღეს თვალჩალურჯებული იზომებდა თეთრ კაბას. ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, არ გვითხრა, რა მოხდა. დათო კათოლიკე იყო... თავისმა ყოფილმა საყვარელმა იმდენი ქნა, მეჯვარედ გაჰყვა. გათხოვების შემდეგ სულ შეიცვალა მარი, იშვიათად მოდიოდა ჩვენთან, გახდა...

აღარ მახსოვს, საიდან გავიგეთ მათი ჩხუბის ამბავი. წამოსაყვანად

წავედით, მაგრამ არ წამოგვყვა. ეშინოდა, უკვე სულელივით იცინოდა... მივხვდი, ფსიქოლოგიური პრობლემა ჰქონდა. მარიმ თავისთან დამტოვა.

იმ ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა, მეორე ღამეს სიძე „გატიალებული“ მთვრალი მოვიდა, დედამისს ხელი ჰკრა... მარის ოთახში შესვლა და ჩხუბის დაწყება ერთი იყო... ძლივს დააწყნარა დეიდამ, რომელიც მასზე დიდ ზეგავლენას ახდენდა... მეორე დილას სამსახურში ისე წავიდა, ვითომც არაფერი მომხდარა. მომკიდა ჩემმა დამ ხელი და საბოლოოდ წამოვიდა. ქმარმა მთელი ქალაქი, ვისაც კი გავლენა ჰქონდა, მოუგზავნა. შერიგებას ითხოვდა, მაგრამ უშედეგოდ. მარიმ ცხოვრება აიწყო, მუშაობს და წინ მიიწევს, პირადი ცხოვრება თითქმის არ აქვს. დათომ კიდევ მოიყვანა ცოლი. ცოდვები არავის მოასვენებს, ღმერთი მაღლიდან იყურება და არავის შერჩება. ვინც ამ საქმეში ხელი გაისვარა, თითო უბედურება არავის ასცდა. თითქმის 9 წელი გავიდა მას შემდეგ. ბოლოს რა ბედი ეწია ჩემს ძვირფას სიძეს, იცით? დაუნი შვილი შეეძინა! ხოლო ამ რამდენიმე თვის წინ გავიგეთ, რომ გულის შეტევით გარდაიცვალა. უსიამოვნოდ გასახსენებელი ამბავი კი არის, მაგრამ გული დავიცალე“...

პოლიციელი დათა და თაღლითი უმცროსი ლეიტენანტი

„პოლიციის სამმართველოს შენობიდან დათა უსიამოვნო განწყობილებითა და ფიქრებით გამოვიდა — სამინისტროში მიმდინარე ცვლილებების გამო, ვინ რომელ განყოფილებაში იმუშავებდა, გაურკვეველი იყო. ამას თან ერთვოდა თვეობით აუღებელი ხელფასები და ოჯახში გაჩენილი მოუგვარებელი პრობლემები. ვაგზლის მოედნის მიმდებარე ბაზრობაზე როგორ აღმოჩნდა, თვითონაც ვერ მიხვდა. თვალებით მოჩხრიკა არემარე და რამდენიმე ჯიბის ქურდი უცებ შეიგულა. ახლა მხოლოდ მოთმინება და ნებისყოფა სჭირდებოდა. იცოდა, ფაქტზე თუ დაიჭერდა, ორას ლარს მაინც წაგლეჯდა. მტაცებლურმა ჟინმა და მსხვერპლის მოლოდინმა ნერწყვი მოადინა. ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა.

— ვიყიდი დოლარს ყველაზე მაღალი კურსით, ძვირად და სარფიანად! — ხმამაღლა ყვიროდა ვიღაც მამაკაცი. გამვლელმა ქალბატონმა 50-დოლარიანი მიაწოდა.

— არა, დეიდაჯან, მხოლოდ ასდოლარიანებს ვყიდულობ... წვრილი ფული არ მინდა, — ამ სიტყვებით სასწრაფოდ გაშორდა გაკვირვებულ ქალბატონს.

დათა ერთბაშად დაიძაბა, სხეულში ცხელმა ტალღამ დაუარა. ტანმა უგრძნო, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ კონკრეტულად რა — ვერ ხვდებოდა. ჯიბიდან კოლოფი ამოიღო და სიგარეტი მშვიდად გააბოლა, თუმცა ვალუტის გადამხურდავებელს მზერას არ აშორებდა. მშვენივრად ხედავდა, როგორ გამოართვა ასაკოვან მამაკაცს ასდოლარიანი კუპიურა, როგორ მოკეცა ოთხად და როგორ მიმართა:

— ასე ვამოწმებ ბიძაჯან, ნაღდია თუ არა თქვენი დოლარი...

— შენი შესამოწმებელი არაფერი სჭირს ჩემს ფულს, შე მამაძაღლო „ფარცოვშიკო“, — გაბრაზებული ხმით უპასუხა მამაკაცმა და ფული ხელიდან გამოჰგლიჯა.

ვალუტის გადამხურდავებელი დიდხანს აღარ გაჩერებულა და მეტროს მიმართულებით გაემართა. გზად ორი ახალგაზრდა წამოეწია; კაცს ხმადაბლა გადაულაპარაკეს და გზა ისე გააგრძელეს, თითქოს უცნობები ყოფილიყვნენ. ვალუტის გადამცვლელი მეტროში გაუჩინარდა, ახალგაზრდები კი წყლის კიოსკთან შეყოვნდნენ. დათამ იქვე ფორმიანი პოლიციელი მოიხელთა, თავი წარუდგინა, საბუთიც აჩვენა და იმ ორი ახალგაზრდის ვინაობის დადგენა სთხოვა.

— ნიკოლოზ გიორგის ძე რევაზიშვილი, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი და ახლავს ბიძაშვილი სვანეთიდან, ასიკო უშხვანი, — ხუთიოდე წუთში უპატაკა პოლიციელმა და სწრაფად გაშორდა, ემანდ კიდევ რამე არ დამავალოსო.

მეორე დღეს დათა ნაადრევად მივიდა ბაზრობაზე. ამოჩემებულ ადგილზე კედელს მიეყუდა და თვალებზე ჩამოფხატული ქუდის ქვემოდან ყურადღებით ათვალიერებდა გარემოს. ვალუტის გადამცვლელიც მალე გამოჩნდა და პირველი კლიენტიც — ოცდაათიოდე წლის მამაკაცი, რომელმაც დაუდევრად გაუწოდა ასდოლარიანი.

— ჩემი ძმა, ხო არ გეწყინება, რომ შევამოწმო, თორემ იმდენი „ფალშივკებია“ შემოსული და ჩემნაირ ალალსა და საწყალს კიდე „ფალშივკა“ და დაღუპვა უნდა? — გადამხურდავებელმა თანხმობას არც დაუცადა, კუპიურა ისე გადაკეცა. გადაკეცილი რატომღაც მზეს მიუშვირა და ახალგაზრდას მიმართა — წესრიგშია, „ბრატ“. აი, შენი ფული. მიითვალე. ეს ოცი, ორმოცი, ეს — ასი... ვაი, ეეე... არ არსებობს... ვაიმე, ჯიბეშიც არ მაქვს... ააა, შენ კარგად იყავი... წეღან ხომ ვიყიდე დოლარი და იმიტომ არ მეყო. აი, შენი ასდოლარიანი, — და ახალგაზრდას ის გადაკეცილი კუპიურა დაუბრუნა.

ამ უკანასკნელმა რაღაც უკმაყოფილოდ წაიდუდღუნა და ჩქარი ნაბიჯით გაშორდა. ვალუტის გადამხურდავებელი საპირისპირო მიმართულებით დაიძრა. გუშინდელი წყვილი თითქოს მიწიდან ამოიზარდაო — ახალგაზრდები გვერდით ამოუდგნენ და მალევე ჩამოსცილდნენ. ვალუტის გადამცვლელი ამჯერად ავტობუსში ავიდა, დათაც აჰყვა, უკანა სავარძელზე მოკალათდა და უეცრად, გაოცებისგან პირი ღია დარჩა. ავტობუსის დაძვრის მომენტში ვალუტის გადამხურდავებელი წინა კარიდან ჩახტა და გზა ფეხით განაგრძო.

— მე კი მეგონა, ტყუილად ავედევნე-მეთქი. ფრთხილობს, კუდს ემალება, ე.ი. რაღაცა მიქარული აქვს, — გულში უხაროდა დათას და სულაც არ ნაღვლობდა, რომ „ფარცოვშიკი“ ხელიდან გაუსხლტა. უკან, ბაზრობაზე მიბრუნება აზრადაც არ მოსვლია, თორემ ნახავდა მის კლიენტს, აღშფოთებულ მამაკაცს, რომელიც დაბნეული ატრიალებდა ხელში ოთხად მოკეცილ კუპიურას.

მეორე და მესამე დღეს ვალუტის გადამცვლელი არ გამოჩენილა. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ შეჯგუფებულ ხალხსა და ჩოჩქოლს შორიდანვე მოჰკრა თვალი. ყვირილსა და ღრიანცელში რამის გაგება შეუძლებელი იყო. ხალხის მასას სამი ადამიანი გამოეყო, ვალუტის გადამცვლელი დათასთვის უკვე ნაცნობ, საეჭვო წყვილს შუაში ჩაეყენებინა და გაკავებული მოჰყავდათ, თან ხალხს ამშვიდებდნენ, ახლა ამას სადაც ჯერ არს, იქ მივაბრძანებთ და პასუხსაც იქ მოვთხოვთო. დათამ თავი ჩაქინდრა, შეეცადა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო, სანამ სამეული ჩაუვლიდა. ამავდროულად, ხალხში ადვილად გამოარჩია დაზარალებული, რომელიც ოთხად გადაკეცილ დოლარის კუპიურას ყველას აჩვენებდა და აღშფოთებული ქოთქოთებდა. აღმოჩნდა, რომ დაზარალებულ ქალბატონს გადასახურდავებლად გაუწვდია ასდოლარიანი კუპიურა, გადამცვლელს ის ოთ-

ხად გადაუკეცავს და პატრონისთვის უკან დაუბრუნებია, თანხა მაკლდებაო. ქალმა გადაკეცილი ასდოლარიანი კუპიურა გაშალა, რომ ისევ საფულეში შეენახა და ხელში ერთდოლარიანი ბანკნოტი შერჩა. ატეხა კივილი, ვალუტის გადამცვლელს ხელებში ჩააფრინდა, ხალხს საშველად უხმობდა და ამ დროს პოლიციის თანამშრომლებიც გამოჩნდნენ. მათ ქალბატონი მსხვილი თანხის დაკარგვასაც გადაარჩინეს და თაღლითი აფერისტიც პოლიციაში წააბრძანეს. დათა ყურადღებით ისმენდა აღშფოთებული ქალბატონის მონაყოლს და ღიმილს ვერ იკავებდა, რის გამოც ქალბატონის სამართლიანი წყრომაც დაიმსახურა.

მომდევნო დღეებში დათა ხშირად ჩნდებოდა ბაზრობის ტერიტორიაზე. იქ ერთი ციტრუსებით მოვაჭრე მამაკაცი დაიახლოვა და ყოველდღე ერთი ბოთლი არყის (დათას მორთმეული) წრუპვასა და მასლაათში გაჰყავდათ დრო.

ერთ დილასაც დათას ახალი თანამეინახე ზედმეტი გულმოდგინებით ალაგებდა ჭიქებს და არაყზე მცირე მისატანებელს ანუ „ზაკუსკას“ ამზადებდა, დათა კი გაშეშებული შესცქეროდა მოულოდნელად გამოჩენილ ვალუტის გადამხურდავებელს, რომელიც ახალგაზრდა ქალს ხმადაბლა ემუსაიფებოდა. შემდეგ ბანკნოტი გამოართვა, აუჩქარებლად გადაკეცა, ჩვეული მოძრაობით მზეზე გახედა და თავი გააქნია. ქალმა დაკეცილი ბანკნოტი გამოართვა, მხრები აიჩეჩა და გზა განაგრძო. დათა ზამბარასავით მოსწყდა ადგილს და თვალის დახამხამებაში ვალუტის გადამცვლელის მაჯა მარწუხებივით ხელებში ჰქონდა მოქცეული. თვალებით ახალგაზრდა ქალი მოძებნა, რომელიც საბედნიეროდ შორს არ იყო წასული და ხმამაღლა დაუძახა:

— ქალბატონო! ქალბატონო! — ვერ გააგონა ან მანდილოსანს ეგონა, რომ მას არ მიმართავდნენ და დათამაც ხმას აუწია. — ქალბატონო! დოლარის დახურდავება რომ გინდოდათ...

აუჩქარებლად მიმავალი ქალბატონი ვიღაცამ შეაჩერა და დათასკენ მიახედა. საპირისპირო მხრიდან ვალუტის გადამცვლელის მეგობარი წყვილი დალანდა, რომლებიც თითქმის სირბილით უახლოვდებოდნენ, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, ისინი უცებ შედგნენ, პირი იბრუნეს და მოსახვევში გაუჩინარდნენ. დათამ მომხდარის გააზრებაც ვერ მოასწრო, რომ მისი სამსახურის რაიონული დანაყოფის ჩასკვნილი ხელმძღვანელი, ალალი და უღალატო კაცი, ვლადიმიროვიჩი კოტიტა ხელებს მხარზე უტყაპუნებდა.

— რა ხდება, ბიჭო, დათია! რა ქარმა გადმოაგდო ცენტრალური აპარატის ელიტა დიდუბის პროვინციაში? — ბუხუნებდა იგი და დათას ფართო ტორებით ბუბნიდა.

სულო ცოდვილო, დათას სულაც არ ეხამუშა ამ სიკეთით სავსე კაცის ნახვა. იცოდა, რომ თუ დაკავებულს ერთად წაიყვანდნენ, მთელი ქალაქი გაიგებდა. შეიძლება; თაღლითი ციხეშიც კი გაეშვათ; თუ არა და, თაღლითის გამოსახსნელად მოტანილი თანხიდან დათას მაინც კაპიკებს გადმოუყრიდნენ და ლომის წილს თვითონ წაიღებდნენ. ამიტომ ბევრი აღარ უფიქრია და ნაჩქარევად უპასუხა:

— არაფერი, ვლადიჩ, აგერ, მეგობრებთან ერთად ვარ, — თაღლითსა და მოახლოებულ გოგონაზე ანიშნა მიამიტური გამომეტყველებით, — მანქანა მინდა სასწრაფოდ...

სიტყვა არ ჰქონდა დასრულებული, ვლადიჩმა ვიღაცას ხელი დაუქნია და დათას ფეხებთან კარგად შენახული „მოსკვიჩი“ გაჩერდა. თვითონ უკანა სავარძელზე თაღლითთან ერთად მოკალათდა, წინ დაბნეული გოგო ჩაჯდა. მოულოდნელად, დაკავებულის მხარეს კარი გაიღო და თაღლითის ამფსონი პოლიციელი გამოიჭიმა. დათამ აუჩქარებლად ამოიღო ტაბელური იარაღი და კბილებში გამოცრა:

— გადაეთრიე მანქანიდან, ნიკოლოზ გიორგის ძე რევაზიშვილო, თორემ დაგამძიმე ცხრა გრამით... შეირგე და შეიშნოვე ეგ ფორმა და ქსივა...

რევაზიშვილს წარბიც არ შესტოკებია, მაგრამ დათამ გუმანით იგრძნო, რომ შეცბუნებული იყო, თუმცა არც ტონსა და არც საქციელზე ეს არ დასტყობია.

— ვლადიჩისნაირ კაცს, თავის სამოქმედო უბანზე კაცს ახევ, თან ცხვირმოუხოცავი ბავშვივით ატყუებ და მე გადავიდე მანქანიდან? დავუძახოთ და ერთად გადავიდეთ... — ირონიულად ჩაიცინა ნიკოლოზმა. იცოდა, რომ არც დათა იყო მთლად პირნათელი და კარგად სარგებლობდა ამ კოზირით.

— ქალაქის სამმართველოში გაგვიყვანე, — მძღოლს მიმართა დათამ და ახლაღა შეამჩნია, წინ მჯდომ გოგონას სარკე მოემარჯვებინა და ისე იყო დაკავებული თავისი მაკიაჟით, თითქოს პოლიციელისა და თაღლითის გარემოცვაში კი არა, სილამაზის სალონში იყო, სტილისტებით გარშემორტყმული.

გზად რევაზიშვილი ხან ხვეწნითა და ხან მუქარით ცდილობდა დათასთან მოლაპარაკებას. ბოლოს მიხვდა და ხუთასი დოლარი შესთავაზა, ოღონდ, დილით მოგიტანო...

— ნისიაზე არ ვმუშაობ... ნისია სხვისია, — ხალისიანად გაიმეორა დათამ მეზობელი ყასბის სიტყვები, რომლითაც ამ დილით გამოისტუმრა მაღაზიიდან და გულის სიღრმეში ინატრა, ნეტა ის ყასაბი იყოს აქო.

— მაშინ, რაღა დაგვრჩენია? — მომუშტა ხელები რევაზიშვილმა და უტყვი მზერა გოგონას კეფას მიაბჯინა. ამაზრზენად ჩაახველა, დათას გამოხედა და ისევ გოგონას კეფას გაუსწორა თვალი, ოღონდ ახლა ქალის მიმართ მუქარის ნიშნად, მჯიღი წინა სავარძლის საზურგეზე ჩამოდო...

— გააჩერე მანქანა! — დაიყვირა დათამ და მანქანაც ადგილზე გაქვავდა.

რევაზიშვილი ნაჩქარევად გადავიდა მანქანიდან და თაღლითს შეუღრინა — მალე, შე სირო...

დათას არავის დანახვა არ უნდოდა, მაგრამ ასე მდუმარე და თავჩაქინდრული როდემდე უნდა მჯდარიყო? თავი ასწია და მწვანე თვალების დაბინდულ, ალერსიან მზერას გადაეწყდა.

— რა ვქნათ? — თითქოს შორეთიდან ჩაესმა ახალგაზრდა ქალის ძალზე ტკბილი და მელოდიური ხმა...

— თქვენ სად გნებავთ, მიგიყვანოთ?

— ბახტრიონზე, სკოლაში.

— კი, ბატონო... ბახტრიონზე, სკოლაში... — გაიმეორა დათამ.

— ერთი წუთით... — ჩაილაპარაკა ქალმა და წინა სავარძლიდან მთელი ტანით გადმოიწია. ქალის თმა დათას

ყურადღება! **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

ლოყაზე ელამუნებოდა და მისი ცხელი სუნთქვა ერთიანად წვავდა. ქალი კი ვითომც არაფერიო, უკანა სავარძელზე დაგდებულ, დაკეცილ კუპიურას დასწვდა, შემდეგ ჩანთიდან ზუსტად ისევე გადაკეცილი ბანკნოტი ამოიღო და ერთმანეთს კისკისით შეადარა.

— როგორ გადამაგდო?! შენ რომ არ ყოფილიყავი, რა მეშველებოდა? — შენობითი მომართვისათვის გულში ემადლიერებოდა დათა.

მანქანა ბახტრიონზე, სკოლასთან გაჩერდა. დათა ფეხდაფეხ შეჰყვა კლასში. ქალმა ყავის მადუღარა ჩართო და კითხვით სავსე თვალები მიაპყრო...

— ჩაი, თუ შეიძლება...

— კი ბატონო, — ჩაის მოდუღებას შეუდგა ქალი და გამოუცნობი, ეშმაკური მზერით ზომავდა დათას, — და რატომ გაუშვი?

— გინდოდა, დამეჭირა და ციხეში გამეშვა?

— არა, რა თქმა უნდა... მაგრამ არ მესმის, რატომ გაუშვი, — დათას გვერდით, მერხზე ჩამოჯდა; თვალები მოწკურა და ანცი ღიმილი აუთამაშდა ბაგეზე...

დათა პასუხს აგვიანებდა.

გოგონამ ტუჩები გაბუშტა.

— ნეტავ დამკარგვოდა ის ასდოლარიანი... იცი, მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, რომ ვიღაც გადამარჩენდა... ვიღაც ჩემი გულისთვის თავისას მოიკლებდა... ვიღაც ჩემი გულისთვის რისკზე წავიდოდა და პატიმრობიდან დამიხსნიდა... აქ რაღაც პირიქით მოხდა, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ... მე ყველაფერს ვხედავდი სარკეში... და სულ, სულ არ შემშინებია... რადგან შენ იყავი გვერდით... ეს დღე უსიამოვნო მოგონებად გამყვება, რადგან შენ ჩემი ქმარი არ ხარ, შენ ჩემი მერაბი არ ხარ... შენ სხვისი ხარ და მეც სხვისი ვარ... შენთვისაც უსიამოვნო მოგონება იქნება, რადგან მეც სხვისი ვარ... შენი არ ვარ... მაგრამ მთელი ცხოვრება გამყვება შენი ნათელი ულიბკა“... ■

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ამბავი, რომელიც სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com

ფოტო, რომელმაც ნახნეხა დაკარგა

• „სიგარეტი არ ვიცი, მარა მგონი ქმარი მკლავს... მიშველეეთ!“

• „ამ დებილ კაცს ნაღდი იარაღის ნაცვლად სათამაშო წამოუღია!“

• „მოწიე ძილის წინ, დეზდემონა?“ თიკო-შო.

• „მე სიყვარული მინდოდა მეტი, გაგცვალე სხვაზე, დაგმართე რეტი, ან მაპატიე ან მიმატოვე, ან და მესროლე ეგ პისტოლეტი“.

• „ღალატს ვეღარ მოვითმენ, კმარა მასკარადი! არც მე და არც სხვას. ყველაფერი აქ დასრულდება!“

• „რა ვქნა, მიყვარს! მე თუ არ მოვკლავ, სიგარეტი მოკლავს“. ციკუსა.

• „— შენ რა, სიგარეტის ყუთზე რა წერია, არ კითხულობ?

— სიგარეტის ყუთი რა, ჟურნალი „გზაა“?

• „ბიჭი: თავის ჭკუით, მატყუებს... მოგკლავ, ჩემი დედას ვფიცავარ“...

• „არ გავარდა, ბატონოოო?“ კიბორჩხალა.

• „მოწევ, მოკვდები, არ მოწევ, მაინც მოკვდები!“ კიბორჩხალა.

• „რაღა ნელი სიკვდილით იკლავ თავს? გამოვკრავ ახლა სასხლეტს თითს და ყველაფერი დამთავრდება! მარა შენ გამო ღირს ციხეში ჯდომა?“ SEX BOY.

• „გასწიე ეგ ჟანგიანი ფიშტო, არ გაგიგონია, ხანდახან პოლისჯოხიც ისვრისო?“ კიბორჩხალა.

• „სწრაფი და ნელი სიკვდილი“. ამიკო.

• „მოწევა „სვალკაა“! მალე ისტორიის „სვალკაზე“ აღმოჩნები... („კლავს“ წავიკითხოთ უკუღმა)“. RAINBOW-იასამანი.

• „ეჰ, ნეტავ აქამდე გამეკეთებინა ეს, ესეც დაისვენებდა და მეც!“

• „არადა, ჯანდაცვის სამინისტრო აფრთხილებდა“. ვახო.

• „კიდევ ერთი უშედეგო მცდელობა, მწეველების შესაშინებლად!“ ლუნა.

• „ვაიმე, ტილიიი! თავი არ გასწიო, დავბრიდავ“... პა-ს გოგოები.

• „მოიცა, ერთ ნაპასსაც დავარტყამ და მერე მესროლე, რა“.

• „ეწევი, კვდები, არ ეწევი, მაინც კვდები. ბარემ მესროლე და ეგ არის, რა, რაღას მაწვალებ?“ შოკა555.

„მას ვერც შავი და ვერც თეთრი მაგია ვეღარ უშველის“

„არაჩვეულებრივ ადამიანზე გათხოვდა და სამ დღეში გამოექცა“

„გზის“ №38-ში დაიბეჭდა 68 წლის უცნობის მესიჯი. იგი გვწერდა: „ჩემი შვილი უკვე 40 წლისაა, მაგრამ ისევ გასათხოვარია. ვინაიდან მას ვერც მაჭანკლობით ვუშველე და არც შელოცვებმა გაჭრა, ახლა თქვენ გთხოვთ დახმარებას. ალბათ ბევრი იტყვის, — ეს გამოჩერჩეტებული მოხუცი ვინღაცაა? მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და თქვენ მიერ სხვებისთვის მიცემული რჩევებიც ძალიან მომწონს“. როგორც უცნობი ამბობს, — ბიჭებს მის ქალიშვილზე თვალი რჩებოდათ, მაგრამ ვინაიდან ის კომპლექსებით იყო სავსე, კაცთან შეხვედრას კი არა, დალაპარაკებასაც გაურბოდა. ერთხელ კი სამეგრელოდან მისი ხელის საათხოვნელად ჩამოსულ ბიჭს და მის სანათესაოს თავი გიჟად მოაჩვენა და როცა სტუმრები მის სახლს მიადგნენ, ფანჯრის რაფაზე შეხტა და იყვირა: აქედან ყველანი გაეთრიეთ, თუ არ გინდათ, რომ ჩემი სიკვდილის ცოდვა თქვენს კისერზე იყოსო. „მოკლედ, ასეა თუ ისე, ლელას ბევრი ისეთი შემთხვევა ჰქონდა, როცა შეეძლო, გათხოვილიყო, მაგრამ ამას ყოველთვის გაურბოდა, მე კი ვერ ვხვდები, ასე რისი ეშინია? მეუბნება: ადამიანი, რომელსაც ცოლად გავყვები, ჯერ მე უნდა შემიყვარდესო, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია — როგორ უნდა შეუყვარდეს ვინმე, როცა ახლოს მიკარების უფლებასაც არავის აძლევს? იქნებ, მიშველოთ და მირჩიოთ, როგორ მოვიყვანო შვილი ჭკუაზე და როგორ მოვიშორო თავიდან?..“

შორენა:

„იყიდეთ კომპიუტერი, ჩართეთ ინტერნეტი, შემდეგ კი შვილი დაარეგისტრირეთ შემდეგ საიტებზე: znakomstva.ru, odnoklassniki.ru, Skipy. ჰოდა, ვინ იცის, იქნებ ეშველოს რამე. P.S. ჩემი მეგობრების უმეტესობა სწორედ ამ გზით დაოჯახდა. წარმატებებს გისურვებთ!“

CRAZY GIRL:

„რატომ იფიქრეთ, რომ გამოჩერჩეტებულ მოხუცად აღგიქვამთ? პირიქით, მიყვარს ისეთი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, დროს ფეხი აუწყონ. რაც შეეხება თქვენს შვილს, მას აღარაფერი ეშველება, რადგანაც თურმე თავად არ აქვს გათხოვების სურვილი (მით უმეტეს, რომ ბევრი მთხოვნელი ჰყოლია). პატივისცემით და სიყვარულით...“

მაცმაცუნა:

„მე მყავს ასაკოვანი ნათესავი, რომელიც თქვენი შვილისგან განსხვავებით, ეგოისტი და ამაყია. თეთრ რაშზე ამხედრებულ პრინცს ელოდა, მაგრამ... უკვე იმედგადაწურულს, ერთი ძალიან კარგი შანსი მიეცა, მაგრამ ვერც ის შეირგო: არაჩვეულებრივ ადამიანზე გათხოვდა და სამ დღეში გამოექცა. მიზეზი? — აზრზე არა ვართ, რადგან ამის შესახებ არც თავად ამბობს რამეს და არც მისი ყოფილი ქმარი...“

ლუნა:

„არც კი ვიცი, რა გირჩიო... ნუთუ, შენს შვილს გაცნობიერებული არა აქვს, რომ მარტო ცხოვრება საშინელებაა? ჩვენი რჩევები წააკითხე და იქნებ თვალები აეხილოს. ამ შემთხვევაში, ყველაზე კარგი საშუალება გარიგებაა. თუ იმის შიში აქვს, რომ ქმარი არ შეუყვარდება, ძალიან ცდება. მერწმუნე, ადამიანთან ერთ ჭერქვეშ რომ იცხოვრებ, მასთან ერთად დაიძინებ და გაიღვიძებ, გინდა თუ არა, მაინც შეგიყვარდება. 40 წლის ქალი წესით, ამას უნდა ხვდებოდეს. თქვენს შვილს გაბედნიერებას ვუსურვებ!“

შამანკა:

„კარგი, რა, ხალხო, XXI საუკუნეში რა დროს მაჭანკლობა და შელოცვებია? როცა ადამიანი კომპლექსიანია, მას ვერც შავი და ვერც თეთრი მაგია ვერ უშველის, აწი „ნარკოზში“ მყოფს თუ გაათხოვებთ. მართალია, შეუგნებლად, მაგრამ შვილი თავადვე დაგიღუპავთ. ჰოდა, თუ გინდათ, შეცდომა გამოასწოროთ და კარგი რჩევა მისცეთ, უთხარით, ვინმე იშვილოს. რა შეეხება მის „თავიდან მოშორებას“, არა მგონია, რამე გამოვიდეს“.

JONNY'S GIRL:

„ჩემი აზრით, თქვენი შვილი უკვე ჩამოყალიბებული ადამიანია და მისი შეცვლა შეუძლებელია. ახლა ყველაფერი უფლის ხელშია. ვინ იცის, იქნებ გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც მის მორჯულებას მოახერხებს. წარმატებები!“

კიკინა:

„ალბათ არაა უფლის ნება და ამიტომაც ვერ გათხოვდა“. ■

ამჯერად, თქვენი თხოვნით, გთავაზობთ ლაშა ღლონტის სიმღერის – „მონატრებიხარ ფიქრებს“ – ტექსტს.

გული ყველაფერს ვეღარ დაიტევს,/ გული დარჩენას გთხოვს,/
შენ ყველა ქალი გადამავიწყე,/ სულში ფიქრებით თოვს./
მონატრებიხარ ფიქრებს, მომნატრებიხარ მე,/
მინდა გიმღერო საოცნებოვ შენ./
როგორ არ გითხრა ადრე რაც იყო,/ როგორ დაგხატე მზე,/
დაგინახე და რაღაც დაიწყო,/ გზად შენზე ფიქრი მდევს,/
ეს გაზაფხულის წვიმა, ვიცი გისველებს თმებს,/
ვერ მოვერიე უშენობას, ვერ./
სადა ხარ? შენზე ფიქრებში დამთენებია,/
გაიგე ჩემო უშენოდ არ შემძლებია,/
ნეტავ ეს წლები უშენოდ საით მიდიან,/
რამდენჯერ მინდა გაკოცო არ დამითვლია./
ნეტავ რა უნდა გეთქვა? ანდა სადა ხარ, სად?/
ქარებს მოვყავარ შენთან, არ მინდა სხვა./
თავზე დაღლილი ფიქრებით დამთენებია,/
ეს მონატრების უძილო ღამეებია,/
ნეტავ ეს წლები უშენოდ საით მიდიან,/
რამდენჯერ მინდა გაკოცო, არ დამითვლია,/
ღამე მომიყვანს შენთან, ღამე სიყვარულს გეტყვის,/
ისევ ვიქნებით ერთად, გიბედავ თქმას./
თავზე დაღლილი ფიქრებით დამთენებია,/
ეს მონატრების უძილო ღამეებია,/
ნუთუ ეს წლებიც უშენოდ გადაივლიან,/
რამდენი კოცნა გაჩუქე არ დამითვლია,/
გული ყველაფერს ვეღარ დაიტევს, ვერ.

„სიყვარულს ყველა იმსახურებს: ღიპიანიც და მზეჭაბუკიც“

„გზის“ №38-ში დაიბეჭდა 16 წლის ეკას მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ღიპიანი და მელოტი ადამიანი შეუყვარდა, რის გამოც ნათესავები საყვედურობენ და დასცინიან. „გია 22 წლის გახლავთ და მას ჩემი ოჯახის წევრები იწუნებენ. უფრო მეტიც, დები და დედა დამცინიან: ასეთი ქვაბ-ტაფა სად იშოვეო (საცოდავს ხან ქვაბს ეძახიან, ხანაც — თავში ტაფაჩარტყმულს). მეუბნებიან: იცოდე, მას რომ გაჰყვე, ცხოვრებაში ხმას არ გაგცემთ, ასეთი მახინჯი სიძე ჩვენს ოჯახში ვერ შემოვაო... ჩემების ნათქვამი „ლოვეს“ ყურამდეც მივიდა და გადაირია. მეუბნება: ასეთი ხალხის დანათესავებაზე ნამდვილად არ ვოცნებობ. ჰოდა ან შენ დააყენე ოჯახში „პალაჟენიე“, რათა ასეთი რამ მეორედ აღარ თქვან, ან დავშორდებითო“...

„იცოდე, ვაჟკაცები ასე არ იქცევიან“

SAILORBEE:

„ეს აფერისტი ბავშვები ნახე, რა... რა ნამუსით გაიძახი, — მიყვარსო? როცა ადამიანი გიყვარს, მის გარეგნულ კი არა, შინაგან ნაკლსაც ვერ უნდა ამჩნევდე. სხვები რჩევებს რომ მოგცემენ, მაგრად ვიცინებ. ისე, შენი პრინციც კაი უტვინო ყოფილა: რომ ვიცოდე, ჩემზე ვინმე ასე ფიქრობს, მაგრად ვაგინებდი. ნუ, აბა, ქალებს როგორ დავარტყა?.. იცი, რა მაკვირვებს? — ღიპი თავად მოსწონს? კაცი, რომელიც ვერ ხვდება, რა უხდება და რა — არა, მაგარი ცოდოა. და კიდევ, XXI საუკუნეში სიმელოტე რა პრობლემა გახდა? ადგეს და თმა გადაინერგოს!“

DATLIEBE:

„შენი ასაკიდან გამომდინარე, ბუნებრივია, საკუთარი გრძნობების დაცვა რომ გინდა. შენს ასაკში ყველა ასე იქცევა. როცა 16 წლის ვიყავი, მეც ზუსტად შენსავით მიყვარდა ადამიანი, რომელსაც რაღაც ნაკლი ჰქონდა და ჩემები მასთან შეხვედრას მიკრძალავდნენ. მაშინ მეც მეგონა, რომ ცხოვრება თავზე მენგრეოდა და თვითმკვლელობაზეც ვფიქრობდი, მაგრამ... მას შემდეგ 4 წელი გავიდა და ახლა ვფიქრობ, რომ სხვანაირად უნდა მოვქცეულიყავი. გირჩევ, კარგად დაფიქრდე და გადაწყვეტილებები მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო. წარმატებები!“

ლუნა:

„მართალია, მშობლებს შენთვის კარგი უნდათ, მაგრამ მათ საქციელს ნამდვილად ვერ გავამართლებ. სიყვარულს ყველა იმსახურებს. რა მნიშვნელობა აქვს, ღიპიანი და მელოტი იქნება თუ მზეჭაბუკი? მშობლებს დაელაპარაკე და აუხსენი, რომ გიყვარს და მასთან დაშორებას არ აპირებ. ნუ დაკარგავ ადამიანს, რომელიც პატივს გცემს, რომელსაც ნამდვილად უყვარხარ. გკოცნი!“

თიპ:

„თუ გიყვარს, არავის მისცე უფლება, მასზე რამე თქვას. თუმცა, რომ არ დაგიმალო, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს საკუთარ გრძნობებში მთლად დარწმუნებული არ ხარ. კარგად დაფიქრდი... ღიპი და სიმელოტე მხოლოდ გარეგნული ფასეულობაა და არც ისეთი პატარა ხარ, ამას რომ ვერ მიხვდე. გულის ხმას მიენდვე“.

მაცმაცუნა:

„ერთ დროს ახლობლების გამო შეყვარებულს მეც დავშორდი. შევცდი, სხვების აზრი რომ გავითვალისწინე, მაგრამ ამას წლების შემდეგ მივხვდი: რაღაც პერიოდის შემდეგ ყოფილ „ლოვეს“ შემთხვევით შევხვდი. ჩვენ ვილაპარაკეთ და მივხვდით, რომ ყველაფერს შერიგება, ურთიერთობის განახლება სჯობდა. ჰოდა, ის უკვე ჩემი მეუღლეა და იმდენი მოახერხა, რომ ახლა ჩემს ახლობლებს სიგიჟემდე უყვართ. ასე რომ, საყვარელ მამაკაცს ნურავის გამო ნუ დაკარგავ“.

ბამბუჩა:

„ადამიანის გარეგნობა რომ მესამე და მეოთხეხარისხოვანია, ამას უკვე მიმხვდარხარ და ეს ძალიან კარგია. მთავარია, პიროვნება შინაგანად რას წარმოადგენს. შენს რჩეულზე ასე ხელაღებით ნამდვილად ვერ ვიმსჯელებ, თუმცა მგონია, რომ არც ისეთი კარგი ადამიანია, როგორიც გგონია: პატარა გოგოს თავბრუ რომ დაგახვია და თავი შეგაყვარა, ეგ არაფერი, მაგრამ რა „პალაჟენიების“ დაყენებას გთხოვს ან საერთოდ, რატომ გემუქრება?.. რაც შეეხება ოჯახის წევრებს, მათ უნდა აუხსნა, რომ გწყინს, შენს საყვარელ ადამიანს დამამცირებელი მეტსახელებით რომ მოიხსენიებენ, მაგრამ ნურც ის დაგავიწყდება: მშობლებს შვილისთვის საუკეთესო უნდათ! P.S. ჩემი აზრით, ჯერ საკმაოდ პატარა ხარ საიმისოდ, რომ იფიქრო, — მის გარდა ვერავის შევიყვარებო. სხვათა შორის, 2 წელი ვიცნობდი ერთ ადამიანს, რომელიც უხეში გარეგნობის გამო საშინლად არ მომწონდა, მაგრამ გასულ ზაფხულს ისე მოხდა, რომ ახლოს გავიცანი და... ახლა ძალიან მომწონს“.

კრიტიკოსი:

„იცი, რა, გიას სიყვარულში დარწმუნებული რომ იყო, მის ნაკლს ვერც შეამჩნევდი და არც ოჯახის წევრებს მისცემდი ასე ლაპარაკის უფლებას. P.S. საკუთარ გრძნობებში კარგად გაერკვიე. იქნებ ის სულაც არ გიყვარს...“

SEX BOY:

„აუ, შენნაირებს თავში მაგრად უჭირთ. ვერ გავიგე, ამქვეყნად ბიჭები დაილია თუ რა ხდება? ჯობია, ჯერ ისწავლო და გათხოვებაზე მერე იფიქრო. მერწმუნე, თავისუფლების დაკარგვას ყოველთვის მოასწრებ“.

შორენა:

„ასე მგონია, შენს შეყვარებულს ცუდი ხასიათი აქვს, უშნოდ პრეტენზიულია და შეუძლებელს გთხოვს. აბა, მითხარი, შვილმა რა უფლებით უნდა დაიწყოს ოჯახში „პალაჟენიეს“ დაყენება? თან, დაშორებითაც რომ გემუქრება? ღიპიანი და მელოტი ეძახე შენ, თავს კი ძალიან მაგრად იფასებს და... მისნაირ ადამიანს უნდა უთხრა, — თუ წასვლა გინდა, წადი, ვინ გაკავებს-თქო? გიათი გატაცება დროთა განმავლობაში გადაგივლის. იცოდე, ვაჟკაცები ასე არ იქცევიან. ლაჩარი რომ არ იყოს, მხარში ამოგიდგებოდა და ყველას დაუმტკიცებდით, რომ დასაცინი არაფერი სჭირს, მან კი ყველაფერი შენ აგკიდა“.

კიკინა:

„ამ მესიჯის წაკითხვის შემდეგ ერთი კითხვა გამიჩნდა: ის ბიჭი ნამდვილად გიყვარს? არა მგონია, ასე იყოს. მის მიმართ სერიოზული გრძნობა რომ გქონდეს, „ლოვეს“ გარეგნობას ყურადღებას არ მიაქცევდი, მასზე ასე არ ილაპარაკებდი...“ ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.
მესიჯის ფასი 50 თეთრი

ქალები

1. ვარ 42 წლის, ტელეფონზე გამომეხმაუროს „გზა“ №39, მე-18 მესიჯის ავტორი. ლელა.

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-55 წლამდე ასაკის, სერიოზულ, სიმპათიურ, დამოუკიდებელ მამაკაცს. ვარ 39 წლის, ბინით უზრუნველყოფილი ქალბატონი. მარი.

3. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ, 40 წლამდე მამაკაცს.

4. გავიცნობ მომხიბვლელ კაცს, ბინით უზრუნველყოფილს, 25-35 წლამდე, ლამაზი ურთიერთობისთვის. გელი.

მამაკაცები

5. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს, 50 წლამდე. ვარ 30 წლის, დასაქმებული. გუგა.

6. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 18-დან 25 წლამდე ასაკის, მოსიყვარულე, ერთგულ და უბრალო ხასიათის მქონე მანდილოსანს, თუნდაც სოფლელს. ვარ შავგვრემანი, 26 წლის.

7. ვარ შავგვრემანი, სიმპათიური, 26 წლის ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 18-დან 25 წლამდე ასაკის, ნორმალურ და უბრალო ხასიათის მქონე მანდილოსანს.

8. ვარ 35 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-35 წლამდე მანდილოსანს, ვისთვისაც ოჯახი ცხოვრების პრიორიტეტია.

9. ვარ 30 წლის, სამპათიური, შეძლებული, მანქანიანი, ბინიანი. ვეძებ 25-დან 40 წლამდე ასაკის, ლამაზ მანდილოსანს.

10. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 20-30 წლამდე ასაკის, პატიოსან გოგოს. ვარ 25 წლის, 175 სმ სიმაღლის, ქერათმიანი, დასაქმებული. მსურველი გამომეხმაუროს.

11. ვეხმაურები ამ გზავნილის ავტორს: „გავიცნობ 27-30 წლამდე მამაკაცს“. მინდა, შემეხმიანოს ეს ადამიანი, თქვენი დახმარებით.

12. მინდა გავიცნო ზრდილობიანი გოგონა, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 25 წლის. სასურველია, იყოს დედისერთა. ვარ დასაქმებული, მუდმივი სამსახურით.

13. გავიცნობ 30 წლამდე ასაკის გოგოს.

14. ფინანსურად უზრუნველყოფილ ქალბატონს თუ ქმრად სურს კარგი გვარიშვილობის, იერის, ქცევის, მანერებისა და განათლების მქონე, 54/175/82 მამაკაცი, ნამდვილად არ გაწბილდება!..

15. გამარჯობა. თუ შეგიძლიათ, დამაკავშირეთ იმ გოგონასთან, რომელიც წერს „გზის“ №39-ში, რომ გაიცნობდა ბიჭს, 27-30 წლამდე.

16. ვარ სიმპათიური, სპორტული აღნაგობის, 30 წლის მამაკაცი. გავიცნობ ბინით უზრუნველყოფილ ქალბატონს, რომელსაც სურს ფარული ურთიერთობა.

17. 34 წლამდე ასაკის საქალბატონეს: ვარ 36 წლის. დანარჩენი — პირადად.

18. გთხოვთ, მომცეთ 38-ე ნომრის მე-9 მესიჯის ავტორის ნომერი.

19. ვარ 30 წლის, 185/91, დასაქმებული. ხანგრძლივი ურთიერთობისთვის გავიცნობ გოგოს. სასურველია, იყოს სავსე ფორმებით, თბილისელი ან რუსთაველი. კახა.

20. გავიცნობ ფარული ურთიერთობისთვის თბილისელ გოგოს. ვარ 26 წლის, სპორტული აღნაგობის, სიმპათიური მამაკაცი. დაბლებმა და მსუქნებმა არ დამირეკოთ.

21. როგორ დავუკავშირდე თქვენს დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული განცხადების ავტორს? მე-3 ნომერი ქალბატონია.

22. ვარ 44 წლის, ვცხოვრობ რაიონში, მარტო, ვარ შრომისმოყვარე, პატიოსანი, მეოჯახე, ვმუშაობ ამჟამად თბილისში. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ უბრალო, მოაზროვნე ქალბატონს. გიო.

23. გთხოვთ, მომცეთ „გზის“ 39-ე ნომერში გამოქვეყნებული, 27 წლის

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

ნინოს ნომერი ან ჩემი დაუტოვეთ. ავთო.

24. გთხოვთ, მომცეთ „გზის“ 39-ე ნომერში გამოქვეყნებული, მე-3 გოგოს ნომერი, რომელსაც უნდოდა 27-30 წლის მამაკაცის გაცნობა ან ჩემი დაუტოვეთ. ჩემი ნომერი არ გამოაქვეყნოთ, მხოლოდ მას მიეცით. ან თქვენ არ გაქვთ ახლა მისი ნომერი?

25. მინდა თქვენი ჟურნალის მესიჯის ავტორს დავუკავშირდე, 27 წლის ნინოს.

26. 39-ე ნომრის 1-ელი მესიჯის ავტორს, 39 წლის ქალბატონს. ვარ 47 წლის.

27. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 21-26 წლამდე ასაკის, დადებითი პიროვნული თვისებების მქონე ქალიშვილ გოგოს. თბილისელი არ ვარ. სხვა ქალაქში ვცხოვრობ.

ვეძებ

28. ვეძებ კაჭრეთელ ირმა ჯანგულაშვილს, რომელიც 92-94 წლებში სწავლობდა სიღნაღში. ეკა-ჟორა.

სხვადასხვა

• პატარავ, გენაცვალე, მენატრები ძალიან. დანარჩენს ხვალ მოგიყვები. ღმერთი გფარავდეს, გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს. დედა.

• ჩემო სიცოცხლევ, ნეტავ, როგორ მყავხარ? უჩვენოდ როგორ იქნები? დღეს რომ დამირეკე, ძალიან გამახარე. კეშა და თამთა იყვნენ და აღვნიშნეთ საბას დაბადების დღე. დილით ბაღში წავუღეთ ტორტი და მეგობრებში აღნიშნა, საღამოს — სახლში. ბევრი საჩუქარი ვუყიდეთ და ჭკუაზე არ იყო. შენზეც ბევრი ველაპარაკეთ, გული ძალიან მეტკინა, ჩვენთან რომ არ იყავი. გავიხსენეთ შარშანდელი ეს დრო. კეშა რომ მოვიდა, ძალიან გამიხარდა, მოგიკითხა და მომავალ წელს, ჩვენ რომ ვიცით, ისე ვიქნებითო. მერე ატყდა, აივანზე გამიშვით, მოვწევო. ჯიგარია. ჩემო სიცოცხლევ, საბა იძახის, მამამ ფილი გამომიგზავნა და ბებომ ბურთი მიყიდაო. ვაიმეე, როგორ მაგრად მენატრები, იცი? თან ძალიან მიყვარხარ, იმაზე მეტად, ვიდრე შენ წარმოგიდგენია. ის ფორმულა, შენ რომ აღმოაჩინე, მეც გამოვცადე და მართალი ყოფილა. შენს გახსენებაზე გული მართლა ამოვარდნაზეა. ამ წერილს რომ წაიკითხავ, მე უკვე ნანახი მეყოლები, სიცოცხლევ. კარგი, ბევრი მოგწერე. თავს მიხედე და ნუ ნერვიულობ, გარეთ ჩვენ გელოდებით. მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ! ნინო.

• 3.198გი, მივდივარ და თან თითქოს კმაყოფილი ვარ იმით, რომ გნახე, თან აფორიაქებული ვარ შენი ნათქვამით, კიდევ გავხდებიო. გი, თავს გაუფრთხილდი, რა ვიცი, მეტი რა ვქნა? ის კიდევ, მოკვდაო, რომ გიხუმრია, სულაც არ მესიამოვნა. წუთი არაა, შენზე არ ვფიქრობდე, წუთი არაა, არ ვცდილობდე, როგორმე მანდ ყოფნა შეგიმსუბუქო, მაგრამ აქაც ძალიან ბევრი საფიქრალი და პრობლემაა და რაღაც რომ შემიფერხდეს, მკვდარი არ უნდა გეგონო. ჩემთვის უდიდესი ტკივილი ხარ და მინდა, უკეთესად იყო. რასაც ვაკეთებ, ვაკეთებ, მეტი რა ვქნა. გი, მანქანა აჩვენა დიტომ და ამის ტრუბკას არაფერი სჭირდა, ჩვეულებრივად დაიმუხტა. პროფესორი ხარ, რა. აბა შენ იცი, ბუს, მე კიდევ მოგწერ. მიყვარხარ. შენი თე.

• 3.198გი, იმ ადამიანმა რომ გითხრა, ცოტა დაყოვნდიო და მაინც გახვედი და დამემშვიდობე, გული ჩამწყდა, კარგა ხანს ვერ ავდექი სკამიდან. ნეტავ სად გარბოდი? თეე.

• 198 საკანი. გელა, ჩვენ კარგად ვართ. ციამ 50% გრანტი აიღო, სწავლის ფული გადავიხადეთ. ყველაფერს ვცდილობთ, რომ გავაკეთოთ.

• 198 საკანი. გელა, მამი, ძალიან მენატრები. არაფერზე ინერვიულო, ჩვენ კარგად ვართ. სწავლა 3-ში მეწყება, ბინაც ვნახეთ. ყველას ძალიან გვაკლიხარ. გვიყვარხარ. ცია.

• 3.198გი, დღეს გამოგიგზავნე წერილები, ძველიც და ახალიც, წიგნი და მაქსისა და კერინის სურათები. იმედია, მოგეწონება. ბუუს, საბამ შენზე ძაან სასაცილო რამე მკითხა, — გია სუსტადაა? მე ვუპასუხე, — კი, ძალიან გამხდარია-მეთქი. მერე მკითხა, სიმაღლეშია? თურმე ეგონა, რომ გახდი, სიმაღლეში მოიმატებდი. რა სულელია, არა? მიყვარხარ, ბრაზიანო. თეე.

• 3.198 ბუუს, დღეს ჯვართამაღლებაა და გილოცავ, ჩემო საყვარელო და ძვირფასო ადამიანო, უფლის წყალობა არ მოგაკლდეს, გაძლიერდი და გამაგრდი. გკოცნი, გი. მარად შენი თეე.

• 3.198 ბუს, შეიძლება წერილმა დაგაგვიანოს და გეტყვი: დავურეკე ბორჯომში ეკას და ავუხსენი როგორ, საიდან და რაა შესაძლებელი. ჯერ არაფერია სიახლეო. ალბათ მისწერს. თეე.

• ც212 ჩემო სიხარულო, როგორ ხარ? დღეს მივიღე შენი წერილი, ძალიან გამიხარდა და ბევრიც ვიტირე. ძალიან მიჭირს შენ გარეშე, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. მარი.

• ც212 ჩემო სიყვარულო, ხშირად მესიზმრები, ჩემთან არ ხარ, მაგრამ სიზმრებში და ფიქრებში ჩემთან ხარ მუდამ, ნეტავ შენ თუ გესიზმრები? სოსო, ძალიან მენატრები. მარი.

• ც212. შენი პატარა გოგო კარგად არის, ხშირად გახსენებს, გვენატრები, ერთად ვიხსენებთ შენთან გატარებულ, ტკბილ დღეებს, ღმერთის წყალობით, მალე ჩვენთან იქნები. მარი.

• იკა.ხ. ჩემო სიხარულო, ჩემო სიყვარულო, ჩემო სიცოცხლევ, ულამაზესი თვალები მინდა დაგიკოცნო, თითებზე გეფერო... მინდა, დაუსრულებლად გიმეორო, რომ მიყვარხარ, ჰაერივით მჭირდები და შენს ნატვრაში გადის ყოველი წუთი. გამაგრდი, ჩვენ ამასაც გადავიტანთ, ჩვენ ხომ დაუმარცხებლები ვართ! იმაზე იფიქრე, რომ მალე ერთად ვიქნებით. ტომირანდა.

• იკა.ხ. ღამეა და სული ეხუთვით ოცნებებს, ტკივილით შეძრულებს! ეს ღამეც მხოლოდ შენ გეკუთვნის, შენს ნატვრას ეკუთვნის, მერწუნე! მახრჩობენ სიტყვები, რომლებიც შენ უნდა გითხრა და არა ხარ... მონატრებას ვეღარ გავუძლებ, ვიცი, გავგიჟდები ამაღამ! მოდი, რა! მიშველო იქნება, თუნდაც სიზმარში ნანახმა... ტომირანდა.

• პატუ, როგორ ხარ? ძალიან გვენატრები, პატარები სულ გკითხულობენ. მარიამი ამბობს, მამას ასე უნდა ჩავეხუტოო და ხელებს მაგრად მიჭერს კისერზე. ნიკოც სულ გკითხულობს.

• თეე, ჩემო ცხოვრებავ, როგორ მენატრები, მხოლოდ შენ იცი, მინდა კარგად იყო, ძალიან მინდა... ჩვენ ყველა კარგად ვართ, სანდრი აგრძელებს გიტარაზე დაკვრის სწავლას, ცეკვაზე აღარ უნდა სიარული, არ ვიცი, რას გადაწყვეტს, მე არ ვაძალებ, თვითონ გადაწყვიტოს, ცურვაზე ოქტომბრიდან ვივლით, ექსკურსიაზე უნდათ ახლა წასვლა... ვნახოთ, როდის წავლენ, ჯერ არ გადაუწყვეტიათ. ბავშვები კარგად არიან, ნუციკოს გადავეცი შენი დანაბარები, ძალიან ენატრები, სოციალურ ქსელში სტატუსად ეწერა — „თემო ძია მენატრება... თან — ყველაზე ძალიან“. გული ამიჩუყდა. გიო ბორჯომში იყო დასასვენებლად, მეგობრებთან ერთად და მანანასთვის უთქვამს, რომ გავიგო, თემო ბიძია გამოვიდა, მგონი ფეხით წამოვალ იქიდანო. გენაცვალე, თეე, ისეთი ცარიელია ჩვენი სახლი უშენოდ... ისეთი სიჩუმეა, შენ ყველაფერს და ყველას ავსებდი და ახარებდი, მალე დაბრუნდები, თეე, მე იმწუთასვე ამოვშლი

ჩემი მეხსიერებიდან ამ დღეებს და ყველაზე... ყველაზე ბედნიერები ვიქნებით... გიკოცნი თვალებს, გიხუტებ გულში, ჩემო ყველაზე დიდო სიყვარულო და ჩემო ფიქრო. აბა, შენ იცი... გფარავდეს ღმერთი, მე სულ შენთან ვარ, შენ ხომ გრძნობ ამას, შენით ვცხოვრობ და შენთვის ვარსებობ, არ დაიღალო, მოგიკითხა ყველამ. ლუნა რომ შემოდის, მიხარია. გაკოცე ბეევრი! მე შენ ძალიან მიყვარხარ... შენი ბუტია.

• ც212 სიხ, ვგრძნობ, რომ გაწყენინე, სანახავად რომ შემოვალ, აწი აღარ გატკენ გულს, მაპატიე, გთხოვ, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ჩვენ კარგად ვიქნებით, გპირდები. მარი.

• ახლახან გელაპარაკე, მაგრამ სალაპარაკოს რა გამოლევს, ლაშა. აქ ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ საქმე წინ მიდის. შენ ვინც გნახულობს, სანამ დარეკავდი, სტუმრებს შეხვდა. მალჩიკი და ბომბორები კარგად არიან. სიყვარულს შენ გაუფრთხილდი და ძალას მოგცემს. მეხუთე ელემენტს არაფერი შეეშლება. ბოლომდე არ იბეჭდება.

• ჯოტი, როგორ ხარ? ჩვენ არა გვიშავს. მე ფიქრითა და ოცნებით სულ შენთან ვარ. ბახუ ისე კარგად სწავლობს, გაგიხარდება. ასე ამბობს, მამიკოს გავახარებო. ღმერთი გფარავდეს.

• პატუ, გვენატრები მაგრად. ნიკო ბაღში დადის და უკვე რჩეულიც ჰყავს. მასწავლებელმა მითხრა, მთელი დღე ხელჩაკიდებული დაატარებსო. მოკლედ, ძალიან მოსწონს.

• ჯოტი, ბელამ წერილი გამოგიგზავნა. მერე მეც გამოგიგზავნი. ბევრი არ იტირო, გული არ დაიბოღმო. მე და ბახუ გინახულებთ. გამაგრდი, გეხვეწები, ჩვენ შენი იმედით ვართ. გკოცნი.

• 3.198გი, ნეტავ რად არ დარეკე? ავფორიაქდი საშინლად. რა ვიფიქრო, აღარ ვიცი. გი, თავს გაუფრთხილდი, გთხოვ. ვნერვიულობ, ბუუს, შენ გამო. ძალიან მენატრები, ჩემო ტკბილო. თეე.

• 3.198 ბუუს, „გზის“ წინა ნომერში ჩემი სმს-ები არ ვიცი, რად არ დაიბეჭდა, ალბათ უფრო ადრე უნდა გამეგზავნა. არ ინერვიულო. გახსოვდეს, რომ მუდამ შენზე ვფიქრობ. გელი. თეე.

• პატუ, შენზე ფიქრი არ მასვენებს, მაგრამ მთავარი შენ ხარ, შენ უნდა იყო კარგად, უნდა გაუძლო. მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება და მალე ერთად ვიქნებით. გკოცნი.

• იკა.ხ. ჩემო საოცრად საყვარელო და სულელო ბიჭო, როგორ მინდა ახლა იმდენი მოგეფერო, რომ გული დაგიმშვიდო და დაგაჯერო, რომ ჩემი თითოეული თმის ღერიც კი მხოლოდ შენზეა შეყვარებული და შენ ერთადერთს გეკუთვნის. როგორ შეგიძლია გაფიქრებაც კი, რომ დრომ და სიშორემ რამე შეცვალა ჩემში? ნუთუ რაც შენთან ვარ, მხოლოდ იმას არ გიმტკიცებ, რომ უსაზღვრო და მარადიულია ჩემი შენდამი სიყვარული? ნუ, ჩემო ერთადერთო, გულს ნუ იტკენ და ნურც მე მატკენ უმიზეზო შფოთვითა და ეჭვებით, მე შენი ვარ და შენ — ჩემი, აწ და მარადის! დაიმახსოვრე! არც შენ დაგთმობ და არც მე მინდა სხვა არავინ. მიყვარხარ მზემდე! მიყვარხარ სიგიჟემდე! გიკოცნი უტკბილეს ტუჩებს, ულამაზეს თვალებს და უსაყვარლეს თითებს! თუ შენც გიყვარვარ, აზრადაც აღარ გაივლო, რომ შეიძლება დამავიწყდე. ეს შეუძლებელია, იკა! მე უშენოდ არაფერი ვარ, უშენოდ სიცოცხლეც არ მინდა! გელოდები უფლის იმედით, მოუთმენელი მოთმინებითა და რწმენით, რომ მალე დამიბრუნდები და ლამაზ ზღაპარში საცხოვრებლად წამიყვან. მე შენ მიყვარხარ! ტომირანდა.

• იმედით ყველაფერს ვუძლებთ, თეე... როგორ მენატრები... როგორ მინდა შენთან ყოფნა... აქ ახალი არაფერია, მე და სანდროს ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმის, ძალიან საყვარელი და ჭკვიანია, ზედმეტი შეკითხვებით არ მაწუხებს, უბრალოდ გელოდება... ბიჭები მაგრად არიან, არ იდარდო, დავდივართ ცურვაზე, გიტარაზე, სკოლაშიც ყველაფერი კარგადაა. მეზობლები სულ გკითხულობენ, ყველას ენატრები... ხვალ ჩვენი მარის დაბადების დღეა, გავალთ გოგონები საღამოს. აბა, შენ იცი, ჩემო ერთადერთო, მალე დამთავრდება, აუცილებლად დამთავრდება, გულში ჩაგიკრავ და აღარასდროს დაგტოვებ მარტო... მე შენ მიყვარხარ, გიკოცნი თვალებს, გეფერები, თეე... შენ ყველაზე კარგი ხარ, ყველაზე, ყველაზე... ლუნა შემოვა ამ დღეებში. დააბარე, რა გჭირდება. გაკოცა ბევრი შენმა ბუტიამ, არ დაიღალო, მე სულ შენთან ვარ, მუდამ, ყოველ წუთს. გაკოცე, ბუტია.

• თეე, საყვარელო თეე, როგორ ხარ? მინდა, კარგად მყავდეს ჩემი სიცოცხლე და ბედნიერება. ჩვენ ყველა კარგად ვართ, თუმცა უშენობა აუტანელია...

• ჩემო ალიკა ძია, როგორ ხარ? მიყვარხარ ძალიან და მენატრები. შენი პატარა ნინი. გაკოცე ბევრი და ჩაგიხუტე გულში.

• 3.198გი, როგორ ხარ? ძალიან მიძნელდება უშენობა, ულიმღამოდ და ნაძალადევად მიდის დღეები. ნეტავ იცოდე, როგორ მენატრები და როგორ მაკლიხარ. ზეგ ჩემი დაბადების დღეა. არანაირი ფასი არა აქვს უშენოდ. რა ლამაზი იყო წინა წლის 5 ოქტომბერი... შენი მორთმეული, ჩემი ასაკის რაოდენობის წითელი ვარდით. დღესაც იგონებენ თანამშრომელი გოგონები შენი შემწვარი მწვადის გემოს და მეკითხებიან, როდის დაბრუნდები. უსაშველო ტკივილი და დარდი ხარ ჩემი, უფრო მეტად დიდი მონატრება. მიყვარხარ უსაზღვროდ და ვიგონებ შენ გვერდით გატარებულ, ყოველ ლამაზ დღეს. უფლის იმედით ვცხოვრობ, გი და რაკი შენ მანდ ყოფნას არ იმსახურებ, მისი შემწეობის იმედიც მაქვს. თავს გაუფრთხილდი. თეე.

• ი კ ა ა... წავიკითხე შენი წერილი, ჩემო თბილო. რა საყვარელი ხარ. :) ძალიან ენატრები მ ა რ ი ს. ჩემი გიჟი, გურული ბიჭი. ყველაზე კარგი ხარ, სულ, სულ ყველაზე. საბაჟოზე პრაქტიკა ხომ გაგატარე? კიდევ რას მოიმიზეზებ? ისე, დაჭერილ მელას ჰგავდი, ჩემო კარგო. ნეტავ, რას გვეტყვიან, მარტო თუ ერთად? აუუ, სულ გავაფრინე შენს ხელში, მპუა�ა, ალი.

• ჟურნალის ამ ნომრის საშუალო სუდოკუს ვერა ვხსნი და ნერვები მეშლება. რთული მარტივად ამოვხსენი. რა არის ეს, რა ჯანდაბაა?

• ეგ მესიჯები ბუცას მისამართით იყო გამოგზავნილი, მე შენ მეგონე ბუცა. მგონია, არ ხარ უკმაყოფილო და თუ მაინც რამე გეწყინა ჩემგან, უმორჩილესად გთხოვ, მაპატიო. მესიჯები მანამდე „მოგაყარე“ სანამ დაგელაპარაკებოდი. მას შემდეგ მხოლოდ ერთი მესიჯი მოგწერე, სხვა რატომ დამალაპარაკე-მეთქი. რატომ ტყუი? ცნობისათვის, ჩემი თითოეული მესიჯი მიზანში ხვდება. ასე რომ, დასანანი არაფერია. აღარც მე ვაპირებდი მესიჯის მოწერას შენთვის, მაგრამ მაინც მადლობა, რომ

ბაღარ-ბაღარა წამმაღლებები
დიდი გამარჯვების საბინდარი
ამაა

გამაფრთხილე. რაც შეეხება ქალებს, ჩემი მიზანი არ იყო ვინმეს გაცნობა, მე სურვილი მქონდა, ვინმე გამეცნო. კი არ გადაგეკიდე, შეგეკითხე, ბუცა ხარ-თქო? და იმედგაცრუებული დავრჩი, რადგან როგორ ქალსაც ვხატავდი, ისეთი არ აღმოჩნდი. ვის გადაჰკიდებია ლადო გოგიჩაშვილი, იგივე კუნკულა, რომ შენ გადაგეკიდოს? შეგეკითხე მხოლოდ, შენ კიდევ მითხარი, არა ვარ ბუცა და არც ის ვიცი, გოგოა თუ ბიჭიო. მესიჯებს კი უანგაროდ დავარიგებ, მაგრამ გრძნობასა და სიყვარულს — არა. ნუ იქნები გულდაწყვეტილი, მე მაგ მესიჯების სანაცვლოდ სიყვარულს არ გთხოვ და არც მოგთხოვ. ჩათვალე, რომ ეგ მესიჯები შენი საკუთრებაა. მე ხომ მთლიანობაში ქალს ვეთაყვანები. მაინც რა მოკლე ჭკუა გაქვთ ამ ქალებს. მე რომ მიზანი მაინტერესებდეს, ბორდელში დავიწყებდი სიარულს. მე ვმოქმედებ აქ პრინციპით — თუ კარგი გოგოა, რატომაც არა? თემებს რომ იგონებთ, იმისი არსი ხომ პირველ რიგში თქვენ უნდა გესმოდეთ. რა უფლება გაქვს, მე თუნდაც შენი სიყვარული ამიკრძალო? თუმცა, რა თქმა უნდა, არ უნდა შეგაწუხო. მე კიდევ ქორწილისთვის ფულს ვაქუჩებდი. რა ვიცოდი, თუ კოვზი დიდ ჯამში ჩამივარდებოდა? არა უშავს, მაგ ფულით ცოლის მაგივრად მანქანას ვიყიდი.

• ეჰ, საწყალო დედაჩემო, ვერც შენ ნახე ჩემში კარგი, ადექ და სულ დამივიწყე, მოიშორე ჩემი დარდი. განა შენს მეტს არავის ჰყავს, ჩემისთანა უბედური, ბევრსა მშობელს შვილისაგან ცხოვრება აქვს არეული. დედი, რა ვქნა აღარ ვიცი, მეტად როგორ დაგაღონო, ანდა შენ ჩემი სიკვდილი, როგორ უნდა გაგაგონო. მეც კი მინდა, დედაჩემო, მეტი რომ არ დავიტანჯო, მინდა, გარეთ მეც რომ ვიყო და შრომაში გავისარჯო. რა ვქნა, ცუდი ხასიათი ვეღარ მომიშორებია, ამის საწინააღმდეგო ვერა მომიგონებია. იქნებ ოდესღაც, დედიკო, გავახილო სახლში თვალი, დღეს აქ ვიტანჯები, დედი, დავბარბაცებ, როგორც მთვრალი. რა ვქნა, დედი, გარეთ ყოფნა მე ვერ დამიფასებია, ეს ჩემი ახალგაზრდობა, მწარედ გამიტარებია. ნუთუ, დედი, სიცოცხლეში, კარგი ვეღარ უნდა ვნახო, ან როდესაც მოხუცდები, ვეღარ უნდა შეგინახო. დედი, ეს ჩემი წვალება მუდამ მომიგონებია, მაგრამ ეს ჩემი დარდები ვეღარ მომიშორებია. თუ მომშორდა ეს დარდები, გამოვედი დროზე კარში, ამით უნდა დავამთავრო, გეყოლები მუდამ გვერდში.

• აკრძალული კი არა, დღეიდან დაკრძალული მაქვს შენი სიყვარული. გული კი ტყუილად ნუ დაგწყდება, რადგან მე ნამდვილად ვიხარჯები. მიზანზე თქვენ უნდა იფიქროთ — ქალებმა. კუნკულა.

• „გზავნილები“ წავიკითხე, რატომღაც, რუისპირის გზავნილი — ორჯერ. ჩემი ტკბილი მოგონებები გამახსენდა. :) რაღაცნაირ ხასიათზე დავდექი...

• თათა15, ძალიან მიყვარხარ. მემე და მ.9.ე.7..მ.1.ე.7, ძალიან მაგარი ადამიანები ხართ, გაიხარეთ, მაგრები ხართ. თათა15.

• ახალი ვაააარ, მიმიღებთ, ხომ? იმერელოო.

• გმადლობ, ატარექსია, მოგიკითხავ საუკეთესო სურვილებით. საკმაოდ დაგვიანებით გიპასუხე, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო. პატივისცემით, ჯ.ხავი. P.S. თათა, ცოცხალი ხარ?

• ნანი დუმბაძე, მომეწონა შენი ლექსი. კარგი ნამუშევარია. SEX BOY.

• ძალიან მატკინე გული... რატომ იქცევი ასე? ეჭვიანობით, დამერწმუნე, ვერაფერს მიაღწევ. ამის მიუხედავად, მაინც მიყვარხარ. ლიზი123.

• უშენოდ ცუდად ვარ, უშენოდ ვგიჟდები, უზომოდ მენატრები, უზომოდ მჭირდები, სიშორე მაგიჟებს, ვერაფრით ვმშვიდდები; იცოდე, სიცოცხლევ, ძალიან მჭირდები. ლიზი123.

• მე დედამიწის იალაღებზე ამდენი ცოდვა დავტოვე წეღან... და თითქოს ლოდი, გულმკერდზე მეცა, ღვთის ხმა-

უკვე გამოსული ტომები: დათო ტურაშვილი, თამრი ფხაკაძე, რატი ამაღლობელი, დავით ქართველიშვილი, თეონა დოლენჯაშვილი
შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

მაღალი, ამაყი სიტყვა: „ადამიანო! სასუფეველში ადრე მომხვდარხარ, რომ დარჩე დარად, მე შენი სულის ვხედავ მორევში იმ ბოროტებას, რომელსაც მალავ. მოგიახლოვდა ღვთის სამართალი, დასჯა. ყოველი სუფთა და წმინდა, თქვი შენი სიტყვა, რომ ხარ მართალი, გულის სიღრმეში ამის თქმა გინდა. თავი ავწიე და ღმერთი ვნახე, ისევ ადუღდა ძარღვებში სისხლი, ოფლით დასველდა ცოდვილი სახე, ჩემში გაცოცხლდა მომკვდარი ზიზღი. „უფალო, ხალხმა დაგარქვა ღმერთი, მე ჯოჯოხეთით მაშინებ განა? დედამიწაზე რა ვნახე მეტი, სხვა ჯოჯოხეთი არ არის, არა! მე ცრემლს და დაღლას ვითმენდი დიდხანს, მე ვგრძნობდი ტკივილს, მდიოდა ოფლი, თითის დაქნევა და შენი რისხვა არ მინდა, ღმერთო, ისედაც მყოფნის. სიმართლე გინდა? აღარ ვარ შენ წინ მუხლჩამოყრილი, ლაპარაკს ვბედავ, გული ჯერ კიდევ სიცოცხლით მეწვის, ნახე, თვალებზე ცრემლი მაქვს, ხედავ? იცი, უფალო, რა არის ცრემლი? ვერ მიამსგავსებ შენს შექმნილ წვიმას, ცრემლი ისაა, როდესაც ებრძვი, ცრემლი ისაა, როდესაც გტკივა. მაგრამ არ იცი, უფალო, რადგან შენს მკაცრ თვალებს და შენს ამაყ სახეს არ მოუხდება ცრემლი და დაღლა, რომ არ გაფანტოს ეგ სიამაყე. მე გეტყვი მართალს, დამსაჯე მერე, ადამიანი ამდენს რომ ვბედავ, მაგრამ რომ მითხრა, ვერ დავიჯერებ, მე დამნაშავე რაში ვარ ნეტავ? თუ ეს სამყარო შეიქმნა ღვთისგან, მანდ კი ცოდვები თითოდ და თითოდ, შენ, ღმერთო, პასუხს მოითხოვ ვისგან, თუ ყველაფერი შექმენი თვითონ? დროებით არის სამყარო სავსე, რადგან შევცოდავთ და ვმალავთ თითქოს, შენ ეს სამყარო შექმენი ასე და დამნაშავე შენა ხარ თვითონ. ადგა უფალი, დატოვა ტახტი და ისევ შიშმა უეცრად დამკრა, დამხედა ზედ და ყველაფრით დაღლილს და როგორც მონას, პასუხი გამცა: „გტკივა და ასე იქნება მარად, რადგან ეს არის სამყოფი ხალხის, რადგან ცოცხალი მაქციეთ მკვდარად, რადგან ბრალს მადებთ, სანაცვლოდ მადლის. ნახეთ სამყარო მშვიდი და სუფთა, მერე დაგლიჯეთ, დაკოდეთ, ეცით, მტვერი დააგდეთ სამართალთ შუქთა, ახლა ამ მტვერში სამართალს ეძებთ. არ იყო ცუდი, არ იყო კარგი, არც განსხვავება არ იყო დროში, მაგრამ სიწმინდეს ვერ მიხვდა ხალხი და გულში დამჭრა, მიწიერ ომში. შენ მართალი ხარ, უკვდავი სული, არ აგონდება ცოცხალი ზევით, მაგრამ ოდესღაც მეც მქონდა გული, ახლა რომელიც ხალხს დააქვს მკერდით. ასე, ოდესღაც ვუსმენდი მშვიდად, დიდხანს ვეძებდი ბოლო არჩევანს... და ერთადერთი გავწირე შვილი, ამდენი შვილის გადასარჩენად!“ გოლიათებზე ზედ იწვა ზეცა, ცეცხლი ეკავათ უფლისკვეთ ბერებს, მე ცხოვრებაში პირველად შემრცხვა; არა, ეს იყო ცხოვრების მერე! თავი დავხარე, დავმალე სახე, ასე უეცრად ჩემს სასჯელს ვიხდი, ასე უფლის წინ სიმართლე ვნახე, ჭეშმარიტებას გვიან რომ მივხვდი. თუ მეზობელი სახლს აქ იშენებს, შენ კი ამ სახლის დაიწყებ ღეწვას, არ დააბრალო მერე მშენებელს, სახურავიდან წყალი რომ წვეთავს. უფალს შევთხოვე, დრო აზრებს არ წყვეტს, ჩემი სასჯელი მითხარი, ღმერთო, თვითონ გავაღებ მაგ რკინის კარებს, შავ ჯოჯოხეთში რომ დავიფერფლო. ძველ ტკივილს გააქრობდა ფიქრი და გვიან გიხსნი ჩემს ცოდვებს მალულს, მე დამნაშავედ იმიტომ გთვლიდი, რომ უკვდავებში ვეძებდი ბრალულს. დედამიწაზე ვეძებდი მართლებს და მოსამართლე არ მყავდა არსად, შენა ხარ ჩემთვის დღეს მოსამართლე და შენი შვილი მოველი დასჯას! :) მ.9.ე.7.მ.1.ე.7.

• ბევრი ქალი კაცებს ლანძღავს, მაგრამ მათ გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია!

• გამარჯობა, რთულია კითხვის დასმა: როგორ ხარ? მაგრამ მე ასე მჯერა: შესაბამისად ხარ, ნორმის ფარგლებში კარგად! უფალი ადამიანებს იმაზე დიდ განსაცდელს არ მოგვივლენს, რისი დაძლევაც არ გვძალუძს! შენ კი ხომ მოდიხარ ბოლომდე! აქედან ჩვენები, ირგვლივ ყველანი მოკითხვას გითვლიან. ყველანი განვიცდით და ვწუხვართ მომხდარზე. გვჯერა, მალე გათენდება. ზღვას შტორმია, ალბათ წალეკავს... რაღაც ჯოჯოებს! ნათელია, გვირაბი რა მოკლეა. თეთრ წერტილსაც ნახავდი, რა ახლოა! მთავარს გეტყვი, რისი თქმაც, უფრო სწორად, სმს გადმომეგზავნა უნდა შენთვის, როგორც ხდებოდა ხოლმე. ვერ მოვასწარი, რადგან მას დრო ჰქონდა მისი. შინაარსი შემდეგი ჰქონდა: მე თუ გვირაბის გავლამ მომიწია... იცი! ვრცლადაც გწერდა რაღაცებს. თუმცა! მაგარი ადამიანია. გამეხსნა... შენ სულსაც მიგანდობო, თეთრი ანგელოზი ხარო. ვიფიქრე, ბრმად მომენდო-თქო. მაგრამ მან სწორად კონტრანალიზი ამიღო. მართალი იყო, ავიღე და დავიტიე. ახლა მეტი ავკრიბე. შენ იმდენად არა, მას კი კარგად ვიცნობ. ბოლომდე მოვიდა და მეც ბოლომდე დავრჩი მასთან. მის დასაფარავად შეუძლებელი, არარსებულ შენთვისაც გაუგებარი გავაკეთე. მათ საბაბი მივეცი და გზები ავურიე, ისე, რომ ვერ ხვდებიან, ვინ ვინაა. ასე იყო საჭირო მისთვის! ვფიქრობ, გაიგებ. მითხრა, შენ და მას, ერთმანეთის იქით გზა არ გქონდათ! წერას მოვრჩი და ზარებმაც დარეკეს!!! ღმერთი გფარავდეთ! ჩემზეც გეტყვი: ვმკურნალობ ფილტვებზე, საგანგაშო არაფერია, ვარ ნელა-ნელა. ჰო, მადლობა უნდა ვუთხრაო, ჩემზე გითქვამს. მე კი ვიფიქრე და ვერ მივხვდი. მადლობა? რა? რისთვის? იმისთვის, რომ შუქი მინდა ავანთო და წყვდიადი მინდა გავანათო? მადლობა? მე — რატომ? მთავარ შემოქმედს, უფალს მადლობა! რადგან მან ადამიანებს გონება ან მისცა, ან — არა! ჩემში ასეა ეს. მხნედ იყავი! უფალი შენთან არს! მალე გათენდება!

• პრივეტ, მარიამულ. როგორ ხარ? მიცანი? NON STOP! ვარ. თუმცა, როგორ უნდა მიცნო? ეჰ, რამდენი ხანია, დავიკარგე და აღარ ვამესიჯებ „გზაში“. ზუსტად 2 წელი და 4 თვეა, თქვენთვის არ მომიწერია. ნეტავ, ვინმეს თუ ვახსოვარ? მიუხედავად ამ დაკარგვისა, მე ყველანი მახსოვხართ და გული მწყდება, ასე რომ დამივიწყეთ. არადა, პირადზე რამდენი მიმესიჯებდა და არასოდეს დავიწყებას მპირდებოდა, მაგრამ არა უშავს. :(კაი, მარ, წავედი და იმედია, არ მიწყენთ დროებით გამოჩენას. მომენატრა ის დრო, როცა ყოველ ხუთშაბათს მოუთმენლად ველოდი. NON STOP.

• ქ-ნო ნანი დუმბაძე, ძალიან თბილი და საყვარელი ხართ! „ბუზმა ლომი გაიწვია“ მაგარი იყო. P.S. იმერელო, WELCOME, TO „გზა“. P.P.S. ჩემებო, მიყვარხااااართ! CRAZY GIRL.

• ისე, ეს ნაომი რა ტიპია? თავის მუღამშია ქალი. :) მოგიკითხავ. მოხევე.

• როცა ვერ გხედავ, მაშინ ყოველი წამი წამებაა, შვება კი არა. როცა გიხილავ, მაშინ მე უცაბედად მიახლდება გულის იარა. მოხევე.

• მე დღენიადაგ, ვით უღელში შებ-

თუ ფოლი შედნიერებას ვერ განიჭებს, სხვას მიეცი

მული ხარი, ჩემს მძიმე გუთანს ვეზიდები, ვეწევი ცალად; ნელ ცეცხლზე ვიწვი, ვბუუტავ, როგორც უმწეო კვარი და რომ ვიფეთქო, ვიკაშკაშო, არ შემწევს ძალა. ტკივილამდე მეწერება, მეწერება და ვწერ... მოხევე.

• ჩემო კარგო და საყვარელო მარი, გთხოვ, თუ კუნკულამ ჩემი ნომერი გთხოვა, არ მისცე და თუ შეგიძლია, არც მაგ შინაარსის მესიჯები დაბეჭდო. მართალია, ორივე მარები ვართ, მაგრამ მე ბუცა ვარ, თან ასაკით ძაან პატარა შენზე. :) გენაცვალე, მარო და გაიხარე... ბუცა.

• მარი, შესავალი რომ წავიკითხე, ცრემლებამდე ვიცინე. ბუცა უყვარს კუნკულას, თან შენ ჰგონიხარ ბუცა. კუნკულა, ახლა კარგად მომისმინე: მარისთან ხომ თავისთავად არაფერი გამოგივა და ჩემთან ხომ საერთოდ, რა... საქმრო მყავს, მაგრამ რომც არ მყავდეს... ნუ, მოკლედ, გენაცვალე შენ, რომ ასე გამამხიარულე, ცუდ ხასიათზე მყოფი... ბუცა.

• გია, მინდა ვიცოდე, რატომ გამწირე ტანჯვისთვის? მე ხომ მთელი გულით მიყვარდი? მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალია, მე დაგივიწყებ და ბედნიერი ვიქნები. შენი სალო.

• მინდა შენთან ყოფნა, შენი ლამაზი თვალების ცქერა, შენი ტუჩების შეგრძნება და სიტყვა — „მიყვარხარ“. ლიზი123.

• მივესალმები მარის, დიდი „გზავნილეთის“ სვან დედოფალს! გისურვებ ჯანმრთელობას და ამდენი ჭრელი ადამიანის გაძლება-გატანას.

• საღამო მშვიდობისა, მარ. ახლა ვკითხულობ „გზას“ და აქ რა ხდებაააა? ეეე, რამდენი ჩემნაირი CRAZY გამოჩნდა? ძვირფასო CRAZY GIRL-ებო, აქ მე ვარ გიჟიც და გადარეულიც. ეს ისე, ცნობისთვის, მაგრამ თუ ასე მოგწონთ, დაიტოვეთ ეგ ნიკი. გკოცნიიით, მენატრებით ჩემები! CRAZY GIRL.

• მე მყავს 2 უსაყვარლესი ექსპატიმარი ძმაკაცი, მაგრამ ისინი ისევ ისეთი თბილი, მოსიყვარულე, ყურადღებიანი და მეგობრულები არიან, როგორც ადრე, პატიმრობამდე. CRAZY GIRL.

• ნაომ, როგორ ხარ? რატომ აღარ ამესიჯებ აქ? იცი, შენს ერთ ნათქვამზე მივხვდი, რომ სიმართლეა! გახსოვს, რომ თქვი, სულელს რომ დაიჭერ, უნდა იხმარო, გინდ გოგო იყოს და გინდ ბიჭი? მე მახსოვს და ვხვდები, რომ მართალი ხარ! და სწორედ მასეც ვიქცევი! ალბათ მიცნობ, მე კაცუნა გიო ვარ! SEX BOY.

• გამცილებელო, მადლობა გაფრთხილებისთვის. ჩემო კარგო, ნაომი თუ მართლა თამაშობს ჩემთან, ეს მისი პრობლემაა და არა ჩემი, მე ამით არაფერი დამიშავდება. ლუნა.

• ბუცა, ნამეტანი სწორხაზოვნად აზროვნებ და რაღაც, არაადეკვატურად ატლიკინდი. ყველაფერი, რასაც აქ წერენ, კი არ უნდა დაიჯერო. ნამდვილი აღუა ბავშვი ხარ, رااا. :-) ვიცი, ახლა მე რაც უნდა ვქნა, უნდა და-ვი-კიდოო. ნაომი.

• ეს ზაფხული გავა მალე... შენ ნუ წახვალ, გენაცვალე, მე ზამთარში უფრო მინდა, შენი სითბო, გენაცვალე... მე ხომ შენი სიყვარული მთელ ქვეყანას ვანაცვალე. ნუთუ შენი სიყვარულის ღირსი არ ვარ, გენაცვალე... ზამთრის ცივი ღამეები, გამიყინავს ხელებს მალე, შენ გამათბო ახლა უნდა, გენაცვალე! გენაცვალე! შენზე ფიქრი მათბობს მხოლოდ, მზე ჩადღება ცაზე მალე, მის მაგივრად შენ გამათბე, გენაცვალე, გენაცვალე! ეს ზაფხული მიილია, და ზამთარი მოვა მალე... მე ზამთარში უფრო მსურხარ, გენაცვალე! გენაცვალე! ლუნა.

• მარიამულ, მაპატიე, აქამდე რომ ვერ შეგეხმიანე, სიხარულო, სტუმრები მყავდნენ და... ნეტავ, როგორ ხარ? აქ უკვე ძალიან ცივა. ეჰ, კუნკულას კარგი გემოვნება ჰქონია, სხვაგან სად ნახავს შენნაირ ჭკვიან, სამართლიან და უსაყვარლეს ადამიანს? თუმცა, შენი სიყვარული კი მართლაც აკრძალული აქვს! მენატრები და მიყვარხარ! შენი ლუნა.

• თათიამ დამაინტერესა, თავისი ამბის მოყოლა რომ უნდა. მე დიდი სიამოვნებით წავიკითხავდი მის ამბავს. თათ, იქნებ მოგვიყვე და ეგეც გვითხრა, ვინ გინდა, რომ წაიკითხოს. ბუცა.

• მაარ, როგორ ხარ? აუ, დახოცეს ერთმანეთი რა, :) მაინტერესებს, აქ საერთოდ ვინმემ შემამჩნია? :) ნეტიკო.

• ყვავი. ყვავმა თქვა: მგალობელი ვარ, ჩემებური მაქვს ჰანგიო, სანახავადაც კარგი ვარ, რითი მჯობს ფარშევანგიო?! ის ვაი, ვაი-ს იძახის, მე კი ყვა-ყვასა ვყვირიო, ეს არის მხოლოდ, რომ იმას, ბოლო აქვს სხვანაირიო! ის ბოლო მე შემფეროდა იმაზე უფრო!.. ვიციო! მაგრამ რომ შეცდა ბუნება, ამას არ უნდა ფიციო. მაგრამ ბუნების შეცდომას ასწორებს ხელოვნებაო, და ასეც უნდა გასწორდეს, ასრულდეს ჩემი ნებაო! მისდგა და რაც კი ებადა, დაიძრო ბოლო სიმწარით, და ნაცვლად ფარშევანგისა, კუდი მიირჭო სიჩქარით. სთქვა: ოჰო, ასე სჯობს, თუ სხვა ვინმეა მეც ვარო, ახლა კი ფარშევანგებში, გავიარ-გამოვიარო! წავიდა, გამოერია, დაიწყო იქაც ყვანჩალი, ეგონა, რომ მთელ ქვეყანას იმაზე რჩებოდა თვალი. ფარშევანგებმა იწყინეს: ვინ არის სალახანაო? ან ჩვენი ბოლო ვინ მისცა? ან აქ ვინ მოიყვანაო? დაკორტნეს, დაბდღვნეს უწყალოდ, ისე გახადეს საბრალო, რომ აღარ შერჩა თავისიც, არამცთუ სხვისი მას ბოლო. და ცუდი მასპინძლებისგან რომ შეელახა გუნება, მაშინ მოკურცხლა, იკადრა, საყოლში გამობრუნება. მაგრამ იქ შინაურებიც აღარ დაუხვდნენ მოყვრულად: აღარ გვიკადრე, გვწუნობდი, არად გვაგდებდი ჩვენ სრულად! და ახლა არც ჩვენ გვინდიხარ, გადახდა უნდა ვალსაო, მიბრძანდი, სადაც გერჩიოს, გილოცავთ გზა და კვალსაო! მედიდურ-ამპარტავნება არავისათვის არ ვარგა, არ მისცეს ფარშევანგობა ყვავს და ყვავობაც დაკარგა. ვინც თავის ტოლ ამხანაგებს სწუნობს და აღარ კადრულობს, და რაც არ შეეფერება, იმას დაეძებს... კისრულობს. ასე მოუვა სუყველას, და ეს ცხოვრების წესია, ვისაც რა მისცა ბუნებამ, დასჯერდეს, უკეთესია! ნანი დუმბაძე.

გილოცავ!

• ჩემს უსაყვარლეს მეუღლეს, ჯონი მახაჭაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 ოქტომბერს. ძვირფასო, გისურვებ ჯანმრთელობას, წარმატებებს ცხოვრებაში. უფალი იყოს შენი მფარველი და აგისრულოს შენი ყველაზე დიდი სურვილი. ძალიან მენატრები. იცოდე, შენ ჩემი სიცოცხლე ხარ, მუდამ შენ გვერდით მიგულე. გკოცნი. შენი ფანცქვალაგოგო.

• გიგა ნარიმანიშვილო, მამიდას ლამაზო, გილოცავ დაბადების დღეს. სიხარული და ჯანმრთელობა არ მოგაკლოს უფალმა. გაუმრავლდი ოჯახს. გკოცნი. მზია მამიდა.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ტაიმ-აუტი

„შმაგი ცხენი“

აჯანტა

გაცოცხლებული კლდეები

• ჩინეთში ბუდას უამრავი ქანდაკება არსებობს, მაგრამ ქალაქ ლეშანეს (სეჩუანის პროვინცია, 3 მდინარის შესართავი) ბუდა იმითაა გამორჩეული, რომ იგი კლდეშია გამოკვეთილი. მისი მშენებლობა 713 წელს, თანის დინასტიის დროს დაიწყო. ბუდას სიმაღლე 71 მეტრია.

• ლალიბელის 12 მართლმადიდებლური ეკლესია ეთიოპიაშია. მათგან ყველაზე ცნობილს, რომელიც XIII საუკუნეშია შექმნილი (კლდეში გამოკვეთილი), წმინდა გიორგის ლალიბელის ტაძარს მსოფლიოს მერვე საოცრებას ეძახიან. ქალაქის მოსახლეობის უმეტესობა ქრისტიანია. ევროპელი მოგზაურებიდან, ეკლესიები პირველად XIV საუკუნეში პორტუგალიელმა პერო და კოვილიანმა ნახა. ისტორიული ძეგლი იუნესკოს მსოფლიოს მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

• პაჰარპურეს ბიჰარა (მონასტერი) ბანგლადეშის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. არქეოლოგების ცნობით, იგი VIII საუკუნეში პალას დინასტიის დროსაა აგებული. მონასტრის ტერიტორიაზე 177 კელიაა. ტერაკოტის კედლებზე, რამდენიმე ადგილას, ბუდაა გამოსახული.

ბუდა კლდეში

• „შმაგი ცხენის“ ქანდაკება სამხრეთ დაკოტაში (აშშ) მდებარეობს. მისი მშენებლობა 1948 წელს დაიწყეს და დღესაც მიმდინარეობს. სავარაუდოდ, ქანდაკების სიმაღლე 172, სიგანე — 195 მეტრი იქნება. ქანდაკების მშენებლობა ოგლალას ტომის ბელადის პატივსაცემად დაიწყო.

• ნაკშე-რუსტამის („რუსტამის ნახატები“) არქეოლოგიური ზონა ირანში, ქალაქ მარვდაშტის მახლობლად მდებარეობს. უძველესი რელიეფი ჩვენს ერამდე, 1000 წელსაა შექმნილი. კლდეში აქემენიდების დინასტიის სამარხებია განლაგებული. ადგილობ-

რივი მოსახლეობა ქანდაკებებს „სპარსულ ჯვრებს“ ეძახის.

• აჯანტა — კლდეში გამოკვეთილი ბუდისტური მონასტერი ინდოეთში, მაჰარაშტრას შტატში მდებარეობს. ფრიალო კლდეში 29 გამოქვაბული ჩაიტიად (სამლოცველო დარბაზი) და ვიჰარადაა (კვადრატული დარბაზი, სადაც სამ მხარეს ბუდას ქანდაკება დგას) დაყოფილი. კედლებზე შემორჩენილია ფრაგმენტები ბუდისტური მითებიდან და ლეგენდებიდან. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, მონასტერი ჩვენს ერამდე II საუკუნეშია აგებული.

• ინდოეთშივე მდებარეობს კაილაში — 2 კმ-ზე გადაჭიმული 30 ტაძარი. კაილაშის მშენებლობა ჩვენს ერამდე VIII საუკუნეში დაიწყეს. ისინი ვერტიკალურად, ზევიდან ქვევითაა აგებული.

• მადაინ-სალიჰი, იგივე ალ-ჰიჯირი ან ჰეგრა ისლამის წინა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლი საუდის არაბეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. კომპლექსში აღმოჩენილია კლდეში გამოკვეთილი 131 მონუმენტური, ორნამენტებით მორთული სამარხი. ასევე, კლდეებზე აღმოჩენილია 50 წარწერა, რომელიც მეცნიერთა ვარაუდით, ჩვენს ერამდე III საუკუნეშია შესრულებული. 2008 წელს, იუნესკომ ისტორიული ძეგლი მსოფლიოს მემკვიდრეობის სიაში შეიტანა. სხვათა შორის, მოსახლეობა ტერიტორიას დაწყევლილად მიიჩნევს და ტურისტებსაც უკრძალავენ იქ მისვლას. ■

კაილაში

ნაკშე-რუსტამი

ანეკდოტები

***

როგორც ვატყობ, ჩემი გაკეთებული კერძი არ მოგწონს, — ნაწყენია ცოლი.

— როგორ არა, ძვირფასო, მომწონს, მაგრამ არც ისე ძალიან, რომ ვჭამო.

***

ორი თანაკლასელი ხვდება ერთმანეთს. გაიხსენეს ძველი წლები და თანაკლასელები, მათ შორის — ქეთინოც:

— რას შვრება ქეთინო, როგორ არის?

— ეჰ... არ გაუმართლა ქმრებში. პირველი ავარიაში დაიღუპა, მეორე ხანძრის დროს დაიწვა, მესამეს დენმა დაარტყა, მეოთხე...

— რა, მეოთხეც მოკვდა?

— არა, ციხეშია.

— რაზე ჩასვეს?

— ცოლის მკვლელობაზე.

***

ერთი ზვიგენი ეუბნება მეორეს:

— გუშინ რუსი შევჭამე!

— იტყუები! აბა, ამოისუნთქე?

***

ახალი „მერსედესი“ პრესტიჟის, იღბლის და იმის სიმბოლოა, რომ ადამიანმა ცხოვრებაში ბევრს მიაღწია. ძველი „მერსედესი“ კი იმაზე მიუთითებს, რომ ეს ყველაფერი ადამიანს უკვე კარგა ხანია აქვს.

***

— გამოტყდი, საყვარელო, — ჰკითხა ახალდაქორწინებულმა მამაკაცმა ცოლს, — ჩემამდე რამდენი მამაკაცი გყავდა?

ერთხანს დუმილი ჩამოწვა.

„თავს შეურაცხყოფილად გრძნობს“, — გადაწყვიტა გუნებაში ქმარმა.

ნახევარსაათიანი დუმილის შემდეგ, ცოლს ჰკითხა:

— ძალიან მიბრაზდები?!

— არა, ვითვლი.

***

პარკის მერხზე ხანდაზმული მამაკაცი ზის და გემრიელად მიირთმევს ბუტერბროდს. ტოტზე 2 ბეღურა ნაზად ჟღურტულებს:

— ორიოდე წუთიც მოვიცადოთ და პურს თუ არ დაგვიფშვნის, მერე სხვანაირად მოუწევს ჩვენი გაცნობა!

***

სამედიცინო ფაკულტეტის ჯგუფში ერთმა სტუდენტმა კითხვა დასვა:

— პატივცემულო პროფესორო, როგორ გავარჩიოთ ქალიშვილი და ქალი ერთმანეთისგან?

— იცით, ახალგაზრდავ, ქალიშვილი ყოველთვის შეტყუპებული ფეხებით ზის, რადგანაც...

პასუხის მეორე ნაწილი ფეხების შეტყუპებისგან წარმოქმნილმა ხმაურმა დაფარა.

***

— ექიმო, კედლებს იქით რა ხდება, იმას ვხედავ. რა ვქნა?

— აბანოში წადი.

***

დირექტორმა კლასში ახალგაზრდა ქალი შეიყვანა.

— ბავშვებო, გაიცანით, ეს თქვენი ახალი მასწავლებელია. იმედია, მოგეწონებათ.

— მდაა, ფიგურას არა უშავს, — ამბობს ერთი მოსწავლე.

დირექტორი ამაყად გასწორდა მხრებში:

— მე თავად შევარჩიე!

***

ცოლი ქმარს ეჩხუბება:

— აღარ შემიძლია შენისთანა ლოთთან ცხოვრება! ფანჯრიდან გადავხტები და თავს მოვიკლავ!.. მოიცა, რას შვრები?!. გამიშვი ხელი!.. მე თვითონ!.. მე თვი...

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ „პასუხების“ სვეტისაკენ არ გაგექცეთ თვალი

1. ვისი წყალობით არ დაიკარგა პაოლო იაშვილის საფლავი?
2. რა არის ბუდნა?
3. ვინ არის ორდინატორი?
4. თებელი მონადირე — აქტეონი ბერძნული მითოლოგიის ცნობილი პერსონაჟია. იგი კითერონის მთებში ნადირობის დროს დაღლილი დაეძებდა წყალს, როცა შემთხვევით თვალი მოჰკრა ნიმფებით გარემოცულ, შიშვლად მობანავე არტემიდეს. რით დასაჯა განრისხებულმა ქალღმერთმა აქტეონი?
5. რა არის „ალაგე“?
6. დაასახელეთ დიქტატორი, რომელიც 36 წელი განაგებდა ესპანეთს.
7. ვინ არის პროფესიით ზურაბ სოტკილავა?
8. დაასახელეთ ვულკანური წარმოშობის ყველაზე დიდი კუნძული.
9. დაასახელეთ მსოფლიოში ყველაზე დიდი თევზი.
10. რომელ ქალაქში დაიღუპა პრინცესა დაიანა?
11. რა ბედი ეწია რედიარდ კიპლინგის „მაუგლის“ პერსონაჟს, ტურა ტაბაკის?
12 რომელმა დამპყრობელმა გადაასახლა თავის სამშობლოში 400 ათასი ქართველი?

***

დაქალები საუბრობენ.

— იცი, გუშინ პარკში მანიაკი დამესხა თავს.

— სექსუალური?

— როგორ გითხრა... არც ისე...

***

ჯარისკაცი ბრძოლის ველიდან გაიქცა და კარგა ხნის სირბილის შემდეგ, დასამალად ბუჩქებში შეძვრა. იქ ვიღაც ოფიცერი დახვდა დამალული.

— უკაცრავად, ამხანაგო ლეიტენანტო, ცოტა უნდა შეგავიწროოთ!

— ლეიტენანტი არა ვარ!

— უკაცრავად, ამხანაგო კაპიტანო!

— არც კაპიტანი ვარ!

— შევცდი, ამხანაგო მაიორო!

— პოლკოვნიკი ვარ!

— ბიჭოს, რა შორს გამოვქცეულვარ!

***

ჭიჭიკია ღამის 4 საათისთვის მთვრალი ბრუნდება სახლში ბიჭიკიასთან ერთად. ცოლი დოინჯშემოყრილი დგას:

— რას ჰგავხარ, შე უბედურო! იცი მაინც, რა დროა ახლა? მორჩა, უნდა დაისაჯო!.. 2 თვე სექსის გარეშე!.. შენც, ბიჭიკია!..

***

ცოლი:

— შენ არასდროს ყოფილხარ ჩემი ერთგული!..

ქმარი:

— ცდები, ძალიან ხშირად!..

***

საღამოს ოსი ყანიდან ბრუნდება დაღლილი. შეხვდება კახელი.

— მოდი, ვიშაიროთ.

— არა, სენი წირიმე, დაღლილი ვარ და სახლში მეჩქარება.

— მოდი-მეთქი, თორემ დედას გიტირებ, — ატერორებს კახელი.

ოსს სხვა რა გზა ჰქონდა და დათანხმდა.

კახელმა დაიწყო:

— ავხტი-დავხტი, აგე იმ გორაზე შავხტი, იქიდან აგე იმ გორაზე გადავხტი, მერე აი იმ მუხაზე გადმოვხტი და იქიდან პირდაპირ დედაშენს დავახტი.

— მე, კიდენა, სენი წირიმე, ავხტი-დავხტი და პირდაპირ დედაშენს დავახტი!.. ხომ გითხარი, ძალიან დაღლილი ვარ-მეთქი.

***

შეჯიბრებაზე ბირთვის კვრაში ერთი სპორტსმენი ეუბნება მეორეს:

— დღეს უნდა მოვინდომო, ტრიბუნაზე ჩემი სიდედრი ზის.

— ტყუილად ცდილობ, ამ სიშორიდან მაინც ვერ მოახვედრებ.

***

— ბიჭიკია, ქალიშვილთან თუ ყოფილხარ ოდესმე?

— ქალიშვილთან კი არა, კაციშვილთან არ ვყოფილვარ, მაგის დედა ვატირე!

***

— რატომ იხედები საათზე ასე ხშირად? — ეკითხება მასწავლებელი მოსწავლეს.

— ძალიან განვიცდი, მასწავლებელო, ასეთი საინტერესო გაკვეთილი უცებ ზარმა არ გაგვაწყვეტინოს.

გონების სავარჯიშო

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. კოლაუ ნადირაძისა და ოთარ მამფორიას წყალობით. დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე დამარხულ ცხედარს მათ თავსა და ბოლოში ღვინის ორ-ორი ბოთლი დაუფლეს და ამგვარად შემოინახეს მეგობრის საფლავი.
2. ასე ეძახიან ლობიოს, კარტოფილის ან სიმინდის დასათესად გაკეთებულ პატარა ორმოს.
3. მკურნალ ექიმს საავადმყოფოებსა და კლინიკებში ორდინატორი ჰქვია.
4. არტემიდემ ჭაბუკი მონადირე ირმად აქცია და თავისივე ძაღლები მიუსია. ძაღლებმა უტყვი და უბედური თვალებით მავედრებელი ირემი დაგლიჯეს და შემდეგ ყმუილით დაეძებდნენ პატრონს ტყე-ღრეში.
5. ღობეზე გადასასვლელ, გადასაბიჯებელ ადგილს ალაგეს ეძახიან.
6. გენერალი ფრანკო.
7. მარკშაიდერი.
8. ისლანდია.
9. ვეშაპისებური ზვიგენი.
10. პარიზში.
11. იგი მაუგლის რუხმა ძმამ მოკლა, ცოტა ხნით ადრე, სანამ მაუგლი კამეჩების დახმარებით შერ-ხანს მოკლავდა.
12. შაჰ-აბასმა.

ჩვენი ფოტო მაღლრეა

ჰოროსკოპი

6-12 ოქტომბერი

ვერძი

კვირის მეორე ნახევარში გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა ბიზნესპარტნიორებთან. საყვარელ ადამიანთან უფულობაზე ნუ იწუწუნებთ. ოთხშაბათს იურიდიული საკითხები მოაგვარეთ.

ხარი

თუ კოლეგებთან შეთანხმებულად იმუშავებთ, წარმატებას მიაღწევთ. ელექტროსაგნების მოხმარების დროს სიფრთხილე გმართებთ. თავი დაანებეთ სიგარეტის მოწევას.

ტყუპი

არ დაგეგმოთ შეხვედრები. ახალი საქმეები მომავალი კვირიდან დაიწყეთ. მოერიდეთ კონფლიქტს ნათესავებთან. ოთხშაბათს შეყვარებულს რომანტიკული პაემანი დაუნიშნეთ.

კირჩხიბი

გამოგიჩნდებათ თავისუფალი დრო, რაც საშუალებას მოგცემთ, შვილებს სწავლასა და პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროთ. პრემიით ახალი საყოფაცხოვრებო ნივთის შეძენას შეძლებთ.

ლომი

საუკეთესოდ შესრულებული სამუშაოსთვის ჯილდოს მიიღებთ. კოლეგების დასაცავად უფროსთან დაპირისპირება მოგიწევთ. კარგი პერიოდია სასიყვარულო შეხვედრებისთვის.

ქალწული

სამსახურში მეტი ინიციატივა გამოიჩინეთ, თამამად წამოაყენეთ საკუთარი იდეები. მოერიდეთ საქმეების გარჩევას საყვარელ ადამიანთან.

სასწორი

გაფრთხილდით, მეგობრებთან ისეთი რამ არ წამოგცდეთ, რაც მთელი ცხოვრება სანანებელი გექნებათ. ამ პერიოდში თქვენი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას შეძლებთ.

ბრიყვი

ოჯახის წევრები თქვენი დახმარების გარეშე მოაგვარებენ პრობლემებს. დროა, თქვენი აუტანელი ხასიათი შეიცვალოთ, რადგან გარშემო მყოფებს უჭირთ თქვენთან საერთო ენის გამონახვა.

მშვილდოსანი

ერთდროულად რამდენიმე პროექტს ნუ შეეჭიდებით, ვერც ერთს ვერ დაასრულებთ. უმჯობესია, დრო გადაანაწილოთ და საქმეები თანამიმდევრულად მოაგვაროთ მეგობრებთან ერთად.

თხის რქა

ეჭვიანობის გამო საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაგიფუჭდებათ. მეტი ყურადღება დაუთმეთ სამსახურებრივ საქმეებს. კარგი პერიოდია ახალი პროექტების განსახილველად.

წყალმანი

გაღიზიანებული ხართ. ნებისმიერი წვრილმანი ნერვებს გიშლით და გარშემო მყოფებს ხშირად ეჩხუბებით. თუ ასე გააგრძელებთ, ყველა შეგიძულებთ.

თევზები

საქმეების შესრულებისას ნუ აჩქარდებით. ხშირად დაისვენეთ. გადაამოწმეთ ინფორმაციები. შეამცირეთ კონტაქტი ადამიანებთან, რომლებიც გაღიზიანებენ.

ბედნიერების ინდექსი

ბედნიერების ინდექსის გამოსავლენად შეკრიბეთ თქვენი და თქვენი რჩეულის დაბადების თარიღი, დაიყვანეთ ერთნიშნა ციფრამდე და წაიკითხეთ პასუხი. მაგალითად: თქვენ დაიბადეთ 15 რიცხვში: ერთ მივუმატებთ ხუთს და მივიღებთ ექვსს. თქვენი რჩეული — 8 რიცხვში. ექვსისა და რვის ჯამს (14) ერთნიშნა ციფრამდე დავიყვანთ და მივიღებთ ხუთს. წაიკითხეთ მიღებული პასუხი:

1. ხშირად კამათობთ; თუ საოჯახო პრობლემებს შეთანხმებულად მოაგვარებთ, თქვენზე ჰარმონიული წყვილი ძნელი მოსაძებნი გახდება.

2. რომანტიკული წყვილი ხართ. 20 წლის შემდეგაც იდეალური ცოლ-ქმარი იქნებით. მთავარია, ფინანსური პრობლემები დაძლიოთ.

3. ერთმანეთის მიმართ მხოლოდ სექსუალურ ლტოლვას განიცდით. თუ ერთად ყოფნა გსურთ, ერთურთის მიმართ უფრო ყურადღებიანი უნდა იყოთ.

4. მეგობრები უფრო ხართ, ვიდრე შეყვარებულები.

5. უერთმანეთოდაც დიდხანს გიჭირთ ყოფნა და ვერც ერთად ძლებთ. არასტაბილური, მაგრამ საინტერესო წყვილი ხართ.

6. შეყვარებულის უსიტყვოდ გესმით, ერთმანეთისთვის შექმნილი წყვილი ხართ.

7. პარტნიორზე განაწყენებული საკუთარ თავში კი ნუ ჩაიკეტებით. დაელაპარაკეთ მას, ერთად გამოასწორეთ შეცდომები. არ დაუშვათ, რომ უბრალო კამათის გამო ერთმანეთს დაშორდეთ.

8. ორივე ლიდერი ხართ. თუ ოჯახის შენარჩუნება გსურთ, ერთ-ერთმა პოზიციები უნდა დათმოთ.

9. დაფიქრდით, ერთმანეთი გიყვართ თუ ერთად ყოფნა მოგწონთ. როცა სექსუალური ლტოლვა გაქრება, ერთურთისთვის უინტერესოები გახდებით. ამიტომ, დაქორწინება არ იჩქაროთ.

ტაიმ-აუტი



1. ვაზის ჯიში
2. ვიეტნამის დედაქალაქი
3. საკაფი იარაღი
4. ბელადობა, ბატონობა
5. ფრანგი მეოგვე
6. მაღალი ხარისხის მინა
7. საოჯახო ელექტრო ხელსაწყო
8. იგივეა, რაც ხაზი
9. შოკოლადის ნაკრები
10. სრულად გადებული გასული ძელი
11. ტყის მსხალი
12. ხიდისებური ნაგებობა
13. კონტინენტი
14. „დათა თუთაშხიას“ ავტორი
15. ხელოვნების დარგი
16. ზევსის დედა
17. უნგრული ხალხური ცეკვა
18. უსაქმოდ სიარული, ყიალი
19. იემენის დედაქალაქი
20. ტაძარი კახეთში
21. სქელი მურაბა
22. კაკლის დასაბერტყი ჯოხი
23. ცხენბურთი
24. აშშ-ს სატელევიზიო პრემია
25. ჩვილის საკვები
26. წიწილებიანი ქათამი
27. მუს. ნოტი
29. თხელი საფლობი ტალახი
29. ძროხის ნაშიერი
30. იტალიის ფეხბურთის გუნდი
31. მდინარე საქართველოში
32. ფალიაშვილის ოპერა
33. ციტრუსი
34. მდინარე აფრიკაში
35. სამოზაიკე ფერადი მინა
36. სოფლის ინჟინერი
37. თავშესაფარი თხრილი
38. ჩეხეთის დედაქალაქი
39. გოშია
40. ხახა

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. შვეიცარია; 2. ბედაური; 3. ცერი; 4. ყამირი; 5. ღატაკი; 6. კვადრილია; 7. ლატვია; 8. ნილოსი; 9. აული; 10. თეირანი; 11. მადლი; 12. კოლოსი; 13. სპირტი; 14. ვექსილი; 15. თიბათვე; 16. ლოსი; 17. ვისკი; 18. იანუსი; 19. ოპალი; 20. ბაიკალი; 21. პო; 22. თელა; 23. ავტომობილი; 24. სამორინე; 25. თასი; 26. ალპინისტი; 27. ცდა; 28. ოკრიბა; 29. მზე; 30. პეკინეზი; 31. სიმი; 32. კოლორიტი; 33. ლიმა; 34. რინიტი; 35. რაიკონენი; 36. კენია; 37. პარაზიტი; 38. ხვიჩია.
სურათებზე: შაკირა; რიკი მარტინი.

მერილინ მონროს ნივთები აუქციონზე

• ჰოლივუდის ვარსკვლავი მერილინ მონრო 50 წლის წინ გარდაიცვალა. ამა წლის დეკემბერში აუქციონზე გაიყიდება მსახიობის პირველი ფოტოები, რომლებიც 1946 წელს 19 წლის ნორმა ჯინ დოერტის ჯოზეფ ჯასგურმა გადაუღო. აუქციონის ორგანიზატორის აზრით, კოლექციონერები თითო ფოტოში 2-დან 4 ათას დოლარამდე გადაიხდიან. მონროს ნივთები არაერთხელ გაუყიდიათ აუქციონებზე. აი, რამდენიმე საინტერესო ლოტის ჩამონათვალი:

• თეთრი კაბა, რომელში გამოწყობილი მერილინი მეტროს საჰაერო ცხაურზე დგას, მსახიობმა დები რეინოლდსმა 5,6 მლნ დოლარად გაყიდა. მის მფლობელობაშია დიადემა, რომელიც ელიზაბეთ ტეილორს „კლეოპატრაში“ ეკეთა და ჯუდი გარლანდის წითელი ფეხსაცმელი ფილმიდან — „ჯადოქარი ოზის ქვეყნიდან“.

• 1962 წელს აშშ-ის პრეზიდენტი — ჯონ კენედი 45 წლის გახდა. მსახიობმა იუბილე სიმღერით მიულოცა. ამ დღეს მერილინს ძვირფასი თვლებით გაწყობილი კაბა ეცვა, რომელიც 1999 წელს რობერტ შარგანმა 1.267.500 დოლარად შეიძინა. მსახიობმა პრეზიდენტს „როლექსის“ საათი აჩუქა წარწერით: „ჯონს, სიყვარულით მერილინისგან“. სკანდალური საჩუქარი პრეზიდენტმა გასანადგურებლად გაიმეტა, მაგრამ საჩუქარი გადარჩა და 2005 წელს აუქციონზე 120 ათას დოლარად გაიყიდა.

• 1954 წლის 14 იანვარს მონრო ცოლად გაჰყვა ბეისბოლისტ — ჯო დიმაჯიოს. ქორწინების წლისთავზე ქმარმა ცოლს ძვირფასი საჩუქარი უძღვნა — 35 ბრილიანტით გაფორმებული პლატინის სამაჯური. 1999 წელს სამაჯური 772.500 დოლარად გაიყიდა.

• მერილინის დედამ სიცოცხლე ფსიქიატრიულ კლინიკაში დაასრულა. დედისგან თეთრი როიალი ერგო. „გაჭირვების გამო დედის უამრავი ნივთი გავყიდე, — იხსენებდა მსახიობი, — მაგრამ თეთრ როიალს ვერ ველეოდი“. 1999 წელს ინსტრუმენტი მომღერალმა მერაია კერიმ 662.500 დოლარად შეიძინა.

• 319 ათას დოლარად გაიყიდა მსახიობის ვარდისფერი კაბა, რომელიც მას ფილმში — „მამაკაცები უპირატესობას ქერათმიანებს ანიჭებენ“ ეცვა. ამ ფილმში შეასრულა მერილინმა სიმღერა — „გოგონების საუკეთესო მეგობრები ბრილიანტებია“.

• მომღერლის კოსმეტიკის ხუთუჯრიანი კარადა 266.500 დოლარად გაიყიდა. კოსმეტიკის გარდა კარადაში ინახებოდა ქაღალდის მარაო და სხვადასხვა რესტორნის ასანთი.

• 145 ათას დოლარად გაიყიდა მერილინის მართვის მოწმობა, რომელიც მსახიობმა 1956 წელს აიღო.

• თეთრი ხალათი, რომელიც მონროს გარდაცვალების დროს (1962 წელი) ეცვა, 1999 წელს ექვსი ათას დოლარად გაიყიდა, მაგრამ ათი წლის შემდეგ ფასი 120 ათას დოლარამდე გაიზარდა.

• ჯო დიმაჯიდოსთან განქორწინების შემდეგ მონრომ 3 რენტგენოგრამა გადაიღო. 2010 წელს ლას-ვეგასის აუქციონზე რენტგენოგრამები 45 ათას დოლარად გაიყიდა.

• 1956 წელს მონრო არტურ მილერს გაჰყვა ცოლად. მანამდე კი საქმროს რელიგია — იუდაიზმი მიიღო. მეუღლისგან საჩუქრად მუსიკალური მენორა ერგო, რომელიც ისრაელის ჰიმნს უკრავდა. „კრისტის“ აუქციონზე მენორა 19.540 დოლარად გაიყიდა. ■

იაპონური სენსაცია sudoku

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

1	5	6	3	4	7	2	8	9
7	8	3	2	5	9	1	6	4
4	2	9	1	8	6	3	5	7
3	9	8	7	2	5	4	1	6
2	1	7	4	6	3	5	9	8
5	6	4	9	1	8	7	2	3
8	7	5	6	3	2	9	4	1
9	4	2	8	7	1	6	3	5
6	3	1	5	9	4	8	7	2

4	3	8	1	9	7	2	5	6
1	7	6	5	2	8	4	3	9
2	5	9	4	3	6	7	8	1
7	4	1	9	5	3	8	6	2
9	8	5	7	6	2	3	1	4
3	6	2	8	4	1	5	9	7
8	2	4	3	1	9	6	7	5
5	9	7	6	8	4	1	2	3
6	1	3	2	7	5	9	4	8

8	4	9	7	5	3	1	6	2
7	5	2	6	8	1	9	3	4
3	1	6	2	9	4	5	7	8
5	2	3	8	7	9	4	1	6
1	8	4	3	2	6	7	9	5
6	9	7	1	4	5	2	8	3
2	6	1	4	3	7	8	5	9
4	3	5	9	1	8	6	2	7
9	7	8	5	6	2	3	4	1

* მარტივი

9			3					6
		3		2		4		
					1			9
		4	2		8	7		
	8				5		4	
		1		9		3		
8			5					
		9		4		1		
6					2			3

** საშუალო

	1			8				3
	9			5				
2			7					6
	8				3			1
		2	6	7		3		
3			4				6	
5					1			9
				4			3	
7				6			4	

*** რთული

		3			4		6	
		7	8			3		2
	1			7				9
	7			3		6		
	8		6				4	
		9	7		5		1	
4				1			3	
7		5			6	9		
	2		3			8		

სმოკერ ხელტი

განიცადეთ სიამოვნება, იზრუნეთ პირად ჰიგიენასა და ჯანმრთელ ცხოვრებაზე!

კბილის პასტა 55 მგ

სმოკერ ხელტი

წარმოადგენს სოიოს მარცვლებიდან მიღებულ აქტიურ ნივთიერებებზე დამზადებულ ნატურალურ პროდუქტს.

მისი შემადგენელი კომპონენტები ანადგურებენ პათოლოგიურ მიკროფლორას, რითაც იცავენ პირის ღრუს სხვადასხვა დაავადებებისა და კბილებზე ნადების განვითარებისაგან რითაც უზრუნველყოფენ ჯანსაღ სუნთქვას.

კბილის პასტა სმოკერ ხელტს განსაკუთრებით საჭიროებენ ყავის, ალკოჰოლისა და თამბაქოს მომხმარებლები!

Nabros Pharma Pvt. Ltd.

მწარმოებელი: „ნაბროს ფარმა"
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში
შ.პ.ს „კონგა ფარმა"
მიცემის № 56
ტელ: 223 63 25

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

ჰილ კრემი

განთავისუფლდით კანის პრობლემებისაგან!

ჰილ კრემი

- წარმოადგენს უნიკალურ დამატენიანებელ და აღმდგენ საშუალებას, რომელიც მოქმედებს როგორც კანის ზედაპირულ ,ისე მის ღრმა მშრეებზე, რაც უზრუნველყოფს ნახეთქების და წყლულების სწრაფ შეხორცებას.
- ხელს უწყობს ფსორიაზის დროს კანზე განვითარებული ქერქების დარბილებას და მის აშრევებას.

გამოყენების წესი: გამოიყენება დღეში 2-ჯერ, დილა საღამოს.

Nabros Pharma Pvt. Ltd.

მწარმოებელი: „ნაბროს ფარმა"
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში
შ.პ.ს „კონგა ფარმა"
მიცემის № 56
ტელ: 223 63 25

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

მხოლოდ საბა ჯგუფთან ერთად

გურამიშვილის 78

ქ. თბილისის მერიის პატრონაჟით

თიბისი ბანკი TBC BANK დაფინანსებით

ჩაბარება 2012 წლის დეკემბერი

მშენებლობის პროცესის ონლაინ კონტროლი

მთავარი ოფისი:
თბილისი,
ბუდაპეშტის 7

238 44 33
577 777 077
579 770 110

www.saba-group.ge

„გამომცემლობა პალიტრა L“-ის წიგნები

ითავაზობთ დიდ ფასდაკლებას შემდეგ წიგნებზე:

ინტელექტი დანაშაულის წინააღმდეგ

დედამიწის საოცარი ადგილები

გრანდიოზული ნაგებობები



~~16.99 ლარი~~

11.99 ლარი

გვ. რაოდ.: 80 გვ.
ფორმატი: 21X28
ყდა: მაგარი

ეს წიგნები მოგითხრობთ ბუნებრივ თუ ადამიანის ხელით შექმნილი საოცრებების, გრანდიოზული ნაგებობების შესახებ. ასევე შეიტყობთ, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საიდუმლოებებს.

რეზო ჭეიშვილი
ახალი ჯურუ



ფასი: 6.99

გვ. რაოდ.: 495 გვ.
ფორმატი: 14X20.5
ყდა: რბილი

„სიცილის სენს ჯურუ ჰქვია... ვაი იმას, ვისაც პირისპირ შეეყრება სიცილის ის ბაცილა! ჯვდება ის ადამიანი სიცილით, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით...“ – წერს რეზო ჭეიშვილი, რომელიც თავის წიგნში ბევრ იუმორისტულ მოთხრობასა თუ სკეტჩს გვთავაზობს, განსაკუთრებით ჯი ის ამბები გამოირჩევა, სადაც ავტორი უზადო ქუთა-ისური იუმორის ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებზე მოგვითხრობს.



ენტონი ბერჯესი
მექანიკური ფორთოხალი

ფასი: 6.99

გვ. რაოდ.: 216 გვ
ფორმატი: 12X16.5
ყდა: რბილი

სიახლე!

ამ წიგნში მოთხრობილია ამბავი ერთი მელომანი სადისტისა, რომელიც ძალადობის ინსტინქტის ჩასახშობად გამიზნული, არანაკლებ სადისტური მეცნიერული ექსპერიმენტის მსხვერპლი შეიქნა.

ზვიგენი, რომელსაც სიცრმის ეშინოდა

ჟირაფი, რომელსაც სიმაღლის ეშინოდა

ფასი: 11.99

გვ. რაოდ.: 16 გვ.
ფორმატი: 24.5X25
ყდა: ბალიშა

ამ სიურპრიზებით სავსე, მოძრავი ნახატებით გაწყობილი წიგნების საშუალებით თქვენი პატარები გაიგებენ, თუ როგორ სძლია პატარა ჟირაფმა სიმაღლის, ხოლო პატარა ზვიგენმა სიცრმის შიშს და როგორ დაეხმარნენ მათ ამ შიშის დაძლევაში მეგობრები.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge

ფოტოკოლაჟები



ეროვნული ბიბლიოთეკა
www.kvirispalitra.ge
№13 (816) 22 – 28 აპრილი 2010 წ. ფასი 1 ლარი 1995 წ.
ეროვნული
ბიბლიოთეკა
ეროვნული
ბიბლიოთეკა
ეროვნული
ბიბლიოთეკა